DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Ramishvili, R. / რამიშვილი, რ. / Рамишвили, Р.
- Title: Jhinvali (Archaeological Researches in the Aragvi) vol. I / ჟინვალი(არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვში) ტომი I / Живали (Археологичиские Изисканыя в Арагвском ушелье) том I
- Publication Date: 1983
- Publisher: Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_ff0b9000fc

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ანბანი

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ ИНСТИТУТА ИСТОРИИ,
АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

ЖИНВАЛИ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ
В АРАГВСКОМ УЩЕЛЬЕ

I

JHINVALI

ARCHAEOLOGICAL RESEARCHES IN THE ARAGVI

ТБИЛИСИ 1983

VE
4396

ჭინვალი

არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში

I

20385



თბილისი 1983

902.6 (С41)
63.4 (2Г)
902.6 (47.922)
ე 747

წიგნში განხილულია ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები. კერძოდ ქვის ხანის, ადრე და გვიანანტიკური (გვიანარმაზული) ხანის, აგრეთვე განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლები.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არაგვის ხეობის ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და გეოლოგიური შესწავლის საკითხებს, მოპოვებული მასალების მეტალოგრაფიულ ანალიზს და სხვა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიაში მომუშავე სპეციალისტებისა და საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველთათვის.

В книге рассматриваются археологические памятники разных времен, выявленные Жинвальской археологической экспедицией в 1971—73 гг.

Вместе с тем значительное место в сборнике уделено вопросам этнографического, топонимического и геологического изучения Арагвского ущелья, металлографическому анализу найденных материалов и т. д.

Книга предназначена для специалистов, изучающих историю Грузии, а также для широкого круга читателей, интересующихся историей материальной культуры Грузии.

The book deals with the archaeological monuments of different periods, exposed by the Jhinvali archaeological expedition in 1971—73.

In the collection a special part is devoted to the problems of the athnographic, toponymic and geological research of the Aragvi canyon, to the metallographyc analysis of the founded material, etc.

The book is intended for the specialists studying the history of Georgia, and also for those who are interested in the history of Georgia's material culture.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

10602
Ж————————
М 608(06)—83

წინასიტყვაობა

1971 წელს ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჟინვალის არქეოლოგიური კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც დაევალა ჟინვალისა და მისი მიდამოების შესწავლა და ძველი ნაქალაქარისა და სხვა უმთავრეს ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა გათხრა წყლის შეგუბებამდე.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მომავალ წყალსაცავსა და მის შემოგარენში ჯერ კიდევ 1964 წელს ჩაატარა მნიშვნელოვანი სადაზვერვო სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი, სადაზვერვო რაზმისა — ლ. წითლანაძე), რომლის დროსაც გამოვლინდა უაღრესად საყურადღებო ძეგლები. მაშინვე შედგა სათანადო ხარჯთაღრიცხვაც, მაგრამ შემდგომ საპროექტო სამუშაოთა დროებით შეყოვნებამ გამოიწვია არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადადება 1971 წლამდე, როდესაც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებით წყალსაცავის მშენებლობა უკვე რეალურ საქმედ იქცა.

1971 წელს ჟინვალის არქეოლოგიურმა კომპლექსურმა ექსპედიციამ ძირითადად სადაზვერვო სამუშაოები განახორციელა, თუმცა ზოგან საკმაოდ შრომატევადი არქეოლოგიური ძიებაც ჩაატარა. 1972 წელს კი ექსპედიციის უმთავრეს საქმიანობას არქეოლოგიური კვლევა-ძიება წარმოადგენდა. ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიურ ძეგლებზე გაიშალა ფართო მუშაობა, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა არაგვის ხეობის წარსულის ამსახველი ნივთიერი მასალა.

წინამდებარე კრებულში, რომელიც „ჟინვალის“ სერიის პირველ წიგნს წარმოადგენს, ქვეყნდება ჟინვალის ექსპედიციის მიერ 1971 — 73 წლებში გამოვლენილი მასალები. წიგნის ძირითადი მიზანია არაგვის ხეობაში ახლად მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების სრული მეცნიერული პუბლიკაცია. სწორედ ამის გამოა, რომ კრებული უხვადაა დასურათებული.

გარდა არქეოლოგიური კვლევის გზით მოპოვებული მასალისა კრებულში ფართო ადგილი ეთმობა არაგვის ხეობის გეოლოგიურ, ტოპონიმიკურ და ეთნოგრაფიულ შესწავლას და ნუმიზმატიკური, ოსტეოლოგიური და მეტალოგრაფიული მასალების ანალიზს.

აქვე მოცემულია საყურადღებო მსჯელობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წარსულთან დაკავშირებით.

წიგნი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს, დაიწერა საკმაოდ დიდი ხნის წინათ (1973 — 74 წწ.), მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მისი გამოქვეყნება დაგვიანდა, ამჟამად მრავალ საკითხთან დაკავშირებით უკვე არსებობს ახალი ლიტერატურა, მაგრამ მისი ასახვა ამ კრებულში აღარ გვიც-

დია. ჟიხვალის ექსპედიციის შრომების პირველი წიგნი ასახავს ჩვენი მუშაობის საწყის ეტაპს და მას მკითხველს ისევე ვთავაზობთ, როგორც იყო იგი გამზადებული გამოსაქვეყნებლად.

ჟიხვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალების პუბლიკაციას მომავალში კვლავ მიეძღვნება არაერთი წიგნი, რისი განხორციელებისათვისაც ამჟამად დაუზარებლად იღვწის ექსპედიციის თანამშრომელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

წიხაძდებარე გამოცემაში გამოყენებული საველე დოკუმენტაცია ეკუთვნით: ტ. კიპაროიძეს, ლ. ფავლენიშვილს, გ. ბაქანიძეს, რ. რამიშვილს, ჯ. გვასალიას. საბხატვრო სამუშაოები შეასრულეს ნ. თოფურიძემ, ნ. ბაკაშვილმა, კ. არაბულმა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამაგდარი მხატვრის ნ. თოფურიძის ღვაწლი, რომელიც, გარდა იმისა, რომ გვიხატავდა ფერად ილუსტრაციებს, წლების მანძილზე დაუზარებლად უწევდა კონსულტაციებს ექსპედიციის ახალგაზრდა მხატვრებს, რაც ხელს უწყობდა მათ სწრაფ დაოსტატებას.

კამერალური ფოტოგადაღებები ჩაატარეს გ. ბაქანიძემ და ვ. ასტახოვმა. ყველა ფერადი დიაპოზიტივი ეკუთვნის ვ. ასტახოვს.

მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ უფროსი თაობის არქეოლოგთა თვალსაჩინო წარმომადგენლები — ა. კალანდაძე და გ. ლომთათიძე; მათ საველე საქმიანობის პირველ წლებში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ჩვენს ექსპედიციასთან.

ასევე სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ჟინვალის ექსპედიციას თავისი საქმიანობის პირველ წლებში უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა ჟიხვალმშენის მაშინდელი ხელმძღვანელობისაგან და მთელი რაიონის მშრომელებისაგან, რაც გვმატებდა ენერგიასა და ხალისს ჩვენს მძიმე საველე შრომაში.

მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს წინამდებარე გამოცემების მომზადებასა და გამოქვეყნებაში.

ყველა შენიშვნა, რომელიც მიზნად დაისახავს მომავალ გამოცემათა გაუმჯობესებას, ავტორთა კოლექტივის მიერ მადლიერებით იქნება გათვალისწინებული.

ПРЕДИСЛОВИЕ

В 1971 году в связи со строительством Жинвальского гидротехнического комплекса в Институте истории, археологии и этнографии им. Ив. Джавахишвили Академии наук Грузинской ССР была организована Жинвальская археологическая комплексная экспедиция, на которую возложена задача изучения Жинвали и его окрестностей и проведение раскопок городища и других важнейших историко-археологических памятников до их затопления.

Институт истории, археологии и этнографии еще в 1964 г. провел значительные разведочные работы на территории будущего водохранилища и в его окрестностях (руководитель экспедиции Г. Гобеджишвили, разведотряда — Л. Цитланадзе), в результате чего были выявлены крайне важные памятники. В то же время была составлена соответствующая финансовая смета, но задержка проектных работ гидрокомплекса вызвала перенос археологических работ на 1971 г. Решения XXIV съезда КПСС утвердили строительство гидротехнического комплекса.

В течение 1971 года Жинвальская археологическая комплексная экспедиция осуществляла в основном разведывательные работы, хотя в некоторых местах были произведены довольно трудоемкие археологические исследования. А в 1972 году археологические исследования составляли важнейшую часть деятельности экспедиции, в результате чего были добыты вещественные материалы, освещающие почти все периоды истории Арагвского ущелья.

В предлагаемом сборнике, представляющем собой первую книгу из серии «Жинвали», публикуются материалы, выявленные Жинвальской экспедицией в 1971—1973 гг. Основной целью книги является научная публикация исследований археологических памятников, обнаруженных в Арагвском ущелье. Сборник богато иллюстрирован.

Кроме материалов, добытых в результате археологических изысканий, в сборнике значительное место уделяется геологическому и этнографическому изучению Арагвского ущелья и анализу топонимических, нумизматических, остеологических и металлографических материалов.

Предлагаемая книга была подготовлена в 1973—1974 гг., но публикация происходит с опозданием. Сегодня по многим рассматриваемым вопросам существует новая литература, которая, однако, в этот сборник не включена. Первая книга трудов Жинвальской экспедиции отражает начальный этап нашей работы и предлагается читателю в том виде, в каком она была подготовлена к печати шесть лет тому назад.

Полевая документация, использованная в сборнике, принадлежит: архитекторам Л. Павленишвили и Т. Кипароидзе, фотосъемки — Г. Баканидзе, Р. Рамишвили, Дж. Гвасалиа, художественные работы — Н. Топуридзе, Н. Бакашвили, К. Арабули. Особенно следует отметить заслуги опытной художницы Н. Топуридзе, которая, кроме того что выполнила все цветные иллюстрации, в течение многих лет консульти-

ровала молодых художников экспедиции, чем внесла значительный вклад в дальнейший рост их мастерства.

Камеральные фотосъемки вели Г. Баканидзе и В. Астахов. Все цветные диапозитивы принадлежат В. Астахову.

С благодарностью мы должны вспомнить видных археологов старшего поколения — А. Каландадзе и Г. Ломтатидзе, которые в первые годы полевой деятельности тесно были связаны с Жинвальской экспедицией.

Считаем своим долгом отметить ту большую поддержку, которую Жинвальской экспедиции оказало в первые годы деятельности тогдашнее руководство Управления «Жинвалстрой» и трудящиеся всего Душетского района.

Мы также выражаем благодарность всем лицам и организациям, которые оказали нам помощь в подготовке и публикации данного сборника.

რ. რამიშვილი

ჟინვალის ექსპედიცია. მიზანი, პირველი შედეგები, პრობლემები

(1971 — 1973 წწ. მასალების მიხედვით)

არაგვის ხეობა ბუნებრივი რესურსების სიუხვით, მდიდარი წარსულითა და ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა მრავალფეროვნებით კარგახანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ამ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ არაგვის ხეობის ორივე განშტოებაზე უძველესი დროიდანვე შებმული იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის გზები, რომელთაგან ერთს, ხევზე გამავალს, საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ თუ ეთნოგრაფებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ფოლკლორისტებს და სხვა დარგის მკვლევართ არაგვის ხეობებში ბევრი რამ აქვთ გაკეთებული, აღნიშნული რეგიონი არქეოლოგიურად, ბოლო დრომდე, შედარებით სუსტად იყო გამოკვლეული (თუ არ ჩავთვლით ბარის არაგვის იმ მონაკვეთს, რომელიც მცხეთის შემოგარენშია მოქცეული). ადრე, შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები კი (ყაზბეგის, ფასანაურის, ჩაბარუხის „განძები“ და სხვა) აშკარად მიუთითებს, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისითაც ეს მხარე დიდად პერსპექტიულია.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა პრაქტიკული ნაბიჯები ხევისა და არაგვის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლთა შესასწავლად მხოლოდ 60-იანი წლების დამდეგიდან გადადგა, როდესაც შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. გობეჯიშვილი) ერთი რაზმი ხევში მიავლინა[1], 1963 წელს ხევის ძეგლებს უკვე ცალკე ექსპედიცია იკვლევდა[2].

აღნიშნულმა ექსპედიციამ საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო საკუთრივ არაგვის ხეობასაც. კერძოდ, ჟინვალის ჰიდროკვანძის საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით საგანგებო რაზმმა 1964 წელს მოიხილა მომავალი წყალსაცავის ტერიტორია და მისი შემოგარენი. რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი საყურადღებო ძეგლი, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა გადაუდებე-

---

[1] გ. გობეჯიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციის კვლევა-ძიებანი, 1962. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 26-30.

ლ. წითლანაძე, შუა კავკასიონის სამხრეთ კალთის ექსპედიციის, ყაზბეგის რაზმის 1962 წლის ანგარიში, იქვე, გვ. 31—34.

[2] ლ. წითლანაძე, გ. გობეჯიშვილი, ხევის არქეოლოგიური ექსპედიციის შუშაობის შედეგები 1963 წ., საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XIII სამეცნიერო სესიის ანოტაციები, თბ., 1964, გვ. 23-25. აღნიშნულ წელს ძირითადი სამუშაოები წარმოებდა დარიალის ციხეზე და ყაზბეგის მუზეუმის ეზოში, სადაც ადრე ყაზბეგის ცნობილი განძი იყო აღმოჩენილი.

ლი იყო,[3] მაგრამ ჰიდროკვანძის საპროექტო სამუშაოთა დროებითმა შეყოვნებამ გამოიწვია არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადადება 1971 წლამდე.

ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობამ დააჩქარა არაგვის ხეობათა სიძველეების შესწავლის საქმე და უზარმაზარი გეგმისგარეშე სამუშაოები დაუსახა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რითაც მძლავრი ბიძგი მიეცა ფართო არქეოლოგიურ კვლევას ამ მეტად საინტერესო მხარეში.

1971 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დაევალა ჩაეტარებინა აღნიშნული სამუშაო. 1971 —73 წწ ექსპედიციამ განახორციელა სამი არქეოლოგიური კამპანია, რის შედეგადაც დაგროვდა უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიური მასალა.[4]

ინფორმაციის ახალმა ნაკადმა ძველ, ადრევე ცნობილ მასალებთან ერთად,

---

[3] ლ. წითლანაძე, ზ. შატბერაშვილი, ა. კახიძე, ჟინვალპესის მშენებლობასთან დაკავშირებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წლის მუშაობის შედეგები. 1964, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XIV სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 21-23. ამას გარდა ლ. წითლანაძემ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძიება აწარმოვა 1966 წ. დარიალში (თერგის მარჯვენა სანაპიროზე), ავარიულ სამაროვანზე (ამ სამუშაოთა ანგარიში არ გამოქვეყნებულა) და დუშეთის რაიონში 1969 წ. იხ. მისი არქეოლოგიური კვლევა-ძიება დუშეთის რაიონში 1969 წ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბ., 1971, გვ. 46 — 49

[4] 1971 — 72 წწ ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი (ხელმძღვანელი), ბ. ჯორბენაძე (მოადგილე), ირ. ჯალაღანია, ლ. წითლანაძე, თ. არჩვაძე, ჯ. გვასალია (ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებიდან), გ. ღამბაშიძე, ზ. კალანდაძე, გ. რჩეულიშვილი, ირ. ბაქრაძე, ჯ. კოპალიანი, ი. ხორნაული (სამეურნეო ნაწილი), ლ. ფავლენიშვილი (არქიტექტორი), ტ. კიპაროიძე (არქიტექტორი), გ. ბაქანიძე (საველე ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელი), ირ. წიკლაური (ფოტოგრაფი).

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ფინანსურ ბაზაზე მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ი. ჭყონია; გარეულ და გაგარეულებულ ვაზის ჯიშებს სწავლობდა რევაზ რამიშვილი; ექსპედიციასთან თანამშრომლობდა დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (დირექტორი ირ. ბედუკაძე). 1972 წელს ჟინვალის ექსპედიციაში ითანამშრომლა სამხრეთ ოსეთის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა რ. ჯატიევმა. 1971 წელს ექსპედიციაში იმუშავეს ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა გ. ლორთქიფანიძემ, ზ. გოგიამ, დ. ციციშვილმა და მ. კიკნაძემ, ხოლო 1972 წელს უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის 45-მა სტუდენტმა.

1973 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას გამოეყო დამატებითი სახსრები (1973—75 წლებისათვის), რამაც საშუალება მოგვცა გაგვეზარდა როგორც მეცნიერ მუშაკთა რიცხვი, ისე სამუშაოთა მოცულობაც. აღნიშნულ წელს ექსპედიციას შემოემატა: მ. მარგველაშვილი, ვ. ჩიხლაძე, ივ. წიკლაური, კ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი, ც. ლომიძე, ჯ. წიკლაური, ლ. ჩიტაძე, მ. ღლონტი, მ. რჩეულიშვილი, ვ. ასლანიშვილი (ანთროპოლოგი), ი. მოძმანაშვილი, მ. ვაჩნაძე (არქიტექტორი,) ნ. ბაკაშვილი (მხატვარი). მნიშვნელოვანი სამხატვრო სამუშაოები შეასრულა მხატვარმა ნ. თოფურიძემ. საველე ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელობა დაეკისრა ვ. ასტახოვს. ტოპონიმიკური მასალების შესაკრებად მოწვეული იყო ენათმეცნიერი გ. ხორნაული. საველე სამუშაოებში მონაწილეობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიოგრაფიის განყოფილების გამგე პროფ. პ. რატიანი. კინოფიქსაციას აწარმოებდა რ. რამიშვილი. ველზე სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჟინვალში გაგზავნა ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის 100 სტუდენტი (ხელმძღვანელი თ. ფერაძე). მძღოლები — ა. ვარსიმაშვილი, ა. ბუჩაშვილი, ნ. ხუბაშვილი.

დიდად გააფართოვა ჩვენი თვალსაწიერი არაგვის ხეობათა წარსულის შესახებ და დაგვისახა ახალი გეგმები, რის განხორციელებასაც ამჟამად ემსახურება ჩვენი ექსპედიციის კოლექტივი.

ჟინვალის ექსპედიციის უმთავრესი ამოცანა, რა თქმა უნდა, მომავალი წყალსაცავისა და, საერთოდ, მშენებლობის ზონაში მდებარე ძეგლების შესწავლა-გამომზეურებაა, ძეგლებისა, რომლებიც ან უკვე ზიანდებიან, ან კიდევ უახლოეს მომავალში მოელით განადგურება. უნდა ითქვას, რომ ასეთი ობიექტების რიცხვს ჩვენი საქმიანობის დასაწყისში ბევრად უფრო მცირერიცხოვანს ვვარაუდობდით, მაგრამ სადაზვერვო და საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებით სრულიად აშკარაა, რომ გამოსაკვლევ ძეგლთა რიცხვი გაცილებით მეტია, რაც თავის მხრივ, უფრო დიდ სახსრებსა და დროს მოითხოვს. ვიდრე თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ექსპედიციის სამუშაოთა ფრონტი გაჭიმულია არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე სოფ. საგურამოდან სოფ. პავლეურამდე (მთიულეთის არაგვის ხეობა) და სოფ. მაღარომდე (ფშავის არაგვის ხეობა). სავალდებულო საკვლევი არეალის ასეთი გაზრდა გამოიწვია ჰიდროკვანძის აგებასთან დაკავშირებულმა ძველი გზის მოშლამ და ახალმა საგზაო მშენებლობამ; მაგრამ ექსპედიცია მხოლოდ აღნიშნული ზონით როდი იფარგლება. სადაზვერვო სამუშაოები წარმოებს ორივე არაგვის და, განსაკუთრებით კი, არქეოლოგიურად თითქმის ხელუხლებ ფშავის არაგვის ხეობაში. პირიქითი ხევსურეთის ჩათვლით, მით უმეტეს, რომ ბარისახო — მუცოს მშენებარე გზაზე არაერთი საყურადღებო ძეგლი ზიანდება (მაგ. ანატორი). ჩვენი მისია არაგვის ხეობებში მარტო საველე-პრაქტიკული საქმიანობით არ შემოიფარგლება. ახალმა უაღრესად მრავალფეროვანმა და მდიდარმა მონაპოვარმა საშუალება მოგვცა ახლებურად გვემსჯელა არაერთ რთულ და საინტერესო პრობლემაზე. ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა ამიტომაც, შეძლების ფარგლებში, დავუკავშირეთ მეცნიერულ პრობლემატიკას, რითაც საველე პრაქტიკული კვლევა უფრო მიზანდასახული და შინაარსიანი გავხადეთ. მაგრამ ვიდრე ამ პრობლემების შესახებ ვიტყოდეთ ორიოდ სიტყვას, მოკლედ ჩამოვთვლით ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად მიღწევებს განვლილი სამი წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს არაგვის ხეობაში ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენის ფაქტი (ლ. წერეთელი). მართალია, ამ რიგის ძეგლები მხოლოდ ანაკრეფი მასალებითაა წარმოდგენილი და ხშირ შემთხვევაში მასალას აკლია დამაჯერებლობა, ერთი ცხადია: მუსტიეს ხანიდან ქვის ხანის ადამიანს უცხოვრია როგორც დუშეთ-ბაზალეთის პლატოზე, ისე მაღალმთიან ზონაშიც (კაიშაურის პლატო).

საყურადღებოა ადრებრინჯაოსა (შესაძლოა უფრო ადრეული ხანისაც) და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების აღმოჩენა საკუთრივ ჟინვალში —წყალგამყვანი გვირაბების სათავესთან, დამრეც, ტყიან ფერდობზე, სადაც კულტურულ ფენათა სიმძლავრე 3 მეტრს აჭარბებს. აღნიშნული ძეგლი (უბნის ხელმძღვანელი მ. ღლონტი) უაღრესად პერსპექტიულია და იქ 1974 წელს ფართო სამუშაოებიცაა დაგეგმილი. სინქრონული მასალა ჩნდება საკუთრივ თანამედროვე სოფ. ჟინვალ'ზიც, არაგვის მარჯვენა პირველ ტერასაზეც და სოფ. ბოდორნაში (შესაძლოა, ეს უკანასკნელი ენეოლითური ხანით დათარიღდეს).

ამ რიგის ძეგლთა კვლევისას მომავალში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს აღმოსავლეთ საქართველოსა და უფრო შორეულ პუნქტებთან კავშირ-

ურთიერთობების საკითხს, სადაც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ჩრდილოეთკავკასიური სინქრონული ძეგლებიც, მით უმეტეს თუ ვივარაუდებთ, რომ ასეთ ადრეულ ხანაში ხევის გზა უკვე ათვისებული იყო.

გვიანბრინჯაოს ხანის კარგად ჩამოყალიბებული ძეგლები მშენებლობის არეში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. თუმცა იგი რამდენიმე კერამიკული ნატეხის სახით წარმოდგენილია ჟინვალის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მასალებს შორის. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების აღმოჩენა რომ არაგვის ხეობის ყველა მოხაკვეთზეა მოსალოდნელი, ეს ადრევე ცნობილი მასალებიდანაც კარგად ჩანს (მცხეთა-სამთავრო, ნარეკვავი, ბოდორნა, ფასანაური, ჩაბარუხი). ზემოხსენებულ მასალებს 1973 წელს დაემატა კაიშაურის ველზე შემთხვევით აღმოჩენილი კოლხური ცული, რომელიც ინახება კერძო კოლექციაში.

შედარებით უფრო ბუნდოვანია სამშენებლო ზონაში ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის ძეგლების საკითხი. მისაქცილ-ანანურის მონაკვეთზე (თანამედროვე სამხედრო გზის დაყოლებით) ამგვარი მასალა ცნობილი არ არის.[5] ეს ფაქტი შესაძლოა ამ მიკრორაიონის ნაკლებშესწავლილობით აიხსნას.[6] თუმცა ჟინვალის ექსპედიციამ ბაზალეთის პლატოზე, სოფ. ვარსიმაანთკარში, აღმოაჩინა ადრეანტიკური ხანის ფრიად საყურადღებო სამაროვანი, რომლის მასალებიც აქვე ქვეყნდება.

ახალრეფი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ანტიკური ხანისა უნდა იყოს „ძძივიან მამულების“ სამაროვანიც, რომელიც მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობის სიღრმეში. ამ ძეგლის გამოკვლევა ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია.

ელინისტური ხანის ძეგლები ექსპედიციას შედარებით ცოტა აქვს გამოვლენილი და ისიც ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. ამ მხრივ საყურადღებოა ზემო ანანურის დაზიანებული სამაროვანი და სოფ. არაგვისპირის შემთხვევითი შოხაპოვარი (ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), სადაც ყურადღებას იქცევს ალაზნის ველის კულტურისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ზოგიერთი სახეობის აღმოჩენის ფაქტი.

ყველაზე უფრო მრავლად წინაქრისტიანული ხანის ძეგლებიდან სამშენებლო ზონაში მიკვლეულია გვიანარმაზული (გვიანანტიკური) ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები[7] (ჟინვალში რამდენიმე ადგილას, ანანურში, ახალ ჟი-

---

[5] სიმპტომატურია, რომ თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზეც ე. წ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები, აგრეთვე, ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, ეს მაშინ, როდესაც თვით გვიანი ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე აქ ცხოვრება საკმაოდ მძლავრად ჩქეფდა.

[6] თუმცა შესაძლებელია, აღნიშნული მოვლენა აიხსნას არა მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ნაკლებშესწავლილობით, ის, რომ ბოდორნა-ჟინვალ-ანანურის მონაკვეთზე ე. წ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ამჯერად აღმოჩენილი არა გვაქვს, შესაძლოა, მიუთითებდეს ამ ადგილებში მათ იშვიათობასაც, რაც, ალბათ, იმხანად მოქმედ გზებთან კავშირშია განსახილველი. იქნებ მთლად უსაფუძვლო არ იყოს, თუ ვივარაუდებთ, რომ ე. წ. ადრეანტიკური ხანისათვის არაგვის წყლის კალაპოტის გადანაცვლებამ ბოდორნის პლატოს ძირობაზე და პირდაპირ ტრასის მოშლამ უფრო ცხოველმოქმედი გახადა მუხრანის ველიდან ნარეკვავისა და ქსნის ხეობებზე შებმული გზები. ერთი მხრივ, არაგვის მარცხენა სანაპიროზე გამავალი ტრასა (იგულისხმება წიწამურ-საგურამო-ჭოპორტ-ბულაჩაურ-ჩინთ-ჟინვალის ხაზი), მეორე მხრივ, შესაძლოა, ე. წ. ადრეანტიკური ხანისათვის არაგვის მარცხენა სანაპიროსა და ნარეკვავ-ქსნის ხეობებზე შებმული გზების ინტენსიური მოქმედების ნაყოფი იყოს ის მოვლენა, რომ ქსანზე, ნარეკვავზე და არაგვის მარცხენა სანაპიროზე შედარებით მრავლადაა აღმოჩენილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამაროვნები თუ ნამოსახლარები.

[7] არმაზისხევის სამარხეული კომპლექსის შესწავლამ და იმავდროულად ამ ტიპის ძეგლთა არაერთმა აღმოჩენამ ჩვენი ქვეყნის ცალკეულ პროვინციებში, უხვად მოჰფინა შუქი ე. წ.

ნვალ'ში,[8] რაშდენიმე ადგილას არაგვისპირში, ქვ. არანისში და სხვა). მათ შორის მეტად საყურადღებო მასალები შეგვძინა ახალი ჟინვალისა და არაგვისპირის ნამოსახლარებმა და სამაროვნებმა.[9] განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი ჟინვალის ის სამარხები, სადაც აღმოჩნდა არმაზისხევის ტიპის მდიდრული კომპლექსები. რაც შეეხება არაგვისპირის უაღრესად პერსპექტიულ ნამოსახლარსა და სამაროვანს, იქ არქეოლოგიური სამუშაოები აუცილებლად გაი'შლება. დიდ იმედებს ამყარებს ექსპედიცია ჟინვალის სამაროვანზეც,[10] თუმცა სამუშაოთა წარმოება ჯერჯერობით შეუძლებელია (მოსახლეობის გადაყვანამდე).

ჟინვალის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიციის უმთავრეს საზრუნავს, ბუნებრივია , წარმოადგენს დატბორვის არეში მდებარე ძეგლები, (ტაბ. I), რომელთა უმრავლესობა განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება.

ამ პერიოდის ძეგლთაგან უაღრესად შრომატევადი და რთული ობიექტია ნაქალაქარი (მ. მარგველაშვილი), რომელიც დიდ ტერიტორიაზეა განფენილი. ამ ძველი ნაქალაქარის სამი ძირითადი უბნიდან უმთავრესია არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე „ნაქალაქარი“, სადაც საცხოვრებელი უბნების მხარდამხარ (თამარის ციხის ძირობაზე) 1971 წლიდან ითხრება საკმაოდ ვრცელი და მრავალსართულიანი სამაროვანი (ბ. ჯორბენაძე). ჩვენი ღრმა რწმენით, ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვანი უაღრესად საყურადღებო, თუ შეიძლება ითქვას, ეტალონური ძეგლია, რომლის სათანადო სიღრმით წარმოჩენა დიდად გააადვილებს განვითარებულ შუასაუკუნეთა სამაროვნების შესწავლას.

უაღრესად პერსპექტიულია თანამედროვე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჟინვალის ციხე თავისი გრა-

---

გვიანანტიკური ხანის საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის არაერთ საკითხს. არმაზისხევის ტიპის ძეგლთა აღმოჩენები კვლავ გრძელდება. ახალი ჟინვალის მონაპოვარი კი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა საყოველთაო და ფართო გავრცელება ჰქონია არმაზისხევის კულტურას მთელს საქართველოში. არმაზულის მსგავსი ძეგლების გავრცელებისა და აყვავების ხანა მეტად საყურადღებო და განსაკუთრებულია ქართლის სამეფოს ისტორიაში. მიუხედავად ცალკეული გართულებებისა, ქვეყანა განიცდიდა საერთო ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. არმაზისხევის მსგავსად, საქართველოს სხვა კუთხეებში აღმოჩენილი მდიდრული კომპლექსები ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია სოციალურად გაბატონებული, ზედა ფენის ე. წ. პიტიახშებისა თუ ერისთავების კუთვნილებად, ხოლო მათი აღმოჩენის ადგილები კი იმ ცალკეულ „ქვეყანათა“, თუ პიკროპოლიტიკურ ერთეულთა ცენტრებად, სადაც ამ აღზევებულ პირთა უფლებები კრცელდებოდა.

არმაზისხევისა და მისი მსგავსი ძეგლების კულტურა, რომელიც, როგორც ჩანს, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან იწყებს ჩამოყალიბებას, თავისი განვითარების ზენიტს აღწევს ახ. წ. III—IV საუკუნეებში. ჩვენ უკვე კარგა ხანია ტერმინ გვიანანტიკურის მაგივრად მივმართავთ ტერმინს — არმაზული კულტურა. არქეოლოგიური მასალების მიხედვით არმაზული კულტურა შინაარსობრივად მეტად მდიდარი და ორიგინალურია.

[8] ახალ ჟინვალს ვუწოდებთ ქალაქური ტიპის იმ სამოსახლოს, რომელიც შენდება სოფ. ქვემო არანისსა და სოფ. ბიჩნიგაურებს შორის ე. წ. „ზანდუკლიანთ ნავენახარზე“. ამ დასახლებაში საცხოვრებლად გადადის ძველი ჟინვალის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი.

[9] აღნიშნულ აღმოჩენებთან დაკავშირებით, გარდა ყოველწლიური ანგარიშებისა, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება არქეოლოგიურ საანგარიშო კრებულებში, (თბილისსა და მოსკოვში), იხ. რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, მაცნე №4, 1971, გვ. №67-70.

[10] ჟინვალის სამაროვანი მდებარეობს თანამედროვე სოფ. ჟინვალში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ და მას ფარავს რამდენიმე მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთი (იხ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბილისი, 1972, გვ. 47).

ხდიოზული ზურგიანი კოშკით, მომცრო ეკლესიით, მძლავრი გალავნისა და სხვა შენობათა საძირკვლების ნაშთებით (ზ. ჯალანდაძე). გამორიცხული არ არის, რომ ქართლის ცხოვრებაში მოხსენებული გიორგი ბრწყინვალისეული სასახლე სწორედ ამ კომპლექსში იყოს საძებნი (ტაბ. II, 1, 2).

თუ რაგვარად იყო დაკავშირებული ქალაქთან და საქალაქო ცხოვრებასთან ძველი ჟინვალის მესამე უბანი — „ხერთვისი", ჯერჯერობით ძნელია ითქვას, მაგრამ იქ შემთხვევით სამონეტო განძის აღმოჩენის ფაქტი (ქვეყნდება ამავე კრებულში) და სხვადასხვა ნაგებობათა სიმრავლე (მაგ. ნამოსახლარი დევებიანი, ხერთვისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხერთვისის ზურგიანი კოშკი — ხიდთახ, რომლის გათხრაც დაიწყო 1973 წელს (გ. რჩეულიშვილი), დიდი სასოფლარები „დიდრუვის" ორივე მხარეს, ყველაზე უფრო მძლავრი სასოფლარი შშრალღელისთავზე, დიდრუვის ჩრდილო-დასავლეთით ადგილ ნაკალოვრის, ბაღებისათვის და სხვა ნამოსახლარები თუ სამაროვნები და სხვა შრავალი, რომელთა შესწავლაც, ალბათ, უახლესი მომავლის საქმეა), მიუთითებს, რომ ხერთვისშიც საკმაოდ მძლავრი ცხოვრების კვალია საძებნი. „ხერთვისი" წინასწარი ვარაუდით, მაინც უფრო განასახიერებდა ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონს, რომელიც ქალაქს ეკვროდა ჩრდილოეთიდან .

დიდი ინტერესი გამოიწვია ჟინვალის სამხრეთ მისადგომებთან, არაგვის ვიწროებში, წობენისაკენ გამავალ გზაზე აღმოჩენილმა კედელმა და ოთხკუთხა კოშკის ნაშთმა (ც. ლომიძე), რომელიც მდებარეობდა ზუსტად იქ, სადაც ამჟამად შეხდება საგენერატორო დარბაზში ჩასასვლელი შახტა.

მთის დამრეც, თითქმის მიუვალ კლდოვან ფერდობიდან ჩამომავალი ქვითკირის კედელი და არაგვის ნაპირის სიახლოვეს, შევაკებულ ადგილას, ამ კედელში ჩართული ოთხკუთხა კოშკი, გამჭოლი გასასვლელით, მიჩნეულ იქნა აოა მარტო ქალაქში, არამედ საერთოდ არაგვის ხეობაში შემავალი გზის ჭიშკრად. (ტაბ. III, 1).

ასევე საყურადღებო იყო ძველი ხიდის მარჯვენა ბურჯის გათხრაც თანამედროვე ხიდის სიახლოვეს. (ც. ლომიძე).

ამ აღმოჩენებით ერთხელ კიდევ დასტურდება აკად. ნ. ბერძენიშვილის დებულება, რომ ჩრდილოეთის გზის ერთი დიდი მონაკვეთი (წიწამურ-ჟინვალს შორის) ძველად არაგვის მარცხენა ნაპირზე გადიოდა.[11] ამის საბუთია ჩიხთის სიძველეებიც. როგორც ირკვევა, ჟინვალში წობენის მხრიდან შესული შგზავრი ძველი ხიდით გადადიოდა არაგვის მარცხენა ნაპირზე.

საინტერესო შედეგებს გვპირდება ნაქალაქარის ფარგლებში მდებარე სხვა ძეგლებიც: კვირაცხოველის კომპლექსი (მ. რჩეულიშვილი), ხერთვისის ზურგიანი კოშკის კომპლექსი (ტაბ. VI, 1), წმინდა გიორგის და თამარის ციხეები და სხვა (კ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი).

საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა სამშენებლო ზონაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვებიც. 1971 — 72 წლებში სადაზვერვო სამუშაოებს თან ახლდა შცირე მასშტაბის გათხრებიც. (ზოგიერთ ძეგლზე სტრატიგრაფიისა და ასაკის დადგენის მიზნით). სხვადასხვა სამუშაოს ასე ფართოდ ჩატარება, პირველ რიგში საკარნახევი იყო იმით, რომ ჟინვალის ექსპედიციას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა დატბორვისა და ახალი გზების მშენებლობის არეში

---

[11] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 54—65.

მოქცეული ძეგლების რაოდენობა, რომ სწორად დაეგეგმა არა მარტო გადაუდებელი სამუშაოები, არამედ მოსალოდნელი ხარჯებიც.[12]

ერთი მხრივ, მთიულეთის არაგვის ხეობაში, ფასანაურსა და ჟინვალს შორის და, მეორე მხრივ, ჟინვალსა და მაღაროსკარს შორის, აგრეთვე ბოდორნა-ჩიხთის ზოხაში, დაზვერვების შედეგად გამოვლინდა მრავალი ათეული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა გეგმაზომიერ შესწავლას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია არაგვის ხეობის (და არა მარტო ამ ხეობის) ისტორიული წარსულის ახალი თვალთახედვით გასაშუქებლად.

ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის სამშენებლო პროექტიდან ჩანს, რომ 101 მეტრის სიმაღლის მიწაყრილიანი კაშხალი შექმნის უზარმაზარ წყალსაცავს, ხანგრძლივ მილიარდზე მეტი კუბური მეტრი წყლის ტევადობით. მთიულეთის არაგვის ხეობაში ამ წყალსაცავის ბოლო სოფ. ციხისძირის ჭალამდე მიაღწევს, ხოლო ფშავის არაგვის ხეობაში სოფ. თვალივის ჭალამდე. ასევე დაიტბორება ხორხის ხეობის ქვედა ნაწილი სოფ. ლაუშას ფარგლებში. არქეოლოგიური დაზვერვების დროს განსაკუთრებული ყურადღება სწორედ აღნიშნულ ზონას მიექცა.[13]

მაგალითად, სოფ. ციხისძირის მიდამოებში აღრიცხული ძეგლებიდან (წმ. ბარბალეს ეკლესია, თხილობის ჭალის სამაროვანი, ციხისძირის მრგვალი კოშკი, გახძის წმინდა გიორგის კოშკი, ციხისძირის ციხე და სხვა) ყურადღება მიიქცია თხილობის ჭალის სამაროვანმა, რომელიც შევიტანეთ გასათხრელ ძეგლთა ხუსხაში. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა მაღლივ გორაკზე, სოფლის თავს წამომდგარი ციხის შიდა ეზოში, სადაც სტრატიგრაფიული სურათის დადგენის მიზნით, გაკეთდა რამდენიმე საკონტროლო თხრილი. ციხისძირის ციხე მძლავრი სასიმაგრო კომპლექსია, რომელსაც აქვს მრავალსართულიანი ციტადელი. ნაგებობებს მთელს ციხეზე და განსაკუთრებით ციტადელში ემჩნევათ მრავალგზის გადაკეთების კვალი. წინასწარი ვარაუდით, ციხისძირის ციხის ძველი ფენები განეკუთვნება განვითარებულ შუასაუკუნეებს, ხოლო მრავალგზისი გადაკეთება ამ სასიმაგრო კომპლექსს, ეტყობა, გვიან საშუალო საუკუნეებში არაერთგზის განუცდია. (ტაბ. IV, 2).

საკმაოდ საყურადღებო ძეგლებმა იჩინა თავი სოფ. პავლეურსა და მის მიდამოებში (ადგილის დედა, წმ. გიორგის ეკლესია, ჯორთპირის ნამოსახლარი, ნაქალაქარი პავლეურის თავზე და სხვა), რომელთა შორის თავისი მდებარეობით და შემორჩენილ ნაგებობათა მასშტაბით საგანგებო ყურადღებას იქცევს მთის ზონაში მდებარე ოვალურგალავნიანი მოზრდილი კომპლექსი „ნაქალაქარი“, რომლის არქეოლოგიურმა

---

[12] ჟინვალის ექსპედიციის ჩამოყალიბებამდე ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად მოთხოვნილი და, შესაბამისად, სამშენებლო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხა (60 ათასი მან.) საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ორი არქეოლოგიური სეზონისათვის (1971-72 წწ.).

1973 წლიდან ექსპედიცია მუშაობს ახალი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც გაცილებით უფრო დიდ თანხებს ითვალისწინებს, ვიდრე თავიდან იყო განსაზღვრული. ამ მხრივ ჟინვალის ექსპედიციის მიმართ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და ჩვენს საველე საქმიანობას მთელს სამშენებლო ზონაში შეუქმნა მყარი ეკონომიკური საფუძველი.

[13] ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1971-72 წლებში დაზვერვების შედეგად გამოვლენილი ძეგლების სრული ნუსხა, უმთავრესი ობიექტების სრული აღწერით მზადდება (რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე) და ჟინვალისადმი მიძღვნილ უახლოეს კრებულში იქნება მოთავსებული.

მესწავლამ შესაძლოა საერთოდ გაარკვიოს ამგვარ მცირე „ნაქალაქართა“ ბუნება და რაობა. პავლეურის „ნაქალაქარი“ მდებარეობს ფშავ-ხევსურეთისა და ხორხის ხეობისაკენ გამავალ გზაზე და მისი ასეთ უჩვეულო ადგილას აღმოცენებაც სწორედ გზასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მრგვალ-ოვალური გალავნით შემოსაზღვრული საკმაოდ მოზრდილი დამრეცი ფართობი (სიგრძე 44, სიგანე 32 მ) მთლიანად ამოვსებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსებით. გაუთხრელად იქ შეიძლება აღირიცხოს 10 სათავსი, თუმცა მათი რაოდენობა, ალბათ, მეტი იქნება. ამ „ნაქალაქარში“, შესაძლოა, ვივარაუდოთ არა მხოლოდ საქარავნე სადგომი თუ ღამის გასათევი, არამედ სავაჭრო-სახელოსნო მცირე ცენტრიც, რომელიც ამ შედარებით მაღალმთიან მიკრორაიონს გაუწევდა მომსახურებას.

სადაზვერვო სამუშაოებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ანახურზე (ტაბ. IV, 1), რადგანაც ამ ისტორიული სოფლის აღმოსავლეთი ნაწილი ექცევა დატბორვის ზონაში და სხვა ძეგლებთან ერთად წყლით დაფარვის საშიშროება მოელის ანანურის ციხის ქვედა ეზოს, რომლის გალავანიც, სამწუხაროდ, ძეგლის რესტავრაციის დროს არ აღუდგენიათ. ანანურის ციტადელიდან (რომელიც გაწოლილია კლდოვან კონცხზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობით) მდ. არაგვის მიმართულებით ეშვებოდა ორი მძლავრი კედელი, შიგ ჩართული კოშკებით. ამ ორი კედლიდან განსაკუთრებით დაზიანებულია აღმოსავლეთისა, რომელიც ანანურის მცხოვრებთა მიერ თითქმის მთლიანად დახგრეული ან გადაკეთებულია. ასევე დაზიანებულია, მაგრამ უფრო ხაკლებად, ეზოს გალავნის დასავლეთი კედელიც. რაც შეეხება ჩრდილოეთის კედელს, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე კარგად ყოფილა დაცული და გადიოდა დღევახდელი სამხედრო გზის (ე. წ. ძველი გზის) გასწვრივ, არაგვის გადაშყურედ. იქ, გარდა კუთხის დიდრონი კოშკებისა, შემორჩენილი ყოფილა ჭიშკრის კოშკიც, რომლის მეშვეობითაც ციხის ქვედა ეზოში შეიძლებოდა შესვლა. ვიმედოვნებთ, რომ საშუალო სკოლის დროულად გადატანის შემთხვევაში, (სკოლა მოთავსებულია ციხის ქვედა ეზოში), შევძლებთ ქვედა ციხის გალავნის გამოვლენას მთელს პერიმეტრზე.

ახახურში, გარდა ზემოხსენებულისა, ყურადღებას იქცევს რამდენიმე სხვა ძეგლი, რომელთაგან ზოგიერთს მოელის დაზიანება-განადგურება. ასეთია გვიანანტიკური ხანის სამაროვანი თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე (ეს ადგილი დაიტბორება), თეთრი გზის ადრე შუასაუკუნეთა სამაროვანი და, მოშორებით, ნასოფლარი (შესაძლოა, დააზიანოს გაზის ახალმა ტრასამ), სამაროვნის ნაშთები ლადო ბურდულის ეზოში, რომლის დიდი ნაწილი განადგურდა კერძო სახლის მშენებლობის დროს და სხვა.

ანანურსა და ჟინვალს შორის მდებარე ძეგლებიდან ჟინვალის ექსპედიციის ყურადღების სფეროში მოექცა დატბორვის არეში მდებარე ბებრის ციხე, არაგვის მარჯვენა ნაპირას ამოზევებულ კლდოვან კონცხზე მიშენებული მრავალსართულიანი კოშკითა და სხვა ნაგებობათა ნაშთებით (ტაბ. V, 2), და ფიტავის ნასოფლარი, სადაც ახალი გზის ტრასამ, შესაძლოა, დააზიანოს ახალ სასაფლაოს ზემოთ მდგომი წმ. გიორგის ეკლესია. ამავე ნასოფლარის ფარგლებში ფიტავისა და ხომიზურის ხევების წყალგამყოფ ქედზე საინტერესოა ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელიც წინასწარი ვარაუდით, შესაძლოა ადრე შუასაუკუნეებით დათარიღდეს (ტაბ. VII, 1), კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას ქასურის (ქვიშაქვის) დიდრონი კვადრებით ნაგები ზურგიანი კოშკი, ალბათ, ყველაზე არქაული არაგვის ხეობაში ცნობილ სხვა ზურგი-

ან კოშკებს შორის. შემდეგ ზურგიან კოშკს აღმოსავლეთიდან ეკვრის გალავნით შემოზღუდული ციხის ციტადელი, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საზღვრავს ოვალური მოყვანილობის აგრეთვე ქასურის ბლოკებით ნაგები მასიური კოშკი (ტაბ. VII, 2), რომელიც ციტადელს უკავშირდება გალავანში დატანებული თაღიანი კარით.

ციხეს, ეტყობა, ჰქონდა მცირე ქვედა ეზოც, რომელიც განფენილი ყოფილა ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ მისგან თითქმის აღარაფერია გადარჩენილი.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლებია ფიქსირებული არაგვის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ავენისსა და ხორხის ხეობას შორის. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავენისის ღვთისმშობლის კომპლექსი, რომლის გათხრაც ექსპედიციის გადაუდებელი ამოცანაა.

ფშავის არაგვის ხეობაში (სოფ. ჟინვალსა და სოფ. მაღაროსკარს შორის) სადაზვერვო სამუშაოებმა გამოავლინა არანაკლებ საყურადღებო ძეგლები, რომელთა ნაწილის გათხრა, ალბათ, აგრეთვე გადაუდებელია. მათ შორის პირველ რიგში დასასახელებელია სოფ. ნეძიხის ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულია ბზიანას გალავნიანი კომპლექსი (ალბათ, სამონასტრო), ადრე შუასაუკუნეთა ხანის ბაზილიკის ნანგრევით და იქვე მდებარე მძლავრი ნასოფლარებით. არანაკლებ ინტერესს იწვევს ლალაურისხევის, გაგუთოსა და გუდრუხის ნასოფლარები, რომლებიც, შესაძლოა, დაზიანდნენ ახალი საავტომობილო გზის გაყვანის დროს. ამ კომპლექსს შორის საყურადღებოა გუდრუხის ნასოფლარზე მიკვლეული დარბაზული ეკლესიის ნაშთი, რომელიც, შესაძლოა, ადრე შუასაუკუნეებისა იყოს.

20385

რადგანაც ეკლესიებზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა აღინიშნოს, რომ ფშავის არაგვის ხეობაში მათი რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია. თითქმის ყველა ნასოფლარზე (არა მარტო ფშავის, არამედ მთელი ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე) ვხვდებით მეტ-ნაკლები სიდიდის ეკლესიებს ან მათ ნანგრევებს, რომლებიც ძრავალმხრივ იქცევენ ყურადღებას. ამ ეკლესიებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თვალივის საყდარი, რომელიც მიჩნეულია ხარჭაშნელი ეპისკოპოსის რეზიდენციად.

თვალივის კომპლექსში (გალავანი, კოშკი, საცხოვრებელ შენობათა ნაშთები, ეკლესია და სხვა) ყველაზე ადრეული უნდა იყოს აბსიდაგამოშვერილი დარბაზული ეკლესია (ტაბ. III, 2), რომელიც გვიან შუასაუკუნეებში შიგნიდან საკმაოდ შესამჩნევად გადაუკეთებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით თვალივის კომპლექსში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება არ მოგვიხერხდა, ძეგლის წინასწარი ანალიზით, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი განეკუთვნება V—VI სს.

1973 წლიდან ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჩამოყალიბდა საგანგებო ბზვერავი რაზმი (ხელმძღვანელი ივ. წიკლაური), რომლის მიზანია არაგვის ხეობათა (პირიქით ხევსურეთის ჩათვლით) საგულდაგულო დაზვერვა და არქეოლოგიური რუკის შედგენა, რა თქმა უნდა, სამშენებლო ზონაზე საგანგებო ყურადღების გამახვილებით. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები ამ რაიონში ახლა შლის ფრთებს, მაინც შეგვიძლია ერთი ძხიშვხელოვანი დასკვნის გაკეთება, რაც გასათვალისწინებელია მომავალი კვლევის დროს.

ცალკეულ დიდ ხეობათა (იგულისხმება ორივე არაგვის, თერგის, არღუნის)

ისტორიული წარსულის, ეკონომიური შესაძლებლობის, კულტურული სახის, სოციალური ვითარებისა თუ მისი წვლილის შესახებ საერთო-სახელმწიფოებრივ მოვლენებში, შეუძლებელია სათანადოდ გაირკვეს, თუ ზედმიწევნით არ იქნება შესწავლილი ამ დიდ ხეობათა მცირე შენაკადი ხეობები, სადაც იჯდა ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა და, რომელთა ბაზაზეც იქმნებოდა ის მატერიალური დოვლათი, რაც ერთობლივად წარმოაჩენდა დიდი ხეობის საერთო სახეს. შენაკადი ხეობები წარმოადგენდნენ „მიკროსამყაროებს“, რომლებსაც გააჩნდათ საკუთარი ტყე, საძოვარი, სათიბი, სახნავი და, ერთი სიტყვით, საჭირო საარსებო არე. უშუალოდ დიდი ხეობების გასწვრივ აღმოჩენილი და შესწავლილი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეგვიქმნიან ნამდვილ სურათს დიდი ხეობის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, თუ სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული შენაკადი ხეობების მასალები. არაგვის ხეობის მაგალითის მიხედვით (თუ გავითვალისწინებთ სამშენებლო ზონის ინტერესებს) ასეთ შენაკად ხეობებად გვესახება მთიულეთის არაგვის ხეობაში: ხორხის, ავენისის, პავლეურის, დიდი ჯახას, არყალას, ფიტავის, ხომიზურის და სხვა ხევები, ხოლო ფშავის არაგვის ხეობაში: ლალაურას, გუდრუხის, თვალივის, შარახევის და სხვა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანის ამომწურავად შესწავლას ვერ შევძლებთ, მაგრამ შევეცდებით, რომ მზვერავმა რაზმმა (და სხვა დანარჩენ შენაკად ხეობებზე მთელს არაგვის სისტემაში) შეაგროვოს რაც შეიძლება მეტი ცნობები მათ შესახებ. ასეთი სამუშაო საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, დროულად და უნარიანად გამოვავლინოთ ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებს გათხრის გზით გადარჩენას, ხოლო, მეორე მხრივ კი, იქმნება რეალური პირობა არაგვის ხეობათა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ მონაკვეთის არქეოლოგიური რუკის შესადგენად, რასაც, გარდა წმინდა მეცნიერული მიზნებისა, ის მნიშვნელობაც ექნება, რომ სწორად დაიგეგმოს ძეგლთა დაცვის სამსახური აღნიშნულ რეგიონში.

ფართოდ დაგეგმილმა და განხორციელებულმა საველე და დაზვერვითმა სამუშაოებმა, რასაც ექსპედიციის მუშაობის პირველსავე წლებში მოჰყვა საკმაოდ ხელშესახები წარმატება, შეგვძინა მრავალრიცხოვანი და, რაც მთავარია, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს თითქმის ყველა არქეოლოგიურ პერიოდს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ გარდა პრაქტიკული მიზნებისა, რაც გულისხმობს ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა გათხრა-შესწავლის გზით გადარჩენას, ჩვენს წინაშე დაისვა არაერთი მეცნიერული პრობლემა, რომელთა შორის, ჟინვალის ექსპედიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმთავრესად გვესახება ორი: ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობისა და მთისა და ბარის ურთიერთობის. ორივე პრობლემა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია დგას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე და ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამეცნიერო სფეროებში ბევრი სასარგებლო საქმეა გაკეთებული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არაგვის ხეობის კონკრეტულ მაგალითზე, ახალი არქეოლოგიური მასალების მოშველიებით (და ბუნებრივია, ეთნოგრაფიულ, ეპიგრაფიკულ, ანთროპოლოგიურ, ამპელოგრაფიულ, ნუმიზმატიკურ და სხვა მონაცემებთან შეპირისპირებით), შესაძლებელია არაერთი საკითხის ახალი კუთხით დანახვა და, შესაბამისად, თვით ამ პრობლემათა კვლევის შემდგომი გაღრმავება. ამ მიზნის განხორციელებისას, პირველ რიგში უნდა ჩატარდეს საქართველოს სსრ კუთვნილი პირი-

ჭითა ტერიტორიების გეგმაზომიერი არქეოლოგიური გამოკვლევა, რადგანაც ეთიკური, კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების გასარკვევად და ჩრდილოეთ კავკასიის ვრცელ მიწა-წყალზე მცხოვრებ მონათესავე თუ არაძმახათესავე ხალხებთან ურთიერთობის ისტორიის გასარკვევად, პირველ რიგში საკუთრივ საქართველოს მთიანეთის კარგი ცოდნაა საჭირო.[14]

რაც შეეხება მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიას და ამ პრობლემის გაღრმავებას არაგვის ხეობის კონკრეტულ მაგალითზე, ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას შეექმნა საკმაოდ ხელსაყრელი ვითარება. მთისა და ბარის მიჯნაზე აღმოცენებული და დაწინაურებული ჟინვალი ამ პრობლემასთან დაკავშირებით იძლევა უაღრესად მეტყველ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც ხეობის სხვა მონაკვეთებზე მოპოვებულ მასალებთან ერთად ქმნის საკმაოდ მყარ საყრდენს მომავალი კვლევა-ძიებისათვის.

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია არაგვის ხეობაში და განსაკუთრებით კი სამშენებლო ზონაში აწარმოებს კომპლექსურ კვლევა-ძიებას, რაც, ვიძედოვნებთ, დაგვირგვინდება კიდევ უფრო საყურადღებო აღმოჩენებით.

---

[14] სწორედ ამ მიზნით ჟინვალის ექსპედიციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ხევის არქეოლოგიურ ძეგლთა შემსწავლელი რაზმი (ხელმძღ. გ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე), რომელმაც გათხარა გიგიას სათიბის სამაროვანი.

Р. М. РАМИШВИЛИ

ЖИНВАЛЬСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ. ЦЕЛЬ, ПЕРВЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ, ПРОБЛЕМЫ

(по материалам 1971—1973 гг.)

Арагвское ущелье, известное обилием природных ресурсов, богатым прошлым и разнообразием историко-археологических памятников, вот уже долгое время привлекает внимание исследователей. Усиление интереса к нему обуславливается и тем, что по обоим разветвлениям Арагвского ущелья с древнейших времен проходили весьма важные дороги, причем одна из них (проходившая по Мтиулети и Хеви) имела международное значение. Но если для изучения Арагвского ущелья этнографами, искусствоведами, фольклористами и специалистами в некоторых других областях сделано немало, то археологами этот регион исследован относительно слабо (исключение составляет участок Арагвского бассейна в окрестностях Мцхета). Однако случайно обнаруженные ранее археологические материалы (Казбекский, Пасанаурский, Чабарухский «клады» и др.) позволяли археологам оценить эту местность как весьма перспективную.

Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР предпринял первые практические шаги к изучению археологических памятников Хеви и Арагвского ущелья еще в начале 60-х годов, когда археологическая экспедиция южных склонов среднего Кавказа (руководитель Г. Гобеджишвили) командировала один отряд в Хеви [1]. А в 1963 г. памятники Хеви уже изучались отдельной экспедицией [2].

Археологическая экспедиция южных склонов среднего Кавказа уделила довольно большое внимание и Арагвскому ущелью, что было связано с проектными работами по сооружению Жинвальского гидроузла. В 1964 г. специальным разведочным отрядом были исследованы территория и окрестности будущего водохранилища. Им было обнаружено множество заслуживающих внимания археологических памятни-

---

[1] Г. Гобеджишвили. Исследование экспедиции по изучению бронзово-железного периода на южных склонах Среднего Кавказа. — Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1962 г. Аннотации докладов. Тб., 1963, с. 26—30. На груз. яз. Л. Цитланадзе. Отчет Казбекского отряда экспедиции южных склонов Среднего Кавказа в 1962 г. — Там же, с. 31—34. На груз. яз.

[2] Л. Цитланадзе, Г. Гобеджишвили. Результаты работы Хевской археологической экспедиции. — XIII научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1963 г. Тб., 1964, с. 23—25. На груз. яз. В указанном году основные работы проводились на Дарьяльской крепости и во дворе Казбекского музея, где ранее был обнаружен известный Казбекский «клад».

ков, изучение которых представлялось неотложным [3]. Однако временная задержка проектных работ над гидроузлом повлекла за собой перенос археологических работ на 1971 год.

Начало строительства Жинвальского гидротехнического комплекса ускорило изучение древностей Арагвского ущелья. Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили был поставлен перед необходимостью проведения громадного объема сверхплановых работ.

В 1971 году вышеуказанные работы было поручено провести организованной в Институте истории, археологии и этнографии Жинвальской археологической экспедиции. В 1971—1973 гг. экспедицией были осуществлены три археологических кампании, в результате чего был собран исключительно интересный и важный археологический материал. [4]

---

[3] Л. Цитланадзе, З. Шатберашвили, А. Кахидзе. Результаты работы разведывательной археологической экспедиции 1964 г., связанной со строительством ЖинвалГЭС. — XIV научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1964 года. Краткие отчеты. Тб., 1965, с. 21—23. На груз. яз. Кроме того, важное археологическое исследование было проведено Л. Цитланадзе в Дарьяле в 1966 г. (на правом берегу Терека) на аварийном могильнике: Л. Г. Цитланадзе, А. Ю. Кахидзе, З. Г. Шатберашвили. Результаты археологических исследований, проведенных в Дарьяльском ущелье в 1966 г. — XVI научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1966 года. Краткие отчеты. Тб., 1967, с. 76—77. На груз. яз. и в Душетском районе в 1969 году. См. ее же. Археологические исследования в Душетском районе в 1969 году. — Археологические исследования в Грузии в 1969 г. Тб., 1971, с. 166—168.

[4] В 1971—1972 гг. в Жинвальской археологической экспедиции участвовали: Р. Рамишвили (руководитель), В. Джорбенадзе (заместитель), И. Джалагания, Л. Цитланадзе, Л. Церетели, Т. Арчвадзе, Дж. Гвасалиа (из отдела исторической географии), Г. Гамбашидзе, З. Каландадзе, Г. Рчеулишвили, И. Бакрадзе, Дж. Копалиани, И. Хорнаули, Л. Павленишвили (архитектор), Т. Кипароидзе (архитектор), Г. Баканидзе (руководитель полевой фотолаборатории), И. Циклаури (фотограф).

Этнографической экспедицией, сформированной на финансовой базе Жинвальской археологической экспедиции, руководил И. Чкониа; дикие и одичавшие сорта виноградной лозы изучались Ревазом Рамишвили; с экспедицией сотрудничал Душетский краеведческий музей (директор И. Бедукадзе). В 1972 г. в Жинвальскую экспедицию был командирован сотрудник Юго-Осетинского научно-исследовательского института Р. Джатиев. В 1971 г. в экспедиции работали студенты физического факультета Тбилисского государственного университета — Г. Лордкипанидзе, З. Гогия, Д. Цицишвили, М. Кикнадзе, а в 1972 г. в ней работали 45 студентов исторического и филологического факультетов Тбилисского государственного университета.

В 1973 г. решением Совета Министров ГССР Жинвальской археологической экспедиции были выделены дополнительные средства (на 1973—1975 гг.), что предоставило нам возможность увеличить как число научных сотрудников, так и объем проводимых работ. В указанном году в состав экспедиции вошли: М. Маргвелашвили, В. Чихладзе, И. Циклаури, К. Церетели, Г. Джавахишвили, Ц. Ломидзе, Дж. Циклаури, Л. Читадзе, М. Глонти, М. Рчеулишвили, В. Асланишвили (антрополог), И. Модзманашвили, М. Вачнадзе (архитектор), Н. Бакашвили (художник). Многие художественные работы исполнила художница Н. Топуридзе. Руководство полевой фотолабораторией было возложено на В. Астахова. Топонимические материалы собрал языковед Г. Хорнаули. В полевых работах принимал участие зав. отделом Института

Новый поток информации значительно расширил наши знания о прошлом Арагвского ущелья и поставил перед коллективом экспедиции новые задачи.

Основной задачей, стоящей перед Жинвальской экспедицией, является, без сомнения, выявление и изучение памятников, находящихся как в зоне будущего водохранилища, так и в зоне строительства в целом. В ходе разведочных и полевых археологических работ было выявлено значительно больше таких объектов, чем это предполагалось в начале нашей деятельности. Следовательно, их изучение потребовало больше времени и средств. Фронт экспедиционных работ растянулся по довольно большому участку Арагвского ущелья от деревни Чопорти до деревни Павлеури (ущелье Мтиулетской Арагви) и деревни Магаро (ущелье Пшавской Арагви). Столь значительное увеличение исследуемого ареала диктовалось началом нового дорожного строительства, трасса которого проходила по местам археологических памятников. Следует отметить, что работа экспедиции не ограничивалась указанной зоной. Разведывательные работы велись в обоих Арагвских ущельях и особенно в почти нетронутом с археологической точки зрения ущелье Пшавской Арагви. Значительные работы были проделаны и в Пирикит Хевсурети в зоне строящейся дороги Барисахо-Муцо, где на Анаторском поселении строителями были повреждены заслуживающие внимания памятники.

В плиоцене Б. Кавказ представлял собой вполне сформированную орографическую единицу. Однако надо полагать, что его рельеф имел значительно низкие гипсометрические отметки по сравнению с современными.

В плиоцене продолжается движение восходящего знака осевой части Б. Кавказа и нисходящего в периферийной части его Южного склона. В результате этого погружения в конце плиоцена на территории Картлийской депрессии продолжаются осадконакопления материала, сносимого со складчатых структур Большого Кавказа.

В результате проявления предбакинских тектонических движений начинается поднятие и формирование Базалетского плато (Церетели, 1966). Одновременно происходит прогибание и формирование продольной тирифоно-мухранской синклинальной депрессии. Характер рельефа и аллювиальных отложений Базалетского плато позволяет думать, что в бакинское время река Палео-Арагви на востоке образовала Базалетское озеро.

Последующие, многократно прерывавшиеся, восходящие тектонические движения привели к углублению речных долин. Речная сеть к тому времени развилась довольно густо в широтном направлении. Главной водной артерией явилась долина р. Арагви. Ее многочисленные притоки производили активный размыв, который усиливался в связи со сводовым поднятием главного хребта.

После излияния четвертичных лав произошла перестройка гидрографической сети в бассейне р. Арагви. Лавовые потоки, излившиеся из вулканических центров Кели, Малого и Большого Непискало, Милиони, Садзвели и Сакохе, заполнили глубоко врезанные ущелья притоков рек Арагви, снивелировали неровности расчлененного рельефа и забронировали все существующие структуры, вследствие чего строение подлавового субстрата не поддается полному дешифрированию.

Поскольку следов предрисского оледенения на изучаемой территории не обнаружено, мы придерживаемся мнения ряда авторов, что гипсометрический уровень орографических элементов того времени еще не благоприятствовал развитию ледников.

В рисс-вюрмское время абсолютные отметки уже превышают 2500—2800 м, и с этого времени высокогорные части исследованного района покрываются мощными ледниками. Но они все же не достигали масштабов крупной ледниковой системы и не выходили за рамки каровых и долинных ледников.

В изменении топографии первичного рельефа, наряду с вулканизмом и оледенением, большая роль принадлежит новейшим тектоническим движениям, продолжающим унаследованные тектонические движения.

Хронологически близко к настоящему времени на исследованной территории происходит окончательное формирование современного рельефа.

Нынешний этап рельефообразования характеризуется активизацией современных геодинамических процессов: денудацией склонов, овражной эрозией, понижением базиса эрозии, омоложением и углублением речных долин, обвало-осыпными, оползневыми и селевыми явлениями.

ЛИТЕРАТУРА

Апхазава И. С., Современные ледники и следы древнего оледенения в бассейне р. Арагви. Труды Географического об-ва Груз. ССР, т. IV, 1959. (На груз. яз.).

Геология СССР. Том X: Грузинская ССР. Часть I: Геологическое описание. Изд. «Недра». М., 1964.

Геоморфология Грузии. Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1971.

Думитрашко Н. В., Лилиенберг Д. А. и Муратов В. А., Особенности современных тектонических движений Кавказа. «Современные движения земной коры». М., 1968, № 3.

Когошвили Л. В., Геологическое строение и развитие молодых прогибов Мухранской и Базалетской долин. Труды Геологического ин-та АН Груз. ССР, сер. геол., т. XIII, (XVIII), 1963.

Маруашвили Л. И., Кельское лавовое плато (геоморфологический очерк), «Природа», 1936, № 11.

Маруашвили Л. И., Стратиграфическая и палеографическая интерпретация некоторых особенностей строения террас рр. Ксани и Арагви, «Сообщения АН Грузинской ССР», т. 31, 1963, № 3.

Рейнгард А. Л., Крестовый перевал Военно-Грузинской дороги, «ИКОРГО», т. XXII, вып. I, 1913—1914.

Ренгартен В. П., Геологический очерк района Военно-Грузинской дороги, Труды ВГРО, вып. 148, 1932.

Схиртладзе Н. И., Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии, Изд. АН Груз. ССР, Тбилиси, 1958.

Церетели Д. В., Плейстоценовые отложения Грузии, изд-во «Мецниереба», Тбилиси, 1967.

Церетели Д. Д., Церетели Э. Д. и др., Геологический отчет по специализированной инженерно-геологической съемке верховьев бассейнов рек Арагви и Терека: «Грузгеология», Тбилиси, 1974.

Шириашвили О. И., Вашакидзе И. Г., Геологическое описание бассейнов рек Лиахви, Ксани, Бел. Арагви и Терека (Отчет Лиахвской ГСП), «Грузгеология», Тбилиси, 1962.

ლ. ფერეთელი

ქვის ხანის ძეგლთა პირველი აღმოჩენა დუშეთის რაიონში

მდინარე არაგვის ხეობა და ბაზალეთის ტბის მიდამოები დიდხანს იყო დარჩენილი პალეოლითის მცოდნეთა ყურადღების გარეშე.

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია უკვე მესამე წელია (1971-73) საძიებო-გათხრით სამუშაოებს აწარმოებს როგორც მშენებარე წყალსაცავის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთაც. აქ სხვადასხვა ეპოქის ძეგლთა გვერდით, ქვის ხანის მასალებიც გამოვლინდა.

დაზვერვებით[1], რომლებიც წარმოებდა მდ. არაგვის ტერიტორიაზე და მიმდებარე გორაკ-ბორცვოვანი რელიეფის ზოლში, პირველად იქნა გამოვლინებული ქვის ხანის ნაშთები. მასალის დიდი ნაწილი ნაპოვნია ბაზალეთის ტბის ირგვლივ, სადღეისოდ დასახლებულ ადგილებში, ხოლო მცირე ნაწილი — ხეობის სიღრმეში.

ქვის ხანის მასალების განხილვისას საჭიროა საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოსა და მისი რელიეფის განვითარების გათვალისწინება.

სპეციალისტთა აზრით, ქვედა მეოთხეულში, ბაქოურის დასასრულსა და ხაზარულის დასაწყისში, ნაოჭწარმომშობმა მოძრაობებმა გამოხატულება ჰპოვეს სინკლინური დეპრესიებისა და დაბალი გამყოლი სერების წარმოქმნაში. ერთ-ერთ ასეთ სინკლინურად გაზნექილ დეპრესიაში განვითარდა ბაზალეთის ტბა, ხოლო რაც შეეხება მდ. არაგვის მარჯვენა მხარეზე კარგად გამოხატულ აკუმულაციურ ტერასებს (I და II), ისინი ზედა მეოთხეულში, კერძოდ, ხვალინურის დასასრულისა და ახალკასპიურ დროში არიან ჩამოყალიბებული.

ზემოაღნიშნულ მოვლენათა გათვალისწინების საფუძველზე სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, თუ რატომაა განლაგებული პალეოლითური სადგომები ძირითადად ბაზალეთის ტბის ირგვლივ მდებარე პუნქტებში, ხოლო მოგვიანო არაგვისპირა ტერასებზე, როგორც ჩანს, ტერასების შექმნისა და ფორმირების შემდეგ, ხეობაში თანდათან ხდება ახალი ქვისხანის ადამიანთა განსახლება. აქ ნეოლით-ენეოლითიდან მოყოლებული უწყვეტი ცხოვრების კვალი ჩანს.

გეოლოგიური მონაცემებისა[2] და პალეონტოლოგიურ მასალათა[3] შესწავლის საფუძველზე მკვლევართა აზრით, კავკასიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ხაზარულის დასასრულსა და ხვალინურის დასაწყისში რამდენადმე

---

[1] დაზვერვებში, გარდა ამ წერილის ავტორისა, მონაწილეობდნენ გეოლოგები და გეომორფოლოგები: ჯ. წერეთელი, ბ. ჯაჯანიძე, გ. ელერდაშვილი.

[2] Д. В. Церетели, Плейстоценовые отложения Грузии. Тб., 1966, с. 513.

[3] Н. К. Верещагин, Млекопитающие Кавказа, Л.—М., 1949.

შეიცვალა ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები: წინა პერიოდთან შედარებით დამყარდა თბილი და მშრალი კლიმატური რეჟიმი, რომელიც მომდევნო, ხვალინურ ეპოქაში შეიცვალა ცივი და ნესტიანი ჰავით[4]. კლიმატის აცივებაზე უნდა მიუთითებდეს ბაზალეთის ტბის მიდამოებში ნაპოვნი მამონტის ძვლების არსებობაც, რომელიც განსაზღვრულ და შესწავლილ იქნა პროფ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ[5]. თუმცა პროფ. ლ. მარუაშვილის აზრით, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მეოთხეულის მანძილზე არ შეიმჩნევა ისეთი მკვეთრი კლიმატური ცვლილებები, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბიოცენოზის სახეთა ძირითადი გარდაქმნა[6].

ცნობილია, რომ გამყინვარების ხანაში სამუალო მრავალწლიური ტემპერატურის დაწევასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს პალეოლითელი ადამიანი იძულებული გახდა შეეფარებინა თავი იმ ზონაში მრავლად არსებულ ბუნებრივ გამოქვაბულებში.

სრულიად განსხვავებული ბუნებრივი პირობები არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, საკვლევ ტერიტორიაზე. აქ არ გვხვდება მღვიმე-გამოქვაბულები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში თავს შეაფარებდა ქვის ხანის ადამიანი. ვფიქრობთ, ამით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გვხვდება უკანასკნელი გამყინვარების პერიოდის შესატყვისი ზედა პალეოლითური მასალები.

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით ბუნების სხვა დანარჩენი მოვლენების დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ დუშეთის რაიონის ნიადაგური საბურველი წარმოდგენილია სუსტად განვითარებული ალუვიური ტიპის ნიადაგებით[7], რომლებიც მაღალ ტერასებზე სტეპურში გადადის, ძირითადად აქ განვითარებული უნდა ყოფილიყო მუხა (Quereus iberica uca, harturssiana, a. imeretina), რცხილა (carp, caucasica), წიფელი (Fagus orientaliso), წაბლი (Castanea Salida) და სხვ.

ზემოთ შევეხეთ აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ, დუშეთის რაიონის (ბაზალეთის ტბის მიდამოებში) ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიულ პირობებს, რომელთა გათვალისწინება გვიადვილებს ადამიანთა განსახლების პროცესის გარკვევას. ახლა კი გადავიდეთ თვით იმ ადამიანთა მიერ დანატოვარი ქვის ხანის მასალის მიმოხილვაზე.

მასალა ძირითადად ზედაპირულია. ჩვენ არ მოგვეპოვება მასალის ის კომპლექსი, რომელიც დაახასიათებდა ამა თუ იმ კულტურულ ფენის სტრატიგრაფიულ ჭრილს. აქ აღმოჩენილი ქვის ხანის ცალკეული ნივთები, მეტნაკლებად საშუალებას იძლევა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის არქეოლოგიურ კულტურაზე ვილაპარაკოთ. იგი სხვადასხვა ეტაპს ეკუთვნის და თავისი შემადგენლობით რამდენადმე განსხვავდება ერთიმეორისაგან.

არქაული იერის მატარებელი პალეოლითური მასალები ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება მდ. არაგვის III და IV ტერასებზე — გრიგოლაახთკარში და ვარსიმაანთკარის მიდამოებში, რომელთა ასაკი გეოლოგიურად შუა-

---

[4] Д. В. Церетели, указ. труд, с. 517.

[5] Н. И. Бурчак-Абрамович, Elephas primigenins Blum из Душетского района, ВГМГ, XII—A, 1947, с. 303—310.

[6] Л. И. Маруашвили, Целесообразность пересмотра существующих представлений о палеогеографических условиях ледникового времени на Кавказе, Тб., 1956.

[7] ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1966.

მეოთხეულით თარიღდება. საყურადღებოა, რომ არქაული ნიშნებით დახასიათებული არქეოლოგიური მასალები მიკვლეული იქნა გვიან მეოთხეულის მეორე ტერასაზეც, ქვიშნარიან ფენაში. მეორე ტერასის ჭრილში შეგროვილი პალეოლითური იარაღების უმრავლესობა ტიპოლოგიურად მსგავსია ზედა ტერასების მასალისა, თუმცა გვხვდება უფრო გვიანდელი ფორმებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჰიფსომეტრიულად მაღლა მდებარე ტერასებიდან გადმოლექილ მასალასთან, რის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: სხვადასხვა ასაკის იარაღთა აღრევა, არქაული მასალის ბუნებრივი ფერის დაკარგვა და მათი მოგლუვება-გადალესვა.

ჰიფსომეტრიულად მაღლა მდებარე ტერასებზე[8] მოპოვებული მასალის ტიპიური შემადგენლობის სურათი ასეთია:

ნუკლეუსები (2 ცალი), ანატკეცები (80 ცალი), სახოკი (4 ცალი), სახვრეტი (3 ცალი) და წვეტიანისმაგვარი იარაღები (2 ცალი).

საყურადღებოა, რომ კაჟის მთელ ნაწარმს გადაკრული აქვს ერთნაირი სისქის პატინა.

ნუკლეუსები ჩვენს მასალებში ორად-ორი ცალია. ნაწარმის სახე ნაკლებად გამოკვეთილია და მისი ამა თუ იმ ტიპისადმი მიკუთვნება ჭირს, მაგრამ ფორმისა და დამუშავების მიხედვით მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია, დისკოსებური ნუკლეუსების ჯგუფს მივაკუთვნოთ. ისინი ორმხრივაა დამუშავებული. ნუკლეუსების ორივე სიბრტყეზე გამოსახულია სამკუთხა ფაცეტები, ატკეცილია ნაპირიდან ცენტრისაკენ.

ანატკეცები კოლექციაში საკმაო რაოდენობითაა. ყველა მათგანის აღწერას აქ არ შევუდგებით. ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით განვიხილავთ რამდენიმე ცალს:

ა ნ ა ტ კ ე ც ი გ ა კ ა ჟ ე ბ უ ლ ი ქ ა ნ ი ს ა (ტაბ. VIII, 1), დაბალი, ფართო. მას დარტყმის მოედანი გლუვი და ქვედა სიბრტყისაკენ დაქანებული აქვს (მასთან ქმნის 110° კუთხეს). ანატკეცის რელიეფურ ბურცულს ქვედა სიბრტყე მთლიანად უკავია და ნიჟარისებრი წარმონაქმნი აქვს; ზურგი მეტწილად სწორია და კაჭრის კანი ფარავს. ფართოფაცეტოვანი დამრეცი რეტუშის კვალი ზურგის მხრიდან, ფუძის საპირისპირო მხარეს აქვს. ასევე რეტუშირებულია ორივე განივი მხარე ერთი ზურგისა, ხოლო მეორე ქვედა სიბრტყის მხრიდან (ერთ შემთხვევაში დამრეცი, ხოლო მეორეში კი ციცაბო რეტუშით).

ანატკეცი ტიპოლოგიურად ახლო მსგავსებას პოულობს ლაკბის ხევის მასალებთან.

ა ნ ა ტ კ ე ც ი კ ა ჟ ი ს ა, მ უ ს ტ ი ე უ რ ი (ტაბ. VIII, 2), დარტყმის მოედანი შუაში ამოზნექილ-ასიმეტრიულია, უხეში, შემდგომი შესწორების ცდის კვალით. დარტყმის ბურცული ამოზნექილია და ნიჟარისებრი წარმონაქმნი აქვს. ერთ გვერდს, ქვედა სიბრტყის მხრიდან, ეტყობა რეტუშირების ცდის კვალი. ზურგის მხრიდან რეტუშირებულია დარტყმის მოედნის მხარის გაგრძელება. რეტუში ციცაბოა, ზურგზე ანატკეცს წინამორბედი ატკეცის ორი ნეგატივი აქვს. ანატკეცის ერთი გვერდი დარტყმის მოედნის საპირისპირო მხარეზე გვიანაა ჩამოტეხილი.

ს ა ხ ო კ ი ო რ პ ი რ ა, ქვიშაქვისა (ტაბ. VIII, 3), ნაკეთებია მოგრძო ანატკეცზე, რომელსაც არა აქვს დარტყმის მოედანი და ბურცული. ზედა სიბრტყე

---

[8] ვიყენებთ ჯავის აგეგმვითი საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის 1970-71 წწ. კვლევის მასალებს (ხელმძღ. ჯ. წერეთელი).

სწორია. ზურგი დაფარულია კაჭარის კანით. სამუშაო პირები გაფორმებულია გრძივ გვერდებზე. ზურგის მხრიდან რეტუშირებით. რეტუში უხეში, ჩანატეხოვანია. ერთი სამუშაო გვერდი სწორია, ხოლო მეორე — ამოზნექილი და დაკბილული. ერთი განივი მხარეც ციცაბო რეტუშითაა დამუშავებული.

აღსანიშნავია, რომ მსგავს ქანებზე დამზადებული ორპირა სახოკი გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე, ქისტაურისა და ჰაჭუნას პალეოლითურ ძეგლებში[9], რომლებიც მუსტიეს დროითაა დათარიღებული.

ს ა ხ ო კ ი (ტაბ. VIII, 4), ნაკეთებია ლაქებიანი კაჟის მოგრძო მასიურ ანატკეცზე.

ანატკეცს დარტყმის მოედანი ჩამოთლილი აქვს მუცლის მხრიდან ატკეცით. ნაწილობრივ ჩამოთლილია ბურცულიც. იარაღის გრძივი მხარე მასიურია და დაფარულია კაჭრის კანით. სამუშაო ნაწილი გაფორმებულია შედარებით თხელ გრძივ მხარეზე. მუცლის მხრიდან დამუშავებულია ფართოფაცეტოვანი უხეში რეტუშით. პროფილში ზიგზაგისებურია. ამრიგად, ჩვეულებრივი მუსტიეური ფორმის მოკლე ანამტვრევიდან შექმნილია მოგრძო ფორმის იარაღი, რომელიც ტიპოლოგიურად უფრო განვითარებული ჩანს, ვიდრე ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სახოკებია, თუმცა ნამზადის ხასიათი იმდენად უხეშია, რომ მთელ კომპლექსს მას ვეღარ დავაკილებთ.

მ რ გ ვ ა ლ ს ა მ უ შ ა ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ხ ო კ ი — ორი ცალი (ტაბ. VIII, 5), ისინი სწორპირა იარაღებისაგან განსხვავდებიან პირის მოყვანილობით. მათ დასამზადებლად გამოყენებულია ფართო და განიერი მასიური ანატკეცი. იარაღთა სამუშაო პირი ზურგის მხრიდან ციცაბო ჩანატეხებიანი რეტუშითაა გაფორმებული და ხანგრძლივი გამოყენების აშკარა ნიშნებსაც ატარებენ. ერთი მათგანის ქვედა მხარე სწორია, მეორეზე კი — რელიეფური ატკეცვის ბურცულს ქვედა სიბრტყე მთლიანად უკავია. მათ ახასიათებთ განიერი დარტყმის მოედანი. იარაღი დაფარულია თეთრი პატინით. პატინა იმდენად სქლად აქვს გადაკრული, რომ კაჟის ბუნებრივი ვარდისფერი დაკარგულია.

ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი — 2 ცალი (ტაბ. VIII, 6), ჩამოყალიბებულია ფართო ანატკეცზე. ამ იარაღების ძირითადი სამუშაო ელემენტებია კარგად გამოსახული წვერი და მისი შემქმნელი რეტუშირებული გვერდები. იარაღი ნაკეთებია სამკუთხა მასიურ ანატკეცზე, რომელთაც ეტყობათ დარტყმის სიბრტყე და ანატკეცის ბურცული. სახვრეტის ტიპის იარაღი თითქმის ყველა მუსტიეს ხანის ძეგლებში გვხვდება (წოფი I, თეთრიმიწა, ჯახათი), მაგრამ ვარსიმაანთკარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სახვრეტები ტიპოლოგიურად და დამუშავების ტექნიკის თვალსაზრისით შედარებით მეტ მსგავსებას პოულობენ წოფში აღმოჩენილ სახვრეტებთან.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, აქ აღმოჩენილი კომბინირებული იარაღი ს ა ხ ო კ-ს ა ხ ვ რ ე ტ ი (ტაბ. IX, 1). იარაღი გაფორმებულია მასიურ ნუკლეუსისებურ მუსტიეურ ანატკეცზე, რომელსაც აქვს ფართო და დიდი დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ატკეცვის ბურცობი. სახოკ-სახვრეტის ძირითადი სამუშაო იარაღია მთელს სიგრძეზე რეტუშირებული სიგრძივი გვერდი და მის ბოლოში, მეორე გვერდის შეხვედრის კუთხის შესაბამისი, მკვეთრად გამოყვა-

---

[9] Т. В. Бугианишвили, Палеолитические памятники Иоро-Алазанского бассейна, Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1969, с. 26—33.

ნილი წვერი. ეს იარაღიც გარკვეულ მსგავსებას პოულობს წოფის[10] და თეთრამიწის [11] მუსტიეურ მასალებთან.

კოლექციაში გვხვდება ბლაგვწვეტანას მაგვარი (ტაბ. IX, 2) იარაღი: იგი ნაკეთებია მონაცრისფრო-მოთეთრო კაჟის მოგრძო ანამტვრევზე. ანატკეცის ერთი გრძივი გვერდი და ბლაგვი წვერი დამუშავებულია ზურგის მხრიდან ციცაბო რეტუშით. ეს წვეტანა რამდენადმე უახლოვდება წოფის მასალებიდან გამოყოფილ პირველი ჯგუფის წვეტანებს[12].

აქ მოპოვებულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ცალი წვეტანისებური იარაღი (ტაბ. IX, 3). იგი დამზადებულია ქვიშაქვისაგან. ნაკეთებია მოგრძო სამკუთხედისებურ თხელ ანატკეცზე, რომელსაც არ გააჩნია დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცული. იარაღს ორივე გვერდზე, მთელს სიგრძეზე გაუყვება უხეში რეტუში. მართალია, დამუშავებულია ზურგის მხრიდან, მაგრამ რეტუშის კვალი ეტყობა მუცლის მხრიდანაც. ჭუსლთან ამოღარულია. მსგავსი იარაღები მრავლად გვხვდება როგორც მუსტიეს ადრინდელი ეპოქის სადგომებში (წოფი I, წონა, ახშთირი), ისე გვიან მუსტიეურ ძეგლებში[13]. ნ. ბერძენიშვილისა და სხვა მკვლევართა თანახმად მსგავსი ტექნიკით დამუშავებული იარაღები უფრო დამახასიათებელი ჩანს ზემოთ აღნიშნული ძეგლებისათვის. გვიან მუსტიეს და განსაკუთრებით მის ფინალურ საფეხურზე წამყვან ადგილს იკავებს უკვე ცალმხრივ დამუშავებული იარაღები.

ჩვენს კოლექციაში აღმოჩენილი ქუსლამოღარული ორმხრივ დამუშავებული იარაღის არსებობა საშუალებას გვაძლევს გავიზიაროთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება და, საწინააღმდეგოდ ა. ფორმოზოვისა[14], ძეგლის დამთარიღებელ ფაქტადაც კი გამოვიყენოთ იგი. აღსანიშნავია, რომ კოლექციაში ლევალუაზური ტექნიკით მიღებული ანატკეცები და იარაღები თითქმის არ გვხვდება. მსგავსი სურათი ჩანს მთა იაშთხვის [15], კახეთის [16], ნავალიშინოს და ვორონცოვის გამოქვაბულთა მასალებში[17].

მართალია, ბაზალეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ზემოთ განხილულ მასალებს შეიძლება მრავალი ანალოგია მოეძებნოს კავკასიისა და ყირიმის მუსტიეურ სადგომებთან, მაგრამ იარაღთა ცალკეული სახეებისა და ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით, ისინი სხვა ძეგლებთან შედარებით ყველაზე მეტ მსგავსებას ისევ მუსტიეური დროით დათარიღებულ (წოფი I) ძეგლთან პოულობენ. ამ ორ ძეგლთა შორის განსაკუთრებული მსგავსება ჩანს იარაღთა დამუშავების ტექნიკაში (არალევალუაზური), მათ ტიპოლოგიაში (უფორმო ანატკეცებზე დამზადებული სწორპირა სახოკები და სახვრეტები).

---

[10] გ. გრიგოლია, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბილისი, 1963, გვ. 60.

[11] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბილისი, 1964.

[12] გ. გრიგოლია, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბილისი, 1963, გვ. 65.

[13] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბილისი, 1964, გვ. 54.

[14] А. А. Формозов. Пещерная стоянка Староселье и его место в палеолите. МИА, М., 1959, с. 110.

[15] И. И. Коробков. К вопросу о дивергентном характере эволюции древнепалеологических индустрий, VII Международный конгресс доисториков и преисториков, М., 1966, с. 13.

[16] Т. В. Бугианишвили, указ. труд, с. 33.

[17] В. П. Любин, Исследование Малой Воронцовской и Навалищенской пещер, АО, 1965 (1966), с. 50—52.

ამრიგად, ამ ორივე ძეგლზე არსებული იარაღთა გარკვეული ნაწილის ტიპოლოგიური შემადგენლობა და იარაღთა დამუშავების ტექნიკის დონე საფუძველს გვაძლევს ორივე მათგანი ერთი და იგივე კულტურის დონეზე მყოფ პალეოლითელ ადამიანთა ნაბინავარად მივიჩნიოთ და ადრე მუსტიეს დროით დავათარიღოთ.

ბაზალეთის ტბის ირგვლივ განლაგებულ პუნქტებში, მუსტიეს ეპოქის შესატყვის მასალებთან ერთად, თავისი შემადგენლობით რამდენადმე განსხვავებული, უფრო მოგვიანო ხანის მასალებიცაა მოპოვებული (ტაბ. IX, 4—8) ნუკლეუსების, ანამტვრევ-ანატკეცების, ლამელებისა და სხვადასხვა სახის იარაღების სახით. სულ 93 ერთეული[18].

ბაზალეთში აღმოჩენილი მასალის გარკვეულ ნაწილს შეადგენს ობსიდიანისა და ვარდისფერი კაჟის იარაღ-ანატკეცები. საფიქრებელია, რომ იგი პირველყოფილ ადამიანთა მიერ სხვა რაიონებიდან იყო შემოტანილი. მისი ბუნებრივი საბადოები ადგილობრივ ქანებში არ გვხვდება.

კოლექციაში სულ 9 ცალი ნუკლეუსია; ერთი მათგანი ობსიდიანისაა, დანარჩენი კი კაჟისა. უკლებლივ ყველას ეტყობა ანატკეცების ან სწორი ლამელების ატკეცვის კვალი. მათი უმრავლესობა პატინირებულია, ნაგორებია, ჰირს თავდაპირველი მოყვანილობის დადგენა. მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც გამოიყოფა კონუსური, პრიზმული და ცალმხრივ ატკეცილი ნუკლეუსები.

იარაღთა შორის დიდი ადგილი უჭირავს ანატკეცების ბოლოებზე ჩამოყალიბებულ სწორპირიან და ოვალურ სამუშაოპირიან მაღალი ფორმის საფხეკებს. ისინი არ ხასიათდებიან დახვეწილი ფორმებით. მათი უმრავლესობა ჩამოყალიბებულია მოგრძო მასიურ ანატკეცზე. საფხეკების დიდი ნაწილის (14 ცალი) სამუშაო პირი ოვალურია. გვხვდება სწორსამუშაოპირიანი (4 ცალი) საფხეკებიც, რომლებსაც პირი გაფორმებული აქვთ მსხვილფაცეტიანი რეტუშით. აქ აღწერილი იარაღებიდან გამოიყოფა მხოლოდ ერთი ცალი ბრტყელი ანამტვრევიდან დამზადებული საკმაოდ ფაქიზი ფორმის საფხეკი (ტაბ. IX; 5). იარაღის ფუძე მასიურია, მოგრძო სამუშაო პირი კი თხელია და წმინდა რეტუშითაა დამუშავებული. მსგავსი ტიპის საფხეკები, სამუშაო პირის ფორმა-მოყვანილობის მიხედვით, თავისუფლად შეგვიძლია გვიან ნეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელ საფხეკებსაც კი მივაკუთვნოთ.

კოლექციაში დიდი რაოდენობითაა უხეშ რეტუშირებული ანამტვრევ-ანატკეცები, რომლებიც შესაძლებელია საფხეკებადაც ყოფილიყო გამოყენებული. მათ უმრავლესობას ეტყობა მეორადი დამუშავების კვალი, რაც ადრენეოლითურ ძეგლთა დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული[19].

აქვე მოპოვებულია ნაცრისფერი თიხის კარგად გამომწვარი ჭურჭლის პირგვერდის ნატეხები, რომლებიც ტ. ჩუბინიშვილის მიხედვით ენეოლითურ ეპოქას განეკუთვნება.

საერთოდ კი, ბაზალეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა იმდენად ფრაგმენტული და თავისებურია, რომ მტკიცედ მისი კულტურულ-ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა სადღეისოდ ძნელდება. ამიტომაც, ამჟამად, მხოლოდ პირობითად შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ მოპოვებული მასალები ქვის

---

[18] საიარაღე ნედლ მასალად ძირითადად ბაზალეთის ტერიტორიაზე მუქი ნაცრისფერი კაჟია გამოყენებული. ამ მასალიდანაა დამზადებული როგორც მუსტიეური, ისე უფრო გვიანი ხანის იარაღები

[19] ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი, 1972, გვ. 70.

ხანის სხვადასხვა ეტაპებს ეკუთვნიან და თავისი შემადგენლობით რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგი წარმოდგენილია მუსტიეური იერის მატარებელი ნუკლეუსებით,სახოკებით, მასიურ ანატკეცებზე დამზადებული სახვრეტებით. იარაღთა გარკვეული ნაწილი ორმხრივი ტექნიკითაა დამზადებული. არის აგრეთვე მეზოლითური და ნეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი ნუკლეუსები, საფხეკები და, აგრეთვე, ნეოლითური ეპოქის მცირე ზომის ანამტვრევზე დამზადებული და თანმიმდევრული წმინდა რეტუშით დამუშავებული მრგვალსამუშაოპირიანი საფხეკი და მცირე ზომის უხეში, რეტუშირებული ლამელები.

აღსანიშნავია, რომ მასალაში არ ჩანს იარაღთა სერიულობა და ფორმების დახვეწა. თვით რეტუშის ხასიათშიც შეინიშნება უზუსტობა. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ ეპოქის შესატყვისი ცალკეულ იარაღთა ტიპოლოგიური ხასიათი საშუალებას გვაძლევს აქ რამდენიმე ქრონოლოგიურად განსხვავებული პირველყოფილ ადამიანთა კულტურის დონე ვივარაუდოთ. მისი ძირითადი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, მუსტიეს ეპოქას უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა მეტად მომძლავრებული ჩანს ახალი ქვის ხანის მასალებიც. მასალის შედარებითი შესწავლისა და სხვა თანადროული კომპლექსების გათვალისწინების საფუძველზე ირკვევა, რომ იარაღთა ზოგიერთი სახეები მსგავსებას პოულობენ წოფის, თრიალეთის, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს სინქრონულ მასალებთან. მაგრამ ეს მსგავსება ზოგად ნიშნებშია მხოლოდ, ე. ი. ქრონოლოგიის სფეროში. ჩანს. ამავე დროს საქმე გვაქვს იარაღთა დამუშავების მეტად განსხვავებულ ტექნიკასთან და შესაძლებელია, გარკვეული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე თავისებურ, ლოკალურ კულტურასთან.

როგორც ცნობილია, კავკასიის პალეოლითის მკვლევართა უმრავლესობას (ნ. ბერძენიშვილი, ს. ზამიატნინი, დ. თუშაბრამიშვილი) მთელ დასავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის დამახასიათებლად მიაჩნია ძეგლებს შორის მკვეთრი ქრონოლოგიური მიჯნის არარსებობა.

ჯერჯერობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პალეოლითური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ასეთი დასკვნის გაკეთება არ შეგვიძლია. ბაზალეთში აღმოჩენილ მასალებსაც არაფერი აქვს საერთო ზედაპალეოლითის (ვიურმი) შესატყვის კულტურასთან. როგორც ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში აქ ადამიანთა ცხოვრებისათვის გამოსადეგი პირობები არ უნდა ყოფილიყო. მკვლევართა აზრით (დ. წერეთელი), ვიურმის მყინვარების პერიოდის თანხვედრილი იყო წვიმიანი ე. წ. პლუვიალური პერიოდი. საფიქრებელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც კლიმატური პირობები თავიდანვე გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, მღვიძეების არარსებობის პირობებში ზედა პალეოლითელი ადამიანის ფართო განსახლებას და განვითარებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

ჩვენს მიერ მიკვლეულ სადგომთა შორის (1973 წ.) შედარებით საინტერესო მასალებს იძლევა ე. წ. მლაშე გორა. იგი მდებარეობს ბაზალეთის ტბიდან ჩრდილოეთით, ხუთიოდე კილომეტრზე, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. ამჟამად იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით წაგრძელებული ოვალური მოყვანილობის ბორცვია, რომელიც სოფ. მლაშიდან ვრცელი გადახნული მინდვრებითაა გამოყოფილი, აღმოსავლეთით კი მშრალი ხეობა მოუყვება.

ხეობა შექმნილია ღვარების ეროზიული მოქმედების შედეგად. ხეობის გეომორფოლოგიური ხასიათი არ აძლევს გეოლოგებს იმის შესაძლებლობას, რომ იგი რომელიმე მდინარის მუდმივ სადინარ არხად ჩათვალონ, რადგანაც

მასში არ შეინიშნება ხანგრძლივი ეროზიული ციკლის მოქმედების ნიშნები, კერძოდ, ტერასების ჩასახვა, ალუვიური ნალექების დაგროვება და სხვა. ხეობის კალთები უხვად არის შემოსილი მცენარეული საფარით, სადაც ხარობს: რცხილა, წიფელი, მუხა, თხილი და სხვა ჯიშები.

ზემოთ აღნიშნული ტერიტორიის საფუძვლიანი დაზვერვის შედეგად ცხადი გახდა, რომ ზედაპირული მასალის მეტი ნაწილი თავმოყრილი იყო ბორცვის დასავლეთ ფერდზე და სამხრეთით ნახნავებში. ვფიქრობთ, აქ მოპოვებული იარაღები და წარმოების ნაშთები (ტაბ. IX, 2—8) ქვის ხანის ერთ გარკვეულ პერიოდს, კერძოდ, ნეოლითს უნდა განეკუთვნოს. კაჟისა და ობსიდიანის იარაღთაგან აღსანიშნავია სხვადასხვა სახის ლამელები, მათ შორის აღსანიშნავია დაკბილული ლამელა (2 ც), რომელიც მეურნეობის რაღაც გარკვეულ სახეზე უნდა მეტყველებდეს. გვაქვს, აგრეთვე, უხეში ფორმის რეტუშირებული ანატკეცები. კაჟისა და ობსიდიანის იარაღთაგან აღსანიშნავია სხვადასხვა სახის ლამელები, რეტუშირებული ანატკეცები. გვაქვს ერთი ცალი ტრაპეციისმაგვარი იარაღი (გატეხილი) და რიყისქვის იარაღი. გვხვდება წარმოების სხვა ნაშთებიც, მაგალითად, უხეში ანამტვრევ-ანატკეცები. როგორც ჩანს, ეს იარაღ-ანატკეცები აქ ზედაპირზე მოხვდნენ ნიადაგის ლოკალური გაშიშვლების შედეგად და არა სხვა, შორეული ადგილებიდან ჩამორეცხვის გზით.

საიარაღე ნედლ მასალად ძირითადად გამოყენებულია ობსიდიანი. ერთეულების სახით გვხვდება ხალებიანი, უფრო მეტად კი ვარდისფერი კაჟი, მასალა მცირერიცხოვანია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ თავს უფლება მივეცით ძეგლი დაგვეთარიღებინა მასალის ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებისა და მისი მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე. ამავე დროს მასალაში არსებულ მიკროიარაღებთან ერთად ყურადღებას იპყრობს დაუდევრად დამზადებული უხეში ფორმები, რაც, ჩვენი აზრით, ნეოლითური ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ. ეს დაუდევრობა ქვის დამუშავების ტექნიკაში, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ნათელყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას[20]. ახალი ქვის ხანის ადამიანთა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში შრომის იარაღებზე მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის გამო, როგორც ჩანს, უარესდება მათი ხარისხი. ამავე დროს ცალკეულ იარაღთა დამუშავების ტექნიკაში ნათლად ჩანს პროგრესული ნიშნები (ფორმებში და რეტუშის ხასიათში).

საძიებო სამუშაოების დროს ახალი ქვის ხანის ნაშთები ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა აგრეთვე კაიშაურის პლატოზე.

კაიშაურის პლატო (ამ სახელწოდებაში იგულისხმება მდინარეების, თეთრი არაგვისა და ხადისწყალთაშორისო ვულკანური ზეგანი) ჩრდილოეთით გუდამაყრის ქედს ებჯინება, ხოლო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით მდინარეები — თეთრი არაგვი და ხიდისწყალი ესაზღვრება.

პლატოს აბსოლუტური სიმაღლითი მაჩვენებლები ჩრდილოეთით 2000—2300 მ ფარგლებში მერყეობს, ხოლო სამხრეთით თანდათანობით დაბლდება და აბსოლუტური სიმაღლითი მაჩვენებლები 1200—1500 მ-მდე ჩამოდის.

პლატოს რელიეფი ხასიათდება დაბალი ბრტყელი გორაკბორცვიანი და დაბალი სერების მორიგეობით, აგრეთვე კარგადაა გამოსახული რამდენიმე საფეხური ჩრდილოეთიდან სამხრეთით, რაც ვულკანური მოქმედების ლავის ამოღვ-

---

[20] Г. Ф. Коробкова, Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии, МИА, № 158, 1969, с. 3.

ოის ჯერადობაზე მიგვითითებს. ცალკეული საფეხურების ზედაპირი ზოგჯერ იდეალურ ჰორიზონტალურ ვაკეებს წარმოქმნიან.

პლატოს ჩრდილო ნაწილში ცალკეული ამაღლებების (გორაკებისა და ბორცვების) მორიგეობა ჭარბობს.

კაიშაურის პლატო ფორმირებულია ბაზალტური ლავების რამდენიმეჯერადი ამოღვრით. პლატოს რელიეფის ტოპოგრაფიის ანალიზის შედეგად ცხადია, რომ (ჯ. წერეთელი) კაიშაურის პლატოს ამგებელ ლავური ნაკადების ამოღვრა ქვედა მეოთხეულში (ბაქოურში) უნდა მომხდარიყო.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კაიშაურის პლატოს ამგებელი ბაზალტური ლავების სოფ. მლეთის მიდამოებში მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე ცხელი კონტაქტით ფარავენ 3—4 მეტრის სიმძლავრის ტერასულ (ალუვიალურ) ნალექებს. თავის მხრივ, ლავური ნაკადები კარგად გამოსახული მყინვარული (მორენული) ნალექებით იფარება, რომლის ასაკი ვიურმულ გამყინვარებას ემთხვევა.

მოგვყავს გეოლოგიური ჭრილი:

1. იურული შავი თიხაფიქლები.
2. რიყნარი (ტერასული ნალექები) 3—4 მ.
3. გამომწვარი თიხნარი 1—2 მ.
4. ბაზალტები — 130 მ.
5. მორენული ნალექები 15—20 მ.

მორენული ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია ბაზალტური და ანდეზიტურ-ბაზალტური ლოდნარით, სუსტად დამუშავებული ქვამრგვალებით, ღორღითა და თიხნარით წარმოქმნიან 15—20 მ შეფარდებითი სიმაღლის ბორცვებს და წაგრძელებულ მორენულ სერებს. ამ ბორცვებსა და სერებს შორის მოქცეულია ძველი ტბიური ქვაბურები, რომელთა ძირი დღესაც დაკავებული აქვს მომაკვდავ ტბებს. ლავური ნაკადები, ამგებელი ქანების პეტროგრაფიული შედგენილობით და ქიმიური ანალიზებით (SiO_2-42) მოწითალო და მუქი-ნაცრისფერი ბაზალტებითაა წარმოდგენილი. ამავე პეტროგრაფიული და ქიმიური შედგენილობისაა მყინვარული ნალექების ამგებელი ლოდნარი და ქვამრგვალები.

ეს ლავური ნაკადები და მყინვარული ნალექები გაიდევნებიან ჩრდილოეთით გუდაურის მიმართულებით და აღწევენ წითელ მთამდე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს კაიშაურის პლატოს ამგებელი ლავური ნაკადების ამომყვან ყელს (ვულკანურ ცენტრს). აქვე 3250 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე წითელი მთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მყინვარული ცირკი და რამდენიმე კარი, საიდანაც იკვებებოდა კაიშაურის პლატოზე მორენების მომტაბი მყინვარი.

როგორც ცნობილია, ვიურმული გამყინვარების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და, საერთოდ, მთელს საქართველოში მიმდინარეობს დათბობა, რის შედეგადაც ვიურმული გამყინვარების დროიდან შემორჩენილი მყინვარები თანდათანობით უკან იხევენ და დღითიდღე მცირდებიან. ამან კი დასაბამი მისცა პირველყოფილ ადამიანებს ეცხოვრათ ღია ცის ქვეშ იმ ადგილებში, სადაც სასმელი წყალი მოიპოვებოდა. ასეთი ადგილი კი სწორედ კაიშაურის პლატო იყო, რადგანაც მორენულ სერებს შორის არსებული ქვაბურების ძირი წყლით იყო დაკავებული და წარმოადგენდნენ ბუნებრივ წყალსაცავებს (ტბებს).

კაიშაურის ველზე ობსიდიანის რეტუშირებულ ანამტვრევ-ანატკეცებთან ერთად (ტაბ. X, 9—12) [21] აღმოჩნდა მეტად საყურადღებო იარაღი: სამკუთხა ფორმის წვეტანა, დამზადებული ბაზალტისმაგვარი შავი, მოგრძო და განიერ ორფერდა ლამელისაგან. მისი სიგრძე 6 სმ-ია, სიგანე — 4 სმ, იარაღის ორივე სიგრძივი გვერდი რეტუშირებულია. იარაღს არა აქვს შერჩენილი ატკეცვის ბურცობი.

აქ აღმოჩენილ მასალათა შორის ასევე საყურადღებოა სამკუთხა წვეტანისმაგვარი ანატკეცი. იარაღს კარგად ეტყობა დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ატკეცვის ბურცობები; დარტყმის სიბრტყეც შესწორებულია. იარაღის ორივე გვერდს კარგად ეტყობა გამოყენების კვალი და ძლიერ პატინირებულია.

აღსანიშნავია ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ობსიდიანის ორი ცალი მასიურ ანატკეცებზე დამზადებული სწორპირა საფხეკი, რომელთა მსგავსი ტიპები მრავლად გვხვდება საქართველოს ნეოლითურ სადგომებზე.

კაიშაურის პლატოზე აღმოჩენილი რამდენიმე იარაღი თავისი მნიშვნელობით მეტად საყურადღებოა. ამ აღმოჩენამ, შესაძლებელია, მცირე რამ მაინც შეამატოს ჩვენი უძველესი წარსულის შესწავლის საქმეს, რადგანაც იგი სრულიად ახალია. ამავე დროს ვფიქრობთ, რომ აქ აღმოჩენილი მასალები ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს და კაიშაურის პლატო შემდეგი არქეოლოგიური მუშაობის ობიექტად უნდა იქცეს.

ზედაპირული დაზვერვის შედეგად ყველაზე პერსპექტიულად თითქოს სოფ. ბოდორნას მიდამოები ჩანდა. იქ ნაპოვნია ობსიდიანის მეტად საინტერესო იარაღი (ტაბ. X, 1), იგი დამზადებულია სამფერდა, მოგრძო ლამელაზე, იარაღის ორივე მხარეს, ნაპირების გასწვრივ, მიუყვება ფაქიზი რეტუში; რეტუში გაკეთებულია ერთ მხარეს, მუცლის მხრიდან, ხოლო მეორე მხარეს კი — ზურგის მხრიდან. მუცლის მხრივ იარაღს კარგად ეტყობა დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი, რომელსაც იარაღის თითქმის მესამედი უკავია. ბურცობს პატარა ფაცეტიც აქვს აცლილი. მთელი იარაღი დაფარულია ობსიდიანისათვის დამახასიათებელი პატინით; პატინა იმდენად სქლად აქვს მოდებული იარაღს, რომ ობსიდიანისათვის ბუნებრივი ფერი ნაცრისფრად შეუცვლია. მაგრამ ეს პატინა, ვფიქრობთ, იარაღის არქაულობის მაჩვენებელი კი არ უნდა იყოს, არამედ მიწის ზედაპირზე ხანგრძლივად ყოფნით უნდა იყოს გამოწვეული.

ამ მონაპოვარმა ექსპედიციას საშუალება მისცა სოფ. ბოდორნაში სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოები ჩაეტარებინა.

სოფ. ბოდორნა მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს, დუშეთის ხევის გამოსასვლელთან, მდინარის დონიდან 8—10 მეტრის სიმაღლეზე. სოფლის ტერიტორიის დეტალური დაზვერვების შედეგად ცხადი გახდა, რომ ზედაპირული მასალის მეტი ნაწილი თავმოყრილი იყო წყაროს თავზე. ამ ადგილას გავჭერით სადაზვერვო შურფები (6მ×2მ) 1,20 მ სიღრმეზე. შავმიწანიადაგში და მომდევნო ფენებშიაც შეგვხვდა ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები და კერამიკის ფრაგმენტები.

სამწუხაროდ, არც ერთი ფენა ხელუხლებლად არ არის მოღწეული. მასალაზე დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ ათასეული წლების განმავლობაში აქ არ შეწყვეტილა ცხოვრება, ენეოლითიდან მოყოლებული დღემდე.

კოლექციაში ობსიდიანის იარაღანატკეცებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ენეოლითური და ადრე ბრინჯაოსხანის ჭურჭელთა პირგვერდის ნატეხები.

---

[21] ნამგლისპირის ჩასართი (№ 9) შემთხვევითი მონაპოვარი კაიშაურის ველიდან.

აქ აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს არქაული იერი აქვს: ის გამოძერწილია ხელით, ტლანქად; თიხაში შერეულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშა და ქარსის ნაწილაკები.

ჭურჭელთა კედლები არათანაბარი სისქისაა და ზედაპირი მოსწორებული აქვთ სველი ხელით, მაგრამ ხშირად მაინც ხორკლიანია. გამოწვა არათანაბარია, რის გამოც ჭურჭლის კედლებს რუხი-მოშავო შეფერილობა აქვს. მსგავსი კერამიკის ფრაგმენტები მრავლად გვხვდება ენეოლითურ და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე.

სოფ. ბოდორნაში სადაზვერვო გათხრითი სამუშაოების შედეგად ცხადი გახდა, რომ ქვის დამუშავების მაღალი ტექნიკა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაშიც განაგრძობს არსებობას. ქვა, როგორც იმდროინდელ ადამიანთა საყოფაცხოვრებო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, ძალიან დიდხანს რჩება მოხმარებაში.

საერთოდ კი, არაგვისპირა მიდამოებში მოპოვებული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს მისი ძირითადი ნაწილი ნეოლით-ენეოლითით დავათარიღოთ, თუმცა აქვე გვხვდება როგორც მეზოლითური, ისე მოგვიანო იერის მქონე იარაღთა ცალკეული სახეებიც.

არაგვის ხეობაში 1971-73 წლებში მოპოვებული ახალი მასალის შედარებითი შესწავლისა და სხვა თანადროული კომპლექსების გათვალისწინების საფუძველზე ირკვევა, რომ ქვის ხანის იარაღთა ზოგიერთი ტიპები ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ეძანისა და წოფის სინქრონულ მასალებს. ამავე დროს საქმე გვაქვს იარაღთა დამუშავების მეტად თავისებურ ტექნიკასთან და, შესაძლებელია, გარკვეული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ერთგვარ ლოკალურ კულტურასთან.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალები ზედაპირულია; ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება კულტურული ფენის შემცველი ძეგლები. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ არსებული მასალა უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მომავალში აღნიშნული მხარის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობასა და პერსპექტულობაზე.

Л. Д. ЦЕРЕТЕЛИ

ПЕРВЫЕ НАХОДКИ ПАМЯТНИКОВ КАМЕННОГО ВЕКА В ДУШЕТСКОМ РАЙОНЕ

Резюме

Табл. VIII—X

Территория Внутренней Картли, в частности окрестности озера Базалети и ущелья реки Арагви, долгое время оставались вне поля зрения специалистов палеолита.

Жинвальская археологическая комплексная экспедиция (руководитель Р. М. Рамишвили) в течение последних трех лет (1971—1973 гг.) ведет систематические поиски и раскопки как в зоне водохранилища, так и его окрестностях. Здесь, наряду с памятниками поздних эпох, обнаружены в виде открытых стоянок и материалы каменного века.

Разведка террас ущелья Арагви и прилегающих к ней холмов увенчалась успехом. Впервые вокруг озера Базалети нами были обнаружены остатки материалов каменного века, большинство из которых были найдены на территории ныне населенных пунктов.

По мнению большинства специалистов, геологическое формирова-

ние озера Базалети и его окрестностей относится к раннечетвертичному периоду, к концу бакинского и началу хазарского веков.

Что касается морфологических рядов I и II надпойменных террас р. Арагви на участке с. с. Жинвали — Арагвиспири, то формирование их начинается с конца хвалынского века.

На основании вышеуказанных данных нам кажется естественным расположение раннепалеолитических стоянок, в основном, вокруг озера Базалети, а более поздних — на террасах ущелья реки Арагви. Как видно, после формирования этих террас происходит заселение ущелья, а с периода неолита — энеолита имеются уже признаки непрерывного обитания здесь человека.

В окрестностях Базалетского озера на сегодняшний день обнаружено 260 единиц кремневых и обсидиановых орудий, относящихся к различным этапам эпохи камня и по своему характеру отличающихся друг от друга. Сверла и скребла, представленные здесь, изготовлены на массивных отщепах. Есть также небольшие скребки с округлым рабочим краем, характерные для эпохи неолита. В большом количестве имеются грубые пластины и ретушированные отщепы, которые могли быть использованы как скребки.

В материалах, обнаруженных в Базалети, не замечается ни серийности, ни совершенства форм орудий, характер ретуши неравномерен. Все это резко отличает их от комплексов каменного века, встречающихся на территории Западной Грузии.

Среди найденных нами стоянок особенно интересной по своему материалу является «Млаше гора». На наш взгляд, найденные здесь орудия и остатки производства относятся к неолиту.

Среди кремниевых и обсидиановых орудий выделяются различные пластины и ретушированные отщепы. Имеется один экземпляр орудия трапециевидной формы; фрагмент и орудие из гальки.

Нам кажется, что встречающиеся здесь в поверхностной среде орудия и остатки производства являются результатом локального обнажения почвенного покрова, а не деятельности процессов смыва.

Остатки новокаменного века были обнаружены экспедицией и на высоте 2000—2300 м от уровня моря на поверхности Кайшаурского плато.

В процессе поисковых работ и раскопок (сел. Бодорна) выясняется, что камень в качестве орудия труда все еще играет главную роль в периоды энеолита и ранней бронзы и долгое время продолжает использоваться в бытовой деятельности человека, как основной компонент.

Обобщение материалов, найденных в окрестностях ущелья реки Арагви, дает возможность датировать его основную часть неолитом. Однако, наряду с этим, здесь встречаются и отдельные виды орудий мустьерского типа.

На основании сравнительного изучения материалов с современными им другими комплексами возможно сделать вывод, что некоторые типы орудий имеют сходство с синхронными материалами Восточной Грузии (Кахетия, Цопи). Наряду с этим, своеобразие техники обработки орудий и определенные природные условия позволяют предположить, что культура данной зоны имеет локальный характер.

В заключение можно отметить, что, несмотря на скудность материалов, найденных на поверхности исследуемой территории, различные виды орудий, относящиеся к той или иной эпохе, дают нам право говорить о перспективности данного региона в археологическом аспекте и необходимости продолжения дальнейшего изучения.

ლ. წითლანაძე

ვარსიმაანთკარის სამაროვანი

1972 წლის ივლისში ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელმა რაზმმა გათხრები ჩაატარა სოფ. ვარსიმაანთკარში (დუშეთის რაიონი)[1].

სოფ. ვარსიმაანთკარი (VI უბანი) ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოთა ზონაში არ შედიოდა, მაგრამ ძეგლის ავარიულმა მდგომარეობამ გამოიწვია მისი სასწრაფოდ შესწავლის აუცილებლობა.

სოფ. ვარსიმაანთკარი მდებარეობს დუშეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 2—3 კმ მანძილზე. თვით გასათხრელი ობიექტი — სამაროვანი სოფლის გარეთაა, „ვარსიმაანთქედებად“ წოდებულ მთის ფერდობზე. ფერდობის ერთი ნაწილი პურის ყანას უჭირავს, უმეტესი ნაწილი კი საძოვრებადაა დატოვებული. მცენარეული საფარველი ბალახოვანია, ბუჩქნარი მხოლოდ ქედის გადაღმაა. ახლო წარსულში ვარსიმაანთქედის კალთები და დუშეთის გარშემო ყველა მთის კალთა ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ მე-20 საუკუნეში საბოლოოდ დაუნდობლად გაუკაფავთ. ვარსიმაანთქედებზე ნიადაგი ქვა-ღორღიანია, კალთები დაფარულია ალუვიური ფენებით, რომელსაც მოჰყვება ღია ყავისფერი მიწის ფენა. ამ ფენის სისქე 10 სმ-ია; ამის შემდეგ წითელი თიხნარია. ამ თიხნარში ვხვდებით სამარხებს, რომლებიც ზოგ ადგილებზე, მაგალითად, სანაკადულე რუების კალაპოტში, ზედაპირზეა გამოჩენილი (ტაბ. XI, 2).

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ამ ტერიტორიაზე ხშირი იყო ადამიანის ჩონჩხის ძვლების, თიხის ჭურჭლის, რკინისა და ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენა. ამ ნივთების ერთი ნაწილი (თიხის ჭურჭელი, ხელშუბისპირი, ბრინჯაოს გარსაკრავი) დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩაბარდა, ნაწილი კი დაიკარგა.

ვარსიმაანთქედების თხემებზე, ჭრილში შეინიშნება ნახშირის სქელი ფენები; გადმოცემით აქ საარაყე ქვაბების მსგავსი დიდი ჭურჭელი იყო აღმოჩენილი. სოფ. ვარსიმაანთკარსა და დუშეთს შორის სკოლაინტერნატისათვის წყლის გაყვანისას, ადგილ „პატარა კურკუტოში“, აღმოჩნდა თიხის მილები — ძველი წყალგაყვანილობის ნაშთები. სოფ. ვარსიმაანთკარის მომიჯნავე სოფ. პირმისაანთკარში, ფეოდალური ხანის ციხის მიდამოებში, ჭრილში კარგად ჩანს კულტურული ფენები, რომელიც გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალური ხანის კერამიკას შეიცავს. იქვე ადგილ „ალოტში“ აღმოჩნდა საინტერესო მოყვანილობის ქვევრი.

---

[1] რაზმის უფროსი ისტორიის მეცნ. კანდიდატი ლ. წითლანაძე, მუშაობაში მონაწილეობდნენ სტუდენტი-პრაქტიკანტი ნ. მგელაძე, არქიტექტორი (ხელშეკრულებით) პ. ძინძიბაძე, ფოტოგრაფი ი. წიკლაური, მძღოლი ა. ვარსიმაშვილი.

ამგვარად, პირმისაანთკარი, ვარსიმაანთკარი და ვარსიმაანთქედები უძველეს ნამოსახლარსა და სამაროვანს უჭირავს.

პირველი საცდელი თხრილი ვარსიმაანთქედის კალთაზე გაიჭრა პურის ყანასა და გზას შორის. ამ თხრილში მოექცა ნიაღვრის კალაპოტი, რომლის მთელს სიგრძეზე ჩანდა დაზიანებული სამარხების ნაშთები. თხრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი; (სიგრძე 10 მ, სიგანე 3,5 მ). შემდგომ ეს თხრილი გაფართოვდა სამხრეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით. სულ ვარსიმაანთკარის სამაროვნის ამ მონაკვეთზე გამოვლინდა 16 სამარხი, რომელთა დიდი ნაწილი დაზიანებული იყო, მაგრამ შეიცავდა უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიურ მასალებს.

სამარხების აღწერილობა. სამარხი № 1. ადამიანის ძვლები ცუდად იყო შემონახული (ძალზე თხელი თავის ქალას ფრაგმენტები), ამიტომ ვივარაუდეთ, რომ ბავშვის სამარხთან გვქონდა საქმე[2]. დაკრძალვის წესის გარჩევა ამ სამარხის მიხედვით არ მოხერხდა. სამარხში თავის ქალას ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა: ხ ე ლ ა დ ა[3], აღდგენილი, მოწითალოდ გამომწვარი, დაბალყელიანი, ოდნავ ტუჩგადაშლილი. პირი და მხარი შეერთებულია მრგვალკვეთიანი ყურით. ხელადას დაბალი მსხლისებური მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. დამზადებულია განლექილი თიხისაგან, ნაძერწია ჩარხზე. მისი სიმაღლე 14 სმ-ია, პირის დიამეტრი 7,5 სმ-ია, მუცლის — 12,2 სმ.

ქ ო თ ა ნ ი თ უ ს ა ს მ ი ს ი[4] ყურნაკლული, მოწითალო, მონაცრისფრო არათანაბრად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, მაღალ სწორყელიანი, დაბალ მრგვალ მუცლიანი, ბრტყელძირიანი, მუცელი და მხარი ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი; დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქარსის მინარევებიანი თიხისგან. სიმაღლე 10,5 სმ-ია, პირის დიამეტრი — 9 სმ, ძირისა — 6 სმ, მუცლისა — 10 სმ.

კ ო ჭ ო ბ ი[5] ნაწილობრივ აღდგენილი, წითლად გამომწვარი, მრგვალპირიანი, დაბალყელიანი, ოდნავ შესამჩნევად გამოსახული ტუჩით, ძირბრტყელი, პირის დიამეტრი 5,3 სმ-ია, ძირისა — 5 სმ, მუცლისა — 7,5 სმ.

ჯ ა მ ი[6] ნაწილობრივ აღდგენილი, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, ოდნავ შესამჩნევად გამოსახული ტუჩით, ძირბრტყელი, პირის დიამეტრი 12,5 სმ-ია, ძირის — 8,5 სმ, გვერდის სიმაღლე — 6 სმ.

დ ა ნ ა[7] რკინის, წელში მოღუნული, ცალპირლესული, ბოლოსაკენ შევიწროებული, სატარეზე მანჭვლის ნაშთით. სიგრძე — 14 სმ, მაქსიმალური სიგანე — 1,8 სმ.

ჯ ა მ ი ს პ ი რ გ ვ ე რ დ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[8] შავად გამომწვარი, აღმოჩენილია გადანაყარ მიწაში № 1 სამარხის მახლობლად.

---

[2] იხ. გეგმა, ტაბ. XI, 1.

[3] 09—VI—72—490, ამ ინდექსში, 09 აღნიშნავს ჟინვალის ექსპედიციას, VI — უბნის, ამ შემთხვევაში ვარსიმაანთკარის სამაროვნის ნომერს; მორიგი ორი ციფრი აღნიშნავს მუშაობის წელს, სულ ბოლო ციფრები კი ნივთის საინვენტარო ნომერია.

[4] 09—VI—72—491.

[5] 09—VI—72—492.

[6] 09—VI—72—493.

[7] 09—VI—72—494.

[8] 09—VI—72—497.

საყურე რგოლის ფრაგმენტი[9], ვერცხლის მრგვალღეროიანი, ღეროის დიამეტრი — 2 მმ.

მძივები[10] 8 ცალი მინისებური პასტის, გულის ფორმის სხვადასხვა ფერის, 3 ცალი ყვითელი ფერისაა, 5 ცალი — მოცისფრო, უდიდესის დიამეტრი 6 მმ-ია.

სამარხი № 2, გამოვლინდა № 1 სამარხის სამხრეთით. პირველის მსგავსად ეს ორმოსამარხიც დედამიწის ზედაპირიდან 10—35 სმ სიღრმეზე იყო, წითელ თიხნარში. მიცვალებული ესვენა ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ, ძვლები და განსაკუთრებით თავის ქალა დეფორმირებული იყო (ტაბ. XII, 1).

სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხები შავად გამომწვარი, ჭურჭელს ფართო გაშლილი პირი უნდა ჰქონოდა, მუცელი წიბურიანი, დამზადებულია ქარსის, კვარცის მინარევებიანი თიხისაგან.

სამარხი № 3, აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში, № 1 სამარხის აღმოსავლეთით 2,80 მ მანძილზე, დედამიწის ზედაპირიდან 10—20 სმ სიღრმეზე. სამარხში მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ; ხელ-ფეხი ძალზე მოკეცილი ჰქონდა, ხელები სახის წინ თუ თავქვეშ ედო. ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი სამარხი ორმოს ზომები იყო 170×1,00 (ტაბ. XII, 2). ჩონჩხის ქვედა კიდურების აღმოსავლეთით მიწაში ვერტიკალურად იყო ჩარჭობილი რკინის შუბისპირი, იქვე იდგა წითლად გამომწვარი ხელადა და კიდევ ერთი თიხის ჭურჭელი. ჩონჩხის მენჯის ძვლებსა და ნეკნებს შორის, ე. ი. მუცლის არეში, დადასტურდა პატარა რკინის დანა, ოდნავ მოხრილი; ნიკაპის მახლობლად, მკერდზე რაღაც დანახშირებული ნივთი ჩანდა, რომლის პრეპარირება არ მოხერხდა. ქვემოთ აღვწერთ ამ სამარხის ინვენტარს:

ხელადა[11] (დაშლილი), წითლად გამომწვარი, თხელკედლიანი, მრგვალპირიანი, დაბალი, მსხლისებურმუცლიანი, ცალყურა, კოპიანი, დამზადებული განლექილი, მაგრამ მინარევებიანი თიხისაგან.

შუბისპირი[12], რკინის, მასრაგახსნილი, ქედიანი ფრთებჩამოშვებული. მასრაზე ორი სამანჭვლე ნახვრეტით. წვერში ოდნავ მოხრილი. სიგრძე 22 სმ-ია, მასრის სიგრძე — 10,5 სმ, წვერის სიგრძე 12 სმ-ია, ფრთების სიფართე — 3,5 სმ, მასრის დიამეტრი 2,3 სმ.

ისრისპირი[13], რკინის ყუნწიანი ბოლოსაკენ შესქელებული, კვეთში ოთხკუთხა. ნივთის სიგრძე 6 სმ-ია, წიბოს სისქე — 7 მმ.

დანა[14], წვერთან ან წელთან მოხრილი, ცალპირლესილი, სატარესთან გაფართოებული და ორმანჭვლიანი. უდიდესი სიფართე სატარესთან 2,3 სმ-ია, წელთან — 1,8 სმ.

სამარხი № 4, აღმოჩნდა თხრილის აღმოსავლეთ ბოლოში (თითქმის მიწის ზედაპირზე). მიუხედავად საგანგებო დამუშავებისა, ჩონჩხის გამოცალკევება ვერ შევძელით. სამარხი თითქმის განადგურებული და ძვლები არეული იყო. ქვემო კიდურების ძვლებზე, სახსრებთან შეინიშნა მოლურჯო განივი ზო-

---

[9] 09—VI—72—496.
[10] 09—VI—72—495.
[11] 09—VI—72—498.
[12] 09—VI—72—499, ტაბ. XVIII, 1.
[13] 09—VI—72—500, ტაბ. XVIII, 1.
[14] 09—VI—72—501, ტაბ. XVIII, 2.

ლები, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ სამარხში ბრინჯაოს ნივთებიც ყოფილა, თუმცა მათ ჩვენ ვეღარ მივუსწარით. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

სასმისი (ტოლჩა)[15], დაშლილი, ყვითლად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, წელში გამოყვანილი, დაბალ მრგვალმუცლიანი. მუცელი და პირი მრგვალი ყურითაა შეერთებული, ძირი ბრტყელია.

საყურე რგოლი[16] ვერცხლის, მრგვალღეროიანი, თავშეუკრავი, ორივე ბოლოზე საძაფე ნახვრეტით: დიამეტრი 1,8 სმ-ია (ტაბ. XVIII, 3).

სამკაული[17] (საკინძი), დაშლილი, რკინის, მრგვალღეროიანი, თავწაბრტყელებული, ბრინჯაოს მძივითურთ. ნივთს ბოლო ჩამოტეხილი აქვს; ჟანგითაა დაფარული. სიგრძე 4,4 სმ-ია.

მძივი[18], მინის, თავბოლო შებრტყელებული, მოყვითალო, წელზე თეთრი ზოლით, დიამეტრი 4 მმ.

სამარხი № 5 (ტაბ. XIII, 1), აღმოჩნდა № 3 სამარხის ჩრდილოეთით, აქაც მიცვალებული იმავე წესით იყო დაკრძალული, როგორც წინგანხილულ სამარხებში, მაგრამ ინვენტარი სხვაგვარად იყო განლაგებული: სახის წინ იდო რკინის სატევარი თუ დანა, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული. დანის წვერი ებჯინებოდა სამფეხა ჯამს. (ტაბ. XIII, 2). ჩონჩხის დასავლეთით, კეფასთან იდო მომცრო ხელშუბისპირი.

ქვემო კიდურებიდან აღმოსავლეთით 30 სმ-ზე აღმოჩნდა შავად გამომწვარი ხელადის ფრაგმენტები (ტაბ. XIII, 1), რომელიც შესაძლოა, მიწით დაფარულ სხვა სამარხს მიეკუთვნებოდეს, რომელიც № 5 სამარხის მეზობლად მდებარეობს. ქვემოთ აღვწერთ № 5 სამარხის ინვენტარს:

თიხის ჭურჭლის ნატეხები[19], ლეგად გამომწვარი, მიეკუთვნება ოდნავ პირგაშლილ მრგვალმუცლიან ხელადის ტიპის ჭურჭელს (არ არის გამორიცხული, რომ ხელადა სამტუჩა ყოფილიყო). ოვალურგანივკვეთიანი ყურით შეერთებულია ხელადის პირსა და მხარზე; თიხა მინარევებიანია, გამომწვარია მტკიცედ.

თასი-ჯამი[20], ნაკლული, ყვითლად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, მრგვალძირიანი, პირი და ყელი მუცელძირისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ძირი სამ მრგვალდიამეტრიან გადგმულ ფეხზეა დაყრდნობილი. ჭურჭელი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, რომელიც შეიცავს კვარცისა და გრაფიტის მინარევებს, პირის დიამეტრია 18 სმ, სიმაღლე — 8 სმ.

კოჭობი ან სასმისი[21], ლეგად გამომწვარი, დამსხვრეული. ჭურჭელს მრგვალი, ოდნავ გაშლილი პირი უნდა ჰქონოდა, დაბალი ყელი, მსხლის მოყვანილობის მუცელი. დამზადებულია წვრილმარცვლოვანი მინარევებიანი თიხისაგან.

თიხის ჭურჭლის ნატეხები[22], ლეგად გამომწვარი, უფორმო (შესაძლოა, № 517 ჭურჭლის ნატეხებს დაუკავშირდეს აღდგენისას).

---

[15] 09—VI—72—503, ტაბ. XVIII, 3.
[16] 09—VI—72—504, ტაბ. XVIII, 3.
[17] 09—VI—72—505.
[18] 09—VI—72—506, ტაბ. XVIII, 3.
[19] 09—VI—72—517.
[20] 09—VI—72—509, ტაბ. XVIII, 9.
[21] 09—VI—72—510, ტაბ. XVIII, 6.
[22] 09—VI—72—511.

ხელშუბისპირი[23], რკინის, მასრიანი (მასრა ნაწილობრივადაა შემორჩენილი), ფოთლისებური მოყვანილობის, მკვეთრად გამოხატული წახნაგოვანი ქედით. პირის სიგრძე 10 სმ-ია, საერთო სიგრძე მიახლოებით 6,5 სმ-ია.

სატევარი[24], რკინის, ოდნავ ნაკლული, ცალპირლესილი, ბოლო წაწვეტებული, ოდნავ წელში გამოყვანილი, სატარეზე ორი მანჭვლით, სიგრძე— 29,6 სმ-ია, სიგანე — 2,8 სმ, ტართან სიგანე — 2,8 სმ.

სამარხი № 6, მდებარეობდა № 3 სამარხის პარალელურად, მისგან დასავლეთით 0, 55 მ-ის მანძილზე, მიწის ზედაპირთან ძალიან ახლოს. დამარხვის წესი აქაც იგივეა, რაც წინა სამარხში. (ტაბ. XIV, 1).

პირისახესა და მუხლის ძვლებს შორის მოთავსებული იყო შემდეგი ნივთები:

თიხისჰურჭლის ნატეხები[25], აღსადგენი, წითლად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერწი, თხელკედლიანი.

ჯამი[26], შავად გამომწვარი, პირშეწეული და ოდნავ შიგნით პირგადაკეცილი, მრგვალგვერდიანი, ძირბრტყელი, ხელით ნაძერწი, მსხვილკენჭოვანი, მინარევებიანი თიხით, რომელიც შეიცავს კვარცის, ქარსის, გრაფიტის მინარევებს. პირის დიამეტრი 12 სმ-ია, ძირისა — 8,8 სმ, სიმაღლე — 5 სმ.

კოჭობი თუ სასმისი[27], წითლად გამომწვარი, თხელკედლიანი. პირი შემორჩენილი არ არის, ყელი დაბალი ჰქონია, მრგვალ დაბალმუცლიანი, ძირგამოუკვეთავი. დიამეტრი 7,5 სმ-ია.

დანა, რკინის[28], იდო ტერფის ძვალთან, წელში მოხრილი, სატარეზე ერთი მანჭვლით ცალპირლესილი, წვერისაკენ შევიწროებული. სიგრძე 6 სმ-ია.

დანისპირისნატეხი[29], რკინის, წაწვეტებული, სიგრძე 4,5 სმ-ია.

სამარხი № 7. აღმოჩნდა № 1 თხრილის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. სამარხის გამოსაჩენად თხრილი გაფართოვდა. მიცვალებული აქაც ხელ-ფეხმოკეცილი ესვენა (ტაბ. XV, 1). წვივისა და ტერფის ძვლების აღმოსავლეთით იდგა მოზრდილი ხელადა, გავის ძვლების ქვევით მოქცეულიყო შავად გამომწვარი ჯამი; კეფასთან მასრიანი რკინის შუბისპირი იდო წვერით სამხრეთისაკენ მიმართული. კეფის ძვალზე პატარა ზომის მოხრილი დანა მოუთავსებიათ, მკერდის არეში ეწყო გაურკვეველი ფორმის და დანიშნულების რკინის ნივთების ჯგუფი: ორი ერთმანეთში გაყრილი რგოლი და ოვალური მოყვანილობის ნივთი, რომელიც ალბათ კაჟის ჩამოსაკრავად იყო განკუთვნილი. იქვე ნაპოვნ კაჟის ანატკეცს კი კვესის დანიშნულება ექნებოდა. რგოლებიანი ნივთი სამკაულთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

ქვემოთ აღვწერთ № 7 სამარხში აღმოჩენილ ნივთებს:

დანა, რკინის[30], წელში მოღუნული, ცალპირლესული, სატარეზე ერთი მანჭვლით. დანის სიგრძე — 11,3 სმ, სატარეს სიფართე — 2 სმ-ია.

შუბისპირი, რკინის[31], წვერშიმოხრილი, მასრაგახსნილი, ფრთებ-

---

[23] 09—VI—72—508, ტაბ. XVIII, 8.
[24] 09—VI—72—507, ტაბ. XVIII, 7.
[25] 09—VI—72—511.
[26] 09—VI—72—514, ტაბ. XVIII, 4.
[27] 09—VI—72—515, ტაბ. XVIII, 6.
[28] 09—VI—72—512, ტაბ. XVIII, 5.
[29] 09—VI—72—513, ტაბ. XVIII, 5.
[30] 09—VI—72—518, ტაბ. XIX, 1.
[31] 09—VI—72—519, ტაბ. XIX, 1,

დაშვებული, მთელს სიგრძეზე მკვეთრად გამოხატული ორმხრივი ქედით. ნივთის სიგრძე 25 სმ-ია, მასრის დიამეტრი — 2,3 სმ, პირის სიგრძე — 17 სმ, ფრთების სიფართე — 4 სმ.

რკინის ნატეხი[32], ოდნავ მორკალული, ჟანგით დაფარული. ნივთის სიგრძე 4,5 სმ-ია, სიფართე — 2,5 სმ, კვეთის სისქე — 7 მმ.

საკიდი, რკინის[33], სამწილადი, დაშლილი, შედგება ორი ოვალური რგოლისა და ფირფიტისაგან. რგოლები ფირფიტაზე იყო მიმაგრებული. ერთი რგოლის დიამეტრი 3,7 სმ-ია, მეორისა — 2,8 სმ; ფირფიტის დიამეტრი — 3,2 სმ.

კაჟის ნატეხი[34], მოყავისფრო-მოწითალო.

ჯამი თიხის[35], მოყავისფრო-მოწითალო, არათანაბრად გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი პირით და გვერდებით; პირი გვერდებისაგან ქიმითაა გამოყოფილი. ძირი ბრტყელია, გვერდებისაგან მკვეთრად გამოუყოფელი.

ხელადა[36], აღდგენილი, წითლად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, მაღალყელიანი, მსხლისებურმუცლიანი, ძირბრტყელი, მრავალგანივკვეთიანი. ყურის მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მუცელზე და თავზე ორი კოპი აქვს დაძერწილი. სიმაღლე 22 სმ-ია, ძირის დიამეტრი—11,5 სმ, პირის — 8 სმ, მუცლის — 17 სმ.

თიხის ჭურჭლის[37] (ჯამის) ნატეხები, ღია ყავისფრად გამომწვარი, გვერდმომრგვალებული, ძირბრტყელი.

სამარხი № 8 მდებარეობდა № 6 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 0,6 მ, ხოლო № 5 სამარხის დასავლეთით — 1,20 მ მანძილზე (იხ. გეგმა ტაბ. XI, 1). მიცვალებული დაკრძალული იყო მკვეთრად მოკეცილი კიდურებით, თავით სამხრეთისაკენ (ტაბ. XVI, 1), სახის წინ ედგა შავად გამომწვარი პატარა ხელადა და კიდევ ერთი ჭურჭელი (ძალზე დაშლილი); სამარხის ბოლოში მენჯის ძვლებთან იდო რკინის ისრისპირი. ქვემოთ აღვწერთ ამ ნივთებს:

ხელადა[38], მოშავო-მოყავისფროდ არათანაბრად გამომწვარი, პირი შერჩენილი არა აქვს. თუ პატარა ფრაგმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლოა, სამტუჩა ყოფილიყო. ყელმაღალი, ოვალურკვეთიანი ყურით შეერთებულია პირსა და მუცელზე. სიმაღლე — 13,3 სმ, მუცლის დიამეტრი 10,2 სმ-ია, ყელის — 8 სმ, ძირის — 8 სმ.

სასმისი ან კოჭობი[39], დამსხვრეული, ლეგაფრად სუსტად გამომწვარი, დამზადებულია მსხვილმინარევებიანი თიხისაგან.

ისრის პირი[40], რკინის, უფრთო, კვეთში ოთხკუთხა, სიგრძე — 8 სმ; წიბოს სიგრძე — 6 მმ.

სამარხი № 9. გამოვლინდა დამატებით თხრილში, ნახნავ ტერიტორიაზე, ორმოსამარხში, რომელიც მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ზე იდო; დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი, რომლის ჩონჩხიც ძალზე ცუდად იყო დაცული. ალბათ

---

[32] 09—VI—72—520.

[33] 09—VI—72—521.

[34] 09—VI—72—522.

[35] 09—VI—72—523, ტაბ. XIX, 3.

[36] 09—VI—72—524, ტაბ. XIX, 2 და ტაბ. XV, 2.

[37] 09—VI—72—523.

[38] 09—VI—72—527, ტაბ. XIX, 4.

[39] 09—VI—72—528.

[40] 09—VI—72—529, ტაბ. XIX, 4.

დახნულ მიწაში ატმოსფერული ნალექები უფრო იოლად ატანდა და ჩონჩხის ძვლები ნაკლებად შემოინახა (ტაბ. XVI, 2). შედარებით კარგად შემორჩა კიდურები და თავის ქალას ფრაგმენტები. მიცვალებულს სახის წინ ორი ჭურჭელი ედგა, ხერხემლის გასწვრივ შუბისპირი იდო, ყელის მიდამოებში აღმოჩნდა სალესი ქვა, ხოლო პირისახის წინ შავად გამომწვარი ჯამი. ქვემოთ აღვწერთ ამ ნივთებს:

ხ ე ლ ა დ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი[41], შავად გამომწვარი, წითელსარჩულიანი, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი სხვადასხვა მინარევებიანი თიხისაგან. ჭურჭელს ჰქონია ბრტყელი ძირი, დაბალი მუცელი, ბრტყელი ყური.

ჯ ა მ ი, ნ ა კ ლ უ ლ ი[42], მოწითალო-მონაცრისფრო, არათანაბრად (სუსტად) გამომწვარი, დამზადებული მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ჭურჭელს ჰქონია გაშლილი პირი, მომრგვალებული, ძირისაკენ დაქანებული გვერდები. მუცელი და ყელი ოდნავ შესამჩნევადაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი[43], რკინის, მასრაგახსნილი, ფრთებგადგმული, შუაში ოდნავ შესამჩნევი ქედით. მასრისა და ფრთების შეერთების ადგილზე სამი კონცენტრული ჭდეული ზოლია დაყოლებული. წვერი მოხრილი აქვს. სიგრძე — 25 სმ, მასრის დიამეტრი 2,2 სმ-ია, პირის სიგანე — 4 სმ.

კ ა ჟ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[44], უფორმო, მხოლოდ ერთზე შეინიშნება რეტუში.

სამარხი № 10, მდებარეობდა № 9 სამარხის დასავლეთით 1,30 მ მანძილზე. № 2 სამარხის გაგრძელებაზე, მხოლოდ 10—15 სმ უფრო მაღლა, თითქმის მიწის ზედაპირის სიახლოვეს. ამ სამარხში განსაკუთრებით დიდი ჩონჩხი დადასტურდა (მოხრილ მდგომარეობაში, მისი ზომებია 110×70). იწვა ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ. სახის წინ ელაგა რამდენიმე ჭურჭელი, ხოლო მაჯაზე ეკეთა სამაჯური (ტაბ. XVII, 1).

ქვემოთ აღვწერთ ამ სამარხში აღმოჩენილ საგნებს:

ხ ე ლ ა დ ა[45], წითლად გამომწვარი, მრგვალპირიანი, ოდნავ გაშლილი, დაბალყელიანი, ყური მიძერწილია ჭურჭლის პირსა და მხარზე, ყურის თავზე ორი კოპი აზის. მუცელი დაბალი და მრგვალი აქვს: ძირი ბრტყელი, ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით. სიმაღლე 17 სმ-ია, პირის დიამეტრია 6,5 სმ, ძირის — 8,5 სმ, მუცლის — 14 სმ.

ჯ ა მ ი[46] (აღსადგენია), ლეგად გამომწვარი, პირმოყრილი, დაბალგვერდიანი, უჭუსლო, ბრტყელძირიანი: პირის დიამეტრია 11 სმ, ძირის — 7 სმ, სიმაღლე — 4 სმ.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს (ს ა ს მ ი ს ი ს) ლ ე გ ა მ ო ყ ა ვ ი ს ფ რ ო ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[47], ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია არასრულად.

ს ა მ ა ჯ უ რ ი რ კ ი ნ ი ს[48], ოვალური, გახსნილი, რკალშეზნექილი, ზურგდაკეჭნილი, დიამეტრი 7,5 სმ-ია.

მ ძ ი ვ ი ს ა რ დ ი ო ნ ი ს[49], უხეშად გათლილი, თავბოლოშებრტყელებული,

---

41 09—VI—72—531.
42 09—VI—72—530.
43 03—VI—72—532.
44 09—VI—72—533.
45 09—VI—72—534, ტაბ. XIX, 5.
46 09—VI—72—535, ტაბ. XIX, 7.
47 09—VI—72—536.
48 09—VI—72—537, ტაბ. XIX, 6.
49 09—VI—72—538, ტაბ. XIX, 6.

სამარხი № 11. მდებარეობდა თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩონჩხი დაცული იყო ცუდად, მაგრამ ჩანდა, რომ დაკრძალული აქაც კიდურებმოკეცილი ყოფილა; თავის ქალასა და მაჯების მიდამოებში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულები. პირისახის წინ კი განლაგებული იყო თიხის რამდენიმე ჭურჭელი (ტაბ. XVII, 2.)

აღწერილ სამარხს ჩრდილოეთით ებმოდა სხვა ჩონჩხის ძვლები, რომლისგანაც მხოლოდ თავის ქალას რამდენიმე ფრაგმენტი იყო შემორჩენილი. იქვე აღმოჩნდა მომცრო ჭურჭელი და ლურჯი თავბოლოშებრტყელებული მინისებური პასტის მძივები. ეს ნაშთები ცალკე სამარხად არ გამოვყავით, რადგან იგი, შესაძლოა, იყოს დედის ფეხთით დაკრძალული ბავშვის ნეშტი.

№ 11 სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ხ ე ლ ა დ ა[50], წითლად გამომწვარი, აღსადგენი, გაშლილი, მრგვალპირიანი, ცილინდრულ ყელიანი, მხრებდაქანებული, მსხლისებური მოყვანილობისა, ცალყურა, ჭურჭლის ზედაპირი წითელი წერნაქითაა მოხატული — ტეხილი და კონცენტრული ხაზებით.

ქ ო თ ა ნ ი[51], მოწითალოდ გამომწვარი, პირმოყრილი, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი. ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით. ძირის დიამეტრი 12 სმ-ია, მუცლისა — 14,5 სმ.

ჯ ა მ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[52], შავად გამომწვარი, აქვს ოდნავ გაშლილი პირი, ქიმიანი მუცელი, ძირისაკენ ირიბად დაქანებული კალთები. ნაკეთებია მსხვილმარცვლოვანი თიხით. სეგმენტის დიამეტრია 14,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი[53], წყვილი, ბრინჯაოსი, რკალშედრეკილი, თავშეუკრავი, თავები ბოლოვდება ბურთულებით. ერთი მათგანი კვეთში მრგვალია და თავები ერთმანეთზე გადაუდის, მეორე ოთხკუთხაა და თავები ერთმანეთზე აქვს მიბჯენილი; ერთის დიამეტრია 4 სმ, მეორისა — 4,1 სმ.

ს ა ლ ე ს ი, რ ი ყ ი ს ქ ვ ი ს[54], ოთხკუთხა ფორმის, ოდნავ მორკალული, ბოლოზე ნახვრეტით. ნახვრეტი ორმხრივი დამუშავების შედეგად არის მიღებული. ნივთის სიგრძე 6 სმ-ია, სიფართე — 1,5 სმ.

ს ა ყ უ რ ე ვ ე რ ც ხ ლ ი ს[55], წყვილი, მავთულისებური, თავშეუკრავი, სწორად ჩამოჭრილი ბოლოებით. ერთს თავები ერთმანეთზე გადაუდის, მეორე ნაკლულია, დიამეტრი — 2 სმ.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი[56] (სასმისი), დამსხვრეული, წითლად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გაშლილპირიანი, მსხლისებურ მუცლიანი, ძირბრტყელი, ცალყურა, თავზე ორი კოპით. პირის დიამეტრი 5,5 სმ-ია, მუცლის — 10 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი[57], ლურჯი მინის, მრგვალ-ბრტყელი, ფართონახვრეტიანი, ღია მასით ინკრუსტირებული, მძივის დიამეტრი 6 მმ.

სამარხი № 12 მდებარეობდა № 2 სამარხის პარალელურად, ოდნავ სამხრეთით და 10 სმ უფრო ღრმად (ტაბ. XI, 1). სამარხი ორმოს ზომები იყო 1,10×0,5 მ. დაკრძალვის წესი იგივეა. ჩონჩხს ჰქონდა ძალზე მოხრილი კიდუ-

---

[50] 09—VI—72—544, ტაბ. XX, 1.
[51] 09—VI—72—543, ტაბ. XX, 8.
[52] 09—VI—72—542, ტაბ. XX, 9.
[53] 09—VI—72—539, ტაბ. XX, 3.
[54] 09—VI—72—540, ტაბ. XX, 5.
[55] 09—VI—72—541, ტაბ. XX, 6.
[56] 09—VI—72—545, ტაბ. XX, 7.
[57] 09—XI—72—546, ტაბ. XX, 4.

რები. იწვა მარჯვენა გვერდზე, დამხრობილი იყო თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხის თავსა და ბოლოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ხოლო ფეხის ძვლებთან — შუბისპირი.

ქვემოთ აღვწერთ № 12 სამარხში აღმოჩენილ საგნებს:

ხ ე ლ ა დ ა[58], წითლად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გაშლილი პირით, მაღალყელიანი, მხრებდაქანებული, მრგვალმუცლიანი, ცალყურა (ყური მიძერწილია ჭურჭლის მხარსა და პირზე). ყურის თავი შემკულია ორი რელიეფური კოპით. ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით.

კ ო ჭ ო ბ ი[59], ლეგა ფერის, ოდნავ გაშლილი პირით, დაბალყელიანი, მუცელქიმიანი. ოვალურკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელზე, მუცლის დიამეტრი 12,8 სმ-ია.

დ ა ნ ა[60], რკინის, ცალპირლესილი, ოდნავ შესამჩნევად წვერისაკენ შევიწროებული, სატარეზე სამი წვერწატეხილი მანჭვლით. სიგრძე — 19 სმ, სიგანე — 2,5სმ.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი[61] რკინის, ფოთლისებური, გრძელმასრიანი, მხრებგადგმული, მაღალი, მკვეთრად შევიწროვებული გრძივი ქედით. მასრაში შემორჩენილია ხის ნატეხი; სიგრძე 31,5 სმ-ია, ფრთების სიფართოვე — 4,1 სმ.

სამარხი № 13. № 1 დამატებითი თხრილის აღმოსავლეთ ბოლოში წავაწყდით კიდევ ერთ დანგრეულ სამარხს. მას პირობითად ვუწოდეთ №13 სამარხი, მაგრამ აქ ადამიანის ძვლების ნაშთები არ აღმოჩნდა. შესაძლოა, იგი სამარხი კი არა, აღაპის ნაშთი იყოს. მით უმეტეს, რომ იგი სხვა სამარხების დონეზე ოდნავ უფრო მაღლა აღმოჩნდა. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა სამარხში ჩონჩხი სრულებით არ არის დაცული, ნივთები კი კარგად არის შემონახული.

ქვემოთ აღვწერთ ამ ე. წ. სამარხში აღმოჩენილ ორ ჭურჭელს:

ქ ო თ ა ნ ი[62] (ქილა), ორძირიანი, არათანაბრად გამომწვარი (შავად და ნაცრისფრად). ჭურჭელს აქვს მრგვალი პირი, ოდნავ გადმოკეცილი ტუჩი. ძირისაკენ ირიბად დაქანებული გვერდები და ბრტყელი ძირი. ძირის პარალელურად მეორე ძირია, რომლის 2/3 ამოტეხილია? სიმაღლე 5,7 სმ-ია, პირის დიამეტრი 8 სმ, ზემო ძირის სიმაღლე — 3,1 სმ; ნაძერწია უხეში მინარევებიანი თიხით.

ჯ ა მ ი[63], წითლად გამომწვარი, პირმოყრილი, სითხის გადმოსაღვრელი ტუჩით, გვერდმომრგვალებული, ცალყურა, ყურის პირდაპირ (გვერდში) წყვილი გამჭოლი ნახვრეტით, ძირი ბრტყელი და ოდნავ გამოხატული ქუსლით. პირის დიამეტრია 15 სმ, ძირის — 12 სმ; მუცლის — 17,5 სმ, ყურის რგოლის — 2,8 სმ.

სამარხი № 14. პირველი 10 მეტრიანი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე შეინიშნა ცხენის თავის ქალა და ჭურჭლის ნატეხები. ამ სამარხის პრეპარაცია ბოლომდე არ მოხერხდა. მას № 14 ვუწოდეთ. მიწის ყოველ გაქვავებულ ბელტს თან მოყვებოდა ჩონჩხის ნაწილი. გაწმენდის ცდამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, ამიტომ ამ ე. წ. სამარხიდან ამოვკრიფეთ ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხენის კბილები.

---

[58] 09—VI—72—548, ტაბ. XXI, 3.
[59] 09—VI—72—547, ტაბ. XXI, 2.
[60] 09—VI—72—549, ტაბ. XXI, 1.
[61] 09—VI—72—550, ტაბ. XXI, 4.
[62] 09—VI—72—551.
[63] 09—VI—72—552, ტაბ. XXI, 5.

ხ ე ლ ა დ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი[64], მოწითალო-მოყვითალოდ გამომწვარი. ჭურჭელს აქვს მრგვალი პირი, მსხლისებური მუცელი, ბრტყელი ძირი. მრგვალ-ღეროიანი ყური მიძერწილი იყო ჭურჭლის პირსა და მხარზე.

ც ხ ე ნ ი ს კ ბ ი ლ ე ბ ი[65].

სამარხი № 15. სამაროვანის გავრცელებისა და მისი საზღვრების დადგენის მიზნით, ვარსიმაანთქედის ქვედა კალთაზე № 1 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავქვეზე, გზის მახლობლად გავავლეთ დამატებითი № 2 თხრილი, სადაც წვიმის წყლებით დახრამულ ჭრილში ჩანდა თიხის ჭურჭლის კედლები. თხრილს იგივე მიმართულება ჰქონდა, როგორც № 1-ს. თხრილის შუაგულში, დედამიწის ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა დაშლილი სამარხი (ორმოს ზომები 1,6×1,2 მ), რომელსაც პირობითად № 15 ს ა მ ა რ ხ ი ვუწოდეთ. ჩონჩხიდან მხოლოდ ქვედა კიდურები იყო შემორჩენილი. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ იწვა ძლიერ მოხრილი კიდურებით; მარჯვენა გვერდზე ფეხებთან ედგა თიხის ჭურჭლები, ხოლო ზარძაყის ძვლებთან იდო ბრინჯაოს სამი სკვითური ტიპის ისრისპირი. ქვემოთ აღვწერთ ამ სამარხში აღმოჩენილ ნივთებს:

ხ ე ლ ა დ ა[66], ცალყურა, შავად გამომწვარი და გაპრიალებული, ნაკლული (პირი არ არის შემორჩენილი), ხელადას ჰქონია საკმაოდ მაღალი ყელი, ბურთისებურად მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი, კვეთში ოვალური ყური მიძერწილია მუცელსა და პირზე; მუცელს და ყელს ამკობს კონცენტრული ჰდეული ზოლები; მუცლის დიამეტრია 20 სმ, ძირის — 9 სმ.

ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ი[67], შავად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ცალყურა, ვიწრო, ბრტყელძირიანი. სიმაღლე 19 სმ, მუცლის დიამეტრი 18,5 სმ-ია, პირის — 12,5 სმ; ყური კვეთში ოვალურია, დიამეტრი — 2 სმ.

ი ს რ ი ს პ ი რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[68] (3 ც.), მასრიანი, სკვითური ტიპის, სხვადასხვა ფორმის. ერთი მათგანი სამწახნაგა, ფრთებდაშვებული, მოკლე მრგვალმასრიანია, მეორე — ფრთებწაკვეთილი, გრძელმასრიანი და გრძელდეზიანი, ხოლო მესამე ისრისპირს ფრთები მომრგვალებული აქვს, მისი დეზი რკალის მოყვანილობისაა. პირველს და მესამეს მასრის ბოლოზე ნახვრეტი დაუყვება. პირველის სიგრძე 2,8 სმ-ია, ფრთების სიფართე — 1 სმ, მასრის დიამეტრი 5 სმ-ია, მეორის სიგრძე — 4,3 სმ, უდეზოდ 3,5 სმ-ია, მასრის სიგრძე — 1,3 სმ, პირის სიგრძე — 2,5 სმ. ფრთების სიფართე 8 მმ-ია, მესამის სიგრძე — 4 სმ. უდეზოდ სიგრძე — 2,8 სმ. ფრთების სიფართე 8 მმ-ია, მასრის დიამეტრი 6 მმ. ყველა დაფარულია ავთვისებიანი პატინით.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ფ ი რ ფ ი ტ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, მისი დანიშნულება გაურკვეველია.

სამარხი № 16. აღმოჩნდა № 2 თხრილის დასავლეთით, ქედის კალთის მიმართულებით. თხრილის ჭრილში აიკრიფა მინის და სარდიონის მძივები, ბრინჯაოს კილიტი. ეს სამარხი ძალზე ახლო იყო მიწის ზედაპირთან, ამიტომ ჩონჩხი სულ დაიშალა. სამი ჭურჭელი, რომელიც თან ახლდა სამარხს, დაშლილი სახით იქნა აკრეფილი. სამარხის ჩახატვა და ფოტოფიქსაცია არ მოხერხდა, ჭურჭლები არ აღდგენილა.

---

[64] 09—VI—72—553, ტაბ. XXI, 6.
[65] 09—VI—72—554.
[66] 09—VI—72—558, ტაბ. XXII, 3.
[67] 09—VI—72—559.
[68] 09—VI—72—560, ტაბ. XXII, 2.

რები. იწვა მარჯვენა გვერდზე, დამხრობილი იყო თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხის თავსა და ბოლოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ხოლო ფეხის ძვლებთან — შუბისპირი.

ქვემოთ აღვწერთ № 12 სამარხში აღმოჩენილ საგნებს:

ხ ე ლ ა დ ა[58], წითლად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გაშლილი პირით, მაღალყელიანი, მხრებდაქანებული, მრგვალმუცლიანი, ცალყურა (ყური მიძერწილია ჭურჭლის მხარსა და პირზე). ყურის თავი შემკულია ორი რელიეფური კოპით. ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით.

კ ო ჭ ო ბ ი[59], ლეგა ფერის, ოდნავ გაშლილი პირით, დაბალყელიანი, მუცელქიმიანი. ოვალურკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელზე, მუცლის დიამეტრი 12,8 სმ-ია.

დ ა ნ ა[60], რკინის, ცალპირლესილი, ოდნავ შესამჩნევად წვერისაკენ შევიწროებული, სატარეზე სამი წვერწატეხილი მანჭვლით. სიგრძე — 19 სმ, სიგანე — 2,5სმ.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი[61] რკინის, ფოთლისებური, გრძელმასრიანი, მხრებგადგმული, მაღალი, მკვეთრად შევიწროვებული გრძივი ქედით. მასრაში შემორჩენილია ხის ნატეხი; სიგრძე 31,5 სმ-ია, ფრთების სიფართოვე — 4,1 სმ.

სამარხი № 13. № 1 დამატებითი თხრილის აღმოსავლეთ ბოლოში წავაწყდით კიდევ ერთ დანგრეულ სამარხს. მას პირობითად ვუწოდეთ №13 სამარხი, მაგრამ აქ ადამიანის ძვლების ნაშთები არ აღმოჩნდა. შესაძლოა, იგი სამარხი კი არა, აღაპის ნაშთი იყოს. მით უმეტეს, რომ იგი სხვა სამარხების დონეზე ოდნავ უფრო მაღლა აღმოჩნდა. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა სამარხში ჩონჩხი სრულებით არ არის დაცული, ნივთები კი კარგად არის შემონახული.

ქვემოთ აღვწერთ ამ ე. წ. სამარხში აღმოჩენილ ორ ჭურჭელს:

ქ ო თ ა ნ ი[62] (ქილა), ორძირიანი, არათანაბრად გამომწვარი (შავად და ნაცრისფრად). ჭურჭელს აქვს მრგვალი პირი, ოდნავ გადმოკეცილი ტუჩი. ძირისაკენ ირიბად დაქანებული გვერდები და ბრტყელი ძირი. ძირის პარალელურად მეორე ძირია, რომლის 2/3 ამოტეხილია? სიმაღლე 5,7 სმ-ია, პირის დიამეტრი 8 სმ, ზემო ძირის სიმაღლე — 3,1 სმ; ნაძერწია უხეში მინარევებიანი თიხით.

ჯ ა მ ი[63], წითლად გამომწვარი, პირმოყრილი, სითხის გადმოსაღვრელი ტუჩით, გვერდმომრგვალებული, ცალყურა, ყურის პირდაპირ (გვერდში) წყვილი გამჭოლი ნახვრეტით, ძირი ბრტყელი და ოდნავ გამოხატული ქუსლით. პირის დიამეტრია 15 სმ, ძირის — 12 სმ; მუცლის — 17,5 სმ, ყურის რგოლის — 2,8 სმ.

სამარხი № 14. პირველი 10 მეტრიანი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე შეინიშნა ცხენის თავის ქალა და ჭურჭლის ნატეხები. ამ სამარხის პრეპარაცია ბოლომდე არ მოხერხდა. მას № 14 ვუწოდეთ. მიწის ყოველ გაქვავებულ ბელტს თან მოყვებოდა ჩონჩხის ნაწილი. გაწმენდის ცდამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, ამიტომ ამ ე. წ. სამარხიდან ამოვკრიფეთ ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხენის კბილები.

---

58 09—VI—72—548, ტაბ. XXI, 3.
59 09—VI—72—547, ტაბ. XXI, 2.
60 09—VI—72—549, ტაბ. XXI, 1.
61 09—VI—72—550, ტაბ. XXI, 4.
62 09—VI—72—551.
63 09—VI—72—552, ტაბ. XXI, 5.

ხ ე ლ ა დ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი[64], მოწითალო-მოყვითალოდ გამომწვარი. ჭურჭელს აქვს მრგვალი პირი, მსხლისებური მუცელი, ბრტყელი ძირი. მრგვალღეროიანი ყური მიძერწილი იყო ჭურჭლის პირსა და მხარზე.

ც ხ ე ნ ი ს კ ბ ი ლ ე ბ ი[65].

სამარხი № 15. სამაროვანის გავრცელებისა და მისი საზღვრების დადგენის მიზნით, ვარსიმაანთქედის ქვედა კალთაზე № 1 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავქვეზე, გზის მახლობლად გავავლეთ დამატებითი № 2 თხრილი, სადაც წვიმის წყლებით დახრამულ ჭრილში ჩანდა თიხის ჭურჭლის კედლები. თხრილს იგივე მიმართულება ჰქონდა, როგორც № 1-ს. თხრილის შუაგულში, დედამიწის ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა დაშლილი სამარხი (ორმოს ზომები 1,6×1,2 მ), რომელსაც პირობითად № 15 ს ა მ ა რ ხ ი ვუწოდეთ. ჩონჩხიდან მხოლოდ ქვედა კიდურები იყო შემორჩენილი. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ იწვა ძლიერ მოხრილი კიდურებით; მარჯვენა გვერდზე ფეხებთან ედგა თიხის ჭურჭლები, ხოლო ბარძაყის ძვლებთან იდო ბრინჯაოს სამი სკვითური ტიპის ისრისპირი. ქვემოთ აღვწერთ ამ სამარხში აღმოჩენილ ნივთებს:

ხ ე ლ ა დ ა[66], ცალყურა, შავად გამომწვარი და გაპრიალებული, ნაკლული (პირი არ არის შემორჩენილი), ხელადას ჰქონია საკმაოდ მაღალი ყელი, ბურთისებურად მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი, კვეთში ოვალური ყური მიძერწილია მუცელსა და პირზე; მუცელს და ყელს ამკობს კონცენტრული ჭდეული ზოლები; მუცლის დიამეტრია 20 სმ, ძირის — 9 სმ.

ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ი[67], შავად გამომწვარი, ოდნავ პირგაშლილი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ცალყურა, ვიწრო, ბრტყელძირიანი. სიმაღლე 19 სმ, მუცლის დიამეტრი 18,5 სმ-ია, პირის — 12,5 სმ; ყური კვეთში ოვალურია, დიამეტრი — 2 სმ.

ი ს რ ი ს პ ი რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[68] (3 ც.), მასრიანი, სკვითური ტიპის, სხვადასხვა ფორმის. ერთი მათგანი სამწახნაგა, ფრთებდაშვებული, მოკლე მრგვალმასრიანია, მეორე — ფრთებწაკვეთილი, გრძელმასრიანი და გრძელდეზიანი, ხოლო მესამე ისრისპირს ფრთები მომრგვალებული აქვს, მისი დეზი რკალის მოყვანილობისაა. პირველს და მესამეს მასრის ბოლოზე ნახვრეტი დაუყვება. პირველის სიგრძე 2,8 სმ-ია, ფრთების სიფართე — 1 სმ, მასრის დიამეტრი 5 სმ-ია, მეორის სიგრძე — 4,3 სმ, უდეზოდ 3,5 სმ-ია, მასრის სიგრძე — 1,3 სმ, პირის სიგრძე — 2,5 სმ. ფრთების სიფართე 8 მმ-ია, მესამის სიგრძე — 4 სმ. უდეზოდ სიგრძე — 2,8 სმ. ფრთების სიფართე 8 მმ-ია, მასრის დიამეტრი 6 მმ. ყველა დაფარულია ავთვისებიანი პატინით.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ფ ი რ ფ ი ტ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი, მისი დანიშნულება გაურკვეველია.

სამარხი № 16. აღმოჩნდა № 2 თხრილის დასავლეთით, ქედის კალთის მიმართულებით. თხრილის ჭრილში აიკრიფა მინის და სარდიონის მძივები, ბრინჯაოს კილიტი. ეს სამარხი ძალზე ახლო იყო მიწის ზედაპირთან, ამიტომ ჩონჩხი სულ დაიშალა. სამი ჭურჭელი, რომელიც თან ახლდა სამარხს, დაშლილი სახით იქნა აკრეფილი. სამარხის ჩახატვა და ფოტოფიქსაცია არ მოხერხდა, ჭურჭლები არ აღდგენილა.

---

[64] 09—VI—72—553, ტაბ. XXI, 6.
[65] 09—VI—72—554.
[66] 09—VI—72—558, ტაბ. XXII, 3.
[67] 09—VI—72—559.
[68] 09—VI—72—560, ტაბ. XXII, 2.

შემთხვევითი მონაპოვარი. ვარსიმაანთკარის სამაროვანზე, გარდა ჩვენს მიერ გათხრილი სამარხეული კომპლექსებისა, დაგროვილია უაღრესად საყურადღებო შემთხვევითი მონაპოვარი, რომელსაც ქვემოთ აღვწერთ:

ს ა ლ ე ს ი[69], რიყის ქვის, ოთხკუთხა, ბოლოწაკვეთილი; ერთი ბოლო შევიწროებული აქვს და გახვრეტილი. სიგრძე 9,2 სმ-ია, წახნაგის სიფართე — 1,5 სმ.

ხ ე ლ ა დ ა[70], წითლად მტკიცედ გამომწვარი, მრგვალ, ოდნავ გაშლილპირიანი, სწორყელიანი, მსხლისებრი მუცლით, ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ყურს თავზე აზის ორი კოპი. ჭურჭელი თხელკედლებიანია და ნაკეთებია მინარევებიანი თიხით.

ქ ი ლ ა[71] (კოჭობი), აღსადგენი, მონაცრისფრო-მოწითალოდ არათანაბრად გამომწვარი. ჭურჭელს ოდნავ გაშლილი პირი, დაჭანებული მხრები, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი ჰქონია, კეცი საკმაოდ სქელი და ფენოვანია, თიხა შეიცავს მსხვილმარცვლოვან მინარევს.

კ ო ჭ ო ბ ი[72] (დამსხვრეული), შავად გამომწვარი: ჭურჭელს ჰქონია ოდნავ გაშლილი პირი, პრიალა ხაზებით შემკული მრგვალი მუცელი, შვერილებით თუ კოპებით შემკული მხრები.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი[73], რკინის ჟანგით დაფარული; ჩანს, სამაჯურს დაკენჭილი რკალი უნდა ჰქონოდა.

კ ი ლ ი ტ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[74], რომბის მოყვანილობის, ერთ მხარეს ამოზიდული, მეორე მხარეს ჩაზნექილი და საძაფე ყუნწით. სიგრძე — 1,5 სმ, სიფართე — 9 მმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა[75] (1 ცალი), კარგად გაპრიალებული (სიგრძივ ნახვრეტით), დიამეტრი 1,3 სმ-ია. 2 ცალი ლურჯი ფერის ბიკონუსური მძივი, ირიზებული, დიამეტრი — 1 სმ; 1 ცალი თავბოლოშებრტყელებული ლურჯი მინის მძივია, 3 ცალი მოყავისფრო-მოწითალო მინის მძივია, 1 ცალი — წყლისფერი ბიკონუსური, დაფშვნილი.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ კიდევ აღმოჩნდა წვიმის ნიაღვრებით გამოტანილი ნივთიერი მასალა, რომელთა შორის საყურადღებოა:

ქ ო თ ა ნ ი[76], ნაკლული, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი; ჭურჭელს ჰქონია ფართო, მრგვალი პირი, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი, პირზე და მუცელზე მიძერწილია ბრტყელი ყური. ჭურჭელი სუსტადაა გამომწვარი, ამიტომ კეცი ფენოვანია, თიხა კვარც და გრაფიტნარევია. სიმაღლე 12,5 სმ-ია, მუცლის დიამეტრი — 12,5 სმ.

ქ ვ ა ბ-ქ ო თ ა ნ ი[77], არათანაბრად, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი; ჭურჭელს მრგვალი, ოდნავ გადმოზნექილი პირი აქვს. მოკლე ყელი, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი, მუცელზე ტოლი მანძილით დაშორებული სამი შვე-

---

[69] 09—VI—72—486.
[70] 09—VI—72—479.
[71] 09—VI—72—479.
[72] 09—VI—72—481.
[73] 09—VI—72—482.
[74] 09—VI—72—483.
[75] 09—VI—72—484.
[76] 09—VI—73—487.
[77] 09—VI—73—488.

რილია. სიმაღლე 13 სმ-ია. პირის დიამეტრი — 10,5 სმ, მუცლის — 13 სმ, ძირის — 8 სმ.

კ ო ჭ ო ბ ი[78], ლეგად გამომწვარი, მრგვალი პირით, დაბალი ყელით, ორ ნაწილად გაყოფილი მრგვალი მუცლით, ძირი ბრტყელი, სიმაღლე 11 სმ, პირის დიამეტრი 9 სმ-ია, ძირის — 6,5 სმ.

ჰ ი ნ ჰ ი ლ ა[79], მოვარდისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი. პირფართო, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი; მრგვალღეროიანი ყური მიძერწილია მხარსა და პირზე. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე 6,7 სმ; პირის დიამეტრი 3,5 სმ-ია, ძირის — 3,3 სმ. აღმოჩენილია სოფ. პირმისაანთკარში, ხვნის დროს, ციხესთან, ვლადიმერ პირმისაშვილის მიერ.

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[80]. ჰურჭელი ნაკეთებია წვრილმარცვლოვანი თიხით. წითლად გამომწვარი და წითელი წერნაქით შეღებილი. აღმოჩენილია სამაროვანის ტერიტორიაზე.

ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ი[81] რკინის, გრძელმასრიანი, მოკლეპირიანი, მასრის ბოლო ჩამოტეხილია, ერთ ადგილზე შემორჩენილია სატარე მანჭვალი. ფრთები შედარებით ვიწროა, სიგრძე 14 სმ-ია, მასრის სიგრძე — 9 სმ; მასრის დიამეტრი 1,8 სმ, ფრთების სიფართოვე — 2,5 სმ.

დ ა ნ ა რ კ ი ნ ი ს[82], გადაღუნული, ცალპირლესილი, ბოლოსაკენ შევიწროებული, სატარეზე ორი მანჭვლით; ფართო ნაწილის სიგანე 2 სმ-ია.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი[83], რკინის, მასრაგახსნილი, შუაში მაღალი, მკვეთრად გამოხატული წახნაგოვანი ქედით. ფრთები აკეცილი აქვს, წელში საგრძნობლადაა შევიწროებული, სატარე ნაწილი საკმაოდ ფართოა, შუბისპირი გაღუნულია. მისი სიგრძე 35 სმ-ია, ფრთების სიფართოვე — 4 სმ; მასრის დიამეტრი 2 სმ-ია, მასრის სიგრძე — 8,2 სმ.

აღმოჩენილია სამაროვანის ტერიტორიაზე.

ს ა მ ა ჯ უ რ ი[84] რკინის, ოვალური მოყვანილობისა, მრგვალღეროიანი, ჟანგით დაფარული, ღეროს დიამეტრი 0,5 სმ, რგოლის — 6,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[85], დეფორმირებული, თავშეუკრავი, მრგვალღეროიანი, ჰდეული ხაზებით დაბოლოებული და ცხოველის სტილიზებული თავებით შემკული. რგოლის დიამეტრია 4 სმ, ღეროსი — 0,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[86], რკინის, კვეთში ოთხკუთხა, სეგმენტის დიამეტრია 4, 5 სმ.

ს ა ლ ე ს ი ქ ვ ა[87], კარგად დამუშავებული, ბოლოზე ნახვრეტით. ნახვრეტი ცალი მხრიდან გაბურღვის წესითაა მიღებული. სალესს გვერდები საგანგებოდ აქვს ჩამოსწორებული და ოდნავ შესამჩნევი წახნაგებია წარმოქმნილი. სიგრძე — 8,3 სმ, კვეთის სიგანე — 1,5 სმ.

აღმოჩენილია თიხის ამოსაღებ ორმოში სამაროვანის მახლობლად.

---

[78] 09—VI—73—489.
[79] 09—VI—72—477, ტაბ. XXIII, 5.
[80] 09—VI—72—476.
[81] 09—VI—72—478, ტაბ. XXIII, 4.
[82] 09—VI—72—480, ტაბ. XXIII, 6.
[83] 09—VI—73—567, ტაბ. XXIII, 3.
[84] 09—VI—72—479, ტაბ. XXIII, 1.
[85] 09—VI—72—481, ტაბ. XXIII, 2.
[86] 09—VI—72—482.
[87] 09—VI—72—483, ტაბ. XXIII, 8.

საწაფი რიყისს[88], ოვალური მოყვანილობის (შუაში ნახვრეტით). ნახვრეტი ცალი მხრიდან ბურღვის წესითაა მიღებული.

ხელსაფქვავის ნატეხი[89], ანდეზიტ-ბაზალტის, ნავისებური მოყვანილობის, აღმოჩენილია ვარსიმაანთკარის ქედებზე.

სასრესი ქვა, კაჟის[90].

ხელსაფქვავი[91], ნაკლული.

ხელსაფქვავის ქვა[92]; ნავისებური მოყვანილობის, ქვიშაქვის, ნაკლული.

სამარხთა აგებულება, დამარხვის წესი. ამგვარად, ვარსიმაანთქედებზე ორ საცდელ თხრილში 16 ორმოსამარხი გამოვლინდა. მართალია, სამაროვნის გავრცელების საზღვრების დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა, მაგრამ სამარხთა დიდი სიმჭიდროვე აშკარად მიუთითებს ამ სამაროვნის სიახლოვეს მდებარე სამოსახლოს სიდიდეზე.

ვინაიდან ფერდობი დღითი დღე ირეცხება, სამარხები თითქმის დედამიწის ზედაპირზეა. № 1 თხრილში მდებარე სამარხები მდებარეობდა 10—35 სმ-ის სიღრმეზე, ყვითელ თიხნარში. სამარხი ორმო ოვალური მოყვანილობისაა, № 1 თხრილში აღმოჩენილ სამარხებს ქვები დაფენილი და შემოწყობილი აქვს; რაც შეეხება მიწაყრილს, სამარხები იმდენადაა გადარეცხილი, რომ მათი ზედა ნაწილიდან არაფერი შემორჩა. აქამდე გათხრილ თითქმის ყველა სამარხში ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე ესვენა, ხელ-ფეხმოკეცილი, ხელები ან სახესთან ჰქონდა მიტანილი, ან — თავთან; ზოგ შემთხვევაში ჩონჩხი უფრო ძლიერად იყო მოხრილი, ზოგჯერ შედარებით უფრო გაშლილი ჩანდა. ყველა დაკრძალულს თავი სამხრეთისაკენ ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჰქონდა მიქცეული. თითოეული მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ თიხის ჭურჭელი (2—4 ცალამდე), თახაც განსაზღვრული დანიშნულების: ხელადა, სასმისი, ჯამი, ქოთანი, კოჭობი; კერამიკა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. თიხის ჭურჭელი მიცვალებულს თავთან და ფეხებთან ჰქონდა დაწყობილი.

ჩვენს მიერ გათხრილი სამარხების უმეტესობა მამაკაცებს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან მიცვალებულს თან ახლდა რკინის იარაღი—შუბისპირები, ისრისპირები, სატევარი და ნაკლებად სამკაულები. ქალის სამარხად მხოლოდ სამი უნდა მივიჩნიოთ: № 4, № 10, № 11. ამ სამარხებში იარაღი არ აღმოჩნდა. მაგრამ აღმოჩნდა სამკაულები, სამაჯურები, მძივები, საკინძი. ორ სამარხში (1, 13) საერთოდ არ იყო ჩონჩხის ძვლები, მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყო ჯგუფად ჩაწყობილი. შესაძლოა, კენოტაფთან (კრემაციული სამარხი ნაკლებადაა სავარაუდებელი) ან აღაპის წესთან გვქონდეს საქმე. ხშირ შემთხვევაში კეფასთან იდო რკინის დანები (ორ შემთხვევაში სალესი ქვით). საყურადღებოა, რომ დანები საგანგებოდაა მოკეცილი, ხოლო შუბისპირების უმეტესი ნაწილი მიწაში იყო ვერტიკალურად ჩარჭობილი და წვერმოღუნული. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ამ იარაღებს დასაკრძალავი რიტუალის შესრულების დროს საგანგებოდაც აზიანებდნენ. ასევე ხელოვნურად გადაღუნული დანის ჩაყო-

---

88 09—VI—72—484, ტაბ, XXIII, 9.
89 09—VI—72—485, ტაბ. XXIII, 7.
90 09—VI—73—568.
91 09—VI—73—569.
92 09—VI—73—570.

ლების წესი დადასტურდა ბორჯომის რაიონში, ჩითახევის მახლობლად გათხრილ გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამაროვანზე[93].

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე დაკრძალულ თითოეულ მამაკაცს თან ახლდა იარაღის სრული კომპლექტი: შუბი, ისრისპირები, დანა. ამ პერიოდის სხვა სამარხებში თითქოს ასეთი სურათი არ გვხვდება. აკად. ს. ჯანაშია მცხეთის სამაროვნის გათხრების საფუძველზე ასკვნიდა, რომ ძვ. წ. ა. VI საუკუნის ბოლოდან მოყოლებული იბერნი, უპირატესად კი დედაქალაქის მცხოვრებნი, ძველებურად იარაღს აღარ ატარებდნენ — „მეომარი მიწათმოქმედნი მშვიდობიან ქალაქელებად იქცეოდნენ“[94]. ძვ. წ. ა. VI—IV საუკუნის სამარხებში იარაღის არსებობას უარყოფენ არქეოლოგები ი. გაგოშიძე[95] და ა. ბოხოჩაძე[96].

ი. გაგოშიძე ყანჩაეთის სამარხებში იარაღის არსებობაში სოციალურ შინაარსს ხედავდა. გარდა მცხეთის და თეთრი წყაროსი, სადაც სულ რამდენიმე დანგრეული სამარხი გაითხარა, ბეშთაშენში, წინწყაროში, კამარახევში და სხვა, ყველგან ვხვდებით მიცვალებულისათვის იარაღის ჩაყოლების ფაქტებს, ხოლო ვარსიმაანთკარში იგი ყოველი სამარხისათვის სავალდებულოც კი არის. აქ მეომარი ხალხია დაკრძალული. იარაღის ჩაყოლების ძველი ტრადიცია გრძელდება, აქ, ალბათ, შემდგომ სტრაბონისათვის ცნობილი მთის იბერების წინაპრები მოსახლეობდნენ, რომლებიც მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და ომის შემთხვევაში მეომრები გამოჰყავდათ[97].

მასალის ტიპოლოგია და პარალელები. თიხის ჭურჭელი. ვარსიმაანთკარის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარი უმთავრესად თიხის ჭურჭლის, რკინის იარაღისა და მცირე რაოდენობით სამკაულების სახით არის წარმოდგენილი. ექსპედიციის მიერ 1972 წელს 45 დასახელების სხვადასხვა ჭურჭელი იყო აღმოჩენილი მთელი და ფრაგმენტების სახით. თიხის ჭურჭელი განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმით, ზომით, დანიშნულებით. მაგრამ ძირითადად კერამიკულ მასალას ერთმანეთისაგან ასხვავებს თიხა და კეცი. ამის საფუძველზე თიხის ჭურჭელი ორ ჯგუფად იყოფა: განლექილი თიხისგან დამზადებული მოწითალო-მოყვითალოდ გამომწვარი კოხტა კერამიკა და უხეში მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭელი.

თიხის ჭურჭლის უმეტესი ნაწილი დამსხვრეულია, რადგან სამარხები თითქმის მიწის ზედაპირზე იყო განლაგებული; ზოგი მათგანი აღდგა, ზოგის აღდგენა არ მოხერხდა

თიხის ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ხელადები. როგორც ვარსიმაანთკარის მთელი კერამიკა, ისე ხელადებიც შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: მოწითალო-მოყვითალოდ გამომწვარი განლექილი თიხისაგან დამზადებული და შავლეგად გამომწვარი ხელადები. შავლეგა ჭურჭელი სულ 4-ია. აქედან 2 ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი (№ 5 და № 9 სამარხები). მესამე ფართო, სწორყელიანი ხელადაა (ტაბ. XIX, 4, სამარხი № 8), მომრგვალებულმუცლია-

---

[93] ცნობა მოგვაწოდა ო. ღამბაშიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[94] ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე, შრომები, II, 1952, გვ. 101.

[95] ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

[96] ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად. მსკა, ტ. III, 1963, გვ. 32—33.

[97] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 128; სტრაბონი, გეოგრაფია, თავი მესამე.

ნი, ძირბრტყელი. პირი არ შემორჩა. იგი წააგავს ბ. კუფტინის მიერ ბეშთაშენის ციხესთან გათხრილ თუნგის ტიპის ჭურჭელს, ტუჩის მოყვანილობაც ისეთივე უნდა ჰქონოდა[98]. საგრძნობლად განსხვავდება ყველა ზემოთ აღწერილი ხელადისაგან სამარხ № 15-ში აღმოჩენილი ხელადა (ტაბ. XXII, 3). იგი ლეგადაა გამომწვარი და გაპრიალებული, ყელი და მუცელი კონცენტრული ჭდეული ხაზებით აქვს შემკული, ძირი ვიწროა. № 15 სამარხი საგრძნობლად განსხვავდება ვარსიმაანთკარის სხვა სამარხებისაგან თავისი ინვენტარით. აღნიშნული ხელადა კეცით და მოყვანილობით წააგავს გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკას (მაგალითად, მცხეთის ორმოსამარხებიდან, დიღმის ველიდან[99], კასპის სამაროვნიდან) [100].

განლექილი თიხისაგან დამზადებული მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი ხელადები (9 ც.) ზომის მიხედვით შეიძლება დავყოთ მოზრდილად, საშუალო და მცირე ზომის ხელადებად. ყველა მათგანი პირმრგვალი, დაბალყელიანი, ოდნავ პირგაშლილი, მხრებდაჭანებული, დაბალი, მსხლისებრმუცლიანი, ფართოძირიანია. მხარი პირთან ოვალურგანივკვეთიანი ყურითაა შეერთებული. ექვს შემთხვევაში მხრიდან ყურის პირთან შეერთების ადგილზე ორი რელიეფური კოპია მოცემული. ეს კოპები, შესაძლოა, ზოომორფული ყურების რუდიმენტებს წარმოადგენენ ან სამკაულად ახლავს ჭურჭელს, ან, შესაძლოა, ოსტატის დამღა იყოს. ჟინვალისა და, საერთოდ, ქართლის ადრეშუასაუკუნეთა ხანის ჭურჭლებზე ჩვენ ვხვდებით ასეთ კოპებს, სამწყებად განლაგებულსაც კი. საშუალო და მცირე ზომის ხელადები კარგადაა გამოყვანილი. მათი ანალოგები მრავლად გვხვდება ქართლშიც და კახეთშიც. მათ რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვნის შესწავლისას, I ჯგუფის ხელადათა ჯგუფში აერთიანებს[101]. მსგავსი ჭურჭელი აგრეთვე ცნობილია სოფ. ნულში, ჯავის რაიონის სოფ. სინაგურში, გორში (კვერნაკზე), ბნავისში, სანთაში (წალკის რაიონში), არქაული ტიპის მრგვალპირიანი ხელადა — თეთრიწყაროს რაიონში, კახეთში (წინანდალში, გულგულაში, კურდღელაურში) და სხვა; ამგვარად, როგორც ვხედავთ, ეს ხელადები გავრცელებულია მრავლად როგორც შემდგომ ჰერული კულტურის გავრცელების სფეროში, ისე ქვემო ქართლის აქემენიდური ხანის სამაროვნებზე.

დიდი ზომის ხელადები ორია და უფრო უხეშად გამოიყურება, თიხა ნაკლებადაა განლექილი, ერთი მათგანი (544, სამარხი № 11) წითელი წერნაქითაა მოხატული (ტაბ. XX, 1). ორნამენტი შედგება ერთმანეთში ჩამჯდარი სამკუთხედებისაგან, რომელიც ჭურჭლის მთელ ზედა ნახევარს შემოუყვება. ზედა ნაწილი ქვედასაგან ზოლითაა გამოყოფილი. მოხატული ჭურჭელი სამაროვანზე ჯერჯერობით ერთია, მაგრამ ზედაპირზე შეგროვდა კიდევ მეორე მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები. თავის ფორმით აღნიშნული ჭურჭელი ძალზე უახლოვდება დიდუბეში [102] (1930-31 წ.), ვანში [103] და კუშჩში [104] ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილ

---

[98] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 1941, таб. XV, 4.

[99] რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. რამიშვილი, დიღმის ხეობაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების წინასწარი ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 12—15.

[100] მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა, ტ. IV.

[101] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, ტ. II, 1959, გვ. 26.

[102] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1958, გვ. 47.

[103] ვანი I, არქეოლოგიური გათხრები 1947—1969 წ., თბ., 1972.

[104] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в 1947 году в Цалкинском районе, Тб., 1948, стр. 7.

წყვილ ხელადას. მაგრამ იქაური ხელადები უფრო მომცროა და მოხატულობა მთელს ზედაპირს ფარავს ტუჩის ჩათვლით . ასეთი სახის მოხატულ კერამიკას ვხვდებით ავჭალაში[105], თეთრწყაროში[106], ასურეთში[107], შავსაყდარაში[108], ცხინვალის მახლობლად სოფ. ქვინევში[109], უფლისციხეში[110], დასავლეთ საქართველოში — ვანში და ითხვისში[111]. ვანში, წარჩინებული მეომრის სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება, სხვა მდიდრულ ინვენტართან ერთად აღმოჩნდა წითელი საღებავით მოხატული მსხლისებური ფორმის დოქი და შავკეციანი კოლხური ჯამი[112]. მრავლადაა მოხატული ჭურჭელი უფლისციხეში ბამბებად წოდებულ ნამოსახლარში, მაგრამ მათი ფორმა და მოხატულობა უფრო სხვაგვარია[113].

ძვ. წ. VI—V საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქართლში ვრცელდება მოხატული კერამიკა, რომელიც ადრებრინჯაოს ხანისა და თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის მოხატულ ჭურჭელს ემსგავსება. წითელი კერამიკა (მოხატულთან ერთად) პირველად ქვემო ქართლში ჩნდება (ბეშთაშენის ციხესთან გათხრილი სამარხები), თანდათანობით ვრცელდება შიდა ქართლში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადადის[114]. ბ. კუფტინი ამ სახის კერამიკის საწყისებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხედავს[115]. ი. გაგოშიძის აზრით, ამ კერამიკის საწყისები სამხრეთ-აღმოსავლეთში, კერძოდ, ურარტუში უნდა ვეძებოთ[116] (ურარტუსთვის დამახასიათებელი იყო წითლად შეღებილი და გაპრიალებული ჭურჭელი).

ამგვარად, როგორც კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ხელადები, ისე მოხატული კერამიკა, ახალი მოვლენა იყო საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ცხოვრებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში კერამიკის დამზადების ტექნიკაში გარდატეხა ხდება. გაპრიალებული თხელკედლიანი შავად გამომწვარი კერამიკა დეგრადაციას განიცდის. შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რომელიც ვარსიმაანთკარის სამაროვანზე წითელ კერამიკასთან ერთად გვხვდება, უხეში და ტლანქია. მხოლოდ ერთ სამარხში ვხვდებით (№ 15) ძველი

---

[105] დ. ქორიძე, ერთი ქვაყუთის სამარხეული ინვენტარი ზემოავჭალიდან, მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, 1956, გვ. 216.

[106] ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად, მსკა, ტ. III, 1963, გვ. 30, ტაბ. II. 1.

[107] კ. კვიჟინაძე, 1966 წ. აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები არუხლოს „გეო-თეფეს“ და „სამაჩვეთის“ სამაროვანზე. 1966 წ. საქ-ში ჩატარებული საველე კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი XVI სამეცნიერო სესია, 1967, გვ. 66.

[108] ა. ბოხოჩაძე, დასახელებული ნაშრომი.

[109] გ. გობეჯიშვილი, სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, 1948 წ. ანგარიში, ხელნაწერი.

[110] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1970, გვ. 79, ტაბ. XXXI, 3, 7, 9, ტაბ. XXXIIII, 3, 4, 7, 8, ტაბ. XXXIII, 1, 2.

[111] რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში (2 სამარხის ინვენტარი).

ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 68.

[112] ვანი 1, დასახ. ნაშრომი.

[113] დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—80.

[114] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ.

[115] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—10.

[116] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

ტრადიციით დამზადებულ ჭურჭელს, უკეთ, თვითონ სამარხია რამდენადმე უფრო ადრეული.

არაგვის ხეობის მოსახლეობა, როგორც ჩანს, თანდათანობით შეეჩვია ამ ახალი სახის ჭურჭლის დამზადებას და გამოყენებას. ახალი ტექნოლოგია მჭიდროდ იკიდებს ფეხს და ძველი შავი და შავად გაპრიალებული კერამიკა საბოლოოდ იდევნება.

ვარსიმაანთკარის სამაროვანზე რამდენიმე სახის ჯამია აღმოჩენილი. თიხის ჯამი თითქმის ყველა სამარხს ახლავს, ისე როგორც ხელადა. ჯამების უმეტესი ნაწილი დამზადებულია უხეში თიხისაგან, კეცი სქელია, გამოწვა სუსტი. პირის მოყვანილობის მიხედვით ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ პირმოყრილ და პირგაშლილ ჯამებად. ჯამების უმეტესობა პირმოყრილია, გვერდმომრგვალებული, ძირბრტყელი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი უფრო ღრმაა, ზოგი უფრო დაბალგვერდიანი. მაღალი ჯამები უფრო მეტია (№ 2, № 6, № 10 სამარხები). ერთ-ერთ მათგანზე შეიმჩნევა ოდნავ შესამჩნევი ნაჭდევი-სატუჩე (სამარხი № 1). ასეთი სახის ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი კამარახევის სამაროვანზე[117], თეთრწყაროში[118], თბილისში[119], სამთავროს ქვევრ-სამარხებში[120]. დაბალგვერდიან პირმოყრილ ჯამებს ძირი თითქმის მომრგვალებული აქვთ. მსგავსი ჯამები ცნობილია ნერონ-დერესში[121], კამარახევის სამაროვანზე და სხვა.

პირგაშლილი ფიალის ტიპის ჯამები ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი (სამარხი № 2, № 7, № 11). ამათგან ორი შავად არის გამომწვარი, ერთი მოწითალოდ (№ 7, ტაბ. XX, 9). მათ პირს საკმაოდ დიდი დიამეტრი აქვს. ზოგის მუცელი მკვეთრად არის გამოყოფილი ჯამის მხარისაგან. ფიალის ტიპის ჯამები, ისე როგორც ღია ფერის კერამიკა, ფართოდ იწყებს გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან: თეთრიწყარო, ნერონ-დერესი, წყნეთი, კამარახევი.

ზოგი ამ ჯამთაგანი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და წითლადაა შეღებილი. საყურადღებოა, რომ ამავე დროს საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ლითონისაგან დამზადებული ასეთივე ფორმის ჭურჭელი ე. წ. ომფალოსიანი, ანუ ჭიპიანი პინაკები. თიხის თასები ლითონის პინაკების მიბაძვითაა დამზადებული, მაგრამ თითქმის ერთდროულად (სხვაობა ასაკში მეტად მცირეა).

როგორც ჩანს, მდიდრულ სამარხებში ატანდნენ ლითონის ჭურჭელს, ხოლო ღარიბულში მის ნაცვლად თიხის ფიალებია ჩაყოლებული. მათ საკულტო დანიშნულების ჭურჭლად მიიჩნევენ, ამიტომ, შესაძლოა, დაკრძალვის რიტუალთანაც იყო დაკავშირებული.

ომფალოსიანი თასების წარმოშობის და გავრცელების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მათ შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს შექმნილი ჰანს ლუშეის[122]. ერთი ნაწილი ქართველი მეცნიერებისა ამ თასების ბერძნულ-აქემენიდურ წარმოშობას ემხრობა და მათი შემოსვლის ორ გზას ცნობს: სამხრე-

---

117 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, ტაბ. XII, 1, 2.

118 ა. გოხოჩაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. II, (3).

119 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. X (10. II).

120 ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I ს., მსკა. ტ. III, 1963, გვ. 144.

121 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, თბ., 1941, ტაბ. IV. 6.

122 H. Luschey, Die phiale, 1939, გვ. 31—37. ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 31—94.

თიდან, აქემენიდური ირანის მეშვეობით და ხმელთაშუაზღვის კუნძულებიდან, ზღვით (შ. ამირანაშვილი [123], გ. გობეჯიშვილი [124]); ლითონის პინაკების სამხრეთიდან შემოსვლას ემხრობა ი. გაგოშიძეც[125]. ფაქტია, რომ მათ ფართოდ მოიკიდეს ფეხი საქართველოში. ლითონის თასის მიბაძვით დამზადებული თიხის ჭურჭელი აშკარად ადგილობრივია.

ჯამების ამავე ჯგუფს მივაკუთვნეთ კარგად განლექილი, მაგრამ მინარევებიანი თიხით დამზადებული, მოჩალისფროდ გამომწვარი სამფეხა ჯამი (სამარხი № 5, ტაბ. XVIII, 9).

მოჩალისფროდ გამომწვარი სამფეხა ჯამების შესწავლას ჩვენში პირველად პროფ. გ. ნიორაძემ მოჰკიდა ხელი მდ. ალაზნის აუზში ჩატარებული გათხრების შემდეგ[126]. გარდა სამფეხა ჯამებისა ალაზნის ველზე აღმოჩნდა მთელი წყება ორიგინალური ფორმების მქონე ღია მოჩალისფრო და მოწითალო კერამიკისა, რომელსაც პარალელები სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ აზერბაიჯანში (იალოილუ-თეფეში) ეძებნება. ამიტომ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ასეთი სახის კერამიკას იალოილუთეფეს კერამიკა უწოდა, ხოლო კულტურას — იალოილუ-თეფეს კულტურა, რაც არ იყო მართებული, რადგან „ზემოხსენებულ ორ პუნქტში (იალოილუთეფესა და ალაზნის ველზე) აღმოჩენილი მასალები მთელი კულტურის მხოლოდ ერთ, შედარებით მოგვიანო ხანას ასახავდა. ახალ მასალებში კი, რომლებიც უპირატესად ალაზნის აუზიდან და შიდა ქვემო ქართლიდან მომდინარეობს, თავი იჩინა ამ კულტურის შედარებით ძველმა ფენებმა“[127]. ეს კულტურა მეცნიერებმა ქართველთა მონათესავე ტომებს—ჰერებს მიაკუთვნეს[128].

სამფეხა ჭურჭელი ჩვენში უკვე ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება (ქვაცხელა[129]), შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან ასეთი ჭურჭლები ჯერჯერობით არ არის ცნობილი. გვიან ბრინჯაოს ხანაში კი ვხვდებით სამთავროში[130], თბილისში[131], ჯულფაში[132], ქვემო სასირეთში[133], მინგიჩაურში[134], კასპში[135], სტალინირის ნაცარგორის III ფენაში[136], წინა აზიაში ცნობილია თეფე გიანზე[137] ძვ. წ. 2500—1800 წწ. მ. ბარამიძე მათი გავრცელების ცენტრად სწორედ წინა აზიას ხედავს, საი-

---

[123] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ.,1944, გვ. 101.

[124] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 201.

[125] ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

[126] გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940, გვ. 22, ტაბ. II, V, XIV.

[127] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, ტ. II, 1959, გვ.39, ტაბ. XII.

[128] ნ. ბერძენიშვილი, მიმომხილველი, ტ. III, რამდენიმე „სიტყვა ჰერების შესახებ“. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966, გვ. 24. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 271—273.

[129] ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, ურბნისი, თბ., 1962.

[130] სამარხი № 343, 101, 232, 306.

[131] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 193, ტაბ. XXVIII.

[132] საქართველოს მუზეუმის ფონდები 22—51/50.

[133] G. Nioradse. Der Verwahrfund von Kvemo Sasirethi, ESA VIII, 1930, გვ. 17

[134] Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959, стр. 85, XXII.

[135] მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა, ტ. IV. 1965, გვ. 40, ტაბ. II, 5.

[136] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, II, თბ., 1952, გვ. 239—277.

[137] I. Contenau et K. Ihirshaman. Foulles de Sialke pres der Kashan, od. II, Paris, 1939, გვ. 47—120.

დანაც ისინი გავრცელდნენ ამიერკავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანაში[138]. მოგვიანებით ეს ფორმა განსაკუთრებით კარგად აითვისეს ალაზნის ველის კულტურის მატარებელმა ტომებმა: ვარსიმაანთკარის, კამარახევის და სხვა ჯამებში მათი პროტოტიპები უნდა ვიგულოთ.

ვარსიმაანთკარში აღმოჩენილ ჭურჭელთა შორის ყურადღებას იქცევს წითლად გამომწვარი ერთადერთი, პირმოყრილი ჯამი, რომელიც დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან (ტაბ. XXI, 5).

პროფ. გ. ნიორაძე ასეთ ჯამებს ჭოთანთა ჯგუფს მიაკუთვნებს. მსგავსი ჯამები აღმოჩენილი იყო ალაზნის აუზში[139], მაგრამ ისინი ჩვენს მასალებთან უფრო შორეულ მსგავსებას ავლენენ. ვარსიმაანთკარის ჯამების შედარებით ახლო ანალოგები ცნობილია კამარახევის სამაროვნიდან[140]. იგი ღია-მოწითალო კეცის მქონე სამფეხა ჯამებთან ერთად, შემდგომ, საფუძვლად დაედო ერთ გარკვეულ კულტურას.

ს ა ს მ ი ს ე ბ ი თ უ კ ო ჭ ბ ე ბ ი. ვარსიმაანთკარის კერამიკულ მონაპოვარში ყურადღებას იქცევს პატარა ზომის, გაშლილპირიანი, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი (სამარხები №№ 1, 5, 6; ტაბ. XVIII, 6) სასმისები, რომელთა მსგავსი ნაკეთობა მრავლად გვხვდება კამარახევში[141], კახეთში, ალაზნის ველზე[142] და სხვა. ჭურჭლის ეს სახეობა გენეტიკურად უკავშირდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილ კოჭებებსა თუ სასმისებს.

სასმისების მეორე სახესხვაობაა სწორმუცლიანი ჭურჭლები (სამარხები №№ 13, 9). მათ აქვთ ოდნავ გაშლილი პირი, გამობურცული მუცელი, ბრტყელი ძირი. ერთ-ერთ მათგანს ორმაგი ძირი აქვს, რის გამოც იგი სასაკმეველედ მივიჩნიეთ. ასეთივე ტიპის სასმისები გვხვდება უფრო ადრეულ პერიოდში კასპის სამარხვანზე, სამთავროში და სხვა.

ქ ო თ ნ ე ბ ი. ჭოთნების უმეტესი ნაწილი ლეგად, ნაცრისფრად ან მოყავისფროდ არის გამომწვარი. თიხა ყველა შემთხვევაში მქისეა, ზოგი მათგანი ყურიანია, ზოგიც უყურო. ყველა მათგანს მრგვალი პირი აქვს, დაბალი ყელი, მრგვალად მოყვანილი მუცელი. ზოგ შემთხვევაში მუცელი კოპებითაა შემკული. ჭოთნებს შორის შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ შემდეგი ტიპები:

I ტ ი პ ი ქ ო თ ნ ე ბ ი ს ა გამოირჩევა ქიმიანი მუცლით და მაღალი ყურით, რომელიც მიძერწილია ქიმიან მუცელსა და პირზე (სამარხი № 1, №12).

II ტ ი პ ი ს ყ უ რ ი ა ნ ქ ო თ ნ ე ბ ს ახასიათებს ბრტყელი, დაბალი ყური, რომელიც მხარსა და პირზეა დაძერწილი. ამ ტიპში შემავალი ორივე ჭოთანი შემთხვევით არის იქვე სამაროვანზე მოპოვებული (იხ. ტაბ. XXII, 6).

III ტ ი პ ი ქ ო თ ნ ე ბ ი ს ა უ ყ უ რ ო ა, ერთი მათგანი შემთხვევითაა მონაპოვარი, მეორე № 16 სამარხშია აღმოჩენილი, გამოწვა არათანაბარია, კეცი ფენოვანია.

ამ ჭოთნების ქვეტიპია № 11 სამარხში აღმოჩენილი მოწითალოდ გამომწვარი ჭოთანი (ტაბ. XX, 8).

ჭოთნების ჯგუფში განცალკევებით დგას № 15 სამარხში აღმოჩენილი დიდი ქვაბ-ჭოთანი, რომელიც იმავე სამარხში აღმოჩენილ ხელადასთან ერთად, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე ჭურჭლის ცალკე ჯგუფს ქმნის. ამ ჭურჭლებში

---

138 მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

139 გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, სურ. 24.

140 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, ტაბ. XII, სურ. 6.

141 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, ტაბ. XIII.

142 გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—47.

აშკარად ჩანს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ტრადიციები, რომელიც წინ უსწრებს მეხუთე-მეექვსე საუკუნეებიდან ჩვენში შემოსულ ღია ფერის კერამიკას[143].

რკინის იარაღი. რკინის იარაღი და დანები თითქმის ყველა სამარხშია აღმოჩენილი, გვხვდება ამავე სამაროვნის ტერიტორიაზე შემთხვევით მონაპოვარი იარაღიც.

შუბი და ხელშუბისპირი, 7 ცალია; ყველა მათგანი ზომით განსხვავდება ერთიმეორისაგან. მათ შორის ძირითადად სამი ტიპის გარჩევა შეიძლება:

I ტიპი, მასრაგახსნილი, მაღალქედიანი ფოთლისებური მოყვანილობის, ხელშუბისპირი (ინვ. № 508, ტაბ. XVIII, 8).

II ტიპი, მეტად გრძელმასრიანი და მოკლეპირიანია; მას აქვს გაშლილი და სწორი ფრთები (ინვ. № 478, ტაბ. XXIII, 4).

მსგავსი შუბისპირები ცნობილია წინწყაროს და თაქ-ქილისას ადრერკინის ხანის ქვაყუთებიდან[144], ლუგოვოს სამაროვნიდან: პროტოტიპი — ქვემო გოსტიბეში. ქვემო გოსტიბეში იგი აღმოჩენილია კახური ტიპის ბრინჯაოს სატევართან და კოლხურ ცულთან ერთად[145].

გრძელმასრიანი ხელშუბისპირები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეცაა ცნობილი სოფ. ღრმაღელედან[146]. მაგრამ მათ პირის მოყვანილობა სხვაგვარი აქვთ. ფაქტია, რომ აღნიშნულ შუბისპირს თავის პროტოტიპები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა შორის მოეძებნება და პარალელურ მასალებს ისევ ქვემო ქართლისა და შიდა ქართლისაკენ მივყავართ. აღნიშნული შუბისპირი ვარსიმაანთკარის სამაროვანზე შემთხვევით არის მოპოვებული.

დანარჩენი ხუთი შუბისპირი თითქმის ერთი ფორმისაა, გამონაკლისია მხოლოდ ერთი (№ 532), რომელსაც აქვს სწორი ფრთები, ნაკლებად გამოხატული ქედი და მასრისა და ფრთების შეერთების ადგილზე სამი ჰდეული ხაზი, თუმც ზოგიერთი განსხვავებული ნიშან-თვისება ახასიათებს დანარჩენ ოთხ შუბისპირსაც.

ასეთი სახის შუბისპირები ცნობილია სამთავროსა[147] და ბეშთაშენის სამაროვნიდან[148]. მათი ფორმა შუაბრინჯაოს ხანის შუბისპირებიდან უნდა მომდინარეობდეს.

რკინის ისრისპირები მცირე რაოდენობით შემორჩა, მაგრამ ისინი უმთავრესად ბოლოსაკენ შესქელებული, კვეთში ოთხკუთხა უფრთო ისრისპირებია (სამარხები № 3, 8, ტაბ. XIX, 4), მათაც პროტოტიპები გვიანბრინჯაოს ხანაში მოეძებნებათ[149].

---

[143] საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვარსიმაანთკარის ჭოთნებს საგრძნობი კავშირი აქვს უფრო ადრეული ხანის ზემოავჭალის სამაროვნის ჰურჭლებთან. იხ. დ. ქორიძე, ერთი ქვაყუთის სამარხეული ინვენტარი ზემოავჭალიდან. მუზეუმის მოამბე, ტ. XI, 1956, გვ. 215—225.

[144] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 305, таб. XXXV.

[145] ტ. ჩუბინიშვილი, გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, 1950, გვ. 10, სურ. 1.

[146] დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, 1950, ტაბ. XV.

[147] სამთავროს სამაროვანი, № 50 ორმოსამარხის ინვენტარი.

[148] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 67, ტაბ. XII.

[149] იქვე, გვ. 325, ტაბ. XIV.

ამგვარად, კერამიკა ვარსიმაანთკარის სამაროვანზე ახალი ფორმის და კეცის მქონე ჭურჭლებითაა წარმოდგენილი, რკინის იარაღი კი — ძველ ფორმებს აგრძელებს და გენეტიურად უკავშირდება გვიანბრინჯაოს ხანის მასალებს.

სამაროვანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი ისრისპირი (ტაბ. XXII,2). ერთი მათგანი სამწახნაგაა, ფრთებდაშვებული, მოკლე, მრგვალმასრიანი და გრძელდეზიანი; მესამე ისრისპირს ფრთები დაფნის ფოთლის მაგვარად მომრგვალებული აქვს და დეზს რკალის მოყვანილობა აქვს. ე. წ. სკვითური ისრისპირების ეს ტიპები ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ სამყაროში.

განსაკუთრებით საინტერესოა დაფნის ფოთლისებრი ფრთიანი და კაუჭიანი ისრისპირი. პ. რაუ მსგავს ისრისპირებს ყუბანისპირეთისა და ვოლგისპირეთის არქაული სახის ისრისპირების ჯგუფს მიაკუთვნებს და ძვ. წ. VII—VI სს. ათარიღებს (იშვიათად ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისშიც გვხვდება[150]). ისრისპირების ეს სახე უფრო ხშირია წინა აზიასა და ამიერკავკასიაში. ასეთი სახის ისრისპირები აღმოჩენილია სამთავროში (ფ. ბაიერნის გათხრები), დვანის ნეკროპოლზე კარმირბლურში და სხვ.

შავიზღვისპირეთში ანალოგიური ისრისპირები ყველაზე ადრეულ სკვითურ სამარხებშია დადასტურებული.

ამგვარად, აღნიშნული ისრისპირი ძვ. წ. V საუკუნეზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება მერცხლის კუდისბოლოიან ისრისპირს, იგი, სმირნოვის მიერ შეთავაზებული სქემის მიხედვით, ასევე ძვ. წ. V საუკუნეზე უფრო გვიანდელი არ ჩანს[151].

დ ა ნ ი ს პ ი რ ე ბ ი (8 ც), მათ შორის ზოგიერთი შემთხვევითი მონაპოვარია. ისე როგორც შუბისპირები, დანებიც განსხვავებული ზომისაა, დაწყებული 9 სმ-დან 30 სმ-მდე. ყველა მათგანი ცალპირლესილია, წელში მოხრილი, ტარი არც ერთ მათგანს არ შემორჩენია, მაგრამ შემორჩათ მანჭვლები, ორი ან სამი. სატარე ნაწილი ზოგს საგანგებოდ აქვს გამოყვანილი; დანისპირები შეიძლება განვასხვავოთ ზომებით—პატარა, საშუალო და დიდი; ტარების მიხედვით — გამოყვანილტარიანი, გაფართოებულტარიანი, პირთან თანაბარი სიფართის ტარიანი.

დანების ერთი ნაწილი შუაშია საგანგებოდ გადაღუნული. პატარა დანებს არც სამეურნეო და არც საომარი დანიშნულება არ უნდა ჰქონდეთ. ისინი პირადი მოხმარების საგნები უნდა ყოფილიყვნენ.

დიდი ზომის დანებს კი, შესაძლოა, სამეურნეო დანიშნულება ჰქონდათ ან საომრადაც გამოეყენებინათ. დანების გავრცელების როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული ამპლიტუდა მეტად დიდია. მისი პროტოტიპები სასხლავი ნამგლების სახით ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზეა აღმოჩენილი (ბაკურციხე[152]). ძვ. წ. VII საუკუნიდან მოკიდებული კი იგი დღევანდელ საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება: ეშერში[153], დაბლაგომში[154],

---

150 P. Rau, Die Graber der frühen Eisenzeit im Unteren Wolgegebeit, Pohroush. 1929.

151 К. Ф. Смирнов, Вооружение савроматов, М., 1960, стр. 115.

152 ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, 1949, გვ. 84.

153 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 4.

154 დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 37.

ბრილში[155], ჩხოროწყუში[156], კამარახევში[157], თეთრწყაროში[158], მანგლისში[159], თრიალეთში — ბეშთაშენის სამაროვანზე[160], სომხეთის ტერიტორიაზე[161], ჩრდილო კავკასიაში (ყობანი, რუთხა[162]), სამხრეთ რუსეთის ველებზე[163] (სკვითური ხანის ყორღანში), შავიზღვისპირეთის ჩრდილო სანაპიროზე [164].

ბ. კუფტინი ეშერის სამაროვანზე აღმოჩენილ რკინის ნამგლის მოყვანილობის იარაღს მევენახეობას უკავშირებს[165]. მაგრამ მათი აღმოჩენა მევენახეობისათვის არახელსაყრელ რაიონებში, საკითხს სხვაგვარად აყენებს. როგორც ა. ბოხოჩაძე აღნიშნავს, მათი დანიშნულება და სამეურნეო ფუნქცია სხვადასხვა რაიონში განსხვავებული უნდა ყოფილიყო. დანა უკვე დანიშნულების მიხედვით დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით მოგვიანო ხანაში. მაგ., ვარსიმაანთკარის სამაროვანზე მოპოვებული დანები მკვეთრად განსხვავებული ზომისაა; სავარაუდებელია, რომ ამ სხვადასხვა ზომის დანებს განსხვავებული დანიშნულებაც ჰქონდათ. შესაძლოა, ეს იარაღი მესაქონლეობასაც უკავშირდებოდა, ან კიდევ, ყოველდღიური სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა. დიდი ზომის დანები მიჩნეულია საომარ იარაღად. მაგ., ყაზბეგში მოძეულ ერთ-ერთ ქანდაკებაზე ადამიანი დიდი მოხრილი დანით ყელს ჭრის მეორე ადამიანს. ვარსიმაანთკარის ერთ-ერთ სამარხში ჩონჩხს ამოვაცალეთ წვეტიანი დანის პირის ნატეხი, რომელიც ჩამტვრეული ჩანს ადამიანის სხეულში. აღსანიშნავია, რომ დანებს მხოლოდ მამაკაცის სამარხებში ვხვდებით.

საბრძოლო იარაღის განზრახ დაზიანება სამარხში ჩატანების წინ, დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული, ან კიდევ, იმ მიზნით, რომ იარაღის შოვნით დაინტერესებულ უცხო პირს იგი სამარხიდან არ ამოეღო. შუბების ჩარჭობა მიწაში და წვერის მოღუნვა, შესაძლოა, ასევე დაკრძალვის რიტუალთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით ჩიტახევის I ათასწლეულის I ნახევრის სამაროვანზე[166].

კამარახევის სამაროვნის მაგალითით თუ ვიძსჯელებთ, რკინის მცირე ზომის მოხრილი დანები უფრო გვიანდელი ხანისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. რაც შეეხება მათ წარმომავლობას, რ. აბრამიშვილი თვლის, რომ რკინის

---

155 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 193.

156 Н. В. Хоштария, Чхороцку, Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселения, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1941, ნაკვ. II, გვ. 80.

157 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, ტაბ. VIII, 3, გვ. 24, ტაბ. X, 3; ტაბ. XIV, 4.

158 ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად, მსკა, III, 1963, გვ. 36.

159 მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის ნეკროპოლი, ჩვენი მეცნიერება, № 1(19), ტბ., 1924, გვ. 82—87.

160 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 45.

161 А. М. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, 1964, таб. XXX, стр. 213—214.

162 Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, стр. 224, 286.

163 А. А. Бобринский, Курганы и случайные находки из местечка Смелы, т. I, 1887.

164 В. Д. Блаватский, Раскопки Пантикапея, КСИИМК, 1947, XXXVII, стр. 214, рис. 71.

165 ა. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

166 ო. ღამბაშიძე, ჩიტახევის სამაროვანი, ხელნაწერი.

ფართო ათვისების II საფეხურზე რკინის იარაღი ძირითად შემთხვევებში აღარ იმეორებს ადგილობრივი ბრინჯაოს ნივთების ფორმებს; ეს გარემოება რკინის ბრინჯაოსაგან განსხვავებული თვისებებით და განსხვავებული დამუშავების წესით აიხსნება, ამიტომ რკინის იარაღების ფორმის შეცვლა დამახასიათებელი მოვლენაა. მიუხედავად ამისა, დასაშვებია, რომ ზოგიერთი რკინის იარაღი სხვა ქვეყნების ნივთების ფორმის მიბაძვით არის დამზადებული. ასეთებად მას მიაჩნია ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ძეგლებისათვის დამახასიათებელი რკინის მოხრილი დანები. რ. აბრამიშვილი თუშბაში და თეიშებაინში მათი მრავალრიცხოვანი აღმოჩენის საფუძველზე თვლის, რომ აღნიშნული ტიპის იარაღი გავრცელდა ვანის სამეფოდან[167].

სამკაულები. ვარსიმაანთკარის სამაროვანზე სამკაულები უმთავრესად ლითონის სამაჯურების, საყურე რგოლებისა და მძივების სახით არის წარმოდგენილი. საკინძი მხოლოდ ერთია აღმოჩენილი (სამარხი № 4): ბრტყელღეროიანი, თავმსხვილი ბრინჯაოს რგოლითურთ. ერთი ცალი რომბის მოყვანილობის ბრინჯაოს კილიტია, რომლის პროტოტიპები ბაზალეთის ტბის რაიონში აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეულ ინვენტარში გვხვდება[168].

სამკაულებს შორის პირველ რიგში განვიხილავთ სამაჯურებს. სამარხეულ კომპლექსებში სამაჯურების რამდენიმე სახესხვაობა გვხვდება; ზოგიერთი მათგანი რკინისაა, ზოგიც — ბრინჯაოსი. ერთი ოვალური მოყვანილობის ბრინჯაოს თავშეკრულ რგოლს წარმოადგენს (ტაბ. XXIII, 1), ორ სამაჯურს დაკეჭნილი ზურგი ჰქონია და ოვალური მოყვანილობის რკალი (ტაბ. XIX, 6). ზურგდაკეჭნილ სამაჯურებს პარალელები მოეძებნება კამარახევის სამაროვანზე[169], სამთავროში[170]. პროტოტიპებს მინგეჩაურის ბრინჯაოს ხანის სამარხებშიც ეხვდებით[171].

ბრინჯაოს სამაჯურების მეორე სახეობას ახასიათებს შეზნექილი რკალი და ბურთულა თავები (ტაბ. XX, 3). ბურთულათავიანი სამაჯურები აღმოჩენილია დაბლა გომის ქვევრსამარხებში[172], ეშერის ანტიკური ხანის სამარხებში[173]; სოფელ სანთასთან, თრიალეთში[174], კამარახევის სამაროვანზე[175], ყაზბეგის სახლმუზეუმის ეზოში აღმოჩენილ სამარხებში[176]. ბ. კუფტინი ამ სახის სამაჯურებს გვიან აქემენიდური ხანით ათარიღებს[177], ყაზბეგის აღმოჩენების საფუძველზე იგი ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება.

საყურე თუ სასაფეთქლე რგოლები, 4 ცალი. ყველა ვერც-

---

[167] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XVI—VIII), მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, გვ. 369—370.

[168] სამარხეული კომპლექსი დაცულია დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[169] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, ტაბ. IX, 2.

[170] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს., მსკა, ტ. III, თბ., 1963, გვ. 147.

[171] Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. Ш. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959, т. XX.

[172] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 1950, с. 42, табл. 12.

[173] Б. А. Куфтин, Указ. соч., т. I, стр. 38—39, рис. 19.

[174] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 31, рис. 33.

[175] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, სურ. 2.

[176] ლ. წითლანაძე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, ხელნაწერი.

[177] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, იქვე.

ხლისა უნდა იყოს ან ანთიმონიანი ბრინჯაოსი. ზოგს ბოლო გახვრეტილი აქვს, ზოგიერთს თავები ერთმანეთზე ორნავ გადაუდის (ტაბ. XX, 6).

ასეთი მოყვანილობის რგოლები, ანუ მარტივი ფორმის საყურეები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე, ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის მთელს მანძილზე. ახ. წ. I—III საუკუნეებში ეს საყურეები იშვიათ მოვლენას წარმოადგენს და მხოლოდ ქვის სამარხებში გვხვდება[178].

ანალოგიური საყურეები ცნობილია დიდუბიდან[179], წყნეთიდან[180], კამარახევიდან[181], ზემოავჭალიდან[182] და სხვა.

მ ძ ი ვ ე ბ ი. ვარსიმაანთკარის სამაროვნის სამარხები მძივების დიდი ასორტიმენტით არ გამოირჩევა. სულ 24 ცალია. მათ შორისაა ქვის, მინისა და მინისებური პასტის მძივები. ქვის მძივები სამი სარდიონის მძივითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი შედარებით მსხვილია, ფართო საძაფე ნახვრეტით; მეორე შუაბრინჯაოს ხანის გახლეჩილ (ნაპობ) მძივებს მოგვაგონებს: მესამე აქატის მცირე ზომის მძივია.

პასტის მძივები გულის მოყვანილობისაა (ყვითელი და ლაჟვარდისფერი, 8 ცალი). ამ მძივებს პარალელები მოეძებნებათ კამარახევის სამაროვანზე[183], თეთრწყაროში[184], აბელიანში[185] (სადაც 8 ც. ცილინდრული ფორმის თეთრი პასტით ინკუსტრირებული ლურჯი მძივია). ასეთი მძივები ცნობილია თრიალეთიდან[186], გარდა ამისა, რამდენიმე მინის მძივია ბიკონუსური ფორმის, თავ-ბოლოშებრტყელებული და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ ვარსიმაანთკარის სამაროვანზე მოპოვებული კომპლექსების შედგენილობას, დავინახავთ, რომ სამარხეულ მასალებში საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი ისეთი საგნები, რაც აქემენიდური ხანის კულტურის ძეგლებს ახასიათებს ცენტრალურსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მაგ., რკალშედრეკილი სამაჯურები, მოხატული კერამიკა, ლითონის ფიალის ტიპის ჭურჭლის მიბაძვით დამზადებული ჯამები და სხვა.

ამავე დროს სამაროვანზე კარგად ჩანს ადგილობრივი ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ტრადიციების გაგრძელება. ეს შეინიშნება როგორც კერამიკაში (მაგ., № 15 სამარხი), ისე რკინის იარაღში,— შუბისპირების, ხელშუბისპირების ფორმებში, რაც ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული არ შეცვლილა.

თ ა რ ი ღ ი ს ა თ ვ ი ს[187]. ამგვარად, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხები ყველა ერთდროულია, ერთ დონეზეა განლაგებული, გამონაკ-

---

[178] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, ძვ. წ. III—I ს., მსკა, ტ. III, 1963, გვ. 149—150.

[179] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1958, გვ. 51, 16 (7).

[180] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31, სურ. 10.

[181] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, სურ. 11.

[182] დ. ქ ო რ ი ძ ე, ერთი ქვაყუთის ინვენტარი ზემოავჭალიდან, გვ. 223.

[183] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 35.

[184] ა. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III.

[185] იქვე

[186] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 245, ტაბ. VI.

[187] ვარსიმაანთკარის სამაროვანი განფენილია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ჩვენ 1972 წელს მოგვიხერხდა ამ სამაროვნის მხოლოდ მცირე ნაწილის გათხრა. ძეგლი ავარიულია და მისი შესწავლა უახლოეს მომავალში აუცილებელია. რა თქმა უნდა, იმ 16 სამარხის მიხედვით, რომელიც შევისწავლეთ, ძეგლის საბოლოო თარიღის დადგენა ძალზე გაჭირდება.

ლისია № 15 სამარხი, რომელიც შავად და ლეგად გამომწვარი და გაპრიალებული კერამიკისაა და დეზიანი ისრისპირების საფუძველზე უფრო ადრეულად გამოიყურება; რაც შეეხება სამარხების ძირითად ჯგუფს, მათი პარალელური მასალები (ქვემო და შიდა ქართლის) ძვ. წ. V—IV საუკუნეებით არის დათარიღებული. წითლად მოხატული მსხლისებრი მუცლიანი ჭურჭელი, ღია ფერის კერამიკა, სამფეხა ჯამები, ფიალის ფორმის ჯამები და სხვა ამ სამაროვანს ე. წ. აქემენიდური პერიოდის ძეგლთა ჯგუფში აყენებს. ბოლოებზე ნახვრეტიანი საყურეები თუ მცირე სასაფეთქლე რგოლები გვხვდება სამთავროს ქვევრსამარხის მასალათა შორის და რამდენადმე აახალგაზრდავებს სამაროვანს. მაგრამ ძირითადად სამაროვანი ძვ. წ. V—IV საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

Л. Г. ЦИТЛАНАДЗЕ

МОГИЛЬНИК В с. ВАРСИМААНТ-КАРИ

Р е з ю м е

Табл. XI—XXIII

В 1972 году один из отрядов Жинвальской археологической экспедиции работал близ Душети, в селе Варсимаант-кари, где на склонах горы Варсимаант-кедеби был расчищен полуразрушенный могильник (участок VI).

Всего было раскопано 16 грунтовых погребений. Костяки лежали с согнутыми конечностями на правом боку, головой на юг. Во всех погребениях оказался сопровождающий инвентарь: глиняная посуда (кувшины, горшки, мисочки, баночки). Из них 17 были красного или красно-желтого обжига, остальные—серого или темнокоричневого. Нужно отметить разрисованный красной краской кувшинчик желтого обжига и мисочку на трех ножках, имеющие аналоги в раннеантичных памятниках Восточной Грузии (Камара-хеви, Асурети).

В погребальном инвентаре много железных наконечников копий, наконечников стрел и ножей. В одном из погребений (15) оказались бронзовые наконечники стрел скифского типа.

Браслеты из железа и бронзы, височные кольца и бусы вместе с остальным инвентарем позволяют датировать могильник в Варсимаант-кари V—IV вв. до н. э.

გ. ინანიშვილი, თ. საყვარელიძე

სოფ. ვარსიმაანთკარის სამაროვნის რკინის ნივთების ტექნოლოგიური გამოკვლევა

შესწავლილ იქნა 1972 წელს ვარსიმაანთკარის სამაროვანზე მოპოვებული რკინის ინვენტარი. ტექნოლოგიურ კვლევას დაექვემდებარა საომარი და სამეურნეო დანიშნულების ნივთები, სამკაული და სხვა. ესენია: შუბისპირები, სატევრები, ისრისპირები, დანები, სამაჯურები, საკინძები და სხვა. აღნიშნული რკინის ნივთების შემცველი სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. V—IV საუკუნეებით.

დ ა ნ ა (09-VI-72-507), ტაბ. XXIV, 1 მჭრელი პირის მიკროსტრუქტურაზე ჩანს დიდი ზომის ფერიტის მარცვლები, რომელთა ზღუდეებში გამოყოფილია ცემენტიტის ბადე და ცალკეული მარცვლები (ტაბ. XXVII, 1). დანა გამოჭედილია საშუალო სისალის ფოლადისაგან და ცემენტიტის განლაგება და რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ დანას ჩატარებული აქვს სპეციალური თერმული დამუშავება (კრიტიკულ ტემპერატურაზე დიდი ხნით დაყოვნებით), რამაც გამოიწვია აღნიშნული სტრუქტურის წარმოქმნა. დანა გამოჭედილია მარტივი თავისუფალი ჭედვით.

დანა (09-VI-72-549), ტაბ. XXIV, 2. შესწავლილია დანის პირის მიკროსტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია პერლიტის დიდი მარცვლები. შეიმჩნევა ფერიტისა და პერლიტის ვიდმანშტეტური ორიენტაცია (ტაბ. XXVI, 2). ნახშირბადის შემცველობა ლითონში დაახლოებით 0,5%-ია. სტრუქტურული დახასიათება მოწმობს, რომ ლითონი გადახურებულია ჭედვის დროს. ნივთი გამოჭედილია საკმაოდ უხეშად და მის დასამზადებლად გამოყენებულია მარტივი თავისუფალი ჭედვის ხერხები.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი (09-VI-72-519), ტაბ. XXIV, 3. შესწავლილ იქნა მიკროსტრუქტურა როგორც მჭრელ პირზე, ისე მასრაზე. ორივე მიკროსტრუქტურა დაახლოებით იდენტურია და წარმოდგენილია ფერიტისა და პერლიტის საშუალო ზომის მარცვლებით; ნახშირბადის შემცველობა 0,3%-ია (ტაბ. XXVI, 3). შეიმჩნევა სტრუქტურული მდგენელების ვიდმანშტეტური ორიენტაცია, რაც შედეგია ჭედვის დროს ხურების რეჟიმის დარღვევისა (გადახურებულია). შუბისპირის გამოსაჭედად გამოყენებულია რთული ჭედვა. მასრა და საკმაოდ მაღალი სამაგრის წიბო გამოყვანილია სპეციალური სამარჯვების გამოყენებით. ნივთის გარეგნული პროპორციები და დახვეწილი ფორმა მიგვითითებს სამჭედლო საქმის დაწინაურებაზე.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-532 (ტაბ. XXIV, 4). შუბისპირის პირზე და მასრაზე შესწავლილი მიკროსტრუქტურა წარმოადგენს წვრილმარცვლოვან ფერიტსა და პერლიტს. ნახშირბადის შემცველობა ფოლადში სტრუქტუ-

რის მიხედვით 0,4%-ია. ირკვევა, რომ ჭედვის პროცესი დამთავრებულია შესაბამის ტემპერატურაზე (ტაბ. XXVI, 4) და სპეციალური თერმული დამუშავების გარეშე მიღწეულია ამ ტიპის ფოლადისათვის მაგარი და მაღალი მექანიკური თვისებები (ნორმალიზაცია). შუბისპირის მასრა და მცირე ზომის წიბო გამოჭედილია სამაგრების დახმარებით.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-499 (ტაბ. XXIV, 5). ნივთი ხასიათდება პროპორციული ფორმებით; პირი ქედიანია, მასრაგახსნილი, მიკროსტრუქტურა შესწავლილია პირზე და მასრაზე. მასრაზე წარმოდგენილია ფერიტი მცირე ცემენტიტის გამონაყოფით. მჭრელი პირის მიკროსტრუქტურა შედგება იგივე მდგენელებისაგან, მაგრამ აქ საგრძნობლად მატულობს ცემენტიტის რაოდენობა და, მასთან ერთად, ნახშირბადის შემცველობაც ლითონში (ტაბ. XXVI, 5). აღნიშნული სტრუქტურა მიღებულია სპეციალური თერმული დამუშავების შედეგად. შუბისპირის გამოსაჭედად გამოყენებულია რთული ჭედვა.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-550 (ტაბ. XXIV, 6). მიკროსტრუქტურა შესწავლილ იქნა მასრაზე და მჭრელ პირზე. ორივე შემთხვევაში იგი ერთნაირია და წარმოდგენილია ფერიტისა და პერლიტის ცვალებადი ზომის მარცვლებით. ნახშირბადის განაწილება კვეთში არათანაბარია და მისი შემცველობა შესაბამისად 0,2-0,5%-ის ზღვრებშია (ტაბ. XXVI, 6). ლითონი ჭედვისას ოდნავ გადახურებულია. შუბისპირი გამოჭედილია რთული ჭედვით.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-478 (ტაბ. XXIV, 7). მასრაზე და მჭრელ პირზე მიკროსტრუქტურა წარმოადგენს მსხვილმარცვლოვან ფერიტს. ნივთი გამოჭედილია შენადნობი რკინისაგან. თერმული დამუშავების შესაძლებლობა გამორიცხულია. ნივთის გამოსაჭედად გამოყენებულია სპეციალური სამარჯვები.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-567 (ტაბ. XXIV, 8). ნივთი დამზადებულია შენადნობი რკინისაგან. მიკროსტრუქტურა წარმოადგენს ფერიტს საშუალო ზომის მარცვლებით, სადაც დიდი რაოდენობით გვხვდება წიდის ჩანართები (ტაბ. XXVII, 1). ლითონი ცუდადაა დაწმენდილი, რაც მიგვითითებს ჭედვის პროცესის სწრაფ მიმდინარეობაზე (მცირე დროის განმავლობაში), როდესაც ლითონი კარგად არ სუფთავდება არალითონური ჩანართებისაგან. შუბისპირის ფრთები საკმაოდ თხელია და წარმოდგენილია შესუსტებული კვეთით, თუმცა ამ შემთხვევაში შუბისპირს მაღალ მექანიკურ თვისებებს უნარჩუნებს მკვეთრად გამოყვანილი მაღალი ქედი. ამ შემთხვევაშიც ნივთი დამზადებულია რთული ჭედვით (სამარჯვების დახმარებით).

დ ა ნ ა, 09-VI-72-501 (ტაბ. XXV, 1). შესწავლილია დანის პირის მიკროსტრუქტურა. იგი წარმოდგენილია ფერიტისა და პერლიტის მცირე ზომის მარცვლებით (ტაბ. XXVII, 2). ნახშირბადის შემცველობა ლითონში 0,3%-ია. შეიმჩნევა პერლიტისა და ფერიტის ზონობრივი განლაგება, რომელიც ემთხვევა ჭედვის მიმართულებას. ჭედვა დამთავრებულია შედარებით დაბალ ტემპერატურაზე. დანა მიღებულია მარტივი ჭედვით.

შ უ ბ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-478 (ტაბ. XXV, 2). შესწავლილია მიკროსტრუქტურა მჭრელ პირზე, სადაც გვაქვს ფერიტის ფონზე გამოყოფილი ცემენტიტის წყვეტილი ბადე და ცალკეული კოაგულირებული მარცვლები (ტაბ. XXVII, 3). ჩატარებულია არასრული თერმული დამუშავების პროცესი — კრიტიკულ ტემპერატურაზე დაყოვნებით, ვინაიდან არაა მიღწეული ცემენტიტის ბადის მთლიანი დაშლა და სრული კოაგულაცია. მიუხედავად ამისა,

მიღებული სტრუქტურა განაპირობებდა საკმაოდ მაღალი მექანიკური თვისებების მინიჭებას ნივთისათვის.

დ ა ნ ა, 09-VI-72-480 (ტაბ. XXV, 4). მიკროსტრუქტურა შესწავლილია სატარე ნაწილზე და მჭრელ პირზე. დანა გამოჭედილია საშუალო სისალის ფოლადისაგან. მიკროსტრუქტურა წარმოადგენს ვიდმანშტეტური ორიენტაციის ფერიტსა და პერლიტს. ნახშირბადის შემცველობა 0,4—0,5%-ის ზღვრებში იცვლება (ტაბ. XXVII, 4). საგრძნობია გადახურების როლი მიღებული სტრუქტურის წარმოქმნაში, რომელიც შემდეგ დიდი სიჩქარითაა გაცივებული.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი, 09—VI-72-563 (ტაბ. XXV, 3). ნივთი გამოჭედილი უნდა იყოს მარტივი ჭედვით. დარჩენილია ნატეხი, რომლის მიხედვითაც ნახშირბადის შემცველობა ლითონში 0,1—0,15%-ია.

ი ს რ ი ს პ ი რ ი, 09-VI-72-513 (ტაბ. XXV, 5). ნივთი გამოჭედილია დაბალნახშირბადიანი ფოლადისაგან. მიკროსტრუქტურა ხასიათდება ნახშირბადის არათანაბარი განაწილებით და წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი ფერიტითა და პერლიტით (ტაბ. XXVII, 5). ისრისპირის დასამზადებლად გამოყენებულია თავისუფალი ჭედვა.

ს ა მ ა ჯ უ რ ი, 09-VI-72-479 (ტაბ. XXV, 6). ნივთი დამზადებულია დაბალი სისალის ფოლადისაგან. მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი ფერიტითა და პერლიტით (ტაბ. XXVII, 6). სამაჯური დამზადებულია ცხელი თავისუფალი ჭედვით.

ს ა კ ი დ ი, 09-VI-72-521 (ტაბ. XXV, 7). ნივთი გამოჭედილია უშუალოდ ქურაში მიღებული დაბალი სისალის ფოლადისაგან. მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი ფერიტით (ტაბ. XXVII, 7). განივკვეთის ზოგიერთი ნაწილის მიკროსტრუქტურა სუფთა რკინის სურათს გვაძლევს, სადაც შეიმჩნევა მცირე რაოდენობით პერლიტის მარცვლები. ნივთი გამოჭედილია მარტივი ჭედვით.

ს ა მ ა ჯ უ რ ი, 09-VI-72-737 (ტაბ. XXV, 8). ნივთი დამზადებულია დაბალნახშირბადიანი (0,2%) ფოლადისაგან. მიკროსტრუქტურაზე წარმოდგენილია ვიდმენშტეტური ორიენტაციის ფერიტი და პერლიტი (ტაბ. XXVII, 8). სამაჯურის ტანი გამოჭედილია თავისუფალი ჭედვით, ხოლო მასზე გაკეთებული ამობურცული სახე გამოყვანილია სპეციალური სამარჯვების დაიმარებით.

ს ა კ ი დ ი, 09-VI-72-521 (ტაბ. XXV, 9). შესწავლილი მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია სუფთა რკინისათვის დამახასიათებელი საშუალო ზომის ფერიტის მარცვლებით. იგი რამდენადმე ანალოგიურია საკიდი № 521-ის. ნივთი დამზადებულია მარტივი ჭედვით.

ამგვარად, კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ვარსიმაანთკარის სამაროვნის რკინის მასალა საკმაოდ ფართო შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული რაიონის რკინის წარმოების დასახასიათებლად. ამავე პერიოდის საქართველოს სხვა რაიონებიდან მოპოვებული არქეოლოგიური რკინის მასალის კვლევის შედეგების შედარება (ბრილის სამაროვნის რკინის მასალა, ლარილარის სამაროვნის რკინის მასალა) შესწავლილი რკინის ნივთების კვლევის შედეგებთან გვიჩვენებს, რომ მათი დამზადების ტექნოლოგია ძირითადად ერთმანეთის ანალოგიურია, თუმცა რამდენადმე შეინიშნება ვარსიმაანთკარის რკინის ნივთების დამზადების თავისებურება, გამოყენებული თერმული დამუშავების ხერხების მარტივი ხასიათი და სხვა.

ამდენად, ვარსიმაანთკარის სამაროვნის რკინის ნივთების ტექნოლოგიური კვლევის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. შესწავლილი ნივთები დამზადებულია ცივსაბერ ჭურაში მიღებული შენადული რკინისაგან და დაბალი ან საშუალო სისალის ფოლადისაგან;

2. ნივთების დანიშნულება და მათი სიმრავლე გვიჩვენებს, რომ რკინის წარმოება ამ რაიონში ძვ. წ. V—IV სს. ფართოდაა გავრცელებული. რკინა გამოიყენება არა მარტო საომარი და სამეურნეო დანიშნულების იარაღის გამოსაჭედად, მისგან მზადდება სამკაულიც;

3. საკმაოდ მაღალ დონეზეა სამჭედლო საქმე. ჩამოყალიბებულია სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ტიპური ფორმები; ბევრი მათგანი გამოირჩევა ზუსტი და ლამაზი პროპორციებით. მჭედელი იცნობს რთული ჭედვის ხერხებს და საჭიროებისდა მიხედვით იყენებს მას;

4. საომარი დანიშნულების ნივთების დასამზადებლად გამოყენებულია შედარებით დაბალნახშირბადიანი ფოლადი, ვიდრე ეს უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის იარაღს. ნაკლებადაა ცნობილი თერმული დამუშავების ისეთი ხერხები, როგორიცაა: წრთობა, მოშვება, მოწვა და სხვა. დადასტურებულია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ნივთის დასამზადებლად გამოყენებულია სპეციალური თერმული დამუშავება პერლიტური ცემენტიტის დაშლისა და მისი კოაგულაციის მიზნით, რითაც საგრძნობლად გაზრდილია ფოლადის პლასტიკურობა და გაუმჯობესებულია ტექნოლოგია;

5. აღნიშნული მასალის ხარისხის შესწავლისას, ისე როგორც ამავე პერიოდის სხვა რკინის ნივთების კვლევისას, შეინიშნება დაბალი სისალის ფოლადისა და, ხშირად, შენადული რკინის გამოყენება საომარი და სამეურნეო დანიშნულების ნივთების დასამზადებლად. ეს მოვლენა დაკავშირებული უნდა იყოს ამ პერიოდში რკინის წარმოების მასშტაბების ზრდასთან, რამაც გამოიწვია დაბალი ხარისხის ლითონის გამოყენების აუცილებლობა.

Г. В. ИНАНИШВИЛИ, Т. Н. САКВАРЕЛИДЗЕ

ТЕХНОЛОГИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЖЕЛЕЗНЫХ ИЗДЕЛИЙ ИЗ МОГИЛЬНИКА с. ВАРСИМААНТ-КАРИ

Резюме

Табл. XXIV—XXVII

В работе даны результаты исследования археологических железных изделий из могильника Варсимаант-кари, датированных V—VI вв. до н. э.

Установлено, что железные предметы изготовлены из сварочного железа и стали с различным содержанием углерода. Технология изготовления исследованных изделий свидетельствует о наличии развитого кузнечного ремесла и характеризуется применением специальных приспособлений для сложной ковки, кузнечной сварки, штамповки и т. д.

Разнообразие, количество и качество изделий указывают на высокий уровень металлургии железа и его обработки у племен, обитавших в районе указанного могильника.

რ. რამიშვილი

ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971—1973 წწ. განათხარის მიხედვით

ახალი ჟინვალი[1] მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, სოფ. ქვემო არანისსა და სოფ. ბიჩნიგაურებს შორის, ვრცელ, დამრეც ვაკობზე (არაგვის III ტერასა), რომელსაც შუაზე ჩამოუდის თიხნარებში ჩაჭრილი საკმაოდ ღრმა ცერცვაანთ ხევი. ამჟამად ხევის წყლის გასატარებლად კეთდება დიდი დახურული კოლექტორი, იმ ვარაუდით, რომ ძველი ხევის კალაპოტი მიწით ამოივსოს. ისტორიული ძეგლები აღმოჩენილია ამ ხევის ორივე მხარეს, მაგრამ განსაკუთრებით უხვად მაინც მის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ზანდუკლიანთ ნავენახარს“ უწოდებს[2].

მშენებლობის დაწყებისთანავე, უკვე 1971 წელს, „ზანდუკლიანთ ნავენახარის“ მთელ ტერიტორიაზე თავი იჩინა მრავალმა სიძველემ და მშენებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ფართოდ გაიშალა მუშაობა ორ უბანზე[3]. I უბანი მოიცავდა ადმინისტრაციული სახლის საძირკვლის ქვაბულს მიმდებარე ტერიტორიითურთ, II უბანი მდებარეობდა საცხოვრებელ კვარტალში, № 2 და № 3 მშენებარე კორპუსებს შორის[4] (იხ. ტაბ. XXVIII).

---

[1] ასე ვუწოდებთ იმ მცირე ქალაქს, რომელიც შენდება ჟინვალის ჰიდროკვანძის მუშების, ტექნიკური პერსონალისა და ძველი ჟინვალ-დან გადმოსახლებულთათვის (ტაბ. XXVIII). სასურველია ეს სახელწოდება ოფიციალურად დამტკიცდეს, რომ წყლის შეგუბების შემდეგ სამუდამოდ არ დაიკარგოს არაგვის ხეობის უძველესი ტოპონიმთაგანი — ჟინვანი — ჟინვალი.

[2] „ზანდუკლიანთ ნავენახარი“ წარმოადგენს ზვარე-ადგილს, სადაც ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე გაშენებული იყო ვენახი, რომლის ამოძირკვის შემდეგ ამ ადგილებში მარცვლეული ითესებოდა. ადგილი ურწყავია.

[3] 1971-72 წწ. I და II უბნების შესწავლაში მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ზ. კალანდაძე და ირ. ბაქრაძე. ფოტოგადაღებები ჩაატარეს ა. ბაქანიძემ, ი. წიკლაურმა და რ. რამიშვილმა. აზომვითი სამუშაოები შეასრულეს ტ. კიპაროიძემ და ბ. მჭედლიშვილმა.

[4] 1971-72 წწ. I და II უბნებზე (ისე, როგორც ჟინვალის დანარჩენ უბნებზე) ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ იხ.: რ. რამიშვილი, ლ. წითლანაძე, ბ. ჯორბენაძე და სხვ., ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბილისი, 1972, გვ. 43—50; რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს. მაცნე, 1971, გვ. 167; რ. რამიშვილი, სანამ არაგვს გზას შეუკრავდნენ, კომუნისტი, 1972, 26 იანვარი, № 2; რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე და სხვ., ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ. (მოკლე ანგარიში), თბ., 1972, გვ. 77—89; Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Л. Г. Цитланадзе и др. Исследования в зоне Жинвальского водохранилища. АО, 1972 (1973): стр. 428., რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს, მაცნე, 1973, № 1, გვ. 182—183.

მომდევნო წლებში ახალ ჟინვალში (ზანდუკლიანთ ნავენახარზე), სამშენებლო სამუშაოთა შესაბამისად, კიდევ უფრო გაფართოვდა არქეოლოგიური ძიება, რისი წყალობითაც დაგროვდა უაღრესად საყურადღებო ნივთიერი მასალა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1971-73 წწ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ცალკეული უბნების მიხედვით.

უბანი I. 1971 წლის შემოდგომაზე ჟინვალის სამშენებლო სამმართველოს ადმინისტრაციული სახლის საძირკველის ქვაბულის თხრისას აღმოჩნდა სამაროვანი, მაგრამ მაშინ გაითხარა მხოლოდ სამარხთა ის ჯგუფი, რომელიც სახლის ქვაბულში იყო მოქცეული (30×15 მ). ქვაბულის ამოღებისას მშენებლებს უკვე დაეზიანებინათ რამდენიმე გვიანდელი სამარხი, რომლებიც შედარებით ზედაპირულად მდებარეობდნენ, და კერამიკული ნატეხებით, ნაცროვანი მიწით, ძვლებითა და რიყის ქვებით ამოვსებული ორი ორმო. ასევე ნაწილობრივ დაზიანდა მდიდრული ინვენტარის შემცველი № 5 სამარხიც. ქვაბულის თხრა მშენებლებმა, ჩვენი თხოვნით, დროებით შეაჩერეს[5]. ადმინისტრაციული სახლის ფარგლებში სულ მოექცა 10 სამარხი და 2 ორმო. ამასთანავე, სამარხები უპირატესად თხრილის ჩრდილოეთ ზოლში იყო განლაგებული, ხოლო ორმოები კი — სამხრეთ ნაწილში (ტაბ. XXIX).

I უბანზე კვლევა-ძიება გაგრძელდა 1972-73 წლებშიც, ამჯერად ადმინისტრაციული სახლის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, მის მიჯრით, სადაც დამატებით გაითხარა 1000 კვ. მეტრზე მეტი ფართობი და აღმოჩნდა კიდევ 18 სამარხი. ამასთანავე, ადმინისტრაციული სახლიდან უფრო ჩრდილოეთით, მთავარი გზის მეორე მხარეს ითხრებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საძირკვლის ქვაბული, სადაც 7 სამარხი დადასტურდა. ამ სამარხთა ნაწილი მშენებლებმა დააზიანეს და მხოლოდ ორის პრეპარაცია მოხერხდა.

პირველი, რაც ამ სამაროვნის თხრის პროცესშივე იქცევდა საგანგებო ყურადღებას, იყო სამარხთა სიმეჩხრე. ჩვენს მიერ გათხრილ დაახლოებით 2 ათას კვადრატულ მეტრამდე ფართობზე სულ 35 სამარხი აღმოჩნდა. თუ სადაზვერვო თხრილების მონაცემებით ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამაროვანი ვრცელდება ჩრდილოეთით და დასავლეთითაც. მდიდრული სამარხები მოქცეული იყო სამაროვნის სამხრეთ განაპირას, ხოლო უინვენტარო ან მცირეინვენტარიან სამარხთა ჯგუფები კი უპირატესად თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. XXIX და XXX). გარდა ამისა, 1971-73 წლებში აღმოჩნდა მეტ-ნაკლები სიდიდის შვიდი ორმო, რომლებიც ავრეთვე შეიცავდნენ კერამიკულ ნატეხებს, რიყის ქვებს, ნაცროვან მიწას, ცხოველთა ძვლებს და სხვა.

ქვემოთ თანმიმდევრობით აღვწერთ ახალი ჟინვალის პირველ სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხებსა და ორმოებს.

სამარხი № 1 წარმოადგენდა დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე თიხნარ ნიადაგში ჩაჭრილ ოვალურ ორმოს, რომელშიც აღმოჩნდა მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა გვერდზე მდებარე დედაკაცის ძალზე ცუდად შემონახული ჩონჩხი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ამ სამარხის ჩ/ა ნაწილში

---

[5] აღნიშნული ძეგლის გადარჩენაში და იქ არქეოლოგიური სამუშაოების წარმატებით ჩატარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ჟინვალმშენის იმდროინდელ ხელმძღვანელებს: თენგიზ ჩუბინიძეს, ანზორ ჯავახაძეს, უბნის უფროსს სერგო გოგელიძეს და ბულდოზერისტ პავლე კაროლს.

აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის გაშოტილი ჩონჩხი, რომლის თავის ქალის ნაშთები ეწყო ვერცხლის პინაკზე (ტაბ. XXXI, 1).

სამარხში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარი აღმოჩნდა, რომელთა ერთი ნაწილი მოზრდილს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე — ბავშვის ძვლებთან იყო დაკავშირებული. ქვემოთ აღვწერთ ამ ნივთებს:

ხ ე ლ ა დ ა[6], დამსხვრეული, აღდგენილია, აკლია გვერდის მცირე ნაწილი, გამომწვარია მოჩალისფროდ. ჭურჭელს აქვს: ბრტყელი, საკმაოდ დიდი დიამეტრის ძირი, სფერული მუცელი, მრგვალი, დაბალი ყელი და გაშლილი პირი. მუცლის უდიდეს დიამეტრზე ბრტყელღეროიანი და თითო მეჭეჭიანი ორი პატარა ყურით. ტანზე მოუყვება ირიბი მეჩხერი ნაჭდევების სამი მწკრივი. ეტყობა მორგვისეული კვალი. კეცის ზედაპირი გადალესილია. თიხა ძალზე წმინდაა, მკვრივია და კარგადაა გამომწვარი. სიმაღლე 14,5 სმ-ია, ძირის დიამეტრი — 8,4 სმ, პირის — 6,5 სმ, ყურის ღეროს სიგანე — 1,6 სმ, კეცის სისქე — 0,4 სმ.

ჭ უ რ ჭ ე ლ ი[7] თ ი ხ ი ს, ცალყურა, ჭინჭილის მსგავსი, მთელი. მოჩალისფროდაა გამომწვარი. ჭურჭელს აქვს: ბრტყელი, საკმაოდ განიერი ძირი, მომრგვალო, ოდნავ წაგრძელებული ტანი, მრგვალი ყელი და გაშლილი პირი. მოხრდილი ყური მუცლის უდიდეს დიამეტრზეა მიძერწილი. ყურის გასწვრივ შემოუყვება ღრმა ნაჭდევების ერთი წრე, რომლებიც ნედლ თიხაზეა გაკეთებული.

თიხა ძალზე კარგადაა გაძრული, მკვრივია და გამოწვის ხარისხიც მაღალია.

ზომები: სიმაღლე 12,7 სმ-ია, ძირის დიამეტრი — 7,6 სმ, მუცლისა — 10,4 სმ, პირის — 6,1 სმ, ყურის ხვრელის — 3,4 სმ, ყურის ღეროს — 2 სმ.

ჭ უ რ ჭ ე ლ ი მ ი ნ ი ს[8], ორყურა, მომწვანოდ გამჭვირვალე. მთლად დამსხვრეული, აღდგენილია. აქვს: ბრტყელი (რამდენადმე შედრეკილი) ძირი, სფერული ტანი, ოდნავ დაბრტყელებული მხრები, მრგვალი ყელი, განიერი და სწორი ბაკოთი. ყურის მასიური მრგვალი ღეროები გამსხვილებული თავებით ჭურჭლის მხრებზე და ყელზეა მიმაგრებული. სიმაღლე 15 სმ-ია, ყელის დიამეტრი — 2,6 სმ, ძირის — 6,3 სმ, ყელის სიმაღლე — 5 სმ, პირის დიამეტრი — 4,4 სმ, ბაკოს სიგანე — 1,3 სმ, პირის ხვრელის დიამეტრი — 2,2 სმ, ყურის ღეროსი — 1 სმ.

ჭ უ რ ჭ ე ლ ი მ ი ნ ი ს[9], მომწვანო, თხელკედლიანი, დამსხვრეული. აღდგენილია ნაკლულად. ჭურჭელს აქვს ოდნავ შესამჩნევად გამოყოფილი ძირი, სფერული ტანი და მრგვალი, მილისებრი ყელი. სიმაღლე 8,5 სმ-ია, მუცლის დიამეტრი — 6 სმ, ყელის სიმაღლე — 2,8 სმ, ყელის დიამეტრი — 1,5 სმ.

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[10]. მისი აღდგენა არ მოხერხდა, მინა ოდნავ მოცისფროდაა გამჭვირვალე და სისქით 1,5 მილიმეტრია.

---

[6] იხ. საველე დავთარი № 1, ინვ. ჟი—155—71, ტაბ. XXXII, 1. მუშაობის პირველ ორ წელიწადს ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას მუდმივი ინდექსი არ გააჩნდა. იგი შემოვიღეთ 1973 წლიდან. ამიტომაც ნივთების ნუმერაციაში შეიმჩნევა სხვადასხვაობა. თუ 1971 წელს ექსპედიციის შემოკლებული სახელის (ჟი-) შემდეგ ნივთის რიგითი ნომერი იწერებოდა, 1972 წელს პირიქით გვაქვს — ჯერ წელია და შემდეგ ნომერი.

[7] ჟი—156—72, ტაბ. XXXII, 2.

[8] ჟი—157—71, ტაბ. XXXII, 3 ჭურჭელი აღდგენილია პლასტმასის ბადურაზე, რომელიც კარკასის მოვალეობას ასრულებს.

[9] ჟი—158—71, ტაბ. XXXIII, 1.

[10] ჟი—159—71.

დ ა ნ ა, რ კ ი ნ ი ს [11], დამტვრეული, შერჩენილია ტარის ნაწილი, მანჭვლით. ცალპირა. სიგანე 1,8 სმ-ია.

ს ა ყ უ რ ე წ ყ ვ ი ლ ი, ო ქ რ ო ს ი [12], წიწიბოს მოყვანილობისა (კლიფსისებრი), ღრუ კონუსით და მოხრილი ღეროთი, რომელიც ერთი მხრიდანაა აზიდული და მეორე სწორკუთხად მოხრილი. კონუსს წვეტის გაგრძელებაზე აქვს შვერილი ღერაკი, რომელზედაც წამოცმულია თვალბუდე, შიგ ჩასმული ლალის თვალით. თვალბუდე მოძრავია. ორივე ზუსტად ერთნაირია (ოდნავ წონაშია განსხვავება).

სიგრძე 2,3 სმ-ია, თვალბუდის დიამეტრი — 0,7 სმ, შვერილი ღეროს სიგანე—1,3 სმ, საყურის უდიდესი სიგანე—0,9 სმ, ერთის წონა—2,9 გრ (თვლითურთ), მეორესი — 3,05 გრ (თვლითურთ).

ზ ო დ ი ო ქ რ ო ს ი [13], მუხუდოს მაჯაცვლის მოყვანილობის, სადა. შესაძლოა მონეტის ან რაიმე პატარა სამკაულისათვის განკუთვნილი ნამზადი იყოს. (გულგულა). სიგრძე — 1 სმ, სიგანე — 0,8 სმ, წონა — 4,15 გრ.

ბ ე ჭ ე დ ი, ო ქ რ ო ს ი [14], მასიური, წვრილღეროიანი, ოდნავ გამოყოფილი თვალბუდით, რომელშიაც ზის ნახევრად სფერული მინის თვალი, ღერო ოდნავ დაბრტყელებულია და არათანაბრადაა მორკალული.

უდიდესი დიამეტრი 1,9 სმ-ია, უმცირესი— 1,8 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ, თვალის — 0,5 სმ, წონა — 2,9 გრ (თვლიანად).

მ ძ ი ვ ე ბ ი, ქ ა რ ვ ი ს [15], სხვადასხვა ზომის, უმეტესობა დაბრტყელებული ცილინდრია, ზოგი უსწორმასწოროა. ქარვა „მკვდარია“. უდიდესის დიამეტრი 1,2 სმ-ია, ყველაზე პატარის — 0,8 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი ს ა რ დ ი ო ნ ი ს [16], ერთი ზომისა, 32 ცალი, შინდის მარცვლების მოყვანილობის, მოწითალო. თვითეული მძივი ცალმხრივაა ნახვრეტი. სიგრძე — 0,6 — 0,7 სმ-ია, სიგანე — 0,5 სმ.

ამავე სამარხში ბავშვის ძვლების გარშემო აღმოჩნდა:

პ ი ნ ა კ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [17], დაზიანებული. მოვარდნილი აქვს ქუსლი და კალთების უდიდესი ნაწილიც დამსხვრეულია. ქუსლი გაიწმინდა და თერმულად დამუშავდა. აღდგენა შეუძლებელია. პირის ბაკის პერიმეტრი მთლიანია, ქობა ორმაგია და შემსხვილებული. ჰურჭლის კალთები სადაა.

ქუსლს შუაში აქვს წერტილი (სახელოსნო დაზგაზე მუშაობის შედეგი) და შიგნიდან, უდიდეს დიამეტრზე, ორი წყვილი კონცენტრული ნაჭდევი.

პირის დიამეტრი 18,8 სმ-ია, ქუსლისა — 7,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1,4 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [18] ბრტყელი, გარედან დაკეჭნილი ღეროთი; ოვალური, დაბალი თვალბუდით და სარდიონის საკმაოდ მაღალი თვლით, რომლის ზედაპირზე ამოკვეთილია მყეფარე ძაღლი. თვალბუდე დარჩილულია რკალის დაბრტყელებულ და გაგანიერებულ მხრებზე. კარგადაა დაცული. რკალის დიამეტრი 1,9 სმ-ია, ღეროს უმცირესი სიგანე — 0,35 სმ; მხრებში სიგა-

---

[11] ჟი—160—71.
[12] ჟი—161—71, ტაბ. XXXIII, 4. ფერადი ტაბ. I, 3.
[13] ჟი—162—71, ტაბ. XXXIII, 4. ფერადი ტაბ. I, 2.
[14] ჟი—163—71, ტაბ. XXXIII, 4. ზედა მწკრივში მარცხნიდან მეოთხე, ფერადი ტაბ. I, 4.
[15] ჟი—164—71, ტაბ. XXXIII, 3, შუათანა.
[16] ჟი—165—71, ტაბ. XXXIII, 3.
[17] ჟი—165—71, ტაბ. XXXIII, 2.
[18] ჟი—167—71, ტაბ. XXXIII, 4. ზედა მარჯვენა და ფერადი ტაბ. I, 1.

ნე — 0,5 სმ, თვალბუდის ოვალის სიგრძე — 1,0 სმ, სიგანე — 0,9 სმ, თვალის სიმაღლე — 0,35 სმ, გამოსახულებიანი ფართობი — 0,7×0,6 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [19], სადა, თხელი და ბრტყელი რკალით. დამტვრეული იყო, აღდგენილია (მარლის სარჩულზე), რკალი ნაკლულია, აქვს ძალზე დაბალი თვალბუდე, რომელიც შემომტვრეულია. შიგ ზის სარდიონის ოვალური თვალი, ბომონის გამოსახულებით. ბომონს აქვს მრგვალი ძირი, ცილინდრული ტანი და ძირისავე მსგავსი თავი. რომლის ზედა ბრტყელზე სამი ნაჭდევი ზოლით გამოხატულია ცეცხლის ალი. ღეროს სიგანე მხართან 0,8 სმ-ია, თვლის სიგრძე — 0,85 სმ. სიგანე — 0,7 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [20], აკლია რკალის დიდი ნაწილი. რკალის ღერო დაბრტყელებულია. მხრებისკენ ოდნავ გაგანიერებული, რომელიც უერთდება გულის მოყვანილობის, გარდიგარდმო მირჩილულ თვალბუდეს, რომელშიც ზის ზედმიწევნით კარგად დამუშავებული ალმანდინის თვალი. ღეროს გარედან ნაპირები აქვს დაკეჭნილი. სიგანე მხართან 0,5 სმ, თვალბუდის სიგრძე — 1,2 სმ, სიგანე — 0,8 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [21], რკალმოტეხილი, ღერო წვრილი და თითქმის მრგვალია, უერთდება ოვალურ თვალბუდეს, რომელშიც ზის სარდიონის ოვალური თვალი, საკმაოდ მაღალი, შემკული ნუტრიის გამოსახულებით. ნუტრიას აქვს აცქვეტილი ყურები და გრძელი კუდი. თვალბუდე შუაზე იყო გატეხილი; ახლა შეწებებულია. ღეროს სიგანე 0,35 მმ-ია, თვალბუდის სიგრძე — 1,0 სმ, სიგანე — 0,6 სმ.

ზ ა რ ა კ ი [22], ბრინჯაოსი, დეფორმირებული, დიდი ყუნწითა და კონუსტრი ტანით, შიგნიდან ჩაკიდული ყოფილა რკინის ენა, რომლის თავიც ცალ მხარესაა გამოჩრილი, დაფარულია სქელი ჟანგით. ზარაკის სიგრძე ენიანად — 5,1 სმ. კორპუსის ფუძის სიგანე — 2,8 სმ, ყურის სიგანე — 1,8 სმ, ნახვრეტის დიამეტრი — 0,6 სმ.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს პ ა ტ ა რ ა ზ ო დ ი [23], ოვალური, ოდნავ წაგრძელებული. შეიძლება ჩავთვალოთ მონეტის ან რაიმე ნივთის გულგულად. სიგრძე — 1,8 სმ, სიგანე — 1 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი [24], სარდიონის, (64 ც), უმეტესობა მოწითალოა და შინდის კურკის მოყვანილობა აქვს. მხოლოდ ერთია დიდი (სიგრძე — 1,2 სმ). საშუალო სიგრძე — 0,8 — 0,9 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი [25], სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის (84 ცალი). მათ შორის ოთხი გიშრისა და ერთი მთის ბროლის, დანარჩენები მინისაა (ერთი გრძელია, ცილინდრული, ინკრუსტირებული, ცისფერი კონცენტრული ზოლებით, სამი მრგვალია და აგრეთვე ინკრუსტირებული; ერთი წრიული ხალებითაა შემკული, ორი ლურჯია და ბიკონუსური. დანარჩენი არაწესიერი მრგვალი. ლურჯ მძივებს შუაზე შემოუყვება თეთრი ზოლები. აქვეა რამდენიმე იოტიც).

მ ძ ი ვ ე ბ ი (ი ო ტ ე ბ ი) [26], ლურჯი ან მოლურჯო მინისა, ძალზე წვრილი, მიმოფანტული იყო ვერცხლის პინაკის მიდამოებში.

---

[19] ქი—168—71, ტაბ. XXXIII, 4, ქვედა მწკრივი, მარცხენა და ფერადი ტაბ. I, 5.
[20] ქი—169—71, ტაბ. XXXIII, 4. ქვედა მწკრივში შუათანა და ფერადი ტაბ. I, 6.
[21] ქი—170—71, ტაბ. XXXIII, 4 ქვედა მწკრივი, მარჯვენა და ფერადი ტაბ. I, 7.
[22] ქი—171—71, ტაბ. XXXIII, 4.
[23] ქი—172—71.
[24] ქი—173—71, ტაბ. XXXIII, 3.
[25] ქი—174—71.
[26] ქი—175—71.

მ ძ ი ვ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი [27], თეთრი მინისა.

მ ძ ი ვ ე ბ ი [28] სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. მათ შორის 5 გიშრისაა (ორი მოგრძო, სამი მრავალწახნაგა). ოთხი ცალი—ლურჯი მინისა, ბიკონუსური, მრავალწახნაგა: 8 ცალი სარდიონისა, მრგვალები, ერთი მოგრძო თაფლისფერი სარდიონის, 6 იოტი ლურჯი მინის, ორი უფორმოდ დაწახნაგებული ჰემატიტის ნატეხია, გახვრეტილი.

მ ო ნ ე ტ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს [29], გოთარზესი, იდო ბავშვის ბარძაყის ძვალზე.

ს ა მ ა რ ხ ი № 2. პირველი სამარხის დასავლეთით (ტაბ. X X I X), მისგან 2,5 მეტრზე აღმოჩნდა უშუალოდ გრუნტში ქრისტიანული წესით დაკრძალული ერთი ჩონჩხი, ძვლები რამდენადმე უფრო მაღლა ეწყო, ვიდრე პირველისა. უინვენტარო.

ს ა მ ა რ ხ ი № 3. რიგითი, ინდივიდუალური ორმოსამარხია. ჩაუსვენებიათ წარმარათულად, ხელ-ფეხმოხრილი. მარცხენა გვერდზე თავით დასავლეთისაკენ. უინვენტარო. მიწის ზედაპირიდან 1,00 მ-ია, სიგრძე (მოხრილ მდგომარეობაში) — 1,07 მ, სიგანე — 0,5 მ (ტაბ. X X X IV, 1).

ს ა მ ა რ ხ ი № 4. აღმოჩნდა ადმინისტრაციული სახლის ქვაპულის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,00 მეტრის სიღრმეზე (მიწის ზედაპირიდან) წარმოადგენდა ქრისტიანულ უინვენტარო ორმოსამარხს. ძვლები დააზიანა ბულდოზერმა.

ს ა მ ა რ ხ ი № 5 (ტაბ. X X X IV 2, 3) მდებარეობდა საკმაოდ ღრმად (1,5 მ). ორმოსამარხში განისვენებდა გაშოტილი, ზურგზე მწოლიარე მამაკაცი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ეწყო მენჯის სარტყელზე. სამარხის აღმოსავლეთ ბოლოზე, ადამიანის ძვლებზე ოდნავ მაღლა (სიღრმე 1 მ), ჩამარხული იყო გარდაცვლილის ცხენი, რომლის ჩონჩხის მხოლოდ უკანა მხარე იყო ხელუხლებელი, დანარჩენი ექსკავატორს მოენგრია.

გარდა ცხენის ჩონჩხისა, დაზიანებული იყო თვით სამარხიც, კერძოდ, სარეცლის ორი ფეხის გარსაკრავი, ორყურა დიდი ხელადა და მინის ოთხი ჭურჭელი, რომლებიც სამარხის სამხრეთ ნაპირზე იყო განლაგებული, დაიმტვრა. მიუხედავად ამისა, ორმოსამარხის ძირითადი ნაწილი, ჩონჩხითურთ, ხელუხლებელი დარჩა. სამარხის პრეპარაციით გაირკვა, რომ გარდაცვლილის თავქვეშ იდო ვერცხლის პინაკი, წელზე შემორტყმული ჰქონია ვერცხლით გაწყობილი ქამარი და სხვა. დასაკრძალავი კამერის სიგრძე იყო 2,3 მ, სიგანე — დაახლოებით — 1,4 მ, ჩონჩხის სიგრძე 1,8 მ, სიგანე — 0,55 მ. იმის გამო, რომ ცხენის ჩონჩხის წინა ნახევარი მშენებლებმა მოანგრიეს, ორმოს ზომების დაზუსტება არ მოხერხდა. მამაკაცისა და ცხენის სამარხთა ერთობლივი სიგრძე 4 მეტრს აღწევდა (ტაბ. X X I X და X X X IV, 3).

სამარხში აღმოჩნდა:

ჭ უ რ ჭ ე ლ ი თ ი ხ ი ს [30], მოჩალისფრო, აღდგენილია თაბაშირის ჩანართებით, მრგვალი, გარეთ გადაშლილი პირით, ცილინდრული ორი წიბოთი, შემკული ყელით, მოგრძო ტანით და ბრტყელი განიერი ძირით (სურ. 1). სიმეტრიულად განლაგებული ბრტყელღეროვანი წყვილი ყური დაძერწილია ფუძით მხრებზე და თავით ყელის წიბოზე. თიხა საკმაოდ კარგადაა განლექილი, კეცი მკვრივია და გამომწვარია დამაკმაყოფილებლად.

---

[27] ქი—176—71.

[28] ქი—177—71, შეგროვდა ძვლების ალაგების დროს.

[29] ქი—177 —71, განსაზღვრა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. დუნდუამ.

[30] ქი—178—71, ტაბ. X X X V, 1.

სიმაღლე 35,5 სმ-ია, ძირის დიამეტრი — 20 სმ, ყელისა — 7,7 სმ, პირისა — 9 სმ, ყურის ღეროს სიგანე — 2,9 სმ.

პ ი ნ ა კ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს[31], დაცულია კარგად (დაზიანებული აქვს მხოლოდ კალთის მცირე ნაწილი). ვერცხლი მაღალხარისხოვანია. ქუსლი საკმაოდ მაღალია და შიგნიდან ღრუ. იგი ნაკეთებია სპეციალურ დაზგაზე, რაზედაც



სურ. 1. თიხის ჭურჭელი
Рис. 1. Глиняный сосуд из погребения № 5.

მეტყველებს ცენტრში დარჩენილი ნაჭდევი წერტილი. კალთები ნაკეთები უნდა იყოს ჯერ გაწნევის წესით, ხოლო შემდეგ შემკულია თეგის საშუალებით. ნათეგია გარედან. თეგის მეშვეობით გამოყვანილია ტალღისებური ნაჭდევების ორი ფრიზი, რომელთა შორის დარჩენილ ვიწრო და თავისუფალ ზოლზე დაჭდეულია ლოკოკინას მსგავსი რვა გამოსახულება (სურ. 2). ტალღისებური ნაჭდევების ფრიზები შემოსაზღვრულია წერტილოვანი ნაჭდევების თითო მწკრივით თავსა და ბოლოში (ე. ი. სულ ოთხი მწკრივია). ქობა შედარებით შემსხვილებულია, მაგრამ სწორია. როგორც ჩანს, ქვედა ტალღოვანი ფრიზის არე წინასწარ განუსაზღვრავთ და გარედან ჭურჭლის ძირზე გაუვლიათ წყვილი ნაჭ-

[31] ქი — 179—72, ტაბ. XXXV, 2, 3, და ფერადი ტაბ. III. 2.

დევი ზოლი. მაგრამ შემდგომ ტალღისებრი ორნამენტი აღარ ჩატეულა ძველ ჩარჩოებში და ადრე ნაკეთები წყვილი ნაჭდევი ტალღოვანი ორნამენტით აღმოჩნდა დაფარული. ჰურჭლის ქუსლი ოდნავ გარეთაა გაშლილი და ქვეშიდან



სურ. 2. ვერცხლის პინაკი.
Рис. 2. Серебряная чаша из погребения № 5.

ძირზე ექვსნიშნიანი არამეული სიტყვაა გამოყვანილი *, წერტილოვანი ნაჭდევებით (სურ. 3).



სურ. 3. არამეული წარწერა ვერცხლის პინაკზე.
Рис. 3. Арамейская надпись на серебряной чаше из погребения № 5.

სიმაღლე 7,7 სმ-ია, ძირის დიამეტრი — 9,1 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1,8 სმ, პირის დიამეტრი — 22 სმ, ტალღოვანი ნაჭდევი ფრიზის სიგანე — 3 სმ.

სარეცლის ფეხის გარსაკრავი[32], ვერცხლის, შედგება ორი ნაწილისაგან. ამათგან ზედა უფრო დიდია და მდიდრულადაა ორნამენტირებუ-

---

* არამეული წარწერის წაკითხვა სცადა აკად. გ. წერეთელმა, თუმც იმის გამო, რომ წარწერა საგრძნობლადაა დაზიანებული, მისი ბოლომდე გაშიფვრა არ მოხერხდა. მკვლევრის ვარაუდით, შესაძლოა პინაკის კალთაზე ქალის სახელი იყოს ამოკაწრული. მოგვიანებით ამ წარწერის წაკითხვა სცადა ახალგაზრდა მკვლევარმა მედეა წოწელიამ. მისი ვარაუდით, არამეული სიტყვა იშიფრება შემდეგნაირად: t—p—t—s. მას მიაჩნია, რომ წონის ერთეული გამორიცხულია. შესაძლებელია ეს იყოს საკუთარი სახელი. ირანულ ონომასტიკონში შესატყვისი ტერმინი არ მოიძებნა (F. Justi, Iranisches Namenbuch, Marburg, 1895).

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აქ მართლაც საკუთარი სახელია წარწერილი, იქნებ საფუძველს მოკლებული არ იყოს ვარაუდი იმის შესახებ, რომ პინაკზე ადგილობრივი ონომასტიკონის სახელი იყოს გამოსახული მსგავსად ზევახ-ჯავახ პიტიახშისა.

[32] ქი—180—71, ტაბ. XXXVI, 1 და ფერადი ტაბ. III, 1.

ლი. ნაკეთობა მიღებულია ხის ჩუქურთმიან ნამზადზე ვერცხლის ფირფიტის შემოჭდევის გზით, ისე რომ, ვერცხლის ჩუქურთმის ხარისხი განისაზღვრება ხეზე მისი კვეთილობის ხარისხით. რაც შეეხება სარეცლის ფეხის გარსაკრავის ქვედა ნაწილს, იგი „შემჯდარია“ სარეცლის ფეხის ყველაზე უფრო მსხვილ ნაწილში. როგორც ჩანს, გარსაკრავი ხეზე წვრილი ბრინჯაოს ან ვერცხლისავე ლურსმნით იყო მიმაგრებული.

სარეცლის ფეხის სულ ზედა ნაწილი სადაა, ცილინდრული მოყვანილობის, შემკულია ერთი რელიეფური წრეხაზით და ამ რელიეფის ორთავე მხარეს ღარისებრი ნაჭდევით. შემდეგ მოდის აგრეთვე მრგვალ-ცილინდრული, შედარებით უფრო დავიწროებული ყელი, რომელიც სავსებით სადაა. მომდევნო ბურცობი ოდნავ დაბრტყელებული სფეროა და შემკულია ორნამენტით. ბურცობს შუაწელზე აქვს კონცენტრული რელიეფი, რომელიც მას ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. ამ ნახევარსფეროებზე რელიეფურად გამოყვანილია რაღაც ფოთლის მსგავსი გამოხატულება (შესაძლოა სუროსი), რომელსაც „გულისებრი“ მოყვანილობა აქვს. ეს სახეები ერთიმეორის მიმართ მრგვალი ნაწილებითაა მიქცეული და თითოეულ გამოსახულებას შორის სიგრძივ ნაჭდევი წყვეტილი ზოლებია ჩართული. სულ თითო მწკრივში მოცემულია „ფოთლის“ შვიდი გამოსახულება (სურ. 4).



სურ. 4. სარეცლის ფეხის გარსაკრავი (ვერცხლის)

Рис. 4. Серебряная обкладка ножки от погребального ложа из погребения № 5

შუათანა ყელი დაკუთხულია (შვიდი წიბოთი), შემკულია ნაჭდევი ჯვრებით და თითოეული წიბოდან სათავეს იღებს რთული რელიეფი, რომელიც ამკობს ზემოდან მესამე, ყველაზე უფრო მსხვილ ნაწილს. ამ გამსხვილებას უფრო ცილინდრული მოყვანილობა აქვს და შემკულია ცხვრის თავების სტილიზებული 7 გამოსახულებით. აღნიშნული დეტალით ახალი ჟინვალის სარეცლის ფეხთა გარსაკრავები ძლიერ ემსგავსება არმაზისხევურს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ცხვრის თავები ჩვენთან უფრო სქემატურია. გარსაკრავის მორიგი „ცილინდრი“ მთავრდება მართკუთხად შეკეცილი ქვედა ნაპირით, რომლის შიგნითაა მოქცეული სარეცლის ფეხის მეორე, ქვედა ნაწილის გადაშლილი პირი. ჩანს ეს დეტალიც წვრილი მანჭვლებით ყოფილა მიკრული ხის სათანადო ნაწილზე. ქვედა ყელი უშუალოდ მოსდევს ცხვრისთავებიან გამოსახულებას და ორი რელიეფური ზოლითაა შემკული. მეოთხე გამსხვილება სარეცლის ფეხის ყველაზე ქვედა ნაწილია; სწორედ მასში იყო შემონახული ჩუქურთმიანი ხის ნაშთი. ქვედა ბურცობი შემკულია შვეული

ნაჭდევებით, ისე რომ, იქმნება გვირილის ყვავილის ფურცლისებრი თორმეტი გამოსახულება. ამ ნაწილში შემონახულია ვერცხლის ერთი საკმაოდ მოზრდილი მანჭვალი.

სარეცლის ფეხების თავ-ბოლო, როგორც ჩანს, ვერცხლის ვარდულებით ყოფილა დაფარული, რაც ართულებს იმის გარკვევას, ეს ფეხი პრაქტიკული დანიშნულების მქონე სარეცელს ეკუთვნოდა თუ იმიტირებულს. სიგრძე 25,5 სმ-ია, თავის დიამეტრი — 6,7 სმ, მომდევნო ბურცობის დიამეტრი — 8,3 სმ, მესამე ბურცობისა — 9.4 სმ, ბოლო ბურცობის — 7,3 სმ; სამთავე ყელი ერთი ზომისაა: დიამეტრი უდრის 4,3 სმ-ს.

სარეცლის ფეხის გარსაკრავი[33], ვერცხლის, წინგანხილულის მსგავსი, უმნიშვნელო განსხვავებით. აქვს სიგრძივი ბზარები და, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი ზომების აღება არ ხერხდება, აშკარად ჩანს, რომ პირველთან შედარებით ოდნავ დიდია. სიგრძე — 26,5 სმ.

სარეცლის ფეხის გარსაკრავის ნაშთი[34], ვერცხლის, შემორჩენილია ზედა ნახევარი. ცხვრის რელიეფებით შემკული ბურცობი ნაკლულია. შედარებით დაბალია მისი პირველი ცილინდრული თავი. ყელი გრძივი ნაჭდევი ზოლებითაა დახაზული. შედარებით მსხვილია მეორე ბურცობის შუა, კონცენტრული რელიეფი. ჩანს, ეს გამოიწვია ხის ჩუქურთმების თავისებურებამ. ქვედა ნახევრის დანარჩენი ნამსხვრევების აღწერა ფრაგმენტთა სიმცირის გამო არ ხერხდება.

ცილინდრული თავის დიამეტრი 6,5 სმ-ია, პირველი ყელის—4,1, მეორე ბურცობისა — 8,1 სმ.

სარეცლის ფეხის გარსაკრავის ნაშთი[35], ვერცხლის, დამსხვრეული. იდო სამარხის ს/დ კუთხეში.

ვარდული ვერცხლის[36], ერთი თითქმის მთელია, შემკულია რელიეფით. ოთხი მართკუთხა რელიეფი ქმნის ჯვარს, რომლის კუთხეებში ჩასმულია „გულისებრი“ სახეები. მეორე ვარდულისაგან სამი ნატეხია შემორჩენილი. ორთავე ეკუთვნის სარეცლის ფეხებს (სურ. $5_{1,2}$).

ჩუქურთმიანი ვარდულის დიამეტრი 6,3 სმ-ია.

მეორე ვარდული სადაა, აქვს მხოლოდ წერტილოვანი ნაჭდევების ერთი მწკრივი (უდიდეს დიამეტრზე).

მანჭვლები[37], ვერცხლის, სარეცლის ფეხებისა. აკრეფილ იქნა ნამსხვრევებს შორის; ზოგიც გაწმენდის დროს მოცილდა სარეცლის ფეხის გარსაკრავებს.

ერთი ტიპისაა: მოზრდილი, ბრტყელი და უსწორმასწორო ქუდითა და წვეტიანი, მოკლე ღეროებით. ერთ-ერთი მანჭველის ქუდის დიამეტრი 0,8 სმ-ია. ღეროს სიგრძე — 0,75 სმ (სურ. 5_3).

ხის ნაშთები[38], ვერცხლის სარეცლის ფეხიდან (სურ. 6). აქედან ერთი, ყველაზე უკეთ დაცული, ფეხის ფუძისაა, შემონახულია თითქმის მთლიანად და ეტყობა ჩუქურთმის კვალი, ხოლო ფუძეზე კი მანჭვლისეული ნახვრეტები. ფუძის უდიდესი დიამეტრია 6,2 სმ, ფრაგმენტის სიმაღლე — 4,1 სმ.

---

[33] ჟი—181—71, ტაბ. XXXVI, 2.
[34] ჟი—182—71, ტაბ. XXXVI, 3.
[35] ჟი—183—71, ტაბ. XXXVI, 4.
[36] ჟი—184—71, სურ. 5, ტექსტში.
[37] ჟი—185—71.
[38] ჟი—186—71.

დანარჩენი ნატეხები უფრო უმნიშვნელოა, მაგრამ მათში უმრავლესობა ფეხების ფუძისაა.

ა ბ ზ ი ნ დ ა [39], ვერცხლის, (დიდი), მოტეხილი ჰქონდა დამჭერი ფირფი-



სურ. 5. სარეცლის ფეხის გარსაკრავის ნაწილები: 1. ვარდულები, 2. ვარდულის ნაშთი, 3. მანჭვლები (ვერცხლის)

Рис. 5. Части обкладки ножки от погребального ложа: 1) розетка; 2) остаток розетки; 3) гвоздики (серебряные) из погребения № 5

ტის შიდა ნაწილი. ნაწილობრივ რესტავრირებულია. აბზინდის რკალი მასიური ვერცხლისაგანაა ნაკეთები, თითქმის წრიულია, მხოლოდ ერთი მხარე აქვს სწორი (ღერძივით), რომელზედაც გამოდებულია ვერცხლისავე მასიური ენა და ტყავის დამჭერი მომრგვალებული ფირფიტა. ფირფიტას გარეთა მხარე სადაა შუაში ერთი მრგვალთავა მანჭვლით. შიგნითა მხარე უფრო ვიწროა და შუაში ისეა ამოჭრილი, რომ ენის ყუნწს თავისუფლად ემოძრავნა. ვერცხლი მაღალხარისხოვანია.

სიგრძე 7,5 სმ-ია, რკალის სიგრძე — 4,1 სმ, სიგანე 4,4 სმ; ღეროს მაქსიმალური სისქე — 0,8 სმ, „ღერძის“ სიგრძე — 3,5 სმ, დამჭერი ფირფიტის სიგანე გარედან — 4,4 სმ, შიგნითა განაკეცის სიგანე — 3 სმ, ენის სიგრძე — 4,5 სმ,ენის ღერძის სიგანე — 0.7 სმ, მანჭვლის თავის დიამეტრი 0,55 სმ.

ა ბ ზ ი ნ დ ა [40], ვერცხლის, ტიპოლოგიურად წინ განხილულის მსგავსია, ოღონდ მომცროა და ტყავის დამჭერი სამაგრი მოგრძო და კუთხოვანი აქვს. ოვალი მასიური ვერცხლისაა, თითქმის წრიული, ცალ მხარეს სწორი „ღერძით“, რომელზედაც გამოდებულია ენა და ტყავის დამჭერი ორმაგი ფირფიტა (ბოლოზე ორი მანჭვლით).

სიგრძე 5,3 სმ-ია, რკალის სიგანე — 2,5 სმ, რკალის სიგრძე — 2,2 სმ, ღეროს უდიდესი სიმსხო — 0,5 სმ, ენის სიგრძე — 2,55 სმ, ტყავის დამჭერის სიგრძე — 3,3 სმ, სიგანე — 1,4 სმ, სიგრძე — 3,35 სმ, სიგანე — 1,4 სმ.

---

[39] ჟი—187—71, ტაბ. XXXVII, 1.

[40] ჟი—188—71, ტაბ. XXXVII, 1.

უ ე ნ ო ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი[41], ვერცხლის, 6 ცალი წარმოადგენს ქამრის შემადგენელ ნაწილს, ეტყობა ტყავზე ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილით იყვნენ დაცილებულნი და რგოლები ქამრის საკიდების როლს ასრულებდნენ. ექვსივე აბზინდა ერთი ტიპისაა, მხოლოდ ორს უფრო მოგრძო ტყავის დამჭერი ფირფიტები აქვს. წარმოადგენს ვერცხლის სადა რგოლს. რომელზედაც გამოდებულია კუთხოვანი ფირფიტები. შედარებით ვიწრო, ყუნწისებრი ყელით და მეორე მხარეს ოდნავ გაგანიერებული გადანაკეცით. ორმაგი ფირფიტები ტყავზე თითო მანჭვლით ყოფილა დამაგრებული. ოთხკუთხსამაგრიანი აბზინდის სიგრძე 3 სმ-ია, ფირფიტის სიგანე — 1,35 სმ; მოგრძო სამაგრიანი აბზინდის სიგრძე — 3,3 სმ, ფირფიტის სიგანე — 1,1 სმ, რგოლის დიამეტრი 1,55 სმ.



სურ. 6. სარეცლის ფეხის ხის ნაშთი
Рис. 6. Фрагмент деревянной ножки от погребального ложа из погребения № 5.

ფ ი რ ფ ი ტ ა[42], ორმაგი, ვერცხლისა, ბოლოში სამანჭვლე ხვრელით, სადა. შესაძლოა ქამრის ნაწილი იყოს. სიგრძე — 2,8 სმ, სიგანე — 1,3 სმ.

ფ ი რ ფ ი ტ ა[43], ვერცხლის, ორმაგად მოკეცილი, ამათგან ცალი მხარე კუთხოვანია, მეორე ოდნავ ვიწრო და მომრგვალებული. თავში გამჭოლი ხვრელითა და ერთი მანჭვლით.

სიგრძე — 5,1 სმ, სიგანე თავში — 2,9 სმ, გადანაკეცთან სიგანე — 2,5 სმ, ფირფიტის სისქე — 0,1 სმ.

ს ა მ ა გ რ ი[44], ვერცხლის, ნაკეთებია ვიწრო ფირფიტისაგან, მოკეცილია ვიწრო სწორკუთხედის სახით და გარეთ გაშვერილი ბოლოები ქმნის ვიწრო ყელს. შესაძლოა ქამრის ნაწილი (სამაგრი) იყოს.

სიგრძე — 1,7 სმ, სიგანე — 1,4 სმ, ღეროს სიგანე — 0,7 სმ, ფირფიტის სისქე — 0,15 სმ.

---

[41] ჟი—189—71, ტაბ. XXXVII, 1.
[42] ჟი—190—71, ტაბ. XXXVII, 1.
[43] ჟი—191—71, ტაბ. XXXVII, 1.
[44] ჟი—192—71, ტაბ. XXXVII, 1.

ა ბ ზ ი ნ დ ე ბ ი[45], ვერცხლის, წყვილი; ჩანს გამოყენებული იყო ფეხსაცმლის შესაკრავად; რკალი თითქმის წრიულია, ცალ მხარეს სწორი „ღერძით“., მასზე დამაგრებულია ტყავის დამჭერი ორმაგი ფირფიტა და ენა. ენა მასიურია, ოდნავ ჩაზნექილი, ფირფიტა კი გარედან თითქმის წრიულია, შუაში თავმომრგვალებული მანჭვლით, ორივე ერთნაირია. სიგანე — 3,4 სმ, ოვალის სიგანე — 2,25 სმ, რკალის სივრძე — 1,8 სმ, ღეროს უდიდესი სიმსხო — 0,48 სმ, ენის ღეროს სიმსხო — 0,3 სმ, ტყავის სამაგრის ფირფიტის გარეთა დიამეტრი 1,7 სმ, შიდა განაკეცის სიგანე — 1,15 სმ.

ს ა კ ი დ ე ბ ი[46], ვერცხლის, ორი ცალი, ორივე ერთნაირია, წარმოადგენს ბოლო გაგანიერებულ, მრგვალყუნწიან ვიწრო ფირფიტებს, რომლებსაც გამოდებული აქვს ტყავის სამაგრი, ორმაგი მრგვალი ფირფიტა, ყუნწით. ეტყობა ფეხსაცმლის (უძიროების?) ყელზე გარეთა მხრიდან იყო მიმაგრებული. მოგრძო ფირფიტას გარედან, შუაზე, აქვს დაბალი გრძივი ქედი და შეკრილი ბოლო.

სიგრძე — 5,9 სმ, საკუთრივ საკიდის სიგრძე — 5,65 სმ, სიგანე ბოლოში — 1,2 სმ, ყუნწის დიამეტრი — 1,1 სმ, ყუნწის სიგანე — 0,5 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი[47], ვერცხლის, მასიური, მხრებიანი და წიბოიანი რკალით და დიდი თვალბუდით, რომელიც დარჩილულია მხრების შემაერთებელ ოვალურ სიბრტყეზე; იგი ზუსტად თვალბუდის ფუძის ტოლია. ოვალურ თვალბუდეში ზის მოწითალო სარდიონის საკმაოდ მაღალი თვალი, რომელზედაც მდგომარე ადამიანის გამოსახულებაა ამოკვეთილი. ამ კვეთილობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფიგურის ფეხებთან მდებარე საგანი, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ფიგურას მარჯვენა ხელზე თითქოს წამოსასხამი აქვს გადაფენილი, ხოლო თავი ჩალმისებური ქუდით აქვს დაბურული. სახე და ხელები ძალზე სქემატურია, შესაძლოა ამ გამოსახულებაში ღვთაების გამოსახულება გამოვიცნოთ (ტაბ. X X X V I I, 5).

რკალის სიგანე (მხრებში) 2,9 სმ-ია, რკალის სიმაღლე — 2,5 სმ, რკალის სისქე ზურგში — 0,5 სმ, მხრებში — 0,8 სმ, თვალბუდის ოვალის სიგრძე — 2,1 სმ, სიგანე — 1,7 სმ, ფარაკის სისქე ქვიანად — 0,6 სმ, თვალბუდის სიმაღლე — 0,35 სმ, წონა — 11,30 გრ. (თვლითურთ).

ბ ე ჭ ე დ ი[48], ვერცხლის წინგანხილულის მსგავსი, მხოლოდ ოდნავ უფრო მომცრო, მუქწითელ სარდიონის თვალზე გამოსახულია ტოტებიანი ხე, რომელზედაც მიმდგარია წვეროსანი თხა (ტაბ. X X X V I I, 4).

რკალის სიგანე მხრებში 2,8 სმ-ია. სიმაღლე — 2,5 სმ, თვალბუდის ოვალის სიგრძე — 1,9 სმ. სიგანე — 1,65 სმ; რკალის სიგანე ზურგში — 0,5 სმ, სიგანე მხრებში — 0,7 სმ, თვალბუდის სიმაღლე მთლიანად — 0,6 სმ, წონა — 10,35 გრ (თვლითურთ).

ბ ე ჭ ე დ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს[49], წვრილი რკალით და ბრტყელი ფარაკით. შემორჩენილია ორი მოზრდილი ნატეხი, ფარაკის ნაშთითურთ. რკალი ნაკლულია.

ს ა ყ უ რ ე ო ქ რ ო ს ი[50], წიწიბოს მოყვანილობის. ორი ცალი. ერთს შემორჩენილი აქვს შვერილზე წამოცმული ოქროსივე თვალბუდე, რომლიდანაც

---

[45] ჟი—193—71, ტაბ. X X X V I I, 2.
[46] ჟი—194—71, ტაბ. X X X V I I, 2.
[47] ჟი—195—71, ტაბ. X X X V I I, 3. ზედა რიგი, მარჯვენა, ფერადი ტაბ. II, 3.
[48] ჟი—196—71, ტაბ. X X X V I I, 3. ზედა რიგი, მარცხენა და ფერადი ტაბ. II, 4.
[49] ჟი—197—71, ტაბ. X X X V I I 3 (ქვედა).
[50] ჟი—198—71, ტაბ. X X X V I I, 3. ფერადი ტაბ. II, 1.

თვალი გამოვარდნილია. ყურში გასაყრელი ღერო, თითქმის ნახევარწრიულადაა მოხრილი.

წონა 3,74 გრ-ია, სიგრძე — 2,2 სმ, უდიდესი სიგანე — 1 სმ, თვალბუდის დიამეტრი — 0,5 სმ; მეორეს არა აქვს თვალბუდე, მისი წონა 3,17 გრ-ია, წინგანხილულის მსგავსია. სიგრძე 2,1 სმ-ია, უდიდესი სიგანე — 1 სმ.

მ ო ნ ე ტ ა [51], ოქროსი, იულია (დომნა) ავგუსტა. კარგად დაცული. წონა 6,97 გრ-ია, დიამეტრი — 2,1 სმ. ავერსზე გამოსახულია იულია დომნა (იულია ავგუსტა) მარჯვენა პროფილში. რევერსზე აქვს ზედწერილი დიანა ლუციფერა, შუაში დგას შუბოსანი, კისერზე ნახევარმთვარის გამოსახულებით.

მ ო ნ ე ტ ე ბ ი [52], ვერცხლის, 4 ცალი. ორი მარჯვენა, ხოლო ორი მარცხენა ფეხზე ეწყო. ამათგან ორი გოთარზეს სახელითაა მოჭრილი, ორი კი ავგუსტე კეისრის დენარია. ნუმიზმატ გ. დუნდუას ვარაუდით, ავგუსტე კეისრის ერთი დენარი მინაბაძის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჰ უ რ ჰ ე ლ ი [53], მინის, დამსხვრეული, რესტავრირებულია ნეილონის ბადურის გამოყენებით, აკლია ზოგიერთი ადგილი. ჰურჰელს აქვს: ბრტყელი, ოთხკუთხი ძირი კუთხეებში ოთხი ბურცობით, ორი დაბალ-რელიეფურ-კონცენტრული წრით და შუაში მცირე შეღრმავებით, რომლის ცენტრში დასმულია მეჩეჩისებრი რელიეფი. ტანი ოთხკუთხაა, საკმაოდ მაღალი, მხრები მომრგვალებული. ყელი მრგვალ-ცილინდრულია, პირის ბაკო განიერი და სწორია, ყურის ღერო ძალზე ბრტყელია და დაღარული: იგი ძირით მხარზეა დაძერწილი, თავით კი ყელზე, ბაკოს ქვემოდან.

სიმაღლე 18,5 სმ-ია, ძირის ზომები — 7,7×7,6 სმ, ტანის სიმაღლე—13 სმ, პირის დიამეტრი — 5,3 სმ, პირის ღრუს დიამეტრი — 2,2 სმ, ყურის სიგანე — 5 სმ, ყურის სიგრძე — 4,4 სმ.

ჰ უ რ ჰ ე ლ ი [54], მინის, დამსხვრეული, აღდგენა შეუძლებელია. შემორჩენილი ძირი და ყელყური ზუსტად წინგანხილულის მსგავსია.

ძირის ფართობი 7,4×7,6 სმ-ია, პირის დიამეტრი — 5,5 სმ, პირის ღრუს დიამეტრი — 2,2 სმ, ყურის სიგანე — 4,5 სმ, ყელის სიგრძე — 4 სმ.

ჰ უ რ ჰ ე ლ ი [55], მინის ყელმოტეხილი, ტანი დამტვრეული ჰქონდა, აღდგენილია. მინა მოთეთროა, ძალზე ბაცი მწვანე იერით. ჰურჰელს ჰქონია: ბრტყელი, დაბალი მრგვალი ჭუსლით გამოყოფილი ძირი, მრგვალდაბრტყელებული ტანი, რომელიც ორი ღრმა ნაჭდევითაა შემკული (მუცლის უდიდეს დიამეტრზე). (ტაბ. XXXVIII, 1 მარჯვენა).

ჭუსლის დიამეტრი 4,6 სმ-ია, მუცლის — 9,1 სმ, შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე — 6,5 სმ.

მ ი ნ ი ს ჰ ურ ჰ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი [56], მოთეთრო-დახშული. აღმოჩნდა ექსკავატორით ამოყრილ მიწაში. შემორჩენილია სხვადასხვა ჰურჰლის ნატეხები, მათ შორის გამოირჩევა ოთხკუთხა ჰურჰლის ძირი, რომელიც ზომით უფრო პატარა ჩანს, ვიდრე № 204. ჰურჰლის ოდნავ შეზნექილ ძირზე შეიმჩნევა ორი კონცენტრული, დაბალი რელიეფი. ძირის ცალი გვერდის სიგრძე — 6,2 სმ, მინის სისქე — 0,3 სმ.

---

[51] ჟი—199—71, ტაბ. XXXVII, 6, 7; ფერადი ტაბ. II, 2. რევერსი.
[52] ჟი—200, 201, 202, 203—71 (ტაბ. XXXVIII, 2, 4, 5).
[53] ჟი—204—71, ტაბ. XXXVIII, 1.
[54] ჟი—205—71, ამავე ტიპის ჰურჰელს ეკუთვნის ჟი—207—71-იც.
[55] ჟი—206—71, ტაბ. XXXVIII, 1.
[56] ჟი—208—71.

მ შ ვ ი ლ დ ი ს ა კ ი ნ ძ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[57], რკინისა, შემორჩენილია შვილდის ნაწილი და ენის ამოსადები იღლია. სიგრძე — 7,5 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი[58], გიშრის, ასხმულია ძაფზე (სიგრძე 71 სმ). ძირითადად მრგვალი და ოდნავ ცილინდრული, მეტნაკლები სიდიდის, აღმოჩნდა მკერდისა და კისრის არეში. უმცირესის დიამეტრი 0,5 სმ-ია, უდიდესისა — 0,9 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი გ ი შ რ ი ს[59], 18 ცალი მოგრძო ოთხკუთხედები, თითოეული წვრილი, მოგრძო ნახვრეტით. ტიპური ცალის სიგრძე — 1 სმ, სიგანე — 0,5 სმ. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მტევნის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი ს ა რ დ ი ო ნ ი ს[60], 27 ცალი, მოწითალო, 25 ცალი შინდის მარცვლის მოყვანილობისა, ერთი მოჩალისფრო და უფორმო, ერთი კი მრავალწახნაგა და კარგად დამუშავებული. სიგრძე — 0,9 სმ; აღმოჩნდა მარჯვენა ხელის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი მ ი ნ ი ს[61], სადა, მრგვალი, უმეტესობა მოლურჯო-მოცისფრო, დიამეტრი 0,7 სმ-ია.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[62], მათ შორის ზოგი ორყურა დიდი ხელადისა. აღდგენა არ მოხერხდა.

რ კ ი ნ ი ს ღ ე რ ო ს ნ ა ტ ე ხ ი[63], წვეტიანი, განივკვეთში მრგვალი. დაფარულია ჟანგით. აღმოჩნდა ცხენის ძვლების ალაგების დროს.

გარდა ამისა, სამარხის სამხრეთ ნაპირას, იდაყვის ძვლის გასწვრივ, აღმოჩნდა მთლად ჟანგად ქცეული რკინის მახვილი (in situ 29 სმ), რომლის აღება არ მოხერხდა და ბევრი დამტვრეული მძივი; მათ შორის ზოგი გიშრისა.

ც ხ ე ნ ი ს ძ ვ ლ ე ბ ი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლული იყო[64], იწვევს საგანგებო ინტერესს და იგი შესასწავლად გადაეცა ოსტეოლოგებს.

№ 5 სამარხი საყურადღებო იყო იმითაც, რომ სარეცლის ფეხთა ვერცხლის გარსაკრავები სამარხის თავსა და ბოლოში წყვილწყვილად იყო განლაგებული და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ისინი ნამდვილად არსებულ სარეცლის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, თუმც სხვა რამ ნაშთი სარეცლისა იქ არ აღმოჩენილა.

ს ა მ ა რ ხ ი № 6. აღმოჩნდა ადმინისტრაციული სახლის ქვაბულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,7 მეტრის სიღრმეზე. წარმოადგენს ქრისტიანულ ორმოსამარხს, რომელშიაც ჩასვენებული იყო ერთი უინვენტარო მოზარდი. (ტაბ. X X I X).

ს ა მ ა რ ხ ი № 7. მდებარეობდა ქვაბულის ჩ/ა ნაწილში (იხ. ტაბ. X X I X); წარმოადგენდა ტიპურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა ძვალ-ხსხვილი მამაკაცის, მკვეთრად ფეხებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე მდებარე ჩონჩხი. თავით დასავლეთისკენ, თავის ქალა მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიმაღლეზე მდებარეობდა.

სამარხში აღმოჩნდა:

---

[57] ქი—210—71.
[58] ქი — 21 — 71, ტაბ. X X X V I I I, 6.
[59] ქი—212—71.
[60] ქი—213—71, ტაბ. X X X V I I I, 6, ქვედა.
[61] ქი—214—71.
[62] ქი—217—71.
[63] ქი—209—71.
[64] ქი—218—71.

კ ო ჭ ო ბ ი თ ი ხ ი ს[65], სასმისისებრი, ცალყურა. წითლად გამომწვარი. ნაწილობრივ აღდგა, აკლია პირყელის ნაწილი. აქვს ქუსლისებრი, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი, მოგრძო მუცელგაბერილი ტანი, განიერი ყელი და გადაშლილი პირი, ყურის ღერო მრგვალია, წვრილადაა მორკალული და მიძერწილია მუცლის უდიდეს დიამეტრზე (სურ. 7_5).

თიხა კარგადაა განლექილი, მკვრივია და სრულადაა გამომწვარი. სიმაღლე — 9,3 სმ, ქუსლის დიამეტრი — 5,7 სმ, მუცლისა — 7,5 სმ, ყურის ღეროსი — 1 სმ.

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[66], მოჩალისფრო, ბევრია, აღდგენა არ მოხერხდა (სურ. 7_4).

ბ ე ჭ ე დ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს[67], დაბრტყელებული, მხრებგაგანიერებული, ფარაკის ფუძე ბრტყელია, შესაძლოა ზედ თვალბუდე იყო დარჩილული. ეკეთა



სურ. 7. № 7 სამარხის კომპლექსი
Рис. 7. Комплекс погребения № 7

მარცხენა ხელზე. რკალის დიამეტრი 2,25 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ფარაკის სიგრძე — 1,1 სმ, სიგანე — 0,6 სმ (სურ. 7_1).

ს ა ყ უ რ ე ვ ე რ ც ხ ლ ი ს[68], ერთი მთელია, ერთიც ნატეხი. ოვალურ თავგახსნილ რკალს აქვს მოგრძო შვერილი ღერო. სიგრძე — 1,9 სმ, სიგანე — 1 სმ, შვერილი ღეროს სიგრძე — 9,6 სმ (სურ. $7_{2,3}$).

ს ა მ ა რ ხ ი № 8. მდებარეობდა ქვაბულის აღმოსავლეთ ბოლოზე. წარმოადგენდა უშუალოდ ნიადაგში ქრისტიანული წესით დაკრძალულ ინდივიდს, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ-ზე. სამარხი უინვენტარო იყო (ტაბ. XXIX).

ადმინისტრაციული სახლის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, შენობის მიჯრით მდებარე ფართობი ითხრებოდა ვიწრო უღლების გამოტოვებით (სახსრების ეკონომიის მიზნით), (ტაბ. XXX, 1,2).

ს ა მ ა რ ხ ი № 9. მდებარეობდა სამშენებლო ქვაბულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 0,85 მ-ის სიღრმეზე. ქვაბულის თხრის

---

[65] ჟი—219—71.
[66] ჟი—220—71.
[67] ჟი—221—71.
[68] ჟი—222—71.



1



2



3



3



4













5 6 7



ტაბულა II



1



2



3 4





1



2

ტაბულა IV



1



2



3



4



5



237



236



241



239



238

0 1 2

ტაბულა VI





280



275



282



307



274



278



279



277



273



0 1 2 3



306



1 2

ტაბულა VIII



დროს ძვლები დაზიანდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ იგი ეკუთვნოდა ქრისტიანული წესით დაკრძალულ ბავშვს. სიგრძე 1 მ, სიგანე 0,6 მ. უინვენტარო.

სამარხი № 10. მდებარეობდა № 9 სამარხის სიახლოვეს, მიწის ზედაპირიდან 0,7 მეტრის სიღრმეზე. წარმოადგენდა ქრისტიანულ ორმოსამარხს, რომელიც დაზიანდა ქვაბულის ამოღების დროს. სიგრძე — 1,7 მ, სიგანე — 0,8 მ. უინვენტარო.

სამარხი № 11. მდებარეობდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (იხ. გეგმა, ტაბ. XXIX). წარმოადგენდა მოზრდილ მრგვალ ორმოს, რომლის შუაშიც მიწის ზედაპირიდან 1,05 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თავით ს/დ დამხრობილი, მარცხენა გვერდზე მდებარე კიდურებმოკეცილი ქალის ჩონჩხი, რომელსაც განსაკუთრებით მკვეთრად ქვედა კიდურები ჰქონდა მოხრილი. ძვლების დონეზე ოდნავ მაღლა, თავის ქალას უკან, დახვავებული იყო ჩალეწილი ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ჩვენ იქ რამდენადმე ადრე არსებული ორმოს კუთვნილებად მივიჩნიეთ (ტაბ. XXXIX, 1). № 11 სამარხში აღმოჩნდა:

ხელადა[69], მოჩალისფრო, აღდგენილია ნაკლულად. აქვს მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირი, წიბოვანი ყელი, ოდნავ გაგრძელებული კორპუსი და ბრტყელი ძირი. ჭურჭელს ჰქონია ცალი ყურის, რომლისგანაც მხოლოდ ძირია შემორჩენილი. მხარი შემკული აქვს ირიბი ნაჭდევების ორი წრითა და კონცენტრული ნაჭდევების ორი წყვილით.

თიხა წმინდაა, დამჭლევებულია წმინდა სილით. გამომწვარია კარგად. ზომები: სიმაღლე — 17,7 სმ, პირის დიამეტრი 7,1 სმ-ია, ძირის — 10 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ.

ხელადის ნატეხები[70], მოჩალისფრო, ჭურჭელს ჰქონია ბრტყელი ძირი და ცალი ყური. კეცის სისქე — 0,5 სმ.

მძივები, მინის[71], ლურჯი, გამჭვირვალე, მეტნაკლები სიდიდისა და სხვადასხვა მოყვანილობის. მათ შორის 18 ცალი კვირისტავისებრია, სამი (შედარებით მოზრდილი) — მრგვალია (დიამეტრი 0,6 სმ), დანარჩენებს ცალი მხარე შებრტყელებული აქვთ.

მძივები, მინისა და ლალის[72], 5 ცალი. ამათგან ორი თაფლისფერი მინისაა, მომწვანო ელფერით; აქვთ საწონისებრი მოყვანილობა და ძაფის გასაყრელი ყუნწი. მოზრდილის სიგრძე 1,1 სმ-ია, მომცროსი — 1 სმ. სამი ცალი გამჭვირვალე ლალია, ბროწეულის მარცვლის მოყვანილობის. ამათგან ორი ცალი მომრგვალოა, ერთი — ბრტყელი.

მძივები, მინის[73], სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. 2 ცალი სფერულია და ინკრუსტირებულია სიგრძივი მწვანე და ცისფერი ზოლებით. დიამეტრი — 0,9—1,0 სმ. ერთი ცალი მოშავოა, თავბოლოშებრტყელებული, აქვს განიერი ხვრელი, ინკრუსტირებულია მომწვანო და მოყვითალო დიდ-პატარა ხალებით, დიამეტრი 1,2 სმ-ია, ერთი ცალი ცისფერია, მრგვალი და ინკრუსტირებულია ტალღისებრი ზოლით. დიამეტრი 0,7 სმ, ორს კი აქვს დაღარული (მანდარინისებრი) ზედაპირი.

მძივები, მინის[74], მათ შორის ერთი სარდიონისაა, მრავალდიამეტ-

---

[69] ქი—72—232, ტაბ. XLIII, 1.
[70] ქი—72—233.
[71] ქი—72—227, ფერადი ტაბ. IV, 5.
[72] ქი—72—228, ფერადი ტაბ. IV, 1.
[73] ქი—72—229, ფერადი ტაბ. IV, 3.
[74] ქი—72—230, ფერადი ტაბ. IV, 2.

რიანი; ე. წ. „ნაპობი“ მძივების ტიპისა. წვრილი ხვრელით, დიამეტრი — 1 სმ, მეორე კი მინისაა, მომწვანო მოთაფლისფრო, ცალ მხარეს დაძერწილი ყუნწითა და სიგრძივი ხვრელით.

ღ ი ლ ი, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[75], დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან, არათანაბრად მრგვალია, ნახევრადსფერული, კიდეზე ურთიერთმოპირდაპირე თითო ნახვრეტით. დიამეტრი 1,5 სმ.

გარდა ამ ნივთებისა, რომლებიც უშუალოდ იქ დაკრძალულის კუთვნილი იყო, სამარხის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა იქვე მდებარე ორმოდან მომდინარე კერამიკული ნატეხები. მსგავსი მასალა მრავლად იყო ორმოს გადარჩენილ ნაწილშიც. ამ ნატეხებიდან აღვწერთ ზოგიერთს:

ქ ო თ ნ ი ს პ ი რ გ ვ ე რ დ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[76], შავლეგა, დამსხვრეული, შეკოწიწდა ერთი მოზრდილი ფრაგმენტი. ჭურჭელს ჰქონდა დაბალი ყელი, გადაშლილი პირი, ბრტყელგანივკვეთიანი ოვალურად მორკალული ყური; თიხა შეიცავს სილისა და კირქვის წვრილ მინარევებს. ყურის სიგანე 2,4 სმ-ია, კეცის სისქე — 0,4 სმ.

ქ ო თ ნ ი ს პ ი რ ი ს ა და ძ ი რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[77], მოწითალო; ჭურჭელს ჰქონია დაბალი ყელი, ბაკო დაბრტყელებული და მცირედ გარეთ გადაშლილი პირი, განიერი მხრები და ბრტყელი ძირი. თიხას აქვს მინარევები, ბაკოს სიგანე 0,7 სმ-ია, კეცის სისქე — 0,4 სმ.

ქ ო თ ნ ი ს ე ბ რ ი ჭ უ რ ჭ ლ ი ს[78] პირგვერდის ნატეხი, შავლეგა, ნაკლულია; აქვს დაბალი ყელი, ფართო პირი, დახრილი კალთა, შვეულად აკეცილი კიდე, პირის დონეზე ოდნავ მაღალი, გარეთგაშვერილი, ბრტყელღეროიანი, ოვალური ყური, თიხა შეიცავს მინარევებს. სიმაღლე 5,8 სმ-ია, ყურის სიგანე — 2,2 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ.

გარდა აქ ჩამოთვლილი საგნებისა, დაზიანებულ ორმოში მიკვლეულია გვერდაკეცილი კრამიტის, საკმაოდ სქელკედლიანი ქვევრის, აგრეთვე სამზარეულო ჭურჭლის დიდძალი ნატეხები. საგულისხმოა, რომ ორმოში მოპოვებული ნატეხები თავისი ფაქტურითა და დამახასიათებელი ნიშნებით ქრონოლოგიურად დიდად არ უნდა იყოს დაშორებული საკუთრივ სამარხებში მოპოვებული კერამიკისაგან. ფაქტიურად ორმოებსა და სამარხებში მოპოვებული თიხის ნაწარმი ურთიერთიდენტურია.

ს ა მ ა რ ხ ი № 12 ეკუთვნოდა ბავშვს, რომელიც ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული. სიღრმე 0,7 სმ-ია, უინვენტაროა.

ს ა მ ა რ ხ ი № 13 (იხ. გეგმა). წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე მდებარე, თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი, ძლიერ მოხრილი ჩონჩხი. უინვენტაროა (ტაბ. XL, 1).

ს ა მ ა რ ხ ი № 14 მდებარეობდა 1,1 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, თხრილის ჩრდილოეთ ბოლოზე. წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი ჩონჩხი შედარებით მცირედ მოხრილი ქვედა კიდურებით. დაკრძალული ზურგით მიწაზე იყო გართხმული. დაკრძალვის ასეთი წესი თითქოს იმის მანიშნებელია, რომ ძველ წარმართულ ტრადიციას თანდათანობით ივიწყებენ (ტაბ. XL, 2). უნდა ვიფიქ-

---

[75] ე ი—72—231, ფერადი ტაბ. IV, 4.
[76] ე ი—72—233, ტაბ. XXXIX, 2.
[77] ე ი—72—234, ტაბ. XXXIX, 5.
[78] ე ი—72—235, ტაბ. XXXIX, 4.

როთ, რომ დაკრძალვის ეს პოზა ჩვენში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების უშუალოდ წინ ან ამ რელიგიის მიღების პირველ ხანებშივე გაჩნდა.

სიგრძე — 1,35 მ, სიგანე — 0,50 მ. სამარხში აღმოჩნდა:

მ ძ ი ვ ე ბ ი გ ი შ რ ი ს[79], 22 ცალი. აქედან 11 მთელია, 5 ცალი მილისებრია, სიგრძე — 2 სმ. 6 ცალი შუაში გამობერილი და თავებისაკენ შევიწროებულია; სიგრძე — 2,3 სმ, დიამეტრი — 0,6 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი მ ი ნ ი ს[80], 8 ცალი. ამათგან 2 თაფლისფრად გამჭვირვალე, „გირისებრი", ყუნწიანი მძივსაკიდია. სიგრძე—1,00 სმ. 3 ცალი ბრტყელი. ყუნწიანი საკიდია, რომლებსაც ბრტყელი გვერდები შემკული აქვთ წრიული და სწორი ნაჭდევებით; სამი მძივი მოგრძოა, შუაში ოდნავ შემსხვილებული, მუქი ლურჯი მინისა. სიგრძე — 1,8—2 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 15 (იხ. გეგმა) წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს. დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით. სამარხის სიგრძე — 1,65 მ, სიღრმე — 1,00 მ. უინვენტაროა (ტაბ. XL, 3).

ს ა მ ა რ ხ ი № 16 (იხ. გეგმა და ტაბ. XLI, 1). წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, 1,05 მ-ის სიღრმეზე. იწვა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მუხლებში მცირედ მოხრილი და გულხელდაკრეფილი, სამარხის სიგრძე—1,55 მ, სიგანე—0,5 მ. აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

მ ძ ი ვ ე ბ ი, გ ი შ რ ი ს[81], 31 ცალი მილისებრი, სხვადასხვა ზომის, უდიდესის სიგრძე 1,5 სმ-ია, მინიმალური — 0,7 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს ა[82], 35 ცალი. მათ შორის 13 ცალი თეთრი მინისა, მომრგვალო, ნაპირებშებრტყელებული, მოოქრული, დიამეტრი 0,6 სმ-ია, 3 ცალი ლურჯია, კუთხეებდაწახნაგებული, თითო — თეთრი სარტყლით. სიგრძე — 5,5 სმ; 2 ცალი იმავე ტიპისაა, ოღონდ უფრო დიდები; 12 ცალი ლურჯი, ბიკონუსური, კვირისტავის მოყვანილობისაა, დიამეტრი — 0,4 სმ; 2 ცალი მრგვალია და ლურჯი, ოდნავ დაბრტყელებული; 3 ცალი მრგვალია და თეთრადაა ირიზებული, 1 ცალი თხელი სადაფისაა.

მ ძ ი ვ ი, მ ი ნ ი ს[83], მომცრო, მრგვალი, ძალზე თხელკედლიანი, ირიზებული, დიამეტრი — 0,5 სმ. დაიმსხვრა.

ს ა ყ უ რ ე ე ბ ი, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი[84], 2 ცალი. ერთი მთელია, აქვს გახსნილი რგოლი, ცალ მხარეს მირჩილული ყუნწით, რომელზედაც ჩამოკიდულია შვეული აგრეთვე ყუნწიანი ღერო, ბოლოზე ვარდულით და ამ ვარდულებს შორის მოქცეული მომცრო, ცილინდრული მოყვანილობის მძივით. სიგრძე 3 სმ, უდიდესი დიამეტრი — 1,2 სმ. მეორე საყურე დაშლილია. ვარდულებისშორისი მძივი დაკარგულია.

ს ა მ ა რ ხ ი № 17 (იხ. გეგმა და ტაბ. XLI, 2) ეკუთვნოდა ბავშვს. წარმოადგენდა ჩვეულებრივ ორმოსამარხს, დაკრძალული იყო გაშოტილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფით. სიგრძე — 0,82, სიგანე 0,3 მ. სამარხში აღმოჩნდა ერთი ს ა ყ უ რ ე[85] ბაჯაღლო ოქროსი. ნაკეთებია მრგვალი ღეროსაგან. ძირითადი რკალი მცირედ თავგახსნილია, ერთ მხარეს მირჩი-

---

[79] ქი—72—236, ფერადი ტაბ. V.
[80] ქი—72—237, ფერადი ტაბ. V.
[81] ქი—72—238, ფერადი ტაბ. V.
[82] ქი—72—239, ფერადი ტაბ. V.
[83] ქი—72—240.
[84] ქი—72—241, ფერადი ტაბ. V.
[85] ქი—72—242.

ლული აქვს პატარა საკიდი რგოლი (ყუნწი). უდიდესი დიამეტრი — 1,3 სმ, უმცირესი — 1,00 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,1 სმ, ყუნწის — 0,4 სმ; 0,9 გრ. მსგავსი საყურეები ფართოდ იყო გავრცელებული არმაზულსა და ადრეფეოდალურ ხანებში.

სამარხი № 18 (იხ. გეგმა და ტაბ. XLII, 2). წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა თავით დასავლეთისკენ დამხრობილი, მუხლებში მცირედ მოხრილი, ზურგზე მწოლიარე ჩონჩხი, რომელსაც გარშემო რიყის მომსხო ქვები ჰქონდა შემოწყობილი. ასეთივე ქვები მრავლად ამოდიოდა სამარხის პრეპარაციის დროსაც. სამარხის სამხრეთით, დაახლოებით ერთ მეტრზე, აღმოჩნდა ქვაყრილი, რომელიც ჩვენ დამოუკიდებელ სამარხად მივიჩნიეთ (№ 19) და რომლის ქვეშაც დამარხული იყო ორი ძაღლი (ტაბ. XLII სურ. 1, 2). სამარხის „იატაკი" მიწის პირიდან 1,35 მეტრზე მდებარეობდა, თუ ჩავთვლით, რომ ძაღლების ჩონჩხი № 18 სამარხში დაკრძალულის კუთვნილებაა, ე. ი. მასთან ერთადაა თანდაკრძალული, მაშინ სამარხის საერთო ფართობი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო (2,5×3,8).

თუმც არც ის არის გამორიცხული, რომ ძაღლებისთვის გაემართათ ცალკე სამარხი, მით უმეტეს, თუ ისინი რომელიმე წარჩინებულის გამორჩეული სანადირო ცხოველები იყვნენ. ძაღლების კუთვნილ № 19 სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა, № 18 სამარხში კი აღმოჩნდა:

ბეჭედი, ბრინჯაოსი[86], აქვს მრგვალღეროიანი, ოდნავ დაბრტყელებული რკალი, თვალბუდის ფუძესთან გახსნილი და დაბრტყელებული თავები. თვალბუდე დაშლილი იყო, რომელშიც მჯდარა ამობურცული, ფუძებრტყელი, მრგვალი თვალი, მომწვანო-გამჭვირვალე, მინა ირიზებულია.

რკალის დიამეტრი 2,2 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ, თვალისა — 1 სმ.

ბეჭედი, რკინის[87], მთლად დამსხვრეულია, ჰქონია მრგვალი ღერო და ფარაკი. რკალის დიამეტრი 2 სმ-ია.

საყურის ნატეხები, ბრინჯაოსი[88], ორი ცალი. საყურეს ჰქონია მრგვალღეროიანი, თვალგახსნილი, ზედვე მირჩილული პატარა საკიდი რგოლით, რომელშიც გამოდებული ყოფილა შვეული, მოგრძო ღერო, ბოლოზე ორ ვარდულს შორის მოქცეული მძივით. ჩანდა, რომ ამ ღეროზე ყოფილა ჩამოცმული კონუსური მოყვანილობის ვერცხლის ფუყე მძივი.

ჰურჭლის ნატეხები[89], სამი სხვადასხვა ერთეულისაა, შეგროვილია სამარხის პრეპარაციის დროს. ერთი, ლეგა ფერის ქოთნისა, მეორე ხელადის ძირგვერდია, კარგად განლექილი, მოწითალოდ გამომწვარი. კეცის სისქე 0,6 სმ-ია. მესამე ჰურჭლის გვერდის ნატეხია, ასევე კარგად განლექილი. კეცის სისქე — 0,5 სმ.

მძივები, მინისა[90], 25 ცალი იოტისებრი, მწვანე მინისა; 25 ცალი ლურჯი მინისა, კვირისტავის მოყვანილობისა; 25 ცალი ლურჯი მინისა, მრგვალი ოდნავ დაბრტყელებული; 1 ცალი პასტისებრი მინისა, მომრგვალო; 3 ცალი გიშრისაა, ტრაპეციის მოყვანილობის, წვრილი; 1 ცალი ბრინჯაოს წვრილი რგოლია. № 18 სამარხის მთლიანად აღების შემდეგ გაირკვა, რომ კულტურული ფენები უფრო ღრმად გრძელდებოდა. გამოვლინდა რიყის ქვების კიდევ

---

[86] ეი—72—243, ტაბ. XLII, 3.
[87] ეი—72—244.
[88] ეი—72—245, ტაბ. XLII, 3.
[89] ეი—72—246.
[90] ეი—72—247, ტაბ. XLII, 3.

ერთი ყრილი, რომლის გარღვევის დროს გვხვდებოდა ფენაში გაბნეული თითო-ოროლა ნივთი, კერძოდ:

ობსიდიანის იარაღი[91], ლამელისებრი, ეტყობა დარტყმის მოედანი და ატკეცვის ბურცობი. სიგრძე — 3,9 სმ.

ჰურჭლის ნატეხები[92], ძალზე უხეში თიხისა, არასრული გამომწვარი. ჰურჭლის რაობა გაურკვეველია. კეცის სისქე — 0,8 სმ.

ძვლის ნატეხები[93], ორი. ძალზე ცუდად დაცული. ძაღლების ორი ჩონჩხის პრეპარაციისას, ქვაყრილის დონეზე აღმოჩნდა რამდენიმე ნივთი, რომელთა შორის საყურადღებოა:

ჰურვი, ქვის[94], არათანაბრად მრგვალი, ფოროვანი ქვიშაქვისა, მონაცრისფრო, დიამეტრი 17 სმ-ია.

ქოთნის ნატეხები[95], 2 ცალი, ლეგა მოშავო პირგვერდისა და ძირის. ჰქონია დაბალი ყელი, გარეთპირგადაშლილი, სფერული ტანი. კეცის სისქე 0,9 სმ-ია.

ჰურჭლის ნატეხები[96], ორი სხვადასხვა ცალისა, ერთი მოჩალისფროა, მკვრივი, კარგად განლექილი კეცით, მეორე — პირყელის ნატეხი მოწითალოა, აგრეთვე წმინდა თიხისა.

ჩაფის ყელპირი[97], მოჩალისფრო: პირის დიდი ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, ყელზე შემოუყვება ორი ნაწიბური. ჰურჭელი ორყურა ყოფილა, მათგან მხოლოდ ყურისძირებია შემორჩენილი. კეცი მკვრივი და წმინდა თიხისაა.

პირის დიამეტრი დაახლოებით 10 სმ-ია, ყელისა — 8 სმ, კეცის სისქე — 0,6 სმ.

ქოთნის ნატეხები[98], შავლეგა. ყელდაბალი, მასიურკეციანი, ჰქონია ბრტყელი ძირი. კეცი უხეშია. სისქე 0,7 სმ.

სამარხი № 20. მდებარეობდა № 16 სამარხის ქვეშ (იხ. გეგმა), დიდი ნაცროვანი ორმოს შუაში, მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზე. სამარხში აღმოჩნდა მოზრდილი მამაკაცის გაშოტილი ჩონჩხი, თავით სამხრეთისაკენ. ორმო, როგორც ჩანს, ადრინდელი იყო; იგი, როგორც წესი, ამოვსებული იყო შავმიწა ნიადაგით, ქვებით, მრავალი ჰურჭლის ნატეხებითა და ცხოველების ძვლებით. ამის გარდა, ადამიანის გარშემო, ორმოს ნაპირებთან აღმოჩნდა პატარა ცხოველების (გოჭების?) მთლიანი ჩონჩხები, რაც იმის საცდურს ქმნის, რომ ეს ცხოველები გაშოტილი მიცვალებულის დაკრძალვისას ჩაალაგეს სამარხის ნაპირებში, როგორც შეწირული ცხოველები. თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ ორმოში ეს ჩონჩხები უკვე არსებობდნენ, როდესაც № 20 სამარხი გამართეს. საკუთრივ ჩონჩხს რაიმე ნივთები არ ახლდა. მაგრამ სამარხის პრეპარაციის დროს ჩნდებოდა თიხის ჰურჭლის ნატეხები, რომლებიც ყველა ნიშნით, ამ ორმოს ეკუთვნოდა (რომელშიც № 20 სამარხის მიცვალებული ჩაუსვენებიათ). ორმო წრიული მოყვანილობისაა და მისი დიამეტრი 1,7 მ-ია, ჩონჩხის სიგრძე — 1,65 მ, სიგანე — 0,55 მ. ორმოში სამარხის ქვეშაც მრავლად იყო ნამუს-

[91] ჟი—72—248, ტაბ. XLII, 3.
[92] ჟი—72—249.
[93] ჟი—72—250.
[94] ჟი—72—251, ტაბ. XLVIII, 4.
[95] ჟი—72—253.
[96] ჟი—72—254.
[97] ჟი—72—255.
[98] ჟი—72—256.

რევი, რომელიც სამარხის დონეზე აღმოჩენილი მასალისაგან არ განსხვავდებოდა, ამიტომაც სანიმუშოდ აღვწერეთ რამდენიმე ნატეხი, რომელიც ძვლების პრეპარაციის დროს აღმოჩნდა.

ჰ უ რ ჰ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[99], 5 ცალი, ამათგან ერთი მოჩალისფროა, კარგად განლექილი, თიხისა, მეორე ნატეხი დიდი ჰურჰლისაა, აგრეთვე მაღალხარისხოვანი თიხისა; შესაძლოა, დერგისა იყოს. დანარჩენი სამი ნატეხი ლეგამოშავოა და ეკუთვნის სადუღარ ქოთანს.

ბ ა დ ი ი ს პ ი რ კ ე დ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[100], გამომწვარია მოჩალისფროდ, ჰურჰელს ჰქონია შიგნით გადასული განიერი ბაკო და საკმაოდ სქელი, კარგად გახსნილი თიხის ნაძერწი კედელი. ბაკოს სიგანე — 2,6 სმ, კეცის სისქე — 1,1 სმ.

დ ი დ ი ჰ უ რ ჰ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[101], ისეთივე ტიპისაა, როგორიც № 255. ეკუთვნის ორყურა კოკას, რომელსაც აქვს ორნაწიბურიანი ყელი და ბრტყელგანივკვეთიანი, ყელზე და მხარზე დაძერწილი ყურები. თიხა წმინდაა, კეცი — მკვრივი. ყურის ღეროს სიგანე 3 სმ-ია, კეცის სისქე — 0,7 სმ. ყურადღებას გავამახვილებთ იმ კვანძის სტრატიგრაფიაზე, სადაც № 16 და № 20 სამარხები აღმოჩნდა. როგორც აღწერიდან ჩანდა, ყველაზე ზემოთ იდო № 16 სამარხი, რომელიც ინვენტარის მიხედვით გვიან არმაზული ხანისათვის დამახასიათებელ მძივებს შეიცავს. სამარხი № 20 აშკარად რამდენადმე ადრეულია, რადგანაც მოქცეული იყო ზუსტად № 16 სამარხის ქვეშ. მართალია, მასში ინვენტარი არ არის, მაგრამ მის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენაში გვეხმარება ორმოს მასალები. ორმო კი აშკარად წინ უსწრებს ორთავე სამარხს. მაგრამ არა იმდენად, რომ მათ შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობა იყოს. ორმოს მონაპოვარი საერთო ხასიათით აშკარად გვიანარმაზული იერის მქონე მასალების წრეში ექცევა.

ს ა მ ა რ ხ ი № 21. მდებარეობდა თხრილის აღმოსავლეთ ნახევარში (იხ. გეგმა, ტაბ. XXIX). სამარხში აღმოჩნდა ერთი ინდივიდი თავით დასავლეთისკენ, მუხლმოხრილი, გულხელდაკრეფით, პირისახით ოდნავ მარცხნივ, აქაც კარგად ჩანს ერთგვარი გარდამავალი საფეხური დაკრძალვის წესში, სადაც უკვე ქრისტიანული წესის აგების ელემენტები აშკარადაა შეჭრილი. სამარხი მდებარეობდა 1,05 მ-ის სიღრმეზე. სიგრძე — 1,60 მ, სიგანე — 0,55 მ (ტაბ. XLIV, 1). სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ს ა კ ი ნ ძ ი, რ კ ი ნ ი ს[102], აქვს რკინის ღერო სამად გატეხილი და გამჭვირვალე სარდიონის მრგვალი თავი. თავის დიამეტრი 1,1 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, ს ა რ დ ი ო ნ ი ს[103], მათ შორის ერთი შინდისებრი მოყვანილობისაა, მოწითალო ბზარებით, სიგრძე — 1,1 სმ. მეორე მოზრდილია, გვერდებდაბრტყელებული, მომრგვალო. აქვს მოწითალო ძარღვები. დიამეტრი — 0,7 სმ-ია. აღმოჩნდა კისრის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი, გ ი შ რ ი ს[104], ერთი მრგვალ-ცილინდრულია; სადა. დიამეტრი — 0,8 სმ. სიგრძე — 0,6 სმ, 8 ცალი მოგრძო, პატარაა, დაწახნაგებული; საშუალო სიგრძე — 0,5—0,6 სმ.

---

[99] ქი—72—257.
[100] ქი—72—258.
[101] ქი—72—259.
[102] ქი—72—262, ფერადი ტაბ. VI.
[103] ქი—72—263, ფერადი ტაბ. VI.
[104] ქი—72—264, ფერადი ტაბ. VI.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [105], 15 ცალი. ყველა ერთი მოყვანილობისა. თაფლისფრად გამჭვირვალე, „გირისებრი“ მოყვანილობის, ყუნწით და განივი ხვრელით. ყველაზე დიდის სიგრძე 1,3 სმ-ია, მოკლესი — 0,8 სმ; ბურთულა ნაწილის დიამეტრია 0,5 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [106], მომრგვალო (ოდნავ წაგრძელებული), მოოქროვილი, თეთრად მბზინვარე გრძივი ზოლებით. ერთი მთელია, მეორე — გატეხილი. სიგრძე — 0,8 სმ, დიამეტრი 0.7 სმ. აიკრიფა კისრის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [107], 6 ცალი. აქედან 4 მწვანე იოტია; ერთი თეთრი წვნიკი მძივი, ერთი მოგრძო, თეთრად ირიზებული, ხორკლიანი. სიგანე — 0,9 სმ. აღმოჩნდა კისრის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [108], 90 ცალი, აქედან ორი მრავალწახნაგაა, ნაკეთები ლურჯი დახშული მინით. დიამეტრი 0,8 სმ, სიგანე — 0,9 სმ; ორი მრგვალი, სადა, მოცისფროდ გამჭვირვალეა, დიამეტრი — 0,8 სმ; 56 ცალი მუქი ლურჯი, კვირისტავისებური, წვრილი მძივია, დანარჩენი 30 ლურჯი დახშული და მოცისფრო მინისაგანაა დამზადებული.

ს ა მ ა რ ხ ი № 22 ინდივიდუალური ორმოსამარხია, რომელშიაც აღმოჩნდა თავით დასავლეთისკენ დამხრობილი, არც თუ ძალიან მუხლებში მოხრილი და მცირედ მარჯვნივ გადახრილი ჩონჩხი, რომელიც აგრეთვე საკმაოდ დაშორებულია დაკრძალვის ძველ ტრადიციას (ტაბ. XLIV, 1). სამარხის სიგრძე 1,7 მ-ია, სიგანე — 0,85 მ; ჩონჩხის სიგრძე — 1,45 მ, სიგანე — 0,55 მ. სამარხში აღმოჩნდა:

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [109], 86 ცალი. თითქმის ყველა ერთი ზომისაა, წვრილი, მრგვალი, ოდნავ დაბრტყელებული გვერდებით. დამზადებულია მუქი დახშული მინისაგან, დიამეტრი 0,4 სმ-ია.

ს ა მ ა რ ხ ი № 23 (იხ. გეგმა) ინდივიდუალური ორმოსამარხია, რომელშიც იყო ზურგზე მწოლიარე, მენჯის სარტყელზე ხელებდაკრეფილი, მარცხნივ მუხლმოყრილი ჩონჩხი, მიწის ზედაპირიდან 1,05 მ-ზე. ჩონჩხის სიგრძე — 1,4 მ, სიგანე — 0,45 მ. უინვენტარო (ტაბ. XLIV, 2).

ს ა მ ა რ ხ ი № 24 (იხ. გეგმა) მდებარეობდა თხრილის შუა ნაწილში. წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ დამხრობილი, ძლიერ მოხრილი ჩონჩხი. სიღრმე — 0,91 მ; კისრის მალების ირგვლივ აღმოჩნდა მძივები. კერძოდ:

მ ძ ი ვ ე ბ ი, ს ა რ დ ი ო ნ ი ს ა [110], 18 ცალი, მოწითალო, არათანაბრად მრგვალი, ოდნავ დაბრტყელებული გვერდებით, რამდენიმეს ზედაპირი ატკეცილი აქვს. საშუალო დიამეტრი 0,9 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს ა [111], 90 ცალი, ერთი ყაიდის; მეტნაკლები სიდიდის, არაწესიერად მრგვალი, ზოგი გვერდებდაბრტყელებული, მინა მონაცრისფრო, თეთრად ირიზებული. საშუალო დიამეტრი 0,6 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს ა [112] 3 ცალი, ერთი ლურჯად გამჭვირვალე, ცრემ-

---

[105] ჟი—72—265, ფერადი ტაბ. VI.
[106] ჟი—72—266, ფერადი ტაბ. VI.
[107] ჟი—72—267, ფერადი ტაბ. VI.
[108] ჟი—72—268, ფერადი ტაბ. VI.
[109] ჟი—72—269.
[110] ჟი—72—270.
[111] ჟი—72—271.
[112] ჟი—72—272.

ლისებრი მოყვანილობის, სიგრძე — 1,1 სმ. მეორე მრგვალია; მათგან მოზრდილი მომწვანოა. სულ მომცრო კი თეთრადაა ირიზებული. მძივები განლაგებული იყო კისრის არეში.

სამარხი № 25 მდებარეობდა თხრილის დასავლეთ ნაწილში. (იხ. გეგმა). წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე მდებარე, თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი ქალის ჩონჩხი, ძლიერ მოხრილი მუხლებით. სიღრმე — 0,80 მ, ძვლების სიგრძე —0,95 მ, სიგანე — 0,55 მ (ტაბ. XLIV, 3).

სამარხში აღმოჩნდა:

ხელადა[113], გატეხილი, ნაწილობრივ შეკოწიწებული, აქვს გადაშლილი მრგვალი პირი, წიბოიანი ყელი, ბრტყელგანივკვეთიანი ყური, რომელიც პირზეა მიერთებული და ბრტყელი ძირი. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე — 18 სმ, პირის დიამეტრი — 6,5 სმ, ყელის სიმაღლე — 3,6 სმ, მუცლის დიამეტრი — 13 სმ, ძირის — 8,5 სმ, კეცის სისქე — 0,9 სმ, ყურის სიგრძე—1,8 სმ.

საყურის ნატეხები, ვერცხლის[114], დამსხვრეულია. სამკაულს ჰქონია: წვრილი რკალი, ერთ მხარეს შვერილი ღეროთი და ზედ წამოგებული ორი წვრილი ხუთწახნაგა ვარდულით. შესაძლოა, ვარდულებს შორის ჩასმული იყო მძივი.

საკინძის ნატეხები, რკინის[115], აღმოჩნდა კისრის არეში. ჰქონია ქუდისებრი თავი და წვეტიანი ღერო, სიგრძე 8,3 სმ.

მძივები, გიშრის[116], 9 ცალი. აიკრიფა ხელის მტევნის არეში. აქედან 8 ცალი ცილინდრულია, სადა. სიგრძე — 0,7 სმ, დიამეტრი — 0,8 სმ, ხოლო 1 ცალი კონუსურია. სიგრძე — 1,4 სმ.

მძივები, სარდიონის[117], 27 ცალი. ელაგა მარჯვენა მაჯის გარშემო, შესაძლოა სამაჯურად იყო ასხმული. სხვადასხვა ზომისაა. ზოგი მუქი წითელია, ზოგი კი ღია მოწითალო. აქედან 18 ცალი მრგვალია, 6 ცალი — მოგრძო და წვრილი, სამი კი დაბრტყელებულია. ყველაზე მსხვილი მძივის დიამეტრია 1,1 სმ.

მძივები, მთის ბროლისა[118], 16 ცალი. დიდ-პატარა ზომისა. აიკრიფა მაჯების არეში. ერთი მოზრდილია და ოდნავ დაბრტყელებული, დიამეტრი — 1,2 სმ. მეორე არათანაბრად მრგვალია, დიამეტრი — 1 სმ.

მძივები, სადაფისა[119], 16 ცალი. დიდ-პატარა ზომისა, აიკრიფა მაჯების არეში. სადაფი მკვდარია; მათ შორის ერთი მოგრძოა, დანარჩენები ცილინდრულია. მოზრდილის დიამეტრი — 1,2 სმ.

მძივები, ლალისა[120], 15 ცალი. აიკრიფა იდაყვის, კისრისა და მაჯების გარშემო, კრიალა, გამჭვირვალე; მათგან ორი გვერდებწახნაგაა. 1 — ოვალური, 1 — მართკუთხა, ხოლო 11 ცალი — მრგვალდაბრტყელებული.

მძივები, მინისა[121], 5 ცალი. მათ შორის 1 კვირისტავის მოყვანი-

---

[113] ქი—72—283, ტაბ. XLV, 1.
[114] ქი—72—281.
[115] ქი—72—282, ფერადი ტაბ. VII.
[116] ქი—72—273, ფერადი ტაბ. VII.
[117] ქი—72—274, ფერადი ტაბ. VII.
[118] ქი—72—276.
[119] ქი—72—277, ფერადი ტაბ. VII.
[120] ქი—72—278, ფერადი ტაბ. VII.
[121] ქი—72—279, ფერადი ტაბ. VII.

ლობისა, მოცისფრო, თეთრად ირიზებული. მეორე მოგრძოა და თეთრი. სიგრძე 1,2 სმ, 3 ცალი წვრილია, დიამეტრი — 1 სმ, თეთრად ირიზებული. ელაგა იდაყვის მაჯებისა და კისრის არეში.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს [122], 21 ცალი. მათგან 3 ცალი კვირისტავისებრია, ხოლო დანარჩენები წვნიკი მძივია (15 შავი და 3 თეთრად ირიზებული).

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს ა [123], 13 ცალი. აიკრიფა მაჯების გარშემო. მათ შორის ზოგი მილისებრია, ზოგიც შინდისებრი; გარედან მწვანედაა შეღებილი. საშუალო სიგრძე 1,3 სმ. 1 ცალი კი ზედაპირდაღარულია. № 25 სამარხი გამოირჩევა მძივების მდიდარი ასორტიმენტით.

ს ა მ ა რ ხ ი № 26 (იხ. გეგმა) მდებარეობდა ყველაზე უფრო დასავლეთით, თხრილის განაპირას. წარმოადგენდა ინდივიდუალურ ორმოსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი მარჯვენა გვერდზე მდებარე მამაკაცის ძვალმსხვილი ჩონჩხი, რომელსაც საკმაოდ მკვეთრად ჰქონდა მოკეცილი კიდურები (ტაბ. XLIV, სურ. 3). სიღრმე — 0,9 მ; ჩონჩხის სიგრძე — 1,15 მ, სიგანე — 0,55 მ. სამარხში აღმოჩნდა:

ს ა ყ უ რ ე, წ ყ ვ ი ლ ი, ვ ე რ ც ხ ლ ი ს [124], მომცრო, ერთნაირი, აქვს წვრილი, თავგახსნილი რკალი, ცალ მხარეს შეერილი ღეროთი, რომელზედაც წამოცმულია ბრონწეულის მარცვლის მსგავსი ლალის თითო მძივი. რკალის დიამეტრი — 1 სმ, საყურის სიგრძე — 2 სმ.

დ ა ნ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი, რ კ ი ნ ი ს [125], იდო თავის ქალასთან, გატეხილია ორად და დაფარულია თხელი ჟანგით.

გარკვეული სამუშაოები I უბანზე გაგრძელდა 1973 წელსაც, კერძოდ, სამაროვნის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე საკმაოდ ვრცელი ტერიტორია დაიზვერა თხრილების მეშვეობით (იხ. გეგმა, ტაბ. XXIX); № 6 თხრილში აღმოჩნდა კიდევ ერთი სამარხი (№ 27).

ს ა მ ა რ ხ ი № 27, ტიპიური ორმოსამარხია, რომელსაც კამერის იატაკის დონეზე გარშემოწყობილი ჰქონდა რიყის მსხვილი ქვები. ეკუთვნოდა მცირეწლოვანს, რომელიც იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ძვლები ძალზე ცუდად იყო შემონახული. სიღრმე — 0,8 მ. სამარხში აღმოჩნდა:

ხ ე ლ ა დ ა (ჟი—73—206, ტაბ. XLIII, 1), მოწითალო, ყელწიბოვანი, მცირედ დაზიანებული ბაკოთი; აქვს სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი და ბრტყელღეროვანი ყურა, რომელიც მიძერწილია ყელზე და მუცელზე. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე — 14,5 სმ, პირის დიამეტრი 5,3 სმ-ია, ძირის — 8,5 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი (ჟი—73—207), 60 ცალი. მათ შორის 3 ცალი გიშრის ბორბლისებრია, დანარჩენი — მინისა (38 — ცისფერი, 9 — შინდისებრი, 5 — მოგრძო დაწახნაგებული გვერდებით, დანარჩენი მრგვალი).

ახალი ჟინვალის პირველი სამაროვნის ჩრდილო აღმოსავლეთით, მისგან ასიოდ მეტრზე, საკანალიზაციო გაყვანილობათა მშენებლობის დროს აღმოჩნდა სამარხი № 28, რომელიც მშენებლებმა ნაწილობრივ დააზიანეს. აღნიშნულ სამარხში მიუხედავად იმისა, რომ ძვლები არეული დაგვხვდა, მაინც ჩანდა,

---

[122] ჟი—72—280, ფერადი ტაბ. VII.
[123] ჟი—72—275, ფერადი ტაბ. VII.
[124] ჟი—72—306, ფერადი ტაბ. VII.
[125] ჟი—72—307, ფერადი ტაბ. VII.

რომ იქ რამდენიმე ინდივიდი ყოფილა დაკრძალული, რომელთა შორის ერთი, შედარებით უკეთ დაცული, იწვა მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ. წვივის ძვლებთან და თავთან ელაგა თიხის ჭურჭლები. სამარხში აღმოჩნდა:

ს ა ს მ ი ს ი, ტოლჩისებრი (ჟი—73—208, ტაბ. XLIII, 1), დაზიანებული პირით, მოჩალისფროდ გამომწვარი, აქვს მრგვალი გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფერული ტანი და განიერი ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცლის უდიდეს დიამეტრზე. მუცელზევე შემოუყვება კოპების სამი კონცენტრული მწკრივი. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე — 10,24 სმ, პირის დიამეტრი 6,3 სმ, ძირისა — 7,5 სმ.

ხ ე ლ ა დ ა, მ ო ჩ ა ლ ი ს ფ რ ო (ჟი—73—209, ტაბ. XLIII, 1), ყელწიბოვანი, აქვს მრგვალი გადაშლილი პირი, ცილინდრული ყელი, სფერული ტანი, ბრტყელი ძირი და შებრტყელებულღეროიანი ყური, რომელიც თავით წიბოზეა მიძერწილი და ძირით — მუცელზე. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე — 17 სმ, პირის დიამეტრი — 6,2 სმ, ძირისა — 10 სმ.

ხ ე ლ ა დ ა, მ ო ჩ ა ლ ი ს ფ რ ო (ჟი—73—210 ტაბ. XLIII, 1) აკლია პირ-ყელი და ყურის ზედა ნაწილი. აქვს ოდნავ წაგრძელებული ტანი. ბრტყელი ძირი და ბრტყელღეროიანი ყური. მუცლის უდიდეს დიამეტრზე შემოუყვება კოპისებრ ნაჭდევთა სამი კონცენტრული მწკრივი. თიხა კარგადაა განლექილი; სიმაღლე (ყელ-პირის გარეშე) — 14,3 სმ, ძირის დიამეტრი — 10 სმ.

ხ ე ლ ა დ ა, მ ო ჩ ა ლ ი ს ფ რ ო (ჟი—73—211, ტაბ. XLIII, 1), ყელწიბოვანი, პირნაკლული, სადა. ჭურჭელს აქვს მრგვალი გადაშლილი პირი, ცილინდრული წიბოთი შემკული ყელი, სფერული ტანი, ბრტყელი ძირი და წიბოსა და მუცელზე დაძერწილი ბრტყელღეროიანი ყური. თიხა კარგადაა განლექილი. სიმაღლე — 15,6 სმ, პირის დიამეტრი — 6,8 სმ, ძირისა — 11 სმ.

ს ა ყ უ რ ე, ვ ე რ ც ხ ლ ი ს (ჟი—73—212, ტაბ. XLVI, 2), ნაკლული, წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიანი მავთულის რკალს, რომელსაც ცალი მხარე შემსხვილებული აქვს, მეორე მხარეს კი ურთიერთგადახვეული თავები. ხვიების ზონაში რკალის მავთულის ღერო შედარებით წვრილია. რგოლის დიამეტრი — 2,4 სმ.

ბ ე ჭ ე დ ი, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ჟი—73—213, ტაბ. XLVI, 2), რკალით და შებრტყელებული ფარაკის ფუძით, რომელზედაც დარჩილული ყოფილა ბრინჯაოსავე ოვალური თვალბუდე, რომელშიც ჩასმული ყოფილა ალმანდინის სადა თვალი. თვალბუდე მოვარდნილია და თვალი ნაკლულია. ბეჭდის რკალის ღერო შებრტყელებულია.

ბეჭდის რკალის დიამეტრი 2 სმ, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, თვალბუდის სიგრძე — 0,7 სმ.

ს ა ყ უ რ ე, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ჟი—73—214, ტაბ. XLVI, 2), „წიწიბოსებრი“, რკალმოტეხილი, მასიური, სიგრძე რკალის გარეშე 1,4 სმ.

ს ა ყ უ რ ე, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ჟი—73—215, ტაბ. XLVI, 2), წინგანხილულის მსგავსი, მთელი რკალით. სიგრძე — 1,6 სმ.

ს ა ყ უ რ ე, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ჟი—73—216, ტაბ. XLVI, 2), წიწიბოსებრი, შედარებით მოზრდილი, კონუსის წვერზე მცირე შვერილით, რომელზედაც მარგალიტის მძივი უნდა ყოფილიყო წამოგებული. სიგრძე — 1,9 სმ, სიგანე — 1,2 სმ.

ღ ე რ ო ს ნ ა ტ ე ხ ი, ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ჟი—73—217), შესაძლოა საკინძისა იყოს. სიგრძე — 3,4 სმ.

მ ძ ი ვ ი, მთის ბროლის (ჟი—73—218), მრავალწახნაგა, დიამეტრი — 0,7 სმ.

მ ძ ი ვ ი, ქარვისა დაბრტყელებული (ჟი—73—219), გამოფიტულია, დიამეტრი 1,1 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, ს ა დ ა ფ ი ს (ჟი—3—220, ტაბ. XLVI, 2), მრგვალ-ბრტყელი, 4 ცალი. უდიდესის დიამეტრი 1 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს (ჟი—73—221), იოტისებრი მოყვითალო. დიამეტრი — 0,3 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს (ჟი—73—222), თეთრი მოოქროვილი ყოფილა. ორი ცალი მილისებრადაა შეტყუპებული, დანარჩენი წვრილია და მრგვალი.

მ ძ ი ვ ე ბ ი, გ ი შ რ ი ს (ჟი—73—223, ტაბ. XLVI, 2), 7 ცალი. ამათგან ოთხი დაბრტყელებულია, სამი კი მრგვალი; მათ შორის ერთი „მანდარინისებრია“, ბრტყელი მძივის სიგანე 1 სმ-ია, მრგვალი მძივის დიამეტრი 0,9 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი, ს ა რ დ ი ო ნ ი ს (ჟი—73—224, ტაბ. XLVI, 2), რვა ცალი, მათ შორის ერთი მრავალწახნაგაა, ერთი ყველაზე დიდია, კასრისებრი მოყვანილობის (სიგრძე — 1,7 სმ), ინკრუსტირებული თეთრი პასტის წრეებით, დანარჩენი მრგვალ-ბრტყელია, სხვადასხვა ზომის.

გ ე მ მ ა, ი ნ ტ ა ლ ი ო (ჟი—73—225), ქარვის, კონუსური მოყვანილობის. ზედაპირზე ამოკვეთილია ქალი საკურთხევლის წინ, ხელაპყრობით.

მ ძ ი ვ ე ბ ი, მ ი ნ ი ს (ჟი—73—226, ტაბ. XLVI, 2), 221 ცალი, მოლურჯო; მათ შორის ნაწილი მილისებრია (16 ცალი), მრავალწახნაგა მრგვალია და წვრილი, ხოლო ნაწილი წვრილი და მრავალწახნაგა.

ახალი ჟინვალის პირველ სამაროვანზე, გარდა ზემოთ აღწერილისა, კიდევ ჩნდებოდა ცალკეული ნივთები, განსაკუთრებით მიწისქვეშა ჭსელის გაყვანის დროს. მათი სამარხეული წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. ამათ შორის საყურადღებოა: პირმომტვრეული, ყელწიბოვანი ჩალისფერი ხელადა (09—I—73—227, ტაბ. XLIII, 2), რომელსაც აქვს სადა ზედაპირი, ოვალურგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი. სიმაღლე — 15,6 სმ, ძირის დიამეტრი — 9 სმ და სამტუჩა ხელადა (09—I—73—228, XLIII, 2), რომელიც მოწითალოდაა გამომწვარი; ჭურჭელს აქვს ღრმად დანაკვთული პირი, მრგვალი ყელი, სფერული ტანი და ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური პირსა და მუცელზეა მიძერწილი. ყელის ძირზე შემოუყვება ნაჭდევი. თიხა კარგადაა განლექილი. ზედაპირი შემკულია წერნაქით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით. სიმაღლე — 16,3 სმ, პირის სიგრძე — 7 სმ, ძირის დიამეტრი — 7,6 სმ.

გარდა ძირითადი თხრილისა, შვიდი სამარხი აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ქვაბულშიც, სადაც საყურადღებო მასალები მოვიპოვეთ დაკრძალვის წესთან დაკავშირებით. ამასთანავე გაირკვა, რომ ადმინისტრაციული სახლის ჩრდილოეთით მოსალოდნელია სამარხთა განცალკევებული ჯგუფის არსებობა, რომელთა პატრონებიც ქონებრივად და შესაბამისად სოციალურად, ჩანს, უფრო დაბალ დონეზე მდგარან. სანიმუშოდ აღვწერთ რამოდენიმე შედარებით უკეთ დაცულ სამარხს. დანარჩენები ისე დააზიანეს მშენებლებმა, რომ მათი გათხრა და სათანადო აღწერა აღარ მოხერხდა.

ს ა მ ა რ ხ ი № 29 (1), მდებარეობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საძირკვლის თხრილის დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე. სამარხში დადასტურდა ორი მოზრდილი ინდივიდის ჩონჩხი, რომელთაგან ერთი მარცხენა, ხოლო მეორე მარჯვენა გვერდზე იყო მოთავსე-

ბული. ეს პირველ უბანზე წყვილად დაკრძალვის პირველი შემთხვევაა. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ტაბ. XLVII, 1), სამარხში აღმოჩნდა ბეჭდის ნატეხები, რკინისა[126], რომელიც ჟანგისაგან დაზიანებულია. შემორჩენილია ფარაკისა და ღეროს ნაწილები.

სამარხი № 30 (2), მდებარეობდა ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და საყურადღებო იყო იმით, რომ მასში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი. ამათგან ორი ქვეშ, ერთი კი ორივეს ზემოდან ედო. ქვედა ჩონჩხებიდან ერთი მარცხენა, ხოლო მეორე მარჯვენაზე იწვა, საკმაოდ მოხრილ პოზაში, ისე რომ, ერთმანეთს პირისპირ შესცქეროდნენ. მესამე ჩონჩხი იდო გაშოტილი, აგრეთვე თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფილი (ტაბ. XLVII, 2). პრეპარაციის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ სამივე ერთდროულად იყო დაკრძალული, ვინაიდან ზედა მიცვალებული გვიან რომ ჩაესვენებინათ უკვე არსებულ ორმოსამარხში, მაშინ ქვედა ძვლები არეული თუ არა, რამდენადმე მაინც უნდა ყოფილიყო ხელყოფილი. დიდ ინტერესს იწვევს ამ სამარხში ქრისტიანული და წარმართული პოზის თანაარსებობაც. სამარხი კამერის სიგრძე 1,7 მ-ია, სიგანე — 0,85 მ. სამარხში აღმოჩნდა:

მძივები გიშრისა და მინის[127], 9 ცალი. მათ შორის ერთი ცალი მართკუთხა მოგრძოა და სადა, ერთი ცალი ბიკონუსურია, ვიწრო ნახვრეტით, 7 ცალი კი ლურჯად გამჭვირვალე იოტია, ამავე სამარხში აღმოჩნდა ბარძაყის ძვლის მოტეხილობის შემთხვევა.

სამარხი № 32 (4) ძალიან დაზიანებული იყო, მდებარეობდა საყოფაცხოვრებო კომბინატის ქვაბულის ჩრდილო განაპირას, მიწის ზედაპირიდან 1,15 მ სიღრმეზე. არეულ ძვლებს შორის ვნახეთ მინის 30 ცალი მძივი[128], რომელთა შორისაც 16 ცალი მოლურჯო იოტია, თხელი ფირფიტის მსგავსი, 10 ცალი კი თაფლის ფერია. მათ შორის არის ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი ცალები (შეტყუპებულები).

ასეთია იმ სამარხებისა და სამარხეული კომპლექსების აღწერილობა, რომლებიც 1971-73 წწ. აღმოჩნდა პირველ უბანზე.

ვიდრე შევუდგებოდეთ მოპოვებული კომპლექსების საერთო დახასიათებას, აღვწერთ რამდენიმე ორმოს და შიგ მოძებნილ მასალებსაც.

პირველ უბანზე სულ გამოვლინდა მეტ-ნაკლები სიდიდის 7 ორმო (ორი 1971 წელს და ხუთი — 1972 წელს). მათი ნაწილი (№ 1, 2) მშენებლებს, ხოლო ზოგი (№ 4, 5, ტაბ. XXIX, 1) ძველადვე, სამარხებისათვის ორმოების ამოთხრისას, დაუზიანებიათ. აღნიშნული ორმოები როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივადაც ერთგვაროვანია, რის გამოც სანიმუშოდ რამოდენიმეს აღვწერთ.

ორმო № 1, მრგვალი, მდებარეობდა სახლის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში (იხ. გეგმა). მიუხედავად დაზიანებისა მაინც გაირკვა, რომ ორმოს „პირი“ მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,6—0,7 მ სიღრმეზე და რომ პირის დიამეტრი დაახლოებით 1,5 მ უდრიდა. ორმოს ფსკერი რამდენადმე უფრო განიერი აღმოჩნდა, ვიდრე პირი (დიამეტრი — 1,7 მ). მისი ფსკერი მიწის ზედაპირიდან 2,1 მ-ზე მდებარეობდა. ორმო ამოვსებული იყო შავი ჰუმუსნარევი მიწითა და რიყის ქვებით. დაახლოებით 1 მ სიღრმეზე თავი იჩინა კერამიკულმა ნატეხებმა, რომლებიც უწესრიგოდ იყო მიმოფანტული ქვებსა და მიწას შო-

[126] ქი—72—296.
[127] ქი—72—297.
[128] ქი—72—298.

რის. თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის განსაკუთრებით მრავალია სამზარეულო ჭურჭლისა და კარგად განლექილი თიხის ყელწიბოიანი ხელადებისა თუ ჩაფების ფრაგმენტები. ორმოს ძირზე, გარდა რიყის დიდრონი ქვებისა, აღმოჩნდა ნაცროვანი ფენა.

ო რ მ ო № 2, მრგვალი ,მდებარეობდა ქვაბულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ეს ორმო პირველთან შედარებით მომცრო იყო, ფსკერის დიამეტრი 1,40 მ, სიღრმე მიწის პირიდან — 1,8 მ, მაგრამ შეიცავდა დიდძალ კერამიკულ მასალას, რომელიც არეული იყო რიყის ქვებსა და შავ მიწაში (ტაბ. XLVII, 3). ორმოს ქვედა ნახევარში, ფსკერიდან 0,7 მ-ზე თავი იჩინა მძლავრმა ნაცროვანმა და გადამწვარმა ფენამ; ორმოს ფსკერი მოფენილი იყო რიყის დიდრონი ქვებითა და ჭურჭლის მოზრდილი ნატეხებით. თიხის ნაკეთობათა შორის იყო: კრამიტის ნატეხები, ქვის ჭურვი, სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა. ამ ორმოს გვერდით აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი ქვევრი, რომელიც გარეგნული ნიშნებით გვიანდელი ხანისას ჰგავდა.

ო რ მ ო № 3, მრგვალი, მდებარეობდა ძირითადი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში და შევსებული იყო რიყის წვრილი ქვებით, შავმიწა ნიადაგითა და მცირერიცხოვანი კერამიკული ნატეხებით; ორმოს პირის დიამეტრი უდრიდა 1,15 მ, ძირისა — 1,40 მ, სიღრმე კი 2 მ იყო. ფსკერზე, რიყის წვრილ ქვებს შორის აღმოჩნდა მცირე ზომის მომწვანო მოჭიქული ჭურჭელი[129], ნაკეთები მოთეთრო თიხით (ტაბ. XLV, 2).

ო რ მ ო № 5 მდებარეობდა № 16 და 20 სამარხებს შორის. № 20 სამარხისათვის ორმოს ამოღების დროს მისი მოზრდილი ნაწილი დაუზიანებიათ (სამარხი მიწის ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე იყო ჩაშვებული). № 20 სამარხის დონეზე ორმოს დიამეტრი 1,7 მ იყო, მისი ფსკერი კი მიწის ზედაპირიდან 1,9—2 მ სიღრმეზე მდებარეობდა და დიამეტრი 1,8 მ-ს აღწევდა. ამ ორმოშიც შავ მიწასა და ქვებს შორის ჩნდებოდა დიდძალი კერამიკული ნატეხები, მათ შორის ლეგაკეციანი ქოთნების პირ-ყელისა და ყურის ნატეხები; კარგად განლექილი თიხის ხელადებისა და ჩაფების ფრაგმენტები და რიყის დიდრონი ქვები. № 20 სამარხის დონეზე, მის ორთავე მხარეს, ოდნავ უფრო ღრმად, აღმოჩნდა წვრილი ცხოველების (გოჭების?) მთლიანი ჩონჩხები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს სამარხთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმც გამორიცხული არც ის არის, რომ ცხოველთა ძვლები სამარხის ჩაშვებამდე იყო მოხვედრილი იქ.

დანარჩენი ორმოებიც ბევრი არაფრით განსხვავდებოდნენ აქ აღწერილიდან, ამიტომ მათ აღარ შევეხებით, მხოლოდ მათში აღმოჩენილ მასალებს გავითვალისწინებთ მთელი მონაპოვრის დახასიათებისას. მსგავსი ორმოები, გარდა სამაროვნისა, ჩნდება მთელი ახალი ჟინვალის ტერიტორიაზე და თითქმის აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სინქრონულ ძეგლებზე. თუმც მათი ზუსტი დანიშნულების გარკვევა ჯერჯერობით არ ხერხდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთ დროს ამ ორმოებს ჰქონდათ სამეურნეო დანიშნულება, ხოლო შემდეგ კი ნაგვითა და ნამუსრევით ამოვსებულა. თუმცა თხრის დროს ისეთი საცდურიც ჩნდება, რომ ისინი წარმოადგენდნენ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალური პროცესების შესასრულებელ ორმოებს, იქნებ იმიტომაა, რომ მათ ფსკერზე გვხვდება ძლიერი ცეცხლის კვალი, ნაცროვანი ფენებით და ზოგჯერ მთელი ჭურჭლებიც კი (მაგ., ორმო № 3 და 6). რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ

---

[129] ჟი—72—292. ტაბ. XLV, 1.

მოსაზრებაა და ალბათ ამ ორმოების დანიშნულებისა და რაობის შესახებ დამატებითი მასალები გაგვცემს პასუხს.

პირველ უბანზე გათხრილ ორმოებში ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემდეგი მასალა იქნა მოპოვებული:

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[130], თითქმის ყველა გამომწვარია მოწითალო-მოჩალისფროდ. ეკუთვნის გვერდაკეცილ, ბრტყელ კრამიტებს, რომელთაც აქვთ განლექილი თიხა და მკვრივი კეცი. გამომწვარია კარგად. აკეცილი გვერდის სიმაღლე მერყეობს 5-დან 6 სმ-მდე. კეცის სისქე — 1,7—2,5 სმ. ორმოებში ნაპოვნი კრამიტები იდენტურია II უბნის ნამოსახლარზე ნაპოვნი კრამიტებისა, ყველა ერთად კი ემსგავსება გვიანანტიკური ხანის დამლევის მცხეთურ კრამიტებს.

ქ ვ ე ვ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[131], თითქმის ყველა ნატეხი ეკუთვნის მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარ ქვევრებს, რომელთაც ახასიათებს ორმაგი კეცი. ნატეხების ნაწილს აქვს რამდენადმე უხეში და სილანარევი თიხა (სისქე 1,5 სმ), ნაწილს კი კარგად განლექილი თხელი და მკვრივი კეცი (სისქე 0,8 სმ).

ქვევრები (სამარხების სინქრონული და ცოტათი ადრეული) პირველ უბანზე არც თუ იშვიათია. როგორც ჩანს, სამეურნეო ყოფაში ამ ჭურჭელზე დიდი მოთხოვნილება იყო, ამიტომაც ახალი ჟინვალის ტერიტორიაზე თითქმის არსად არ არის ადგილი, რომ ქვევრები ან მისი ნაშთები არ ჩნდებოდეს. მიწაში ჩადგმული სამი ქვევრის ნაშთი I უბანზეც აღმოჩნდა, ძირითადი თხრილის დასავლეთ ნაწილში (იხ. ტაბ. XXIX). ამ ქვევრებს ახასიათებს ბრტყელი ძირი, კვერცხისებრი ტანი, დაბალი ყელი, მასიური ბრტყელი ბაკო და ტანზე ურთიერთპარალელური ნაწიბურები. მომცრო ქვევრების თიხა, როგორც წესი, განლაგებულია ძალზე კარგად.

ს ა ს უ ფ რ ე ს ა ღ ვ ი ნ ე ჭ უ რ ჭ ე ლ ი[132], მათ შორის საყურადღებოა უმთავრესად ხელადების ნატეხები. ხელადები სხვადასხვა ზომისაა, მეტი წილი კარგად განლექილი თიხითაა ნაკეთები და მოჩალისფროდაა გამომწვარი. ამგვარი ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია წიბოვანი ყელი. 1971—1973 წლების მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი ჭურჭელი უკვე საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან.

მ ო ჰ ი ქ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი[133], ახალ ჟინვალში სულ ერთი ცალია მოპოვებული; ესაა მოთეთრო-მოყვითალო კაოლინური თიხით ნაკეთები, გარედან მოცისფროდ მოჭიქული მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი, რომელსაც აქვს ვიწრო ყელი, გადაშლილი ბაკოშემსხვილებული პირი და მსხლისებური მოყვანილობის ტანი, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირით. კეცი ძალზე მასიურია, იმ ზომამდე, რომ ჭურჭლის შიდა სივრცე წარმოადგენს რამდენიმე გრამი სითხის ტევადობის სინჯარისებრ სიცარიელეს, რომელიც ოდნავ ჩაცდება ყელის დონეს. სიმაღლე — 7,5 სმ, ძირის დიამეტრი 3,6 სმ, პირისა — 2,6 სმ.

თ ი ხ ი ს ს ა ს მ ი ს ი[134], აღმოჩნდა № 6 ორმოს აღმოსავლეთ ნაპირას მი-

---

130 ქი—72—224, ორმო 4, ტაბ. XLVIII, 2. ქი—72—300, ორმო 7.

131 ქი—72—226, ორმო 6, ტაბ. XLVIII, 3. ქი—72—290, ორმო 6, ქი—72—301, ორმო 7, ქი—72—304, ორმო 7.

132 ქი—72—285, ქი—72—288, ქი—72—293, ქი—72—302, ქი—72—305.

133 ქი—72—292, ტაბ. XLV, 1.

134 ქი—72—295, ორმო 6.

ნის სანელსაცხებლებთან ერთად. აღდგენილია, გამომწვარია მოჩალისფროდ. აქვს დაბალი ოდნავ გადაშლილი პირ-ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი; ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მუცელზე. ჭურჭლის მხარი შემკულია ირიბი ნაჭდევების სამი მწკრივით. თიხა კარგადაა განლექილი, წმინდაა და მკვრივი. სიმაღლე — 8,9 სმ, პირის დიამეტრი — 5,2 სმ, ძირისა — 5,2 სმ. მსგავსი ჭურჭლები დამახასიათებელია სამარხეული კომპლექსებისათვის და პარალელური მასალებით საკმაოდ კარგად თარიღდება, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამზარეულო ჭურჭლის ნატეხები[135], ძირითადად წარმოდგენილია ყელდაბალი და პირგადაშლილი სადუღარი ქოთნები, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ მრგვალი მუცელი და ბრტყელი სადა ძირი. კირქვების კეცი შავადაა გამომწვარი და შეიცავს მინარევებს. მსგავსი მასალები ხშირად ჩნდება კულტურულ ფენაში, განსაკუთრებით ნამოსახლარზე.

რადგანაც ზემოთ აღნიშნული ორმოები ძირითადად ყოფითი ნამუსრევითაა ამოვსებული, მასში ზემოაღწერილის გარდა გვხვდება პურის საცხობი კეცის ნატეხები (მაგ. № 303), მინის სანელსაცხებლე (294), რკინის ბეჭდის ნატეხი (№ 296), დამუშავებული ობსიდიანი (№ 286) და სხვა, რომლებიც უფრო მრავლად წარმოდგენილია ნამოსახლარზე (II უბ.).

ძეგლის ანალიზი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მასალის ერთობლივი განხილვისას ჩვენ სამარხეული კომპლექსების გვერდით ვითვალისწინებთ ორმოებიდან მომდინარე მასალებსაც. მართალია, ეს ორმოები ზოგ შემთხვევაში რამდენადმე წინ უსწრებენ სამარხებს, მაგრამ მათშიც ჩნდება საგნები, რომელიც ქრონოლოგიურად ძალიან არ შორდება სამარხეულს. ზოგჯერ ორმოები უფრო გვიანდელიც შეიძლება იყოს, ვიდრე სამარხები. თუმცა თიხის ჭურჭლის ნატეხთა მოყვანილობა, ფაქტურა, თიხის დამუშავების დონე, გამოწვის ხარისხი გვიჩვენებს, რომ როგორც სამარხეული კომპლექსები, ასევე ორმოებიც ექცევიან ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში. სამარხის საერთო დახასიათებისას ყურადღებას იპყრობს სამარხთა აღნაგობა და დამარხვის წესი.

ახალი ჟინვალის პირველ უბანზე (ადმინისტრაციულ სახლთან) აღრიცხულია მხოლოდ ორმოსამარხები, ამათგან ქრისტიანულებიც კი ორმოსამარხების სახითაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ადრეფეოდალური ხანიდანვე ქვისსამარხებმა ჩვენში მასიურად მოიკიდა ფეხი. ჩვენი ვარაუდით ქრისტიანული სამარხები ბევრად უფრო მოგვიანო ხანისაა, შესაძლოა გვიან შუასაუკუნეებისაც კი და მათი ამ სამაროვანზე არსებობა შემთხვევით ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება დანარჩენ ორმოსამარხებს, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, გარეგნულად თითქოს ყველა ერთგვაროვანია: ნიადაგში დაახლოებით 1—1,5 მეტრის სიღრმეზე ამოთხრილია ოვალური ორმო, რომლის ფსკერზეც ჩასვენებულია თითო მიცვალებული, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მდებარე, თავით ძირითადად დასავლეთისკენ. დაკრძალვის აღნიშნული წესი საქართველოსა და კავკასიაში საკმაოდ ფართოდ ჩანს გავრცელებული და ქრისტიანობამდე შემონახული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (მცხეთა, კამარახევი, ბეშთაშენი, ერწო, ურბნისი, კლდეეთი და სხვა). მაგრამ ახალი ჟინვალის პირველმა სამაროვანმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ

---

[135] ჟი—72—223, 284, 289, 291, ტაბ. XLVIII, 1.

არმაზული ხანის[136] ბოლოსათვის, ე. ი. ქრისტიანული რელიგიის ოფიციალური გავრცელების კვირაძალზე, დაკრძალვის ძველმა წესმა საგრძნობი ცვლილება განიცადა. ეს მოვლენა თვალნათლივ დადასტურდა ერწოს, ზღუდერის, ურბნისის და სხვა სამაროვანთა შესწავლის შედეგადაც.

თუ წინაქრისტიანული ხანის მთელ მანძილზე ე. წ. მძინარე პოზა ხასიათდებოდა კიდურების მკვეთრი მოხრილობით (ეს დუშეთის მახლობლად 1972 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ გათხრილ ვარსიმაანთკარის სამაროვანზედაც კარგად ჩანს)[137], გვიანარმაზულ ხანაში ხელ-ფეხის მოკეცილობა ისე მკვეთრი აღარ არის, როგორც წინამორბედ ხანაში. ახალი ჟინვალის პირველ სამაროვანზე შედარებით მკვეთრად მოკეცილი კიდურებიანი ჩონჩხების გვერდით გვხვდება ოდნავ მუხლმოხრილი და გულზეხელებდაკრეფილი პოზაც. დაკრძალვის ამ წესმა, ცალკეულ შემთხვევებში, ჩანს, საკმაოდ დიდხანს შემოინახა თავი, ისე რომ, ადრეფეოდალური ხანის სამარხებშიც (საკუთრივ ახალ ჟინვალშიც კი) არც თუ იშვიათია გვერდზე მწოლიარე და ოდნავ ხელფეხმოკეცილი დაკრძალვის ფაქტი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის თანდათანობით შეჭრამ და მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელებამ უკვე წინაქრისტიანულ ხანაშივე ბზარი გაუჩინა ძველ ტრადიციას და როდესაც იგი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, დაკრძალვის ძველი წესი საკმაოდ სწრაფად იქნა უკუგდებული. საყურადღებოა, რომ ადრეულ შუასაუკუნეებში, თუკი სადმე გვხვდება მოხრილი პოზა, ჩვენი დაკვირვებით, ყველა ქალის სამარხია.

ამასთანავე, ახალი ჟინვალის სამაროვანზე დაკრძალვის წესების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ერწოში შემჩნეული ზოგიერთი ფაქტი კიდევ უფრო სარწმუნოდ მივიჩნიოთ, ვიდრე ეს ადრე გვესახებოდა. კერძოდ აქ საკითხი ეხება დაკრძალვის წესში სოციალური მომენტის გათვალისწინებას. ერწოში, მაგალითად, აშკარად ჩანდა, რომ მდიდრულ სამარხებში მიცვალებულები გაშოტილ პოზაში იწვნენ. ჟინვალშიც იგივე გამეორდა. № 1 სამარხში მცირეწლოვანი და № 5 სამარხში მოზრდილი გაშოტილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჩვენ არ ვიცით უფრო ადრეული ხანის მდიდრულ სამარხებში (ყაზბეგი, ყანჩაეთი, წინწყარო, ახალგორი და სხვა) დაკრძალვისას პოზა როგორი იყო, მაგრამ უფრო მოგვიანო ხანაში, თითქოს დაკრძალვის პოზაში რაღაც სოციალური სხვაობის მომენტი შეიმჩნევა. ღარიბულ სამარხებში უფრო მტკიცედაა დაცული უძველესი ტრადიცია და ხელფეხმოკეცილობა ჩვეულებრივი

---

[136] ტერმინში „არმაზული ხანა" ვგულისხმობთ პერიოდს, როდესაც წარმოიქმნა არმაზისა და არმაზისხევის მდიდრული ნეკროპოლები და მათი მსგავსი და სინქრონული ძეგლები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული ტერმინი შემოგვაქვს სახელწოდება გვიანანტიკურის ნაცვლად. არმაზული ხანა და, შესაბამისად, არმაზული კულტურა თავისი შინაარსითა და სოციალური ბუნებით არავითარ კავშირში არ არის ანტიკურობასთან.

პოლიტიკური თვალსაზრისით ეს არის ქართლის სამეფოს საგრძნობი გაძლიერებისა და აღმავლობის ხანა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე რომაულ ხანაში იღებს სათავეს; სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით ახ. წ. I—IV საუკუნეები ემთხვევა ადრეფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავების და განმტკიცების ხანას. რაც შეეხება მატერიალურ კულტურას, იგი სწორედ ახ. წ. I—IV საუკუნეებში ადის თვისობრივად ახალ საფეხურზე, რაც დაფუძნებული იყო ადგილობრივი თვითმყოფადი კულტურის ლოგიკურ განვითარებაზე და მის სინთეზზე დასავლურ (რომაულ) და აღმოსავლურ (ირანულ) კულტურათა საუკეთესო ტრადიციებთან. არმაზულ ხანას ვყოფთ ადრე არმაზულ (ძვ. წ. I—ახ. წ. II სს.) და გვიანარმაზულ (ახ. წ. III—IV სს.) ქვეპერიოდებად.

[137] ვარსიმაანთკარის სამაროვანთან დაკავშირებით იხ. ლ. წითლანაძის სტატია ამავე კრებულში.

მოვლენაა. რაც შეეხება მდიდრულ სამარხებს, იქ გვხვდება გაშოტილი პოზა და ჩაშვებული ხელები.

სოციალურ მომენტთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს №5 სამარხში მიცვალებულთან ერთად ცხენის თანდაკრძალვის ფაქტიც. თვით სამარხეული კომპლექსის სიმდიდრე და მეტად თავისებური შედგენილობა უკვე იმის საბუთადაა მიჩნეული, რომ სამარხი ეკუთვნოდა დიდგვაროვანს, რასაც კიდევ უფრო ამაგრებს ცხენის თანდაკრძალვის შემთხვევა. ცხენი სამარხის აღმოსავლეთ ბოლოზე იყო მოთავსებული და დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ (თავით სამხრეთისაკენ). მსგავსი შემთხვევები უფრო ადრეული დროისათვისაცაა ცნობილი [138], მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით კლდეეთის № 6 სამარხს აქვს მნიშვნელობა, რომელშიც ჩამარხული იყო აღაზმული ცხენი და ძაღლი [139]. ამავე თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ბორის, მცხეთის [140], ვანის [141] და სხვა აღმოჩენები. ამასთანავე ისიც ნიშანდობლივია, რომ ძაღლის დაკრძალვის თუ სამარხის სიახლოვეს ჩამარხვის ფაქტი ახალ ჟინვალშიცაა დადასტურებული [142] (იხ. № 18 სამარხი).

საყურადღებოა დამხრობის საკითხიც. ახალი ჟინვალის სამაროვანზე ძირითადად ჭარბობს მიცვალებულის დასავლეთისაკენ ან კიდევ სამხრეთ-დასავლეთისაკენ დამხრობა. არის ჩრდილოეთისკენ დამხრობის შემთხვევებიც. ჩვენი დაკვირვებით, განსხვავებით უფრო ადრეული საუკუნეებისაგან, გვიან არმაზულ ხანაში თანდათანობით მატულობს და, ბოლოს, თითქოს სრულიად ბატონდება მიცვალებულის თავით დასავლეთისკენ დამხრობა (სამხრეთისაკენ ოდნავი გადახრით), რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული მოვლენა დამათარიღებელ მნიშვნელობას იძენს; ქრისტიანული წეს-ების ხალხის ყოფაში თანდათანობით შეჭრამ და ბოლოს გაბატონებამ თავისებურად გადაწყვიტა დამხრობის საკითხიც.

ახალი ჟინვალის პირველი უბნის სამაროვანი საყურადღებოა იმითაც, რომ მდიდრული სამარხების მხარდამხარ გაითხარა ბევრი რიგითი სამარხი, სადაც საკმაოდ თვალნათლივაა წარმოდგენილი დაბალი სოციალური ფენის ქონებრივი შესაძლებლობები.

რაც შეეხება თარიღს, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ანგარიშებსა და ნაშრომებში, ჩვენ უკვე გვქონდა გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, თუმცაღა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს

---

[138] გ. ნიორაძე, ზემო ავჭალის სამარე. მუზეუმის მოამბე, ტ. VI. 1931, გვ. 143, 180, 202; მისივე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, მუზეუმის მოამბე, ტ. 14—B, 1947, გვ. 16; Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 47; გ. ჩიტაია, გათხრები ზემო ავჭალაში, მეცნიერება და ტექნიკა, 1925, № 3; М. Трапш, Грунтовые погребения с инвентарем скифского типа в сел. Куланурхва. Труды Абхаз. ИЯЛИ, 1951.

[139] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 155.

[140] გ. ლომთათიძე, ი. ციციშვილი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, აკადემიის მოამბე, ტ. XI, 1951, გვ. 642—647.

[141] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი I, 1907, გვ. 6.

[142] ძაღლის თანდაკრძალვა ან მისი სამარხის სიახლოვეს ჩაფლვა აგრეთვე საკმაოდ ძველი დროიდანაა ცნობილი (იხ. გ. ნიორაძის დმანისის ნეკროპოლი) გ. ლომთათიძის მიხედვით სამთავროზე (იგი უთითებს მ. ივაშჩენკოს) ძაღლის ჩონჩხის პოვნის სამი შემთხვევაა ცნობილი, მათ შორის ერთი I—III საუკუნეებით თარიღდება (იხ. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 167)

თარიღი უპირატესად მდიდრული კომპლექსების გათვალისწინებით იყო შემუშავებული. სწორედ № 1 და № 5 სამარხების კომპლექსთა ანალიზმა და, რაც მთავარია, მისმა შედარებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილ მსგავს მასალებთან, (მხედველობაში გვაქვს მცხეთა-არმაზისხევის [143], ზღუდერის [144], ბორის [145], კლდეეთის [146], ახალდაბის [147], ერწოს [148], ურბნისის [149], საგვარჯილეს [150] და სხვა მონაპოვარი), საშუალება მოგვეცა ახალი ჟინვალის სამაროვანი ზოგადად ახ. წ. III საუკუნით დაგვეთარიღებინა. ამასთანავე, სამარხეული კომპლექსების ანალიზმა გარკვეული საფუძველი შეგვიქმნა, რომ სამაროვნის ქრონოლოგია უფრო დიფერენცირებულად წარმოვიდგინოთ. კერძოდ შესაძლებელია გამოიყოს სამარხთა ერთი ჯგუფი (მაგ. №№ 11, 13), რომლებიც ხასიათდება დაკრძალულთა კიდურების მკვეთრი მოხრილობით, შედარებით უფრო დიდ სიღრმეზე მდებარეობით და სამხრეთისაკენ უფრო მკვეთრი გადახრით. ეს ჯგუფები შესაძლოა III საუკუნის პირველ ნახევრისად მივიჩნიოთ. სამარხთა ძირითადი ნაწილი კი ყველა ნიშნით, უფრო III საუკუნის მეორე ნახევარს და IV საუკუნის დამდეგს განეკუთვნება. ზემოთ მოტანილი თარიღის განსამტკიცებლად და უფრო საფუძვლიანი საბუთიანობისათვის სამარხეულ მასალას განვიხილავთ დარგობრივად, სათანადო პარალელების ჩვენებით.

თიხის ნაწარმი. თიხის ნაწარმი წარმოადგენს მთელი მონაპოვრის საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილს. ორმოებში მოპოვებულ კერამიკულ მასალებთან ერთად შესაძლებელია ამ ჯგუფის მეტნაკლები სისრულით დახასიათება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საოჯახო და სასუფრე ჭურჭლის უდიდესი ნაწილი, რომელიც წითლადაა გამომწვარი, ნაკეთებია კარგად განლექილი თიხისაგან. ჭურჭლის კეცი მეტწილად მკვრივია. გამოწვის ხარისხი თითქოს ყოველთვის დამაკმაყოფილებელია. ასევე მაღალხარისხოვანი თიხისაგანაა დამზადებული ძირბრტყელი ქვევრების უდიდესი ნაწილი და სამშენებლო კერამიკა (აგური, კრამიტი). კეცის მაღალი ხარისხი შეიმჩნევა სამზარეულო ჭურჭელშიც კი, რომელიც შედარებით მრავლად ორმოებშია მოპოვებული.

თიხის ნაკეთობაში, ცალკეულ სახეობათა მიხედვით საყურადღებოა:

ო რ ყ უ რ ა ყ ე ლ წ ი ბ ო ვ ა ნ ი ჩ ა ფ ე ბ ი ს დ ა ხ ე ლ ა დ ე ბ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი. ამ რიგის ნაკეთობა საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ორმოებიდან, ორიოდე კი სამარხების პრეპარაციის დროს. ყველაზე უფრო საყურადღებო იყო ამ ტიპის ჭურჭლის პოვნის ფაქტი № 5 სამარხში (ტაბ. XXXV, 1). ყელწიბოვანი ორყურა ჭურჭლისათვის დამახასიათებელია: ოდნავ

---

[143] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა I, თბ., 1955.

[144] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, თბ., 1969, გვ. 45—56.

[145] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ბორიდან. მუზეუმის მოამბე, XII—B, გვ. 441.

[146] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1955.

[147] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალდაბაში, 1958. ხელნაწერი.

[148] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, ძეგლის წეგობარი, №№ 27—28, გვ. 51.

[149] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, 1969.

[150] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საგვარჯილეს ორმოსამარხები (1952 წლის თხრის ანგარიში), იხ. 1952 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები, თბ., 1953.

გადაშლილი, მრგვალი პირი, ცილინდრული ყელი, რომელზედაც ერთი ან ორი წიბო შემოუყვება, მოგრძო გამობერილი ტანი და დიდი დიამეტრის ბრტყელი ძირი: ყურის ღეროები ყელზე (წიბოების ზოლზე) და მხრებზეა დაძერწილი. მსგავსი ჭურჭლის ნატეხები დიდი რაოდენობით გვაქვს მოპოვებული იქვე, ახალ ჟინვალში გათხრილ ნამოსახლარზეც. ყელწიბოვანი ჭურჭლები უკვე კარგა ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას და მათი თარიღიც ძირითადად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. კერძოდ, ამ ჭურჭლების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ურბნისის გათხრების შედეგად მოპოვებულმა მასალებმა, სადაც მათი ადრეფეოდალური ხანისადმი კუთვნილება ეჭვმიუტანელია. კერძოდ, ყელწიბოვანი ჩაფები ნაპოვნია ურბნისის ე. წ. „დამწვარ ნაგებობის“ III ოთახში, რომელიც V საუკუნითაა დათარიღებული [151]. ახალი ჟინვალის აღმოჩენამ გვიჩვენა, რომ ამ ტიპის ჭურჭლები გაცილებით ადრეა შემოსული ხმარებაში და საკმაოდ კარგახანსაც უარსებია. ყელწიბოვანი დიდრონი ჭურჭლები, აგრეთვე დადასტურებულია, ერწოში [152], ლოჭინში [153], რუსთავში [154] და სხვაგან.

ხ ე ლ ა დ ე ბ ი. სამარხებში სულ რამდენიმე ცალია მიკვლეული. საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი მათი ნატეხები ორმოებშიც. ხელადებს შორის ახალ ჟინვალში ყურადღებას იქცევს საშუალოზე პატარა ზომის ცალყურა ყელწიბოვანი ჭურჭლები, წაგრძელებული პროპორციებითა და დიდი დიამეტრის მქონე ძირით. ამ ხელადებს (ისევე, როგორც ცილინდრულყელიანს და სხვებს) ყური პირსა და მხარზე აქვს დაძერწილი. კეცი მეტწილად მოჩალიფროა. მსგავსი ჭურჭლები მრავლად არის მოპოვებული ერწოში, სადაც ისინი უპირატესად III საუკუნის მეორე ნახევრისა და IV საუკუნის დამდეგის სამარხებშია დადასტურებული [155]. ურბნისში აღნიშნული ტიპის ხელადები მოპოვებულია IV საუკუნის სამარხებში [156], ხოლო ზღუდერში IV საუკუნის დამდეგით თარიღდება [157].

ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო ჭ უ რ ჭ ე ლ ი. მხოლოდ ორმოების თხრის დროსაა მოპოვებული, სამარხებში კი არ გვხვდება. მასალა აქ ერთფეროვანია (ცალყურა ან ორყურა სადუღარი ქოთნების სახითაა წარმოდგენილი), რომლებსაც ახასიათებთ გადაშლილი პირი, განიერი და დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი, მსგავსი ნაკეთობა უხვადაა მოპოვებული თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, ერწოს ველზე, მცხეთაში და სხვაგან.

მ ო ჭ ი ქ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ერთადერთი მთელს პირველ უბანზე, აღმოჩნდა № 3 ორმოს ძირზე (იხ. აღწერილობა, ტაბ. XLV, 1). ძალზე მცირე მოცულობის გამო, იგი შესაძლებელია რაღაც ძვირფასი წამლის ან კიდევ მოსაფრთხილებელი თხევადი ნივთიერების შესანახად იყო განკუთვნილი. მსგავსი ნაკეთობა საქართველოში ჯერჯერობით მეტად ცოტაა აღმოჩენილი. ახალი

---

[151] ლ. ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 93, ტაბ. XXX.

[152] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო სესიის ანგარიშები, თბ., 1967, გვ. 71—74.

[153] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, მუზეუმის მოამბე, ტ. 23, 1962, გვ. 197—206.

[154] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I, 1955, გვ. 171—200.

[155] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლები, ხელ., 1971.

[156] ლ. ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—68, ტაბ. XXII.

[157] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

ჟინვალის მოჭიქული ჭურჭლის შედარებით ახლო ანალოგიას წარმოადგენს ურბნისის ნაქალაქარის № 11 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც გამთხრელის მიერ IV საუკუნითაა დათარიღებული [158]. შედარებით უფრო ადრეული ხანითაა დათარიღებული არმაზის პიტიახშთა სამაროვანზე № 9 სამარხში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც უფრო დიდიცაა ჟინვალურზე და თანაც ორყურაა. სამარხეული ინვენტარის მიხედვით არმაზისეული ჭურჭელი დათარიღებულია II საუკუნით [159]. ჩვენი ჭურჭელი, ორმოში მიკვლეული მასალის მიხედვით, თარიღდება III საუკუნით.

სამეურნეო ჭურჭელი. ქვევრები. I უბანზე აღმოჩენილია ქვევრთა დიდძალი ნატეხები როგორც ორმოებში, ისე ფენაშიც, სადაც სამეურნეო თუ სხვა დანიშნულებით ჩადგმული ქვევრის არაერთი ნაშთი იქნა დადასტურებული.

ახალ ჟინვალში შესწავლილ ქვევრებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ყველაზე მრავლად წარმოდგენილი ტიპი, რომელსაც ახასიათებს: კვერცხისებრი ტანი, დაბალი ყელი, განიერი პირი, შესქელებული და ბრტყელი ბაკო და წაკვეთილი ძირი. ტანზე შემოუყვება მეჩხერად განლაგებული რელიეფური ნაწიბურების წრეები.

მიწის ჭრილებში შემჩნეული ქვევრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი სიმაღლე 1,5 მ აღწევდა, ხოლო საშუალო დიამეტრი 1 მ იყო. ქვევრების თიხა, მსგავსად სხვა ჭურჭლებისა, კარგადაა დამუშავებული. კეცის სისქე შედარებით მცირეა (0,8—1,5 სმ). სამაგიეროდ, ჭურჭლების სიმტკიცეს და საიმედოობას აღწევდნენ თიხის მაღალი ხარისხითა და კარგი გამოწვით.

მარტო სამშენებლო სამუშაოების დროს, სხვადასხვა თხრილებში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრების რიცხვმა ახალ ჟინვალში 100-ს გადააჭარბა. ქვევრები მიწაში გვხვდება როგორც ეულად, ისე მცირე ჯგუფებად. ასეთი მცირე სამქვევრიანი ჯგუფი აღმოჩნდა პირველ უბანზეც. შესადარებელი მასალა საშუალებას გვაძლევს ძირითადად ისინი ახ. წ. III—IV საუკუნეებით დავათარიღოთ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი ქვევრები შემდგომშიც აგრძელებს არსებობას და მთელი ადრეფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი.

მსგავსი ქვევრები აღმოჩენილია მცხეთაში [160], ერწოს ველზე [161], დიღომში [162] და სხვა ადგილებში, შედარებით გვიანდელი ვარიანტები კი — ურბნისში [163], მთაქართლზე [164] და სხვა.

გარედან რელიეფურ წიბოვანი ქვევრები საქართველოში (ზოგიერთ კუ-

---

[158] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[159] მცხეთა I, ტაბულა XI, გვ. 102.

[160] ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის სეზონის ძირითადი შედეგებისათვის, სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1959, გვ. 15.

[161] რ. რამიშვილი, ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1960 წლის მუშაობის შედეგები, XVI სამეცნიერო არქეოლოგიური სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1967, გვ. 71—74.

[162] რ. აბრამიშვილი, ა. ბოხოჩაძე, კ. კვიჟინაძე, გ. მირცხულავა, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. რამიშვილი, დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969, თბ., 1971, გვ. 31—34.

[163] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXXVII—XXXIX.

[164] გ. ცქიტიშვილი, მთა ქართლის II უბნის არქეოლოგიური კვლევის შედეგები, ხელნაწერი (სამი ქვევრი მთა-ქართლიდან ინახება მევენახეობის მუზეუმში, დიღომში).

თხეში) გვიანფეოდალურ ხანაშიც ფართოდ იყო გავრცელებული და ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოგვინახა. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით ასეთი რელიეფური წიბო ქვევრს უკეთდებოდა თიხის ყოველი გუნდის დახარჯვის შემდეგ, როგორც ახალი გუნდის უფრო მტკიცედ გადასაბმელი საშუალება. ასე რომ, წიბოების რიცხვის მიხედვით თითქოს შესაძლებელია განისაზღვროს თიხის გუნდთა რაოდენობა, რომელიც „მშენებლობაზე“ დაიხარჯა[165], ჩვენი აზრით, რელიეფური წიბოები, თუ სარტყლები არმაზულ და ადრეფეოდალურ ხანაში ვარდა ამ მიზნისა ქვევრებს უკეთდებოდათ სიმტკიცისათვის. კორპუსზე გამსხვილებული რელიეფური სარტყლები ალბათ ამ საკმაოდ თხელკედლიან ჭურჭლებს მეტ სიმტკიცეს სძენდა და ერთგვარი კარკასის როლში გამოდიოდა, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ხანაში ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქვევრების ჩაკირვა[166]. სამეურნეო ჭურჭლიდან პირველ უბანზე გვხვდება დერგებისა და სადღვებლის თითო-ოროლა ნატეხი ძირითადად ორმოებში.

კ რ ა მ ი ტ ი. პირველ უბანზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც ორმოებიდან, მაგრამ როგორც მოყვანილობით, ისე ფაქტურით ისინი ძლიერ უახლოვდება მცხეთური ტიპის კრამიტებს, რომლებიც უხვადაა მოპოვებული როგორც საკუთრივ ახალი ჟინვალის ნამოსახლარზე, ისე მცხეთაში[167], ერწოს ველზე[168], დიღომში[169], ძალისში[170], ნასტაკისში[171] და სხვა მრავალ ადგილას. I უბანზე მოპოვებულ კრამიტის ნატეხებს ვათარიღებთ III—IV საუკუნეებით.

მ ი ნ ი ს ნ ა წ ა რ მ ი. სამაროვანზე მოპოვებული მინის ჭურჭლებიდან, ერთის გარდა (იგი ორმოში აღმოჩნდა), ყველა მდიდრულ კომპლექსებშია გაერთიანებული, რაც ამ კერძო შემთხვევაში, აღნიშნული ნაწარმის სოციალურ კუთვნილებაზე მიუთითებს.

ახალი ჟინვალის I უბნის სამარხებში მოპოვებულ მინის ჭურჭლებში საყურადღებოა: ო თ ხ კ უ თ ხ ა ბ ო თ ლ ე ბ ი (სულ სამი ცალია. ერთ-ერთის სურათი იხ. ტაბ. XXXVIII, სამარხი № 5); სამივე ერთი ტიპისაა: მრგვალი ყელით, ბრტყელი ბაკოთი, ოთხკუთხი ტანითა და ოდნავ შეზნექილი ძირით, რომელზედაც საწარმოო დამლაა დასმული. მინის ჭურჭლის აღნიშნული ტიპი სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული, ფართოდ გვხვდება მთელს რომაულ სამყაროში[172] და, ბუნებრივია, იგი საქართველოშიცაა გავრცელებული, მაგ., ბიჭვინ-

---

[165] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა I (კახური), თბ., 1949.

[166] ალ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.

[167] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 44—75; ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის ანტიკური კრამიტების შესწავლისათვის, აკადემიის მოამბე, ტ. IX. № 8, 1948.

[168] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[169] დიღმის მასივში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სიახლოვეს, თბილისის ექსპედიცია თხრიდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარს, სადაც დიდძალი კრამიტია აღმოჩენილი.

[170] ალ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, ჯ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გ. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, ც. ჩ ი კ ო ი ძ ე, ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია და დაზვერვები მცხეთის რაიონში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. თბ., 1973, გვ. 75—77.

[171] იქვე.

[172] **M. V a n d e r h o e v e n, Verres Romanis (1-er 3m siecle). Journees internationales du Verre, Liege, 1961, p. 65, v. XV. № 69; Н. П. С о р о к и н а, Стекло из раскопок Пантикапея, МИА. № 103, с. 22—23, рис. 6,7.**

თაში [173], მცხეთა-სამთავროში [174], ურბნისში [175] და სხვა. მაგრამ მისი ხნოვანების შესახებ მეცნიერებაში ერთი აზრი არ არსებობს. ნაწილი მკვლევრებისა ამ ტიპის ჭურჭელს ათარიღებს ახ. წ. I—II საუკუნეებით [176], ნაწილი კი — II საუკუნით [177]. ურბნისის მაგალითის მიხედვით ოთხკუთხა ბოთლები I საუკუნით თარიღდება [178]. მაშასადამე, მკვლევართა მეტი წილი ოთხკუთხა ბოთლების გავრცელების ძირითად თარიღად I—II საუკუნეებს მიიჩნევს. ურბნული ცალი კი მაინც და მაინც I საუკუნითაა დათარიღებული. ჟინვალის ბოთლები ტიპოლოგიურად ძალზე ახლოა აღნიშნულ ოთხკუთხა ბოთლებთან, მაგრამ თუ ჩვენი კომპლექსების სხვა კომპონენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ოთხკუთხა ბოთლები ქართლის სამეფოში შემდგომაც ყოფილა ხმარებაში, რადგანაც № 5 კომპლექსი, რომელშიც ამგვარი ჭურჭელია დადასტურებული, III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის დამდეგით თარიღდება. ოთხკუთხა ბოთლების ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა იქნებ იმითაც აიხსნას, რომ მისი წარმოება მცხეთის ან სხვა სახელოსნოებშიც იყო მოგვარებული.

ო რ ყ უ რ ა ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ჟინვალში ერთი ცალია მიკვლეული (სამარხი № 1, ტაბ. XXXII, 3). ამ ჭურჭელს გარკვეული ტიპოლოგიური მსგავსება აქვს აგრეთვე ორყურა ჭურჭლებთან, რომლებიც მიკვლეულია მცხეთასა [179] და ურბნისში [180], მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ურბნისისა I საუკუნითაა დათარიღებული, ხოლო მცხეთისა — დაახლოებით იმავე ხანით. როგორც ჟინვალის აღმოჩენამ გვიჩვენა, მინის ჭურჭლის ეს ტიპიც ხანგრძლივად არსებობდა ჩვენში, რადგანაც იგი აღმოჩენილია III საუკუნის დასასრულის სამარხში. ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა თვით ჭურჭლებიც, განსხვავებით მცხეთაში, ურბნისში და გარნისში ნაპოვნი [181] მინის ჭურჭლებისაგან, რომლებსაც ახასიათებთ დახვეწილი ფორმები, კარგად გამოყვანილი სიმეტრიული ბრტყელი ბაკო და შედარებით პატარა ყურები. ჩვენი ჭურჭელი რამდენადმე განსხვავებულია, პირი შედარებით უსწორმასწოროა და ყურის ღეროებიც გაცილებით უფრო დიდია.

კ ო ლ ბ ი ს ე ბ რ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი (ტაბ. XXXIII, 1; სამარხი № 1). სფერული მუცლითა და მილისებრი პირყელით, სრულიად სადა ზედაპირით. ამგვარი ჭურჭლები მცხეთისა და ურბნისის სათანადო კომპლექსებში არ გვაქვს.

---

[173] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მსკა, 3, თბ., 1963 და მსკა, 4, თბ., 1965.

[174] იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის წინაფეოდალური ხანის განყოფილების სამთავროს ფონდი, ინვ. №№ 12—54; 10817 და სხვა.

[175] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970, გვ. 19, სურ. 4. როგორც მ. საგინაშვილის ნაშრომიდან ირკვევა, ასეთი ჭურჭლები მცხეთაში დამღის გარეშეცაა აღმოჩენილი, (ინვ. № 12—54, 1960).

[176] Н. П. С о р о к и н а, Античное стекло в собрании Одесского музея, I—III.

[177] M. V a n d e r h o e w e n, დასახ. ნაშრ.

[178] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[179] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, ტაბ. IX.

[180] მ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38, ტაბ, 45, 46 და 48—54. მსგავსი ჭურჭლები აღმოჩენილია ურბნისის № 193, 189 და 51 სამარხებში, რომელთაც დ. ქორიძე თანხლები ინვენტარის მიხედვით I საუკუნით ათარიღებს.

[181] Б. Н. А р а к е л я н, Гарни, II, рис. 33, табл. XV. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მინის სფერული ორყურა ჭურჭლები მომდინარეობს დუნა-ევროპოსიდან. ზოგი ამგვარ ჭურჭელს სირიულად მიიჩნევს. მ. საგინაშვილი მისი წარმავლობის გარკვევისაგან თავს იკავებს.

ჭურჭლის ფორმა რამდენადმე გვიანი ხანის მინის კოლბებს მოგვაგონებს[182]. აღსანიშნავია, რომ № 6 ორმოში თიხის პატარა სასმისთან ერთად აღმოჩნდა ერთი ჩალეწილი მინის ჭურჭელი, რომელიც ტიპობრივად ამ უკანასკნელთან დგას ახლოს.

შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ახალი ჟინვალის ადგილას მდებარე სამოსახლო გვიანარმაზულ ხანაში მარაგდებოდა მცხეთის მინის საწარმოებიდან.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა და ო ქ რ ო ს ნ ა წ ა რ მ ი. ახალი ჟინვალის სამაროვანზე ვერცხლის ნაწარმი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, თუნდაც იმის გამო, რომ იგი მეტად მრავალფეროვანია და, ამასთანავე, სწორედ მისი მეშვეობით ხერხდება პარალელების გავლება არმაზისხევის მდიდრული სამაროვანის კომპლექსებთან და საუბარი ნივთიერი კულტურის ზოგიერთი ჯგუფის სოციალურ კუთვნილებაზე.

როგორც № 5 სამარხის აღწერილობიდან ჩანს, სამარხეული ინვენტარის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა ვერცხლის ნაკეთობა. რა თქმა უნდა, პიროვნებისათვის, რომელიც ასე მდიდრულად დაკრძალეს (თავის ბედაურთან ერთად), ოჯახი ოქროს ნივთებსაც არ დაიშურებდა, მაგრამ ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ვერცხლის ინვენტარი მისთვის საგანგებოდ შეურჩევიათ. საერთოდ, ვერცხლის ნაკეთობით გატაცება გვიანდელ რომში დამახასიათებელი მოვლენა იყო. შესაძლებელია რომაული კულტურის გავლენის სფეროში მოქცეულ შორეულ ხალხებში ამ ეპოქალურმა და, თუ შეიძლება ითქვას, მოდურმა გატაცებამ შედარებით დაგვიანებით შეაღწია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ მოვლენას ვერც ქართლის სამეფოს არისტოკრატია გაქცევია (არმაზისხევის ნეკროპოლი ამის ნათელი დადასტურებაა), მაგრამ ჟინვალის მაგალითის მიხედვით ისეთი აზრი შეგვექმნა, რომ № 5 სამარხში დაკრძალული ვერცხლის ნაკეთობებით განსაკუთრებით იყო გატაცებული. თანაც საყურადღებოა, რომ ვერცხლის თვითეული ნივთი საკმაოდ დახვეწილი გემოვნებითაა შერჩეული და არ ჰგავს მოდური გატაცების წინაშე მხოლოდ ხარკის მოხდას.

№ 5 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ნაკეთობაში ცალკეულ სახეობათა მიხედვით საყურადღებოა: ს ა რ ე ც ლ ი ს ფ ე ხ ე ბ ი ს გ ა რ ს ა კ რ ა ვ ე ბ ი (ტაბ. XXXVI, 1—4). საქართველოში სხვა აღმოჩენებს შორის ახალ ჟინვალში განსაკუთრებული შემთხვევა გვაქვს იმ თვალსაზრისით, რომ სამარხში სარეცლის ფეხები დაცული იყო in situ და მათი მდებარეობა გვიჩვენებდა, თუ როგორი მოყვანილობა შეიძლება ჰქონოდა თვით სარეცელს, რომლისგანაც სამარხში არაფერი იყო შემორჩენილი.

სარეცლის ფეხების ერთი წყვილის, სამარხის დასავლეთ მხარეს (ერთმანეთისაგან 0,7 მ-ის დაცილებით), ხოლო მეორე წყვილის აღმოსავლეთ ბოლოზე (აგრეთვე ერთმანეთისაგან 0,7 მ-ის დაცილებით) მდებარეობა მიუთითებს, რომ სარეცელი გაშოტილ ადამიანზე ოდნავ გრძელი უნდა ყოფილიყო, სიგანით კი, ალბათ 0,7—0,8 მ.

სარეცლის ოთხივე ფეხი ერთი ტიპისაა და ერთი მანერითაა ნაკეთები, რაც მიუთითებს მათი ერთი სახელოსნოდან მომდინარეობას.

გარსაკრავებს, როგორც დამზადების ხელოვნებით, ისე რიგი გარეგნული

---

[182] ერთი ასეთი ჭურჭელი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ნ. სოროკინას (იხ. Керамика и стекло древней Тмутаракани, М., 1963, с. 146, рис. 6) აღმოჩენილია დიმიტრევსკის სამაროვანზე და VIII—IX საუკუნეებით თარიღდება.

ნიშნებით უახლოესი ანალოგიები მოეძებნება არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში, განსაკუთრებით კი № 3 და № 6 სამარხებში აღმოჩენილ სარეცლის ფეხთა გარსაკრავებთან [183]. მათ შორის ნათესაობა ორნამენტულ სახეებშიც ვლინდება. ისევე, როგორც არმაზში, მცხეთურშიაც, ძირითადი ორნამენტული სამკაულია ე. წ. „ცხვირჩიტების“ გამოსახულებები. სრული იდენტურობაა სარეცლის ფეხების დამზადების ტექნოლოგიაშიც. ორნამენტული სახის ხარისხი მთლიანად დამოკიდებული იყო ხეზე კვეთილობის დონესა და ხარისხზე. ფეხის „გულებად“ ახალ ჟინვალშიც კაკლის ხე ყოფილა გამოყენებული.

გარდა არმაზისხევისა, ახალჟინვალური გარსაკრავები ძალიან ემსგავსება ბორისა [184] და ზღუდერის [185] სარეცლის ფეხების გარსაკრავებს.

ჟინვალის აღმოჩენამ არა მარტო შეავსო ვერცხლის ნაკეთობათა სრულიად თავისებური და უნიკალური კოლექცია, ამით საგრძნობლად გააფართოვა მისი გავრცელების გეოგრაფიული საზღვრებიც.

ახლა კიდევ უფრო დაბეჯითებით შეიძლება დავიცვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ გვიან არმაზული ხანის ქართლის სამეფოში ტორევტიკა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, და რომ ქართლის სამეფოს აშკარად გააჩნდა ოქრომჭედლობის საკუთარი კერა თუ კერები. ჩვენი ვარაუდით, ამ რიგის საგანთა წარმოების ერთი უმთავრესი კერა მცხეთა უნდა ყოფილიყო და, ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება თუ ახალჟინვალის სარეცლის ფეხებს მცხეთის საწარმოდან მომდინარედ მივიჩნევთ [186].

ვერცხლის საგნებს შორის არანაკლებ საყურადღებოა საკმაოდ მოზრდილი და კარგად დაცული პინაკი, რომელსაც არაერთი პარალელი მოეძებნება არმაზისხევის მასალებში [187].

ახალი ჟინვალის მონაპოვარში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ვერცხლის თვლიანი ბეჭდები, რომლებიც როგორც მოყვანილობით, ისე ჭრილა ქვების შესრულების დონით დიდ სინატიფეს და დახვეწილობას ამჟღავნებენ.

ახალი ჟინვალის პირველ სამაროვანზე აღმოჩენილ ჭრილა ქვებზე, როგორც მასალის აღწერილობიდან ჩანდა, გამოხატულია რომაული სამყაროსათვის დამახასიათებელი სიუჟეტები [188] (ფრთოსანი ნემეზიდა, სიცოცხლის ხის წინ მდგომი თხა, ცეცხლოვანი ბომონი, ნუტრია, კალათოსი და სხვა. (ტაბ. XXXIII. 4; XXXVII 4, 5). ამ მასალის შედარებითი ანალიზი და თვით ბეჭდების მოყვანილობა საშუალებას იძლევა ახალი ჟინვალის მასალა ძირითადად ახ. წ. III საუკუნით დავათარიღოთ [189].

ვერცხლის ნაკეთობათა შორის არანაკლებ საყურადღებოა ვერცხლის ჭამრის ნაწილები (ტაბ. XXXVII. 1), ფეხსაცმელთან დაკავშირებული აბზინდები და საკიდები (ტაბ. XXXVII, 2) და სხვა, რომლებთაც საკმაოდ მრავლად მოეძებნებათ შესატყვისები როგორც არმაზისხევის ნეკროპოლზე გამოვლენილ

---

[183] მცხეთა I, თბ., 1955, ტაბ. XXVII.

[184] Е. Придик, Новые кавказские клады, МАР, вып. 34, 1914.

[185] გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965-66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსმაე, I, თბ., 1969, გვ. 46.

[186] რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, „მაცნე“, 1971, № 4.

[187] მცხეთა I, ტაბ. XI, 1, 2 და ტაბ. XII.

[188] ახალ ჟინვალში მოპოვებული გლიპტიკური მასალა განსაზღვრა უფ. მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ლორთქიფანიძემ.

[189] გემებთან დაკავშირებით იხ. ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.

კომპლექსებში[190], ისე ერწოს ველზე[191] და სხვა პუნქტებში. ჩვენი მასალა ახ. წ. III—IV სს-ით თარიღდება.

ოქროს სამკაულებიდან ახალი ჟინვალის კომპლექსებში გამოირჩევა:

ოქროს საყურეები წიწიბოსებრი საკიდით (ტაბ. XXXVII, 3), თვალბუდითა და ორ შემთხვევაში შემორჩენილი თვლებით. მსგავსი სამკაული დამახასიათებელია გვიანარმაზული ხანის სამარხეული კომპლექსებისათვის, განსაკუთრებით კი მცხეთისა[192] და ერწოსათვის[193]. ახალი ჟინვალის წიწიბოსებრი საყურეები თარიღდება III—IV საუკუნეებით.

ოქროს ბეჭედი თვალბუდითა და თვლით, რომელიც ანალოგიებს პოულობს მცხეთის III საუკუნის ბეჭდებთან. ოქროს ზოდი მუხუდოს მარცვლის მოყვანილობის, რომელიც შესაძლოა მონეტის ნამზადი იყოს. საყურადღებოა, რომ ასეთივე მოყვანილობის და სიდიდის ბრინჯაოს ნამზადი აღმოჩნდა იმავე სამაროვანზე.

1972—73 წწ. გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა რამდენიმე მონეტა[194], უნდა ითქვას, რომ მონეტები ძირითადად გვხვდება მდიდრული კომპლექსების შემადგენლობაში. ახალი ჟინვალის მონაპოვარს შორის ერთი ოქროსია, ეკუთვნის იულია ავგუსტა დომნას და წონით თითქმის 7 გრ. დანარჩენები კი ვერცხლისაა და ძირითადად ე. წ. გოთარზეს დრახმებითა და ავგუსტეს დენარებითაა წარმოდგენილი; მათ დამათარიღებელ მასალად ვერ გამოვიყენებთ.

რაც შეეხება რიგით სამარხებს, როგორც აღწერილობიდანაც ჩანს, 1971—1973 წელს გათხრილი სამარხები არ გამოირჩევა ინვენტარის სიუხვით. მდიდრული კომპლექსებისაგან განსხვავებით ღარიბული სამარხები შეიცავს მეტად ერთფეროვან მასალას (ძირითადად მძივებს) და ხშირ შემთხვევებში სამარხები სრულიად უინვენტაროცაა. ახალი ჟინვალის სამარხებში ასეთი ჭრელებრივი განსხვავება მიუთითებს იმ დიდ სოციალურ და ეკონომიურ უთანასწორობაზე, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გვიანარმაზული ადრექრისტიანული ხანისათვის.

არანაკლებ საყურადღებოა ახალი ჟინვალის პირველ სამაროვანზე მოპოვებული მძივების საკმაოდ მრავალფეროვანი კოლექცია (ტაბ. XXXIII, 3; XXXVIII, 6; XLII, 3 ფერადი ტაბ. IV, V, VI, VII), რომელთა შორის გამოირჩევა გიშრისა და ქარვის მძივები. გიშერი ადგილობრივია, საქართველოში მუშავდება და მისი სიმრავლე, განსაკუთრებით გვიანარმაზულ ხანაში, არაა გასაკვირი. რაც შეეხება ქარვას, იგი, როგორც ჩანს, ჩრდილოეთის გზითაა საქართველოში მოხვედრილი.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ახალი ჟინვალის პირველი სამაროვანი უნდა დავათარიღოთ ახ. წ. III საუკუნითა და IV საუკუნის დამდეგით, რაც ემთხვევა არმაზული კულტურის აყვავების ხანას. მდიდრული სამარხების და, განსაკუთრებით კი, № 5 სამარხის აღმოჩენის ფაქტი კი ჩვენ იმის მოწმობად მიგვაჩნია, რომ ახალი ჟინვალის ადგილას მდებარე სამოსახლო გვიანარმაზულ ხანაში წარმოადგენდა არაგვის ხეობის სოციალურად გაბატონებული ფენის ერთ-ერთი ძლიერი (შესაძლოა, ერისთავის რანგის) ოჯახის რეზიდენციას.

---

190 მცხეთა, I, ტაბ. XXXIX, X და სხვა.

191 რ. რამიშვილი, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, ძეგლის მეგობარი, № 27—28.

192 მცხეთა, I, ტაბ. II, 4 და სხვა.

193 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

194 მონეტები შესასწავლად გადაცემული აქვს უფრ. მეცნ. თანამშ. გ. დუნდუას.

უბანი II. II უბანი მდებარეობს აგრეთვე ახალ ჟინვალში; იგი საკმაოდ ვრცელი ნამოსახლარის ნაშთია, რომელიც პირველი სამაროვნის დასავლეთით, მისგან 150—200 მეტრზეა განლაგებული (ტაბ. XXVIII). იმ ადგილებში ახლა გამალებით შენდება საცხოვრებელი ნაგებობები. 1971 წელს ერთ-ერთი ქვაბულის ამოღებისას ასეთი ნამოსახლარის ნაწილი დაზიანდა, მაგრამ მისი ნაშთების გათხრა მაინც შევძელით. 1972 წელს მუშაობა გავშალეთ იმავე ქვაბულის გარეთ, მის დასავლეთ გაგრძელებაზე, სადაც ძველ ნაგებობათა ნანგრევების აღმოჩენის ყველაზე დიდი იმედი გვქონდა. ახლა ამ უბანზე მოთავსდა ხუთი მრავალსართულიანი სახლი. საძირკვლების ამოღებისას, რა თქმა უნდა, ყველაფერი განადგურდა, მაგრამ სახლებს შორის დარჩენილ ადგილებში კიდევაა საკმაო სიდიდის ხელუხლებელი ფართობი, რომელიც შეიძლება მომავალში გაითხაროს. ჩვენს მიერ 1972 წელს შერჩეულ ფართობს აღმოსავლეთიდან საზღვრავს № 2 სახლი, დასავლეთიდან კი ქვაბული, რომელიც განკუთვნილია № 3 სახლისათვის (ტაბ. XIX, 1). მიუხედავად არახელსაყრელი ვითარებისა, შევისწავლეთ დაახლოებით 500 კვადრატული მეტრი ფართობი, რომელიც დაყოფილი გვქონდა შედარებით მომცრო სექტორებად. მიწის აღება წარმოებდა ფენობრივად, საპრეპარაციო სამუშაოებს მეტად ართულებდა ნანგრევების სიხშირე და ქაოტიურობა. ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოების შემდეგ ნამოსახლარზე ასეთი სურათი წარმოგვიდგა: რიყის ქვების ძალზე ხშირი ქვაყრილი და, შესაბამისად, რაღაც ნაგებობათა ნაშთები. სულ ახლოს იყო მიწის ზედაპირიდან (30 სმ). იქვე უხვად ჩნდებოდა კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხებიც. ეს ფენა წარმოადგენდა პირველ სამშენებლო დონეს, პირველ სულ ზედა ფენას, რომელიც მოგვიანებით, მიწის ხვნის შედეგად (გადმოცემით ამ ადგილებში ადრე ვენახიც ყოფილა, რომელიც 30-იან წლებში ამოუძირკვავთ) ძალზე დაზიანებულია. ამ სამშენებლო დონეზე შენობისაგან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი, კერძოდ, ერთი გრძივი კედელი (ტაბ. XLIX, 3) და ერთიც რომელიღაც სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე (ტაბ. L გეგმა და ტაბ. LI, 1).

შენობები ნაგები ყოფილა რიყის ქვებით თიხის ხსნარზე. კედელში ქვები ორმწკრივადაა დალაგებული, ხოლო ქვებს შორის წვრილი ქვაა (ხიჭი) გამოყენებული. როგორც ჩანს, ეს სახლები კაპიტალური ნაგებობები ყოფილა, რადგანაც სახურავად კრამიტი ჰქონიათ. ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ ახალი ჟინვალის ნამოსახლარის ზედა სამშენებლო დონის შემქმნელებს კვლავ ჰქონიათ ხმარებაში როგორც ბრტყელი, გვერდაკეცილი კრამიტი, ასევე ღარიანი; ბრტყელ და ღარიან კრამიტთა რიცხობრივი შედარება იმას მიუთითებს, რომ ღარისებრი კრამიტი სახურავის კომბინაციაში მხოლოდ კეხზე გამოიყენებოდა.

განათხარი გეგმაში ასე გამოიყურება: შენობის შედარებით უკეთ დაცული ფრაგმენტი მდებარეობს თხრილის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. L), ხოლო მოგრძო ცალფა კედელი იწყება თხრილის შუა ნაწილში და ჩრდილოეთისკენაა მიმართული. მათ შორის მდებარე ფართობი თითქმის მთლიანად იყო მოფენილი რიყის ქვებით (ტაბ. XLIX, 1, 3).

როგორც ქალაქის საკანალიზაციო ხაზის თხრამ გვიჩვენა, ნაგებობათა ნაშთები ინტენსიურად ვრცელდება სამხრეთისაკენ. ასეთივე სურათია დასავლეთისაკენ. გარდა კერამიკული ფრაგმენტებისა, ზედა სამშენებლო დონის თხრისას ჩნდებოდა შურდულის ქვები, ხელის წისქვილის ნატეხები, ბრინჯაოს თიხო-ოროლა ნივთის ნატეხი და სხვა. თხრილის სამხრეთ განაპირას პირველ სამშენებლო დონეზე აღმოჩნდა ორყურა, შავკეციანი ქოთანი (ტაბ. LII, 2), რო-

შელიც ადგილზევე იყო ჩაშლილი. აღსანიშნავია, რომ ხშირად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროს (შესაძლებელია, ვაზის დამუშავებისას) ბევრგანაა დაზიანებული არა მარტო ზედა, არამედ ქვედა სამშენებლო დონეც, რის გამოც ნივთიერი მასალა ფენაში არეულია და არის შემთხვევებიც, როდესაც ქვედა ფენისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნივთი (ნატეხი) ზემოთაც გვხვდება. ამიტომაც აქვე უნდა განვაცხადოთ, კულტურულ ფენაში მოპოვებული მასალები ცალკეული ფენების მიხედვით კი არ გვექნება დალაგებული, არამედ ერთად განვიხილავთ. მხოლოდ საჭირო შემთხვევაში მივუთითებთ მათ ამა თუ იმ დონისადმი კუთვნილებას. მით უმეტეს, რომ პირველი და მეორე ფენის მასალები ზოგადად ერთგვაროვანია, (ალბათ, უწყვეტი ტრადიციით) და კულტურის ერთ წრეში ექცევა.

რაც შეეხება მეორე დონეს, იგი პირველისაგან გამოყოფილია საკმაოდ სქელი ფენით (ტაბ. LI, 2, ტაბ. LII, 1), შუალედური ფენა სტერილური არ არის, შიგ მრავლად ჩნდებოდა წვრილი კერამიკული ნატეხები, მაგრამ რიყის არც ერთი ქვა ამ შრეში არ აღმოჩენილა. მეორე დონე ძირითადად ქაოტიურად დაყრილი (ჩანს კედლებიდან ჩამონგრეული) ქვების მძლავრი ფენითაა წარმოდგენილი და მიწის ზედაპირიდან 1,1—1,25 მ-ის სიღრმეზე მდებარეობს. ჩვენ, სამწუხაროდ, საშუალება არ გვქონდა, რომ მთლიანად მოგვეხსნა პირველი სამშენებლო დონე და გაგვეშიშვლებინა მეორე ფენის ქვაყრილი, რადგანაც ჩვენი მიზეზით სამშენებლო ვადები იასედაც საგრძნობლად დაირღვა. ამიტომაც მეორე დონის შესწავლა ვაწარმოეთ არა მთელ ფართობზე, არამედ საკმაოდ განიერი საკონტროლო თხრილების მეშვეობით. მათ შორის ყველაზე განიერი თხრილი მოქცეული იყო მთავარი თხრილის შუა ნაწილში. სწორედ იქ ჩანდა კარგად სტრატიგრაფიული სურათი და ორ ქვაყრილს შორის მდებარე მიწის ფენა (მაგ. იხ: ტაბ. LI, 2). ქვედა ქვაყრილი, რომელიც შედგენილია უფრო მსხვილი (ტაბ. LII, 1) და უხეში რიყის ქვებისაგან, ვიდრე პირველი ფენისა, როგორც ითქვა, ჩვენ მივიჩნიეთ ძველ შენობათა ნანგრევებად. სამწუხაროდ, აქ რაიმე წყობის ნაშთის მიგნება არ მოხერხდა, რაც დაგვიდასტურებდა მათ კედლის წყობისადმი უეჭველ კუთვნილებას. ძნელი იქნება იმის წარმოდგენა, რომ მსხვილი ქვებით და ასე მძლავრად (0,6 მ-ის სისქეზე) მოეკირწყლათ საკმაოდ მოზრდილი მოედანი. 1973 წელს № 5 სახლის ქვაბულის თხრისას მეორე სამშენებლო დონის ქვაყრილის ნაშთი საგანგებოდ შევისწავლეთ (ტაბ. LII, 3). პრეპარაციის შემდეგ თითქოს მხოლოდ ერთ ადგილას შევძელით წყობის მსგავსი ფრაგმენტების მიგნება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში იქაც ქვები ისევე ქაოტიურად იყო განფენილი, როგორც 1972 წელს გახსნილ საკონტროლო თხრილში. მეორე ფენის ქვაყრილის თხრისას, ისევე როგორც პირველ ფენაში, მრავლად ჩნდებოდა კერამიკული ფრაგმენტები და სხვა საგანთა ნაშთები, რომელიც გვეხმარება თარიღების დადგენაში. ვიდრე ამ საკითხზე ვიმსჯელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვწეროთ მონაპოვარი მასალა, რომელიც ცალკეულ სახეობათა მიხედვითაა დალაგებული და განხილული. ამასთანავე, როგორც უკვე მივუთითეთ, ნამოსახლარის ორივე დონის მასალებს ერთობლივად განვიხილავთ.

სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად კრამიტის სახით (ჟი—72—309, 310, 322, 353, 365, 384, 387, 388, 389, 392, 401 და სხვა). ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ნიმუშს:

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[195], ღარისებრი, 4 ცალი. ოთხივე სხვადასხვა

[195] ჟი—72—309, ტაბ. LIV, 1.

კრამიტისაა, მათ შორის ერთი მოჩალისფრო წმინდა კეცით, მორგვზე ნაკეთები, გარედან წითელი წერნაქის ნაშთით. კეცის სისქე 1,9 სმ. ჩვენ ეს ნატეხი მიგვაჩნია ქვედა ფენის კუთვნილებად და ზედა სამშენებლო დონეზე შემთხვევით ამოვარდნილად, მით უმეტეს, რომ მისი თანმხლები ნატეხები უკვე მორგვზე არ უნდა იყოს გამოყვანილი. მეორე ნატეხი ქობუნაზე გადაფენითაა ნაკეთები, თიხის ხარისხიც რამდენადმე უარესია, თუმც კეცი მკვრივია. დანარჩენი ორი თითქოს არმაზული ტიპისაა, მაგრამ მორგვზე ამოყვანის წესით არ უნდა იყოს მიღებული.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[195], გვერდაკეცილი, გარედან მოწითალო, ქვემოდან მოყავისფრო სარჩულით. გვერდი უსწორმასწოროდ აქვს აკეცილი, თიხა უხეში და მარცვლოვანია. კეცის სისქე 2,2 სმ-ია, აკეცილი გვერდის სიმაღლე — 8,5 სმ. აღმოჩნდა ზედა სამშენებლო დონის (ქვაყრილის) პრეპარაციის დროს.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[197], 4 ცალი. ამოკრეფილია ზედა სამშენებლო დონის კედლის ნანგრევებიდან. ოთხივე გვერდაკეცილია და ხვადასხვა ერთეულისაა. მათ შორის: ერთი ცალი მოწითალოა, აქვს მაღალი ბორტი, თიხა სუფთა და მკვრივია. ზედაპირი დაფარული ჰქონია წითელი წერნაქით. ბორტის სიმაღლე 7,4 სმ-ია, კეცის სისქე — 2,3 სმ. ორი ნატეხი ჩალისფრადაა გამომწვარი, ამათგან ერთი სადაა, ოდნავ მაღალი ბორტი აქვს. მეორეს კი ზედაპირზე გრძივი და მერიდიანული ხაზები ეტყობა, რაც ერწოს მასალების მიხედვით ადრეფეოდალური ხანის დამდეგისთვისაა დამახასიათებელი. ერთი ნატეხი მოვარდისფროა, მკვრივი კეცით, ოდნავ შედარებით დაბალი ბორტით. აკეცილი გვერდის სიმაღლე 4,8 სმ-ია, კეცის სისქე — 2,2 სმ. ჩვენი ვარაუდით, ეს ნატეხი ყველაზე გვიანდელი ნიმუშია.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[198], აღმოჩნდა ზედა პირველი დონის ქვეშ, კულტურულ ფენაში. ეკუთვნის დიდ ღარისებრ კრამიტს, გარედან გარდიგარდმო ოთხი ფართო ნაჭდევით. კეცი მოჩალისფრო-მოვარდისფროა. სისქე — 1 სმ.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[199], ნაპოვნია ქვედა დონის ქვაყრილის პრეპარაციის დროს, ეკუთვნის გვერდაკეცილ დიდ კრამიტს, რომელიც მოჩალისფროდაა გამომწვარი. თიხა სუფთაა და კეცი მკვრივი. აკეცილი გვერდის სიმაღლე — 7,8 სმ, კეცის სისქე — 2,1 სმ.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[200], აღმოჩენილია ქვედა დონის ქვაყრილში. ეკუთვნის ღარისებრ კრამიტს. დამზადებულია ანტიკური წესით—მორგვზე ამოყვანით და შუაზე გაჭრით. გამომწვარია მოჩალისფროდ, თიხა მკვრივი და კარგად განლექილი. გარედან კრამიტი წითელი წერნაქით ყოფილა დაფარული. კეცის სისქე 1,5 სმ-ია.

კ რ ა მ ი ტ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[201], წუნდებული, დაგრეხილია, ეტყობა ზედმეტი ტემპერატურის გავლენა, გამომწვარია მონაცრისფროდ. თიხა შეიცავს მინარევებს. ბორტის სიმაღლე 4 სმ-ია, კეცის სისქე — 2 სმ. როგორც საწარმოო წუნი, ეს ნიმუში იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც იგი კრამიტის ადგილობრივი წარმოების მანიშნებელია.

მონაპოვარი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვედა სამშენებლო დო-

---

196 ქი—72—310.

197 ქი—72—322. ტაბ. LIV, 1.

198 ქი—72—331.

199 ქი—72—365. ტაბ. LIV, 1.

200 ქი—72—387.

201 ქი—72—384.

ნისათვის უფრო მცხეთური ტიპის კრამიტია დამახასიათებელი, ამას მიუთითებს 1971 წლის მონაპოვარიც, სადაც მორგვზე ნაძერწი და ქიმიანი კრამიტის ნიმუშებიც მოგვეპოვება. რაც შეეხება ზედა სამშენებლო დონეს, იქ უკვე ისეთი კრამიტები გვხვდება, რომელთაც ჯერ კიდევ ეტყობათ გვიანარმაზული ხანის კრამიტის გავლენა, მაგრამ მაინც ქობუნაზე ნაკეთები კრამიტებია გაბატონებული, რაც გვიანანტიკური ტექნოლოგიური ტრადიციის გაწყვეტაზე და ახალი საწარმოო ჩვევების შემოსვლაზე მიუთითებს.

სამზარეულო ჭურჭელი (ჟი—72—314, 316, 317, 323, 332, 333, 334, 335, 336, 349, 350, 361, 362, 363, 364, 372, 378, 382, 390, 398, 403, 404 და სხვა). კერამიკულ მონაპოვარში სამზარეულო ჭურჭლის ნატეხები ყველაზე მრავალრიცხოვანია და ეს ბუნებრივიცაა. ჭურჭლის ეს სახეობა სწორედ რომ ნამოსახლარებისათვისაა დამახასიათებელი. ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ უპირატესად სადუღარი ქოთნებია წარმოდგენილი. ზოგი ცალი, ზოგი ორი ყურით. მოპოვებულია სადუღარი ქოთნების ხუფების ნიმუშებიც. ქვემოთ აღვწერთ რამდენიმეს:

სადუღარი ქოთნის სარქველის ნატეხი[202], აღმოჩნდა ზედა სამშენებლო ფენაში, მოვარდისფრო ლეგა ზოლებით, დისკისებრი, ცენტრისკენ ოდნავ შემაღლებული. თიხა შეიცავს კენჭოვან მინარევებს, კეცის სისქე 1,4 სმ-ია.

ქოთნის პირ-კედლის ნატეხი[203], ყურითურთ, აღმოჩნდა ზედა დონის ქვაყრილის აღებისას. შავი კეცით. ჭურჭელს ჰქონდა სფერული ტანი, დაბალი ყელი, გარეთ გადმოშლილი პირ-ბაკო, მრგვალღეროიანი ყური, რომელიც ტანზეა მიძერწილი. მხრებზე აქვს ორი კონცენტრული ღარი. ეტყობა ცეცხლზე ხმარების კვალი. კეცის სისქე 0.5 სმ-ია, ყურის ღეროს დიამეტრი — 1,5 სმ.

ქოთნის ყური[204], ორი ცალი. აღმოჩნდა ზედა დონის ქვაყრილის ალაგებისას. ორივე ნატეხი სადუღარი ქოთნისაა, ერთი მოზრდილია, ოვალური განივკვეთით. მიერთებული ყოფილა პირზე. ყურის სიგანე 2,2 სმ-ია. მეორე ბრტყელია, ისიც პირზე ყოფილა მიძერწილი. ყურის თავი შემკულია ორი ნაჭდევით, სიგანე 2,6 სმ-ია.

ქოთნის ნატეხი ყურით[205], აღმოჩნდა პირველ და მეორე სამშენებლო დონეთა შორის. ლეგა-მონაცრისფრო, ეკუთვნის სფერულტანიან სადუღარს, რომელსაც მრგვალღეროიანი ყური ვერტიკალურად აქვს მიძერწილი მუცელზე. თიხა უხეშია, ჭურჭელი ხელით ჩანს ნაძერწი. კეცის სისქე 0,5 სმ-ია. ყურ-ღეროს დიამეტრი — 1,6 სმ.

ქოთნის ნაწილი[206], აღმოჩნდა ქვედა სამშენებლო დონის პრეპარაციის დროს, შავლეგა ჭურჭელს ჰქონდა მრგვალი გადაშლილი პირი გარეთ გადმოკეცილი ბაკოთი, დაბალი ყელი, სფერული ტანი და ვერტიკალურად დაყენებული, მრგვალკვეთიანი ყური. კეცის სისქე 0,3 სმ-ია, ყურის ღეროს დიამეტრი — 1,8 სმ. ბაკო შემკული აქვს ირიბი ნაჭდევებით, ხოლო მხრებზე ორი წრიული ნაჭდევი აქვს.

---

[202] ჟი—72—314.
[203] ჟი—72—332. ტაბ. LIII, 1.
[204] ჟი—72—334.
[205] ჟი—72—350. ტაბ. LIII, 1.
[206] ჟი—72—361. ტაბ. LIII, 1.

ქ ო თ ნ ი ს პ ი რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[207], ქვედა დონის ქვაყრილიდან. შავლეგა, ყელდაბალი, საშუალოდ პირგადაშლილი. აქვს ბრტყელი, ოდნავ შესქელებული ბაკო. ბაკოს სიგანე 1,3 სმ-ია, კეცის სისქე — 0,5 სმ.

ქ ო თ ნ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[208], ქვედა დონე. ღია თამბაქოსფერი, ჯერ კიდევ შეუმუშავი, ორი ნატეხია სხვადასხვა ჭურჭლისა. ერთს ჰქონია თხელი გარეთგადაშლილი ბაკო, ხოლო მეორეს — შესქელებული და ბრტყელი (სიგანე 0,7 სმ).

სამზარეულო ჭურჭლის ნატეხები საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა № 3 საკონტროლო თხრილში მდებარე ორმოშიც, რომელიც ამოვსებული იყო ქვევრისა და ჭურჭლის ნატეხებით, რიყის ქვებით. მასალის მიხედვით ეს ორმო ქვედა სამშენებლო დონის სინქრონული უნდა იყოს.

სამზარეულო ჭურჭლის ნატეხების წინასწარი შესწავლით ნათლად ჩანს, რომ საგრძნობი სხვაობა ორ სამშენებლო დონეზე ამოკრეფილ მასალას შორის არ შეიმჩნევა. როგორც ჩანს, სამზარეულო ჭურჭლის ფუნქციონალური დანიშნულების გამო, მათი ფორმები ძალზე კონსერვატული იყო. ახალი ჟინვალის II უბნის სამზარეულო ჭურჭელი გამოირჩევა სისადავით და ორნამენტის სიღარიბით.

ხ ე ლ ა დ ე ბ ი დ ა ს ხ ვ ა ს ა მ ე უ რ ნ ე ო დ ა ს ა ს უ ფ რ ე ჭ უ რ ჭ ე ლ ი (ჟი—72—320, 325, 329, 337, 342, 343, 347, 357, 359, 371, 373, 374, 379, 396, 397, 328, 339, 355, 405). თიხის ჭურჭლის ეს ჯგუფი მრავალრიცხოვანიცაა და მრავალფეროვანიც. აქ არის გაერთიანებული სხვადასხვა ზომის ხელადების, ჭინჭილების ნატეხები, დიდრონი ორყურა კოკების თუ კოკურების ფრაგმენტები და სხვა. სანიმუშოდ აღვწერთ რამდენიმე ეგზემპლარს:

ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[209], აღმოჩნდა ზედა სამშენებლო დონეზე. ჭურჭელი სასმისის მსგავსია. გარედან გაპრიალებული მოწითალოდ, ნაცრისფერი სარჩულით. შიგნიდან ხაოიანია. კეცის სისქე 0,5 მ-ია.

ხ ე ლ ა დ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[210], აღმოჩნდა ზედა სამშენებლო დონეზე. შემორჩენილია ყელისა და პირის ნაწილი, შუაზე რელიეფური დაკეცილი წიბოთი, ყელზე აქვს წრიული ღარები. თიხა შეიცავს მცირე მინარევებს, არათანაბრადაა გამომწვარი. კეცის სისქე 0,8 სმ-ია.

ხ ე ლ ა დ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[211], ზედა დონის ქვაყრილიდან, ეკუთვნის სურისებრ ხელადას, რომელსაც ჰქონია მრგვალი, ძაბრისებრად გაშლილი პირი, შედარებით ვიწრო, მრგვალგანივკვეთიანი ყელი. გარედან თამბაქოსფერია, მოვარდისფრო თეთრი. თიხა შეიცავს წვრილ კენჭოვან მინარევს. პირის დიამეტრი 6,2 სმ-ია, ყელისა — 3,2 სმ, კეცის სისქე — 5,5 სმ. პირველ სამშენებლო დონეზე მრავლად იყო ხელადის სხვადასხვა ყურები. მათ შორის ნაწილის თიხა კარგადაა განლექილი, კეცი მკვრივია.

ხ ე ლ ა დ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი ყ უ რ ი თ[212], ქვედა სამშენებლო დონე. მოჩალისფროა, შემორჩენილი აქვს მხრის ნაწილი. აქვს მრგვალი ყელი, გადაშლილი მრგვალი პირი და ოვალურგანივკვეთიანი ყური, მიძერწილი მხარსა და ყელის შუა ნაწილზე. თიხა კარგადაა განლექილი, კეცი მკვრივია და კარგად

---

[207] ჟი—72—372.
[208] ჟი—72—282.
[209] ჟი—72—320.
[210] ჟი—72—329.
[211] ჟი—72—328.
[212] ჟი—72—359. ტაბ. LIII, 1.

გამომწვარი. პირის დიამეტრი 5,9 სმ-ია, ყელის სიმაღლე — 7,5 სმ, ყურის ღეროს სიგანე — 1,7 სმ.

ხ ე ლ ა დ ი ს პ ი რ-ყ ე ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[213], მეორე სამშენებლო დონე.— ლეგა, სამტუჩა, ბრტყელ-ოვალური ყურით, რომელიც პირზეა მიერთებული. გარედან ყელზე ეტყობა სიგრძივი ზოლები. თიხა შეიცავს მინარევს. პირის სიგრძე 6 სმ-ია, კეცის სისქე — 0,6 სმ.

ხ ე ლ ა დ ი ს ყ ე ლ ი დ ა ყ უ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[214], ორი ცალი. აღმოჩნდა პირველ და მეორე სამშენებლო დონეთა შორის, უფრო მეორე დონის სიახლოვეს. ყელი მოჩალისფროა, აკლია პირ-ბაკო (მთელ პერიმეტრზე), ყელი მრგვალია შუაზე ერთი ნაწიბურით. თიხა წმინდაა. ყელის დიამეტრი 4,2 სმ-ია, კეცის სისქე — 0,4 სმ. ყურის ნატეხი ღია თამბაქოსფერია, წმინდა სილის მინარევით. ყურის სიგანე — 3,1 სმ.

თიხის ნაკეთობათა ამავე წრეშია განხილული ჭურჭლების ერთი ჯგუფი, რომელსაც უფრო სამეურნეო-საოჯახო დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე სასუფრე. ესენია ორყურა და ცალყურა კოკურები, რომელთაც ყელზე თითო ან წყვილი ნაწიბური შემოუყვებათ. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტიპის ჭურჭლებმა პირველად თავი იჩინა ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარებზე. ისინი ურბნისის და ზღუდერის მასალების მიხედვით ახ. წ. V—VI საუკუნეებითაა დათარიღებული. 1971 წლის გათხრებმა ახალი ჟინვალის სამაროვანზე გამოავლინა ერთი ასეთი მთელი ჭურჭელი (სამარხი № 5), რითაც დადასტურდა, რომ ყელწიბოვანი და განიერძირიანი კოკურები უფრო ადრეც იყო ცნობილი. კერძოდ № 5 სამარხის ჭურჭელი მთელ კომპლექსთან ერთად ახ. წ. III საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ყელწიბოვანი დიდრონი ჭურჭლის ნატეხები შესაბამისად დაშახასიათებელია ორივე სამშენებლო დონისათვის. II უბანზე მოპოვებულ მასალებს შორის, გარდა ზემოჩამოთვლილისა, საყურადღებოა:

ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ თ ა ჯ გ უ ფ ი[215], ზედა სამშენებლო დონე, რომელთა შორის ურევია დიდი ორყურა ყელწიბოვანი კოკურის ორი ნატეხი, გარედან მოჩალისფრო, ძალზე კარგად განლექილი თიხისა. კეცის სისქე 0,6—0,9 სმ-ია.

კ ო კ ი ს პ ი რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[216], პირველი და მეორე დონეების შორისი ფენიდან. მოჩალისფრო, შიგნიდან მუქი მონაცრისფრო, გაშლილი პირით. ჭურჭელს ჰქონია სწორი, ზემოთ რამდენადმე მოვიწროვებული ყელი, ოდნავ შესქელებული ბაკოთი. თიხა შეიცავს მინარევებს. კეცის სისქე 0,8 სმ-ია.

კ ო კ უ რ ა ს პ ი რ-ყ ე ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[217], პირველი და მეორე დონეთა შორისი ფენიდან. მოჩალისფრო, ეკუთვნის დიდი ზომის ორყურა ჭურჭელს, რომელთაც ახასიათებთ მრგვალი, ორწიბოვანი ყელი და ამ წიბოზე დაძერწილი ყური. თიხა საგანგებოდაა განლექილი და კარგადაა გამომწვარი. კეცის სისქე 0,5 სმ-ია.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ს ა მ ი ნ ა ტ ე ხ ი[218] აღმოჩნდა ქვედა სამშენებლო დონის სინქრონული ორმოს ძირზე. მათ შორის ყველაზე მოზრდილი წითლადაა გამომწვარი. წარმოადგენს პირ-ყელის ნატეხს, ყურითურთ. აქვს მრგვა-

---

[213] ჟი—72—371.
[214] ჟი—72—379. ტაბ. LIII, 1.
[215] ჟი—72—328.
[216] ჟი—72—339.
[217] ჟი—72—355, ტაბ. LIII, 1.
[218] ჟი—72—405. ტაბ. LIII, 1.

ლი, ოდნავ გადაშლილი პირი, შესქელებული ბაკო, ოვალური ყური, რომელიც ყელზე და მუცელზეა მიძერწილი. თიხა დაუწმენდავია, გარედან გაპრიალებული (სიგრძივი ზოლებით). ყელის სიმაღლე 50 სმ-ია, ყურის სიგანე — 3,1 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ.

აქვეა წმინდაკეციანი, ჩალისფრად გამომწვარი, ტალღური ორნამენტით შემკული ორი ნატეხი მომცრო ხელადებისა.

ყელწიბოიანი დიდრონი ჭურჭლების ერთობლივი განხილვა და სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ისინი საკმაოდ ფართოდ ყოფილან გავრცელებული მთელ ნამოსახლარზე. მხოლოდ უფრო ხშირად პირველ და მეორე სამშენებლო დონეებს შორის და ზედა დონეზეა მოპოვებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ მათი მასიური გავრცელება სწორედ მეორე დონიდან პირველზე გარდამავალ ხანას ემთხვევა.

ბ ა დ ი ე ბ ი (ყი—72—321, 327, 336, 346, 351, 368, 391, 409 და სხვა). ჭურჭელთა აღნიშნული ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანია და საყურადღებო. დასავლურ სამყაროში ჭურჭლის ეს ტიპი ლუთერიის სახელით იყო ცნობილი და ფართოდ გამოიყენებოდა. ადრე ფეოდალური ხანის ჩათვლით, მსგავსი ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ბიჭვინთაში, II—VI საუკუნეთა ფენაში.

აღმოსავლურ საქართველოში ლუთერიისებრი ბადიები ეტყობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. მისი უძველესი ნიმუშები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, რომ დაგვედგინა მისი გავრცელების ქვედა ზღვარი. საყურადღებოა, რომ ამ ბადიებმა დიდი გავრცელება ჰპოვა აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით იორ-ალაზნის აუზში. შემდგომ განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით, ჭურჭლის ეს ტიპი ფართოდ იყო ხმარებაში. ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ნიმუშს.

ბ ა დ ი ი ს პ ი რ კ ე დ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[219], 4 ცალი. აღმოჩნდა ზედა სამშენებლო დონეზე. მათ შორის ერთს აქვს შიგნით გადასული ბაკო, გამომწვარია მოწითალოდ. ბაკოს სიგანე 2,2 სმ-ია, კეცის სისქე — 0,9 სმ. მეორე ნიმუშს ბრტყელ ბაკოზე აზის ერთი რელიეფური ხაზი. თიხა უხეშია, მოშავოდ გამომწვარი. მესამე ნიმუშს ბაკოზე ნაჭდევები აქვს, ხოლო მეოთხე ნატეხი სრულიად სადაა. მსგავსი ჭურჭლის ნატეხები ჩნდებოდა ორ დონეს შორის არსებულ ფენაშიც და, რაც უფრო საყურადღებოა, მას საკმაოდ ვხვდებოდით ქვედა დონის ქვაყრილის პრეპარაციისა და ალაგების დროსაც.

ბ ა დ ი ი ს პ ი რ კ ე დ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი[220], აღმოჩნდა ქვედა სამშენებლო დონის ქვაყრილში. აქვს განიერი ბაკო და ტუჩ-ღარის ნაშთი, კეცი გარედან მოწაბლისფროა. თიხა შეიცავს მინარევს. ტუჩ-ღარს გვერდით აზის ერთი მეჭეჭი. კეცის სისქე 1,3 სმ-ია.

ბ ა დ ი ი ს პ ი რ ტ უ ჩ ი ს ნ ა ტ ე ხ ი[221], ქვედა სამშენებლო დონიდან. მოჩალისფრო ტუჩზე ლეგა ზოლებით. ჭურჭელს ჰქონია დამრეცი კალთები, შიგნით გადაკეცილი ბრტყელი ბაკო და საკმაოდ მოგრძო ღარისებრი ტუჩი. თიხა წმინდაა. ბაკოს სიგანე 2,5 სმ-ია, ტუჩის სიგრძე — 2,6 სმ, კეცის სისქე — 0,8 სმ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, კულტურულ ფენაში, განსაკუთრებით ზედა

---

[219] ყი—72—321. ტაბ. LIII, 2.
[220] ყი—72—369. ტაბ. LIII, 2.
[221] ყი—72—391. ტაბ. LIII, 2.

საშშენებლო დონეზე, აღმოჩნდა მოუჭიქავი ჯამის ნატეხები (№ 340), სადღვებლის ფრაგმენტი (№ 344), დერგის ნატეხები (№№ 319, 338, 356, 370), კეცის ნაწილი (№ 352) და სხვა საოჯახო სამეურნეო ჭურჭლის ნატეხები.

ქვევრები (ქი—72—315, 318, 330, 341, 345, 354, 366, 367, 368, 383, 393, 395, 402 და სხვა, ტაბ. LIII, 2) ახალი ქინვალის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა მოფენილი და, ბუნებრივია, დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ნამოსახლარზეც (ორივე საშშენებლო დონეზე). აქ ორთავე ფენაში გაბატონებულია სხვადასხვა ზომის ქვევრთა ერთი წამყვანი ტიპი: მრგვალპირიანი, ბაკოგანიერი და ყელდაბალი ქვევრები, რომლებსაც ჰქონიათ კვერცხისებური, ხშირად პარალელური რელიეფური ნაწიბურებით შემკული ტანი და ბრტყელი, შედარებით ვიწრო დიამეტრიანი ძირი. ამგვარი ქვევრები აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული მთელ გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში და მათ ძირითადად მეღვინეობასთან კავშირში განიხილავენ (ტაბ. LV).

კერამიკული ნაწარმის სიუხვე და მრავალფეროვნება და, აგრეთვე, საწარმოო წუნის ნიმუშთა პოვნის ფაქტები და კარგი ნედლეულის ბაზის არსებობა უკვე იმის მანიშნებელია, რომ ახალი ქინვალის ადგილას მდებარე ძველ სამოსახლოში შესაძლოა საკუთარი სამეთუნეო სახელოსნოებიც იყო. მით უმეტეს, რომ პირველ და მეორე დონეთა შუაში, ნაცროვან ფენაში, აღმოჩნდა კერამიკული სოლის ნატეხი, რომელიც ჭურჭლის გამოსაწვავ ჭურაში გამოიყენებოდა (ქი—72—324 ტაბ. LIV, 2).

გარდა კერამიკული მასალებისა, ნამოსახლარის თხრისას ორთავე დონეზე ჩნდებოდა იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო ყოფასთან და ხელოსნობასთან დაკავშირებული მასალებიც. კერძოდ: ბრინჯაოს სამაჯურის[222] და რაღაც ფირფიტის ნატეხები[223] (ზედა დონე). ტიგელი თიხის, გარედან მოაგურისფრო, შიგნიდან შავი ლაქებით, აკლია ქვემო ნაწილი. ჰქონია დამრეცი კალთები და ძალზე სქელი კედლები. აღმოჩნდა ქვედა დონეზე. ქვაყრილის ქვეშ. რკინის წიდები[224], კვირისტავები[225]. სამი ცალი, აგრეთვე ქვედა დონიდან. ამათგან ორი თიხისაა, ხოლო ერთი — ქვის. ქვის ჭურჭლის ნატეხი[226], ქვედა საშშენებლო დონიდან. ხელის წისქვილები[227], სასრესი, (სალესი) ქვა[228] და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ძველ ქინვალელთა სამეურნეო ყოფაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ნამოსახლარზე, პირველ და მეორე საშშენებლო დონეების თხრისას, აღმოჩნდა შურდულის ქვები[229], რომლებიც გარკვეულ შუქს ჰფენს სამხედრო საქმის ზოგიერთ საკითხს.

ნამოსახლარის თარიღისათვის. თარიღის საბოლოო განსაზღვრა მასალების ფრაგმენტულობის გამო საკმაოდ რთულია. მაგრამ მასალის ანალიზი ახლავე იძლევა საშუალებას განისაზღვროს ის ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომელშიც

---

[222] ქი—72—375. ტაბ. LIV, 2.
[223] ქი—72—376. ტაბ. LIV, 2.
[224] ქი—72—326, 360.
[225] ქი—72—377, ტაბ. LIV, 2.
[226] ქი—72—399, ტაბ. LIV, 2.
[227] ქი—72—311. ტაბ. LIV, 2.
[228] ქი—72—378, 313, ტაბ. LIV, 2.
[229] ქი—72—358, 380, 385, 394, 400.

ნამოსახლარის ორივე სამშენებლო დონე ეჭცევა. ასეთი თარიღის დადგენისას, პირველ რიგში, დახმარებას გვიწევს კერამიკული ნაწარმი, რომელთაგანაც გამოიყოფა მორგვზე ნაკეთები, მცხეთური ტიპის კრამიტები, ბადიები, კარგად განლექილი თიხის ჭურჭლის ისეთი ნიმუშები, როგორც პირველ უბანზე გვიანარმაზული ხანის სამარხებში ჩნდებოდა და სხვა.

ამ ნიშნით ჩვენ ნამოსახლარის პირველი დონე სამაროვნის სინქრონულად ან ოდნავ მასზე უფრო ხნიერად მიგვაჩნია და საორიენტაციოდ მას ახ. წ. III საუკუნით ვათარიღებთ (ან იქნებ II საუკუნის ბოლოთიც). რაც შეეხება მეორე სამშენებლო დონეს, იქ უკვე გვხვდება ჭობუნაზე გადაფენვით ნაკეთები კრამიტები, რაც საშუალებას იძლევა ზედა ფენა ადრექრისტიანული ხანის დამდეგი საუკუნეებით დავათარიღოთ (IV—V სს.).

Р. М. РАМИШВИЛИ

МОГИЛЬНИК И ПОСЕЛЕНИЕ В АХАЛИ-ЖИНВАЛИ ПО РАСКОПКАМ 1971—1973 гг.

Резюме

Табл. XXVIII—LV

Жинвальская комплексная археологическая экспедиция в 1971—1973 годах провела значительные работы на территории Ахали Жинвали неподалеку от с. Квемо-Араниси в местечке «Зандуклиант навенахари». При рытье котлованов для зданий повсеместно прослеживались остатки поселений и могильников позднеармазского (позднеантичного) и раннесредневекового периодов. Один из таких могильников, частично оказавшийся в котловане административного здания, является предметом нашего исследования. Кроме того, в работе рассматривается и обнаруженное в зоне капитального строительства синхронное с могильником поселение (II участок).

На могильнике два погребения из тридцати пяти оказались богатыми. Среди богатых погребальных комплексов особый интерес вызывают серебряные предметы (серебряная чаша с армазской надписью, две пары серебряных ножек погребального ложа, три перстня с геммами, многочисленные серебряные пряжки, монеты, серебряный поясной набор и т. д.).

Описанные в работе комплексы, особенно богатые, находят близкие аналогии с погребениями эриставов Армазис-Хеви, а также с богатыми комплексами долины Эрцо, Згудери, Бори, Ахалдаба и др. В этом отношении особый интерес представляет серебряная чаша и четыре ножки от погребального ложа, которые как по форме, так и по технике изготовления идентичны с изделиями из Армазис-Хеви. Вполне возможно, что они изготовлены мцхетскими мастерами. Не вызывает сомнения и социальная принадлежность лиц, погребенных в богатых погребениях Ахали Жинвали. Раскопками в Ахали Жинвали обнаружен еще один пункт распространения богатых комплексов ранга питиахшов, что, по нашему предположению, указывает на существование в окрестностях Квемо-Араниси административно-политического центра определенного региона Арагвского ущелья.

Могильник в основном датируется III в. н. э. и началом IV в.

Результативными оказались исследования и на втором участке, где зафиксированы два строительных горизонта с остатками фундаментов зданий. Анализ керамических изделий и стратиграфических данных дает возможность датировать поселение III—V вв. н. э.

ნ. გამრეკელი

ახალი ჟინვალის სამარხში აღმოჩენილი შინაური ცხენის ძვლები

1971 წელს ახალი ჟინვალის I სამაროვანზე გათხრილ № 5 სამარხში, როგორც მასალების აღწერილობიდან ჩანს,[1] აღმოჩნდა ადამიანის ფერხთით დამარხული ცხენის ჩონჩხი, რომელიც ყველაზე მეტად დაზიანდა ადმინისტრაციული სახლისათვის ქვაბულის თხრის დროს. გადარჩენილ ძვლებს შორის სულ აღირიცხა 58 ერთეული. დამუშავებულ და შესწავლილ ძვლებში გვაქვს:

მალების ძვლები, 11 ერთეული. ამათგან ოთხი (№ 1, 1ა, 2, 3) გულმკერდის მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 მალებია, წვეტიანი მორჩების გარეშე; წელისაა —ექვსი მალა (№ 4—9), განივი და წვეტიანი მორჩებით; ერთი ეგზემპლარი კუდის მალაა (№ 11), კარგად დაცული.

გავის ძვალი (№ 10), დაზიანებულია. მარჯვენა ფრთა აღარ გააჩნია და წვეტიანი მორჩებიც მომტვრეულია.

მენჯის ძვალი, შემორჩენილია 12 ფრაგმენტის სახით.

ბარძაყის სრულად დაცული ორი ძვალია (12, 13 ცხრილი).

წვივის ძვლის ორი ეგზემპლარია მასალაში, ერთი (№ 15), მარჯვენა კიდურის, მთლიანია, მეორე (16) — პროქსიმალური ბოლოს გარეშეა.

ტერფის ძვლებიდან გადარჩენილია ორი კარგად დაცული ძვალი (№ 17, 18), ქუსლის ძვლები ორია (19, 20); ასევე ორია კოჭის ძვალი (21, 22) როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა კიდურებისა (იხ. ცხრილი № 2).

ჩლიქის ძვალი, შემორჩენილია ერთი ეგზემპლარი (№ 28), ისიც უკანა კიდურისა, დაზიანებული კიდით.

კვირისტავი, ერთი კარგად დაცული ნიმუშია (29).

დანარჩენი ძვლებიდან აღსანიშნავია: მაჯის — 4 ძვლის, უკანა ტერფის — 8 და ნეკნების 17 წელის ფრაგმენტი.

ახალი ჟინვალის № 5 სამარხში აღმოჩენილი შინაური ცხენის ტანადობის დასადგენად ტერფის, პირველი და მესამე ფალანგების ძვლები გამოდგა.

ტერფის ძვლის მაქსიმალურმა სიმაღლემ (281 მმ) არანისის ცხენი ტანადთა ჯგუფში გაიერთიანა (სიმაღლე მინდაოში 146 სმ). დიაფიზის სიგანის (32 მმ) შეფარდებამ მაქსიმალურ სიმაღლესთან საშუალო სისქის (11,4%) ფეხის მქონე ინდივიდი დაგვანახა.

ფალანგის დიაფიზის სიგანის (33 მმ) შეფარდებამ ძვლის მაქსიმალურ სიმაღლესთან (83 მმ) ასევე საშუალო სისქის ფეხის მაჩვენებელი (40%) გამოავლინა.

---

[1] №5 სამარხის აღწერა, იხ. რ. რამიშვილის ნაშრომში, რომელიც აქვე იბეჭდება.

ჩლიქის ძვლის სიგრძის (51 მმ) შეფარდებამ სიგანესთან (41 მმ) საშუალო სიფართის ჩლიქის მაჩვენებელი (144%) დაგვანახა.

მაშასადამე, გვიანარმაზული (გვიანანტიკური) ხანის ახალი ჟინვალის ცხენი ერთიანდება ტანადი ცხენების ჯგუფში და ხასიათდება საშუალო სისქის კიდურებით და საშუალო სისქის ჩლიქით.

ცხრილი №1

ქვემო არანისის შინაური ცხენის ძვლების განაზომები მმ-ში

ბარძაყის ძვლის მაქსიმალური სიმაღლე	410
ბარძაყის ძვლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	115
ბარძაყის ძვლის დიაფიზის სიგანე	40
ბარძაყის ძვლის დისტალური ბოლოს სიგანე	85
წვივის ძვლის მაქსიმალური სიმაღლე	365
წვივის ძვლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	98
წვივის ძვლის დიაფიზის სიგანე	40
წვივის ძვლის დისტალური ბოლოს სიგანე	79
ტერფის ძვლის მაქსიმალური სიმაღლე	281
ტერფის ძვლის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	54
ტერფის ძვლის დიაფიზის სიგანე	32
ტერფის ძვლის დისტალური ბოლოს სიგანე	48
ჭუსლის მაქსიმალური სიმაღლე	113
ჭუსლის მაქსიმალური სიგანე	50
სიგრძე ჭუსლის ბორცვიდან ნისკარტისებურ მორჩამდე	81
სიგრძე ნისკარტისებური მორჩიდან ქვედა უკიდურეს კიდემდე	46

ცხრილი №2

ქვემო არანისის შინაური ცხენის ძვლების განაზომები მმ-ში

კოჭის ძვლის ლატერალური სიმაღლე	64
კოჭის ძვლის მედიალური სიმაღლე	61
სიმაღლე ღარიდან ქვედა სასახსრე ზედაპირამდე	48
კოჭის ძვლის მაქსიმალური სიგანე	66
კოჭის ძვლის ქვედა სასახსრე ზედაპირის სიგანე	55
კოჭის ძვლის ქვედა სასახსრე ზედაპირის სიგრძე	38
უკანა კიდურის პირველი ფალანგის მაქსიმალური სიმაღლე	83
უკანა კიდურის პირველი ფალანგის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	59
უკანა კიდურის პირველი ფალანგის დიაფიზის სიგანე	33
უკანა კიდურის პირველი ფალანგის დისტალური ბოლოს სიგანე	45
უკანა კიდურის მეორე ფალანგის მაქსიმალური სიმაღლე	146
უკანა კიდურის მეორე ფალანგის პროქსიმალური ბოლოს სიგანე	53
უკანა კიდურის მეორე ფალანგის დიაფიზის სიგანე	45
უკანა კიდურის დისტალური ბოლოს სიგანე	46
უკანა კიდურის ჩლიქის ძვლის მაქსიმალური სიმაღლე	41
უკანა კიდურის ჩლიქის ძვლის მაქსიმალური სიგანე	63
უკანა კიდურის ჩლიქის ძვლის სიგრძე	51

Н. Н. ГАМРЕКЕЛИ

КОСТИ ДОМАШНЕЙ ЛОШАДИ, ОБНАРУЖЕННЫЕ В ПОГРЕБЕНИИ АХАЛИ ЖИНВАЛИ

Р е з ю м е

В 1971 году на I могильнике Ахали Жинвали (Квемо Араниси) было обнаружено богатое погребение № 5 позднеантичного периода. В погребении у ног костяка человека оказалась захороненной лошадь, костные останки которой были обнаружены в количестве 58.

Позвонков — 11 единиц, крестец — 1, кости таза—1 (12 обломков), бедренные кости — 2, берцовые — 2, плюсневые — 2, пяточные — 2, таранные—2, 1-й фаланги—2, 2-й фаланги—2, копыто—1, мыщелок—1, кости запястья—4, кости заплюсны—8 и обломки ребер—17.

По промерам плюсен 1-ых и 2-ых фаланг лошадь из погребения Ахали Жинвали отнесена к группе рослого телосложения со средней толщиной ног и со средней шириной копыт.

გ. ჯორბენაძე

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1971 წელს დაზვერვების დროს ყურადღება მიაქცია ჟინვალის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარე ვრცელ სამაროვანს და ნაწილობრივ გათხარა № 1 სამარხი [1].

XIX საუკუნის 40-იან წლებში ჟინვალში ყოფილა ვინმე ნ. ბოგომოლოვი, რომელსაც უნახავს ძველი კომკი, სასიმაგრო კედლის ნაშთები, ხიდის ნანგრევები და სხვა სიძველეები [2].

XIX საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა აღწერა ნაქალაქარი ჟინვალი და მისი მიდამოები [3]. ეს იყო ჟინვალის შესახებ ყველაზე უფრო სრული და მეცნიერული თვალსაზრისით მაღალ დონეზე შესრულებული ნამუშევარი.

1895 წელს კავკასიაში მოგზაურობისას პ. უვაროვას ჟინვალის მიდამოებში სამ ადგილას დაუფიქსირებია სამაროვანი და ჩაუტარებია საცდელი გათხრები [4].

1908 წელს ჟინვალის ნაქალაქარი და ნეკროპოლი დაუთვალიერებია ე. თაყაიშვილს [5].

გ. ნიორაძეს თავის სტატიაში „მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა“ გამო-

---

[1] რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, მაცნე, ისტორიის... სერია, 1971, № 4, გვ. 169; რ. რამიშვილი, ლ. წითლანაძე, გ. ჯორბენაძე, ლ. წერეთელი და სხვ. ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 48. (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი); Р. М. Рамишвили, Л. Г. Цитланадзе, В. А. Джорбенадзе и др. Работы Жинвальской экспедиции, АО, 1971 (1972), с. 460; Р. М. Рамишвили, Л. Г. Цитланадзе, В. А. Джорбенадзе и др. Результаты работ Жинвальской экспедиции за 1971 год, Тезисы докладов на секциях, посвященных итогам полевых исследований 1971 г., М., 1972, с. 165 (Институт археологии).

[2] Н. Богомолов, Албанские ворота, Кавказ, 1850, 8 февраля, № 11, с. 42—44.

[3] П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии. Тифлис, 1850, стр. 47; Годовой отчет общества любителей Кавказской археологии, ЗОЛКА, 1875, кн. I, с. 182—186 [Аннотация доклада П. И. Иоселиани. Описание развалин древнего города Жинвали, прочитанного 18 декабря 1873 года, с. 185]; П. Иоселиани, Жинвани, Кавказская жизнь, 1897, II, Тифлис, с. 4—13; პ. იოსელიანთან დაკავშირებით აგრეთვე იხ. ა. ბარამიძე, პლატონ იოსელიანი და ქალაქი ჟინვალი, კომუნიზმის გზა (დუშეთი), 1975, 20 დეკემბერი, № 150.

[4] П. С. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, 1904, вып. X. с. 1—2.

[5] Е. С. Такайшвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, ИКОМАО, 1915, вып. IV, с. 142.

ქვეყნებული აქვს სურათი „მიცვალებულთა სახლი“ სოფ. ჟინვალში“, ხოლო ტექსტში აღნიშნულია, რომ ნაგებობა „აღმოჩენილია სოფ. ჟინვალში, ფშავის არაგვის ნაპირზე“ [6].

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1964 წელს ჟინვალჰესის მომავალი მშენებლობის რაიონში ჩატარებული წინასწარი დაზვერვების მოკლე ანგარიშში აღნიშნულია ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიწისქვეშა აკლდამების არსებობა [7].

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი (III უბანი) განფენილია ორი არაგვის შესაყართან, ჟინვალი-ბარისახოს გზის გასწვრივ, ფშავის არაგვისკენ დაქანებულ ველზე (ტაბ. LVII, 2). იქ შემორჩენილი იყო ორი ეკლესიის და კამაროვანი აკლდამის ნანგრევი. უკეთ შემორჩენილი ეკლესიის [8] (ტაბ. LVIII, 1) სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით 1972 წელს დაიწყო სტაციონარული გათხრები [9].

სამაროვანზე წინასწარვე შეიმჩნეოდა ორმოები, რომლებიც წარმოქმნილი იყო აკლდამების სახურავების ჩანგრევის შედეგად. მდინარის პირას განლაგებული სამარხები უკვე ნახევრად დანგრეული ჩანდა.

სამაროვანზე, ზედა ფენების თხრის დროს, ჩნდებოდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა არსებობა უნდა აიხსნას ნამოსახ-

---

[6] გ. ნიორაძე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, ენიმკი-ს მოამბე, 1940, ტ. 5—6, გვ. 64—65; სურ. 7 (ჩვენი აზრით, სურათზე აღბეჭდილია ის დიდი თაღოვანი აკლდამა, რომელიც მდებარეობს ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის ჩრდილოეთ ნაწილში, ფშავის არაგვის პირას. ამ პუბლიკაციის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ო. ღამბაშიძემ. აკლდამის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე აფეთქებულია და აკლდამა გაძარცული იყო ხევსურეთის გზის მშენებლების მიერ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში).

[7] ლ. წითლანაძე, ზ. შატბერაშვილი, ა. კახიძე, ჟინვალჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წლის მუშაობის შედეგები, წიგნში: XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 23. (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

[8] ეკლესიას პირობითად ვუწოდეთ პირველი.

[9] 1972 წელს III უბნის გათხრაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 25-მა სტუდენტმა. სხვადასხვა ვადით უბანზე მუშაობდნენ: სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. ჯატიევი, ექსპედიციაში ხელშეკრულებით მომუშავე თანამშრომლები: გ. რჩეულიშვილი, ი. ბაქრაძე, ჯ. კოპალიანი, ც. თავართქილაძე.

სამაროვანი აზომა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ტ. კიპაროიძემ. სამხატვრო სამუშაოები შეასრულა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მხატვარმა ნ. თოფურიძემ. საველე ფოტოფიქსაცია შეასრულა გ. ბაქანიძემ, ხოლო კამერალური — ვ. ასტახოვმა. ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლაში კონსულტაცია გაგვიწია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. აბრამიშვილმა. კრანიოლოგიური მასალა შეისწავლა ანთროპოლოგმა ვ. ასლანიშვილმა. ქსოვილის ნაშთი განსაზღვრა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ნ. იაშვილმა. ბრინჯაოს და ვერცხლის ნივთები ქიმიურად დაამუშავა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა თ. დვალმა. მინის ჭურჭლის (№ 787) ანალიზი ჩატარდა სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „საქსაშენმასალების“ ფიზიკურ-ქიმიური კვლევებისა და ანალიზური ქიმიის ლაბორატორიებში.

ლარის სიახლოვით. ჭურჭლის ნატეხები ზოგიერთ სამარხშიც არის მოხვედრილი.

1972 წელს ნაქალაქარის სამაროვანზე გაითხარა 94 ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხი [10], მათ შორის 38 ინვენტარიანია. სამარხთა ნაწილი ძველ დროსვეა გადასინჯული და გაძარცული.

ჩვენამდე ამ სამაროვანზე აკლდამების ნაწილი გაუხსნიათ ანთროპოლოგებს თავის ჭალების მოპოვების მიზნით და სამაროვანი XVI—XVIII საუკუნეებით დაუთარიღებიათ [11], რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სინამდვილეს არ შეესატყვისება.

გათხრების პირველმა კამპანიამ დაგვანახა, რომ ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი მეტად საყურადღებო ძეგლია, რომელიც გამოირჩევა სამარხეული ტიპების სიმრავლით და ინვენტარის ნაირსახეობით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეცნიერულ მიმოქცევაში შევიტანოთ ყველა ინვენტარიანი სამარხი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ახლებურად ვიმსჯელოთ განვითარებულ შუასაუკუნეთა ჟინვალელების ეკონომიურ ყოფაზე, ნივთიერ კულტურაზე და დაკრძალვის წესჩვეულებაზე.

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია სამაროვანზე აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები.

აღნაგობითა და საშენი მასალის მიხედვით ნაქალაქარის სამაროვანზე გამოიყოფა სამარხთა ოთხი ტიპი:

I. ორმოსამარხები (ტაბ. LVI, 1). სამარხი № 4ა მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამხრეთიდან ესაზღვრებოდა № 3 სამარხი, დასავლეთიდან — № 4 სამარხი, ჩრდილოეთიდან — № 5 სამარხი. როგორც ჩანს, აქ ჩამოთვლილ სამარხებს შორის დარჩენილი თავისუფალი ადგილი გამოყენებული იყო № 4ა სამარხისათვის. მას საკუთარი კედლები არ ჰქონდა. დადასტურდა ერთი ჩონჩხი, ძლიერ არეული. სამარხის სიგრძე 1 მ-ია, სიგანე — 0,5 მ. სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LVIII, 2):

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 614), მინისა, შავი, დახშული, წრიულად მორკალული,

---

[10] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე და სხვ. ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), თბ., 1973, გვ. 83—84 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი); რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს, მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, № 1, გვ. 183; Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Л. Г. Цитланадзе, Л. Д. Церетели и др. Исследования в зоне Жинвальского водохранилища, АО, 1972 (1973), с. 428; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ჯ. წ ი კ ლ ა უ რ ი, „ნაქალაქარის“ სამაროვნის თხრის პირველი შედეგები, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975, გვ. 28—33 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი); Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, с. 39—40; ჯ. წ ი კ ლ ა უ რ ი, ბეჭდები ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვნიდან, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 105—112; ვ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლის მოსახლეობის ანთროპოლოგიისათვის შუაფეოდალურ ხანაში (ჟინვალის კრანიოლოგიური სერიის მიხედვით), არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 132—135.

[11] М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964, с. 20, 24—25; его же, К краниологии древнего и современного населения Кавказа, Тб., 1966, с. 58—72; მ ი ს ი ვ ე, კრანიოლოგიური სერია ხევსურეთიდან, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, თბ., 1971, გვ. 63.

სადა. არათანაბარი ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული. შეერთების ადგილი არ ეტყობა. სამაჯურის დიამეტრი 5,9 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,4 — 0,6 სმ. სამაჯური (№ 615), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, სადა. არათანაბარი ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი მომრგვალებული. სამაჯურის დიამეტრი 5,4 სმ-ია, ღეროს სიგანე—0,5—0,6 სმ. სამაჯურის ნატეხი (№ 616), რკინისა, დაჟანგული, ბრტყელღეროიანი. ღეროს სიგანე 0,6 სმ-ია.

სამარხი № 13 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. მიეკუთვნებოდა ზედა სართულის სამარხებს. ძლიერ იყო დაზიანებული. დადასტურდა ერთი ჩონჩხი.

სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LIX, 1): ეჟვანი (№ 610), ბრინჯაოსი, ორი ცალი. თვითეული მათგანი შემდგარია ორი ნახევარსფეროდან. ყუნწი აკლია. ქვედა ნახევარსფეროებზე ორივე ეჟვანს აქვს ორი პაწია ნახვრეტს შორის მოქცეული ჭრილი, ეჟვანის დიამეტრი 1 სმ-ია. ღილი (№ 610), ბრინჯაოსი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, მოტეხილი ყუნწით, ოდნავ შესამჩნევი კუნწუბოთი. ღილის დიამეტრი 1,2 სმ-ია.

სამარხი № 14 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. მიეკუთვნებოდა ზედა სართულის სამარხებს. ძლიერ იყო დაზიანებული. დადასტურდა ერთი ჩონჩხი.

სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LIX, 2) ბეჭედი (№ 609), ვერცხლისა, წრიულად მორკალული. ღერო ბრტყელი და გაგანიერებული მხრებით ერწყმის ბრტყელზედაპირიან ფარაკს. მხრები შემკული აქვს წიწვისებური ნაჭდევებით. ფარაკზე გამოსახულია გაურკვეველი შინაარსის მონოგრამა. ბეჭდის დიამეტრი 1,7 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,2 სმ, ფარაკის დიამეტრი 1 სმ. რგოლი (№ 617) ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, წვრილღეროიანი, თავგადაბუდული. რგოლის სიგრძე 2,2 სმ-ია, სიგანე — 1,8 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,1 სმ. ფირფიტა (№ 618) ბრინჯაოსი, ბრტყელი, ვიწრო, უსწორმასწორო, ნაკლული. ერთი თავი ოდნავ გაგანიერებული. შემორჩენილი სიგრძე 6,6 სმ-ია, სიგანე — 0,8—1 სმ.

სამარხი № 50 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთი კედლის გარეთ და ნაწილობრივ ეჭცეოდა მის ქვეშ (ტაბ. LIX, 3). სამხრეთიდან ესაზღვრებოდა № 28 სამარხი, ჩრდილოეთიდან — № 36, დასავლეთიდან — № 49. როგორც ჩანს, აქ ჩამოთვლილ სამარხებს შორის დარჩენილი ადგილი გამოყენებული იყო № 50 სამარხისათვის. მას საკუთარი სახურავი და კედლები არ ჰქონდა. სამარხის ძირზე ეყარა ქვიშა. აღირიცხა სამი არეული ჩონჩხი. სამარხის შიდა სიგრძე 1 მ-ია, სიგანე — 0,6 მ, სიღრმე — 0,8 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LIX, 4): სამაჯური (№ 708), რკინისა, დაჟანგული, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, ბრტყელღეროიანი, თავწაწვეტებული. სამაჯურის სიგრძე 7,5 სმ-ია, სიგანე — 5 სმ, ღეროს სიგანე — 1 სმ.

II. ქვისსამარხები (ტაბ. LVI, 1). სამარხი № 2 მდებარეობდა სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სახურავის ქვა მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში იყო შემორჩენილი. სამხრეთი კედელი შედგებოდა ერთპირად დალაგებული კედლის და რიყის ქვებისგან, ხოლო ჩრდილოეთი კედელი — კლდის ორი კვადრისგან (ტაბ. LX, 1). აღმოსავლეთ კედელში გამოყენებული იყო რიყის ქვები. აღმოჩნდა ერთი ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული, რომელიც ესვენა გაშოტილი ქრისტიანული წესით. სამარხის სიგრძე გახსნამდე — 1,2 მ, სიგანე — 0,8 მ.

შიდა სიგრძე — 1,6 მ, სიგანე — 0,45 მ (დასავლეთ ნაწილში), — 0,36 მ (შუაში), — 0,55 მ (აღმოსავლეთ ნაწილში), სიღრმე — 0,25 მ.

სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LX, 2): მ ძ ი ვ ე ბ ი (№ 605), სარდიონისა, 5 ცალი. მათ შორის ორი პატარაა, მრგვალი, გვერდებდაბრტყელებული, მოწითალო, დიამეტრი 0,7 სმ; ორი ბიკონუსურია, გვერდებდაწახნაგებული, სიგრძე— 1,9—2,2 სმ, სიგანე—1,7—1,9 სმ; ერთი მოგრძოა, მუცელგამობერილი, სიგრძე 1,3 სმ, სიგანე — 1 სმ. ს ა ყ უ რ ე (№ 606), ბრინჯაოსი, არათანაბრად მორკალული. მრგვალ, წვრილ ღეროზე აცმულია ბრინჯაოს ბურთულა, შიგნიდან ღრუ. ღეროს ერთი თავი მოკაუჭებულია, მეორე — ნაკლული. ბურთულას ორივე მხარეს, ღეროზე, წვრილი მავთულია დახვეული. ბურთულას დიამეტრი 1,2 სმ-ია. რ გ ო ლ ი (№ 607), ბრინჯაოსი, არათანაბრად მორკალული, მსხვილღეროიანი, თავგახსნილი. ღერო ოდნავ დაბრტყელებულია. რგოლის დიამეტრი 2,5—2,7 სმ-ია, ღეროსი — 0,3 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 9 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. გადახურვიდან შემორჩენილი იყო ორი ერთიმეორეზე დადებული კლდის ქვა. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები შედგებოდა ორი-სამი რიგისგან. წყობაში გამოყენებული იყო კლდის და რიყის ქვები. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები შედგებოდა კლდის თითო ფილისგან. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა გულაღმა, გაშოტილი, გულმკერდზე ხელებდაკრეფილი (ტაბ. LXI, 1). ჩონჩხის სიგრძე 1,65 მ-ია. სამარხის შიდა სიგრძე — 2 მ, სიგანე — 0,45 მ, სიღრმე — 0,5 მ. კედლების სისქე — 0,15 — 0,2 მ.

სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LXI, 2): ს ა ყ უ რ ე (№ 637), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგადასული. ერთი თავის სიახლოვეს მირჩილულია მცირე რგოლი საკიდისათვის. საყურის სიგრძე 2,1 სმ-ია, სიგანე — 1,5 სმ, ღეროს დიამეტრი— 0,1 სმ, რგოლისა — 0,4 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 16 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილზე ნაწილობრივ დაშენებული იყო № 15 სამარხი. დასავლეთ ნაწილში ერთიმეორის მიჯრით ელაგა გადახურვის ორი ფილა 0,1 —0,14 მ სისქის. თავკედლები დაზიანებული იყო. გვერდითი კედლები შედგებოდა ერთ რიგად დალაგებული კლდის ორ-ორი ფილისგან. სამარხი მიწით იყო ავსებული. ჩონჩხის ძვლები არეული იყო. დადასტურდა ორი ჩონჩხი, რომლებიც ერთი-მეორის ქვემოთ ესვენა. გარე სიგრძე—1,9 მ-ია, სიგანე—0,78 მ, შიდა სიგრძე — 1,9 მ, სიგანე — 0,51 მ, სიღრმე — 0,45 მ.

სამარხის ზედა ჩონჩხთან, დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXII, 1): რ გ ო ლ ი (№ 654), ბრინჯაოსი, არათანაბრად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგადასული. ერთი თავი დაბრტყელებული. რგოლის დიამეტრი 1,4 სმ — 1,7 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ.

სამარხის ქვედა ჩონჩხთან, შუაში, კედლის ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXII, 1): ბ ე ჭ ე დ ი (№ 653), ვერცხლისა, წრიულად მორკალული, ბრტყელღეროიანი, რომელიც ფარაკის ადგილას გაგანიერებულია. ფარაკზე შეიმჩნევა გაურკვეველი შინაარსის ნაკაწრები. ბეჭდის დიამეტრი — 2,1 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ფარაკის სიგრძე — 1,1 სმ, სიგანე —0,6 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 25 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხი აღმოსავლეთი ნაწილით 0, 4 მ-ით შედიოდა № 27 სამარხის ქვეშ (ტაბ. LXII, 2), ხოლო დასავლეთ ნაწილში სამხრეთ კედლის ქვეშ ეჭცეოდა № 41 სამარხის სახურავის ფილები. გადახურული იყო კლდის ოთხი ფილით. სამარხის გვერდითი კედლები შედგებოდა ერთ რიგად, ვერტიკალურად ერთიმეორის

გვერდით დალაგებული კლდის ფილებისგან. წყობის სისწორისათვის გამოყენებული იყო რიყის ქვები. თავკედლები დაზიანებული იყო. არეულ ძვლებში დადასტურდა ორი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 2,9 მ, შიდა სიგრძე — 2,5 მ, სიგანე — 0,55 მ, სიღრმე — 0,4 მ. კედლების სისქე — 0,15 — 0,18 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0.15 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIII, 1): ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№ 668) ნ ა ტ ე ხ ი, მინისა, ლურჯი, დახშული. ღერო სადა, მრგვალი, შეერთებისას დაბრტყელებული. ღეროს დიამეტრი 0,6 სმ-ია.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIII, 1): ბ ე ჭ ე დ ი (№ 669), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული. ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული. მხრები დაწახნაგებული აქვს და ფარაკს შევიწროებული ყელით უერთდება. ბრტყელ ოვალურ ფარაკზე ეტყობა დარჩილული იყო თვალბუდე, რომელიც სამარხში არ აღმოჩნდა. ბეჭდის სიგრძე 2.2 სმ-ია, სიგანე 2 სმ, ფარაკის სიგრძე — 1,8 სმ, სიგანე — 1.3 სმ, ღეროს სიგანე — 0.3 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო თიხის ჭოთნის პირ-კედლის (№ 670) ნატეხი.

ს ა მ ა რ ხ ი № 41 აღმოსავლეთი ნაწილით მოქცეული იყო № 25 სამარხის ქვეშ. გადახურული იყო კლდის საშუალო ფილებით, ერთიმეორის პარალელურად დალაგებული. გამოყენებული იყო რიყის ქვებიც. გვერდითი კედლები შედგებოდა ერთიმეორის გვერდით ვერტიკალურად ერთ-ორ რიგად დალაგებული კლდის ფილებისგან. თავკედლები დაზიანებული ჰქონდა. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. დადასტურდა სამი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 1,6 მ, სიგანე — 0,6 მ, სახურავის ქვების სისქე — 0.15 მ, შიდა სიგრძე — 1,6 მ, სიგანე — 0,45 მ, სიღრმე — 0,35 მ; კედლების სისქე — 0,12—0,2 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0, 3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIII, 2): ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№ 689) ნ ა ტ ე ხ ი, რკინისა, დაჟანგული, ბრტყელღეროიანი. ღეროს სიგანე—0,4 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0.35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIII, 2): რ გ ო ლ ი (№ 688), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, წვრილი და მრგვალი ღეროთი, თავგადასული. რგოლის სიგრძე — 2,3 სმ, სიგანე — 1,9 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,1 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 52 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. გადახურვა არ ჰქონდა შემორჩენილი. გვერდითი კედლები შედგებოდა ერთმანეთზე მიდგმული კლდის სამ-სამი ფილისგან. აღმოსავლეთ კედელში კლდის ერთი ფილა იყო გამოყენებული. დასავლეთი კედელი დაზიანებული იყო. მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ერთი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 1,8 მ, სიგანე — 0,6 მ; შიდა სიგრძე — 1,25 მ, სიგანე — 0,38 მ, სიღრმე — 0,28 მ; კედლების სიგანე — 0,8 მ.

სამარხის შუაში, კედლის ზედაპირიდან 0,2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIII, 3): ღ ი ლ ი (№ 760), ბრინჯაოსი, ნახევარი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, ყუნწით. ღილის დიამეტრი 1,1 სმ-ია.

ს ა მ ა რ ხ ი № 62 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით, მიწის ზედაპირიდან 0,9 მ სიღრმეზე. გადახურული იყო კლდის ბრტყელი ქვით. სამარხის კედლები შედგებოდა ვერტიკალურად დალაგებული კლდის ფილებისგან ერთ-ორ რიგად (ტაბ. LXIII, 4). დადასტურდა ერთი ჩონჩხი ბავშვის, ძლიერ დაზიანებული. გარე სიგრძე 1 მ, სიგანე — 0,6 მ; შიდა სიგრძე — 0,95 მ, სიგანე — 0,34 მ, სიღრმე — 0,23 მ, კედლების სისქე — 0,9 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. LXIV, 1): სასმისი (№ 714), თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი. აქვს მრგვალი პირი, წვრილი ბაკო, დაბალი ყელი, თავმორკალული ბრტყელღეროიანი ორი ყური, რომელიც მიძერწილია პირიდან სფერულ მუცელზე. ბრტყელი ძირი. მუცელი შიგნიდან ალაგ-ალაგ ჩაჩხვლეტილია, რის შედეგადაც გარედან პატარა კოპებია წარმოშობილი. თიხა მკვრივია, განლექილი, ჭარსის წვრილი მინარევებით, გამომწვარია დამაკმაყოფილებლად. სასმისის სიმაღლე 5,8 სმ, პირის დიამეტრი — 7,2 სმ, ყელის სიმაღლე — 0.8 სმ, მუცლის დიამეტრი — 8,7 სმ, ყურების სიმაღლე — 4,5 სმ, ყურების სიგანე — 1.2 სმ, ძირის დიამეტრი — 5,9 სმ.

საყურე (№ 712, 713), წყვილი, ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი", ოვალურად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელზედაც წამოცმულია მინის დაწახნაგებული, სხვადასხვა ზომის ორი მძივი. ბუნის ბოლო დაწვრილებულია, გადადის მძივებზე და დახვეულია ბუნზე. ერთის სიგრძე 3 სმ, თავის სიგრძე — 1,7 სმ, სიგანე — 1,2 სმ, მძივების დიამეტრი 0,4—0,5 სმ-ია. მეორის სიგრძე — 3 სმ, თავის სიგრძე — 1,4 სმ, სიგანე — 1,2 სმ. მძივების დიამეტრი 0,3—0,5 სმ-ია.

მძივები (№ 711) მინისა. ერთი — ცისფერი, მრგვალი, დიამეტრი 1 სმ-ია. მეორე — მოთეთრო, მრგვალი, გვერდებში ოდნავ დაბრტყელებული, დიამეტრი — 1 სმ. მესამე — მცირე, ცისფერი, მრავალწახნაგა, დიამეტრი — 0,5 სმ-ია.

სამარხი № 75 მდებარეობდა პირველი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. გადახურვის აღმოსავლეთი ნაწილი 0,42 მ-ით დაფარული იყო № 76 სამარხის დასავლეთი ნაწილით. გადახურული იყო კლდის მცირე ზომის ფილებით. კედლები შედგებოდა ვერტიკალურად ერთიმეორის მიჯრით დალაგებული კლდის მცირე ფილებისგან. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ერთი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 0,56 მ, სიგანე — 0,5 მ; შიდა სიგრძე — 1 მ, სიგანე — 0,3 მ, სიღრმე — 0,35 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,23 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIV, 2): აბზინდა (№ 724), რკინისა, დაჟანგული, შედგება ოთხკუთხედი ენიანი ნაწილისგან და ოვალური საღვედე ყუნწისგან, რომლებიც ერთობლივადაა ნაკეთები. მათ შემაერთებელ ნაწილზე დამაგრებულია მცირედ წაწვეტებული ენა. აბზინდის სიგრძე 4,8 სმ, სიგანე — 4,7 სმ; ენის სიგრძე — 2,9 სმ, სიგანე — 0,6 სმ.

სამარხი № 78 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. დასავლეთი ნაწილით დაშენებული იყო № 77 სამარხზე, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილის სახურავზე დაშენებული იყო № 79 სამარხის დასავლეთი ნაწილი. გადახურული იყო კლდის რამდენიმე ფილით (ტაბ. LXV, 1). კედლები შედგებოდა ერთ რიგად დალაგებული კლდის ქვებისგან. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ორი ჩონჩხი. გარე სიგრძე 1,7 მ, სიგანე — 0,8 მ; შიდა სიგრძე — 1,9 მ, სიგანე — 0,5 მ, სიღრმე — 0,3 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,15 მ—0,2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIV, 3): სამაჯურის (№ 725) ნატეხი, რკინისა, დაჟანგული, ბრტყელღეროიანი, წაწვეტებული თავით. ღეროს დიამეტრი 0,6 სმ. მძივი (№ 726), ბრინჯაოსი, ოვალური, სიგრძივად ოდნავ დაღარული, შუაში შემოუყვება ორ წიბოს შუა მოქცეული წრიული ნაჭდევები. სიგრძე — 1,7 სმ, სიგანე — 0,9 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის (№ 727) გვერდის ნატეხი.

სამარხი № 80 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. გადახურული იყო კლდის ოთხი ფილით, რომლებიც ერთიმეორის გვერდით ელაგა (ტაბ. LXV, 1). კედლები შედგებოდა ერთ რიგად დალაგებული კლდის მცირე ფილებისგან. სამარხი მიწით იყო ავსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ორი ჩონჩხი. გარე სიგრძე 1,9 მ-ია, სიგანე — 0,75 მ; შიდა სიგრძე — 1,8 მ, სიგანე — 0,35 მ, სიღრმე — 0,3 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXV, 2): აბზინდა (№ 728), რკინისა, დაჟანგული. შედგება ოვალურენიანი ნაწილისგან და ოვალური საღვედე ყუნწისგან, რომლებიც ერთობლივადაა ნაკეთები. მათ შემაერთებელ ნაწილზე დამაგრებულია მცირედ წაწვეტებული ენა. აბზინდის სიგრძე 5,1 სმ-ია, სიგანე — 4,6 სმ; ენის სიგრძე — 2,8 სმ, სიგანე — 0,8 სმ.

სამარხი № 91 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილის სახურავზე დაშენებული იყო № 51 სამარხის დასავლეთი კედელი (ტაბ. LXVI, 1). გვერდითი კედლები შედგებოდა ვერტიკალურად ერთ-ორ რიგად დალაგებული კლდის ქვებისგან (ტაბ. LXV, 1). თავკედლები დაზიანებული ჰქონდა. მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ბავშვის და მოზრდილის ჩონჩხები. შემორჩენილი სიგრძე 0,7 მ-ია, სიგანე — 0,4 მ, სიღრმე — 0,3 მ, კედლების სისქე — 0,14 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVI, 2): ღილები (№ 764), მინისა, სამი ცალი, მომწვანო და ცისფერი, ოვალური, ბრტყელფუძიანი, ორნახვრეტიანი; სიგრძე 1,7 სმ, სიგანე — 1,5 სმ. მძივები (№ 765), მინისა, ცისფერი, მწვანე, ყვითელი, შავი, ყავისფერი. სხვადასხვა ზომის, მათ შორისაა დუბლირებული, მოგრძო, მრგვალი. მძივების დიამეტრი 0,3 სმ,—0,5—1,1 სმ-ია. საყურე (№ 766), ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი", ნალისებურად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელიც თავდება ბრინჯაოსავე ბურთულათი. საყურის სიგრძე 3,4 სმ-ია, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ, ბურთულასი — 1,1 სმ.

სამარხი № 92 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. სამხრეთი ნაწილი დაშენებული იყო № 51 სამარხის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილზე (ტაბ. LXVI, 1). გადახურვა და კედლები შემორჩენილი იყო ნაწილობრივ. კედლები შედგებოდა ერთ რიგად დალაგებული კლდის მცირე ქვებისაგან. მიწით იყო ამოვსებული. დადასტურდა ორი ბავშვის ჩონჩხი. შიდა სიგრძე 1 მ, სიგანე — 0,55 მ, სიღრმე — 0,3 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. LXVI, 3): რგოლი (№ 767), ბრინჯაოსი, თავნაკლული, ოვალურად მორკალული, წვრილღეროიანი. რგოლის სიგრძე 2,2 სმ-ია, სიგანე — 2 სმ, ღეროს დიამეტრი—0,1 სმ.

III. ამოშენებულკედლიანი სამარხები (ტაბ. LVI, 1). სამარხი № 12 მდებარეობდა სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. გადახურული იყო კლდის სამი ფილით, რომლებიც ერთიმეორის მიჯრით ელაგა. კედლებში გამოყენებული იყო კლდის საშუალო ქვები, ხოლო წყობის სისწორისათვის გამოყენებული ჰქონდათ წვრილი ქვები. წყობა შედგებოდა სამი-ექვსი რიგისგან. სამარხი მართკუთხა მოყვანილობისა იყო. თავდაპირველად განიერი ყოფილა, შემდეგში დაუვიწროვებიათ. ჩრდილოეთ კედელზე შიგნიდან მიუშენებიათ მეორე კედელი (ტაბ. LXVII, 1), ხოლო სამხრეთი კედელი შესაბამისად აუმაღ-

ლებიათ. მასზე საფეხურებად დაულაგებიათ ქვები და შეუქმნიათ ნახევრად თაღური გადახურვა. გადაკეთებულ სამარხში დადასტურდა შვიდი ჩონჩხი, ხოლო მეორადი კედლის დაშლის დროს აღმოჩნდა მერვე ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,45 მ-ია, სიგანე—1,25 მ; თავდაპირველი სამარხის შიდა სიგრძე—2,35 მ, სიგანე — 0,9 მ, სიღრმე — 0,65 მ, ხოლო გადაკეთების შემდეგ სიგანე გახდა 0,75 მ, სიღრმე — 0,8 მ.

სამარხის შუა ფენაში, კედლის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVII, 4): სამაჯური (№ 665), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგახსნილი. ერთი თავი მომრგვალებული, ხოლო მეორე — ნაკლული. ღერო ექვს ადგილას ჩაჩხვლეტილია. სამაჯურის სიგრძე 4,8 სმ-ია, სიგანე — 4,1 სმ, ღეროს სიგანე — 0,8 სმ.

სამარხის ქვედა ფენაში, კედლის ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVII, 4): ფირფიტა (№ 666), ბრინჯაოსი, ნაკლული, ვიწრო, ბრტყელი, უსწორმასწორო. შემორჩენილი სიგრძე — 6,2 სმ, სიგანე — 0,6 სმ.

სამარხი № 17 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხის დასავლეთ მხარეს აკლდა სახურავის ფილა, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადახურული იყო კლდის სამი ფილით (0,8 მ-ის სისქის). გვერდითი კედლები ნაგები იყო სხვადასხვა ზომის კლდის და რიყის ქვებით. წყობა შედგებოდა სამი-ოთხი რიგისგან. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა შვიდი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,3 მ-ია, სიგანე—0,78 მ; შიდა სიგრძე — 2,4 მ, სიგანე — 0,3 მ (აღმოსავლეთ ნაწილში) — 0,52 მ (შუაში) — 0,4 მ (დასავლეთ ნაწილში), სიღრმე — 0,45 მ.

სამარხის ზედა ფენაში აღმოჩნდა (ტაბ. LXVII. 2): ხვია (№ 636), ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი, დაბრტყელებული ერთი თავით. ხვიის დიამეტრი 1,9 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ.

სამარხის ქვედა ფენაში, დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. LXVII, 2): რგოლი (№ 634), ვერცხლისა, წრიულად მორკალული, წვრილღეროიანი, თავგადასული. რგოლის დიამეტრი 2 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ. სამაჯურის (№ 635) ნატეხი, რკინისა, დაჟანგული, ბრტყელღეროიანი. ღეროს სიგანე 0,5 სმ-ია.

სამარხი № 23 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე მოქცეული იყო № 30 სამარხის ქვეშ. გადახურული იყო სხვადასხვა ზომისა და სისქის კლდის ხუთი ფილით. გვერდითი კედლები შედგებოდა ქვედა ნაწილში ვერტიკალურად დალაგებული კლდის ქვებისგან, ხოლო ზევიდან ელაგა კლდის და რიყის ქვების ჰორიზონტალური წყობა ორ-სამ რიგად. დასავლეთ კედლად გამოყენებული იყო კლდის თხელი ფილა, რომელიც ვერტიკალურად იდო სიგრძივ კედლებს შორის. აღმოსავლეთი კედელი დაზიანებული იყო. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. ჩონჩხის ძვლები ცუდად იყო შენახული. დადასტურდა ოთხი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 2,3 მ, სიგანე — 1 მ; შიდა სიგრძე — 2,16 მ, სიგანე — 0,47 მ (აღმოსავლეთ ნაწილში) — 0,55 მ (შუაში) — 0,4 მ (დასავლეთ ნაწილში). სიღრმე — 0,7 მ.

სამარხის დასავლეთ და შუა ნაწილში, ზედა ფენის ჩონჩხთან, კედლის ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVII, 5): ღილები (№ 687), ბრინჯაოსი, 32 ცალი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, ყუნწიანი, ზოგიერთი კუწუბოთი. ბურთულას დიამეტრი 1—1,3 სმ-ია, ყუნწის სიმაღლე — 0,6 სმ.

სამარხი № 24 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. გადახურული იყო კლდის ხუთი ფილით. კედლები ქვედა ნაწილში შედგებოდა

ვერტიკალურად მდგარი კლდის ფილებისგან. შემდგომში სამარხი აუმაღლებიათ და სიგრძივ კედლებზე დაუშენებიათ კლდისა და რიყის წვრილი ქვებისგან შემდგარი წყობა სამ რიგად. დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები დაზიანებული იყო. სამარხის სხვადასხვა სიღრმეზე და ადგილას არეულ ძვლებში დადასტურდა ექვსი ჩონჩხი. გარე სიგრძე — 1,7 მ, სიგანე — 0,95 მ, სახურავის ქვების სისქე—0,12 მ; შიდა სიგრძე—1,9 მ, სიგანე—0,45 მ, სიღრმე—0,6 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVII, 3) ღ ი ლ ე ბ ი (№ 674), ბრინჯაოსი, ოთხი ცალი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, მოგრძო ყუნწით, ოდნავ შესამჩნევი კუწუბოთი. ბურთულას დიამეტრი 1,4 სმ-ია, ყუნწის სიგრძე — 0,7 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 27 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. სამარხის სამხრეთი კედლის დასავლეთი ნაწილი 0,47 მ-ით ფარავდა № 25 სამარხს (ტაბ. LXII, 2). გადახურვის კლდის ფილები მარტო აღმოსავლეთ ნაწილში იყო შემორჩენილი. გვერდითი კედლები შედგებოდა კლდის ფილებისგან ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დალაგებულ ოთხ-ხუთ რიგად. გამოყენებული იყო რიყის ქვებიც. თავკედლებში კლდის თითო ფილა იდო. ძლიერ დაზიანებულ ჩონჩხის ძვლებში დადასტურდა რვა ინდივიდი. გარე სიგრძე 1,8 მ, სიგანე — 1 მ; შიდა სიგრძე—2,3 მ, სიგანე—0,4 მ (დასავლეთ ნაწილში) — 0,5 მ (შუაში) — 0,35 მ (აღმოსავლეთ ნაწილში), სიღრმე — 0,7 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIX): ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 673), მინისა, ირიზებული, შავი. დახშული, წრიულად მორკალული, სადა. არათანაბარი სისქის ღერო ოთხკუთხაგანივკვეთიანია, ხოლო თავები შეერთების ადგილას სამი კბილანით. სამაჯურის დიამეტრი 8,1 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,4 სმ—0,6 სმ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXIX): ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№ 675) ნ ა ტ ე ხ ი, რკინისა, დაჟანგული, მრგვალღეროიანი. ღეროს დიამეტრი 0,5 სმ-ია. ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№676) ხ ა ტ ე ხ ი, მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, სადა, მრგვალღეროიანი. ღეროს დიამეტრი 0,6 სმ-ია.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXVIII, 1; LXIX): ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 677), ბრინჯაოსი, სამად გატეხილი, წრიულად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი. სამაჯურის დიამეტრი 6,8 სმ-ია, ღეროსი — 0,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 678), მინისა, ირიზებული, მომწვანო, გამჭვირვალე, არათანაბრად მორკალული. არათანაბარი სისქის ღერო წრიულად დაღარულია, თავები შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 7,4 — 8,4 სმ-ია, ღეროსი — 0,6—0,8 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (679), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, სადა, მრგვალღეროიანი. თავები შეერთებისას ოთხი კბილანით. სამაჯურის დიამეტრი 8,3 სმ-ია, ღეროსი — 0,6 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 680), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, არათანაბარი სისქის ღერო, სადა, მრგვალი. თავები შეერთებისას ორი კბილანით. სამაჯურის დიამეტრი 8,3 სმ-ია, ღეროსი — 0,8 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 681), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, სადა. მრგვალღეროიანი. თავები შეერთებისას ექვსი კბილანით. სამაჯურის დიამეტრი 8 სმ-ია, ღეროსი — 0,8 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 682), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, სადა, მრგვალღეროიანი. თავები შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 7,8 სმ-ია, ღეროსი—0,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 683), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული წრიულად მორკალული. არათანაბარი სისქის ღეროს ერთი გვერდი წრიულად ორ-სამ რიგად დაღარულია. თავები შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 8,8 სმ-ია, ღეროსი — 0,6—0,7 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 684), მინისა, ირიზებული, მომწვანო, გამჭვირვალე, წრიულად მორკალული, ირიბად გრეხილი. თავები შეერთებისას ათი კბილანით. სამაჯურის დიამეტრი 7,5 სმ-ია, ღეროსი — 0,6 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 685), მინისა, შავი, დახშული, წრიულად მორკალული. არათანაბარი სისქის ღერო წვრილადაა გრეხილი. თავები შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 8,5 სმ-ია, ღეროსი — 0,5—0,6 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 686), მინისა, ირიზებული, მოთაფლისფრო, ოდნავ გამჭვირვალე, არათანაბრად მორკალული. არათანაბარი სისქის სადა ღერო მრგვალია, ხოლო თავებს შეერთებისას ოთხი კბილანა აქვს. სამაჯურის დიამეტრი 7—8 სმ-ია, ღეროსი — 0,5—0,7 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 28 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთი კედლის გარეთ და აღმოსავლეთი ნაწილით 0,4 მ-ით მოქცეული იყო მის ქვეშ (ტაბ. LIX, 3). სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე დაშენებული იყო № 38 სამარხი, ხოლო ჩრდილოეთ კედელზე — № 29 სამარხი. მიეკუთვნებოდა სამარხების მეორე სართულს. გადახურული იყო კლდის ფილებით, რომლებიც ნაწილობრივ ჩანგრეულია. სამხრეთი კედელი შედგებოდა ოთხი-ხუთი რიგის წყობისგან (ტაბ. LXVIII, 2). ქვევით ელაგა დიდი ზომის ქვები, ზემოთ — მომცრო. ჩრდილოეთი კედელი შედგებოდა ვერტიკალურად, ერთიმეორის გვერდით დალაგებული კლდის ქვებისგან. ამ კედლის შიგნითა პირის ნაწილობრივი აღებისას გამოვლინდა სამარხის პირვანდელი ჩრდილოეთი კედელი, რამდენიმე რიგისგან შემდგარი[12]. დასავლეთი კედელი შედგებოდა შვეულად დალაგებული კლდის ქვებისგან, რომელზედაც დაშენებული იყო წყობის ორი რიგი. სამარხის კედლების სისწორისათვის გამოყენებული იყო რიყის წვრილი ქვები. არეულ ძვლებში დადასტურდა ექვსი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,15 მ-ია, სიგანე — 1,45 მ. გადახურვის ფილების სისქე — 0,13 მ; შიდა სიგრძე — 2,4 მ (ბოლომდე არ არის გამოვლენილი), თავდაპირველი სიგანე — 0,84 მ, მეორადი — 0,71 მ. სიღრმე თავდაპირველი — 0,93 მ, მეორადი — 0,57 მ; კედლების სისქე — 0,25 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ფერადი ტაბ. VIII): ს ა ყ უ რ ე (№ 702), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავმიბჯენილი, რომელსაც ერთი თავის სიახლოვეს მირჩილული აქვს მცირე საკიდი — რგოლი. საყურის დიამეტრი 2,2 სმ-ია, ღეროსი — 0,3 სმ. საკიდი რგოლის დიამეტრი 0,7 სმ, ღეროსი — 0,2 სმ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,65—0,85 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ფერადი ტაბ. VIII): ბ ე ჭ ე დ ი (№ 703), ბრინჯაოსი. ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული. არათანაბრად მორკალული ღეროს დაბრტყელებულ თავზე დარჩილულია ბრტყელძირიანი მრგვა-

---

[12] დადასტურდა სამარხის გადაკეთების ისეთივე შემთხვევა, როგორც № 12 სამარხის პრეპარაციის დროს (იხ. ზემოთ).

ლი თვალბუდე ოთხი ბრჭყალისებრი, რელიეფური დამჭერი კბილანით. ბუდეში ზის ფირუზის ზედაპირმომრგვალებული თვალი. ბეჭდის დიამეტრი 2—2,2 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,4 სმ; ბუდის დიამეტრი 1,2 სმ, სიმაღლე — 0,4 სმ.

საყურე (№ 704), ოქროსი. აქვს მავთულისებრი თითქმის წრიულად მორკალული უსწორმასწორო ღერო, რომლის ერთ თავზე წამოცმულია ორი ბურთულა. ამათგან მოზრდილი შიგნიდან ღრუ, ოვალური, შემკულია ჭვირული ორნამენტით. ბურთულას ორთავე მხარეს აქვს თითო პატარა დაკეკნილი ვარდული. მეორე ბურთულა მომცროა, შიგნიდან ღრუ, ოვალური, უდიდეს დიამეტრზე რელიეფური წიბოთი. ერთი მხრიდან მიბჯენილია დიდი ბურთულას ვარდულზე, ხოლო მეორე მხრივ პაწია ვარდულია დამაგრებული. ღეროს მეორე თავი ოდნავ წამოწეულია და მიბჯენილია დიდი ბურთულას გარეთა ვარდულზე. საყურის დიამეტრი 1,8—2 სმ-ია, ღეროსი — 0,1 სმ; დიდი ბურთულას სიგრძე — 0,8 სმ, სიგანე — 0,7 სმ; პატარა ბურთულას სიგრძე — 0,4 სმ, სიგანე — 0,3 სმ; წონა — 1,3 გრ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1—1,1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ფერადი ტაბ. VIII): ბეჭედი (№ 705), ბრინჯაოსი, არათანაბრად მორკალული. ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული. მხრები გაგანიერებულია და გადადის სქელ, პირებდაწახნაგებულ ფარაკში, რომლის ზედაპირი შევსებულია ურთიერთგადამკვეთი ირიბი ნაჭდევი ხაზებით. ბეჭდის დიამეტრი 2—2,2 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,3 სმ; ფარაკის სიგრძე—1 სმ, სიგანე — 0,8 სმ.

სამაჯურის (№ 706) ნატეხი, რკინისა, დაჟანგული, მრგვალღეროიანი. ღეროს დიამეტრი 0,4 სმ-ია.

სამარხი № 32 მდებარეობდა I ეკლესიის შესასვლელის დასავლეთით და აღმოსავლეთი ნაწილით 0,2 მ-ით მოხვედრილი იყო № 33 სამარხის ქვეშ. გადახურული ყოფილა კლდის სხვადასხვა ზომის ფილებით. სამხრეთი კედელი შედგებოდა ვერტიკალურად დალაგებული კლდის ფილებისაგან. ჩრდილოეთი კედელი აგებული იყო სამ-ოთხ რიგად დალაგებული კლდის და რიყის ქვებისგან. თავკედლები დაზიანებული იყო. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა შვიდი ჩონჩხი. გარე სიგრძე 1,6 მ-ია, სიგანე — 1 მ; შიდა სიგრძე — 1,8 მ, სიგანე — 1,47 მ (დასავლეთ ნაწილში) — 0,3 მ (აღმოსავლეთ ნაწილში), სიღრმე — 0,53 მ.

სამარხის შუა ნაწილში, მეორე ფენის ჩონჩხთან, კედლის ზედაპირიდან 0,23 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXX, 1): სამაჯური (№ 672), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული. ღერო ოდნავ გრეხილი, ხოლო თავები შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 7,5 სმ, ღეროსი — 0,6 სმ.

სამარხი № 36 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთი კედლის გარეთ და ნაწილობრივ მოხვედრილი იყო მის ქვეშ. დასავლეთი მხრიდან უშუალოდ იყო მიდგმული № 48 სამარხზე (ტაბ. LIX, 3) და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მის გაგრძელებას წარმოადგენდა. გადახურული ყოფილა ორ რიგად დალაგებული სხვადასხვა ზომის კლდის ფილებით. გვერდითი კედლები შედგებოდა ქვედა ნაწილში ერთიმეორის გვერდით მიდგმული კლდის ოთხი კვადრისგან. ზევიდან ელაგა კლდისა და რიყის ქვებისგან შემდგარი წყობა ორ-სამ რიგად. თავ-კედლები დაზიანებული ჰქონდა. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ხუთი ჩონჩხი. გარე

სიგრძე 2,2 მ-ია, სიგანე — 0,9 მ; გადახურვის ფილის სისქე — 0,14—0,16 მ, შიდა სიგრძე — 1,8 მ (გამოვლენილი), სიგანე — 0,4 მ, სიღრმე — 0,7 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,5—0,55 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXX, 2): სამაჯური (№ 698), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგახსნილი, ზედაპირმომრგვალებული. ღეროს ერთი თავი წაწვეტებულია, ხოლო მეორე — ნაკლული. სამაჯურის სიგრძე 4,1 სმ-ია, სიგანე — 3,5 სმ, ღეროს სიგანე — 0,8 სმ. ღილი (№ 699), ბრინჯაოსი, ღრუ, შემორჩენილია ქვედა ნაწილი ოთხი პაწია ნახვრეტით და კუწუბოთი. დიამეტრი 1,1 სმ-ია. სამაჯურის (№ 700) ნატეხი, რკინისა, დაჟანგული, ბრტყელღეროიანი. ერთი თავი წაწვეტებულია. ღეროს სიგანე 0,6 სმ-ია. სამაჯური (№ 701), ბრინჯაოსი, არათანაბრად მორკალული. მავთულზე დახვეულია ბრინჯაოსავე წვრილი მავთული. თავები კაუჭითაა შეკრული. სამაჯურის სიგრძე 4,3 სმ-ია, სიგანე — 3 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,3 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXX, 2): რგოლი (№ 696), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული. ღერო მსხვილი და მრგვალი, თავმიბჯენილი. რგოლის დიამეტრი 4,4 სმ-ია, ღეროსი — 0,4 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოჭიქული თიხის ჯამის (№ 697) პირ-კედლის ნატეხი.

სამარხი № 58 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. მის სახურავზე აგებული იყო № 57 სამარხი (ტაბ. LXXI, 1) და მიეკუთვნებოდა მეორე სართულის სამარხებს. გადახურული იყო კლდის ექვსი ფილით, რომლებიც ერთიმეორის მიჯრით ელაგა. გვერდითი კედლები შედგებოდა ოთხი-შვიდი რიგის წყობისგან. გამოყენებული იყო კლდისა და რიყის ქვები. აღმოსავლეთი კედელი დაზიანებული იყო. სამარხის დასავლეთ კედლად გამოყენებული იყო № 56 სამარხის აღმოსავლეთი კედელი (ტაბ. LXXI, 2). სამარხში მიწა სანახევროდ იყო ჩასული. არეულ ძვლებში დადასტურდა სამი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2 მ-ია, სიგანე — 1 მ; შიდა სიგრძე — 2,2 მ, სიგანე — 0,64 მ (დასავლეთ ნაწილში) — 0,6 მ (შუაში) — 0,53 მ (აღმოსავლეთ ნაწილში). სიღრმე — 0,75 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXI, 3): მძივი (№ 803), ფაიანსის, ორმხრივ ცისფერჭიქურიანი, წრიულად მორკალული, ბრტყელი. მძივის დიამეტრი 1,5 სმ-ია, ნახვრეტის — 0,4 სმ.

სამარხი № 59 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. გადახურული იყო კლდის ოთხი ფილით. გვერდითი კედლები შედგებოდა ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დალაგებული წყობის ოთხი-ხუთი რიგისგან (ტაბ. LXXII, 1). თავ-კედლებად გამოყენებული იყო კლდის ქვები. წყობის სისწორისათვის შეხმარებული იყო რიყის წვრილი ქვები. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ცხრა ჩონჩხი. გარე სიგრძე 1,6 მ-ია, სიგანე — 1 მ; შიდა სიგრძე — 2 მ, სიგანე — 0,36 მ (აღმოსავლეთ ნაწილში) — 0,5 მ (შუაში) — 0,4 მ (დასავლეთ ნაწილში). სიღრმე — 0,75 მ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6—0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ფერადი ტაბ. VIII): ღილები (№ 715), ბრინჯაოსი, ხუთი ცალი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, კუწუბოთი. სამს შემორჩენილი აქვს ყუნწი. ბურთულას დიამეტრი 1,3 სმ-ია, ყუნწისა — 0,6 სმ. საყურის (№ 716) ნატეხი, ვერცხლისა, მრგვალღეროიანი. ღეროს დიამეტრი 0,2 სმ-ია. ბეჭედი (№ 717), ოქროსი, წრიულად მორკალული, წვრილღეროიანი, მხრებში

გაგანიერებული, რომელიც გადადის მრგვალ, ბრტყელ ფარაკში. მხრები ოდნავ ჩაღრმავებულია. ბეჭდის დიამეტრი 1,7 სმ-ია, ღეროსი — 0,1 სმ, ფარაკისა — 0,7 სმ; წონა — 2,05 გრ.

სამარხი № 67 მდებარეობდა I სათავსოს ჩრდილოეთი კედლის გარეთ. გადახურული იყო კლდის ხუთი მასიური ფილით. კედლები შედგებოდა ოთხი-ექვსი რიგისგან. წყობაში გამოყენებული იყო კლდისა და რიყის ქვები. სამარხს ეტყობოდა გადაკეთება. აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილი იყო თავდაპირველი სახურავის ქვა ჩამჯდარი წყობაში (ტაბ. LXXII, 2). გვერდითი კედლები ამაღლებული იყო ერთი-ორი რიგით. სამარხში მიწა სანახევროდ იყო ჩასული. არეულ ძვლებში დადასტურდა ოთხი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,65 მ-ია, გადახურვის ქვების სისქე — 0,15—0,18 მ; შიდა სიგრძე — 2,25 მ, სიგანე — 0,6 მ, სიღრმე — 0,87 მ, თავდაპირველი სიღრმე — 0,55 მ.

სამარხის ზედა ფენაში აღმოჩნდა (ტაბ. LXXII, 3): სამაჯურის (№ 752) ნატეხი, მინისა, ირიზებული, შავი, დახშული. არათანაბარი სისქის ღერო სადაა. ღეროს დიამეტრი 0,5—0,6 სმ-ია.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,93 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXII, 3): საყურე (№ 753), ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი", წრიულად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელზედაც წამოცმულია ორ მწკრივად მარჯნის ორი მძივი. ბუნის ბოლო დაწვრილებულია, გადადის მძივებზე და დახვეულია მათზე. საყურის სიგრძე 4,4 სმ-ია, თავის დიამეტრი — 1,6 სმ, ღეროსი — 0,2 სმ, მძივებისა — 0,4—0,6 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოჭიქული (№ 709/1, № 709/2) და მოუჭიქავი (№ 709/3) თიხისა და მინის (№ 710) ჭურჭლის ნატეხები.

სამარხი № 89 ნაწილობრივ მოხვედრილი იყო I ეკლესიის სამხრეთი კონტფორსის და სამხრეთი მინაშენის ქვეშ. სამარხის შუა ნაწილზე დაშენებულია № 37 სამარხი, ხოლო თვითონ დასავლეთი ნაწილით დაშენებული იყო № 94 სამარხზე. მიეკუთვნებოდა სამარხების მეორე სართულს. გადახურვის მარტო ორი ფილა იყო შემორჩენილი. გვერდითი კედლები შედგებოდა ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დალაგებული კლდის ქვებისგან. დასავლეთი კედელი დაზიანებული იყო, ხოლო აღმოსავლეთი — შედგებოდა ორი პატარა ქვისგან. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ორი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2 მ-ია, სიგანე — 0,7 მ, შიდა სიგრძე — 1,75 მ, სიგანე — 0,45 მ, სიღრმე — 0,37 მ.

სამარხის ზედა ფენებში აღმოჩნდა (ტაბ. LXXIII, 1): სამაჯური (№ 762), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგახსნილი. ერთი თავი ოდნავ გაფართოებულია და მისი ზედაპირი შემკულია ორი-სამი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით. მეორე — ნაკლულია. სამაჯურის სიგრძე 4,2 სმ-ია, სიგანე — 3,3 სმ, ღეროს სიგანე — 0,5 სმ. ღილი (№ 763), მინისა, ირიზებული, შავი, ოვალური, რკინის ბრტყელი ყუნწით. დიამეტრი 0,9 სმ-ია.

სამარხი № 90 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. გადახურული იყო კლდის ოთხი ფილით. სამარხის კედლები შედგებოდა ხუთი-ექვსი რიგისგან. გამოყენებული იყო კლდისა და რიყის ბრტყელი ქვები. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ, დაზიანებულ ძვლებში დადასტურდა სამი ჩონჩხი. შიდა სიგრძე 1,55 მ-ია, სიგანე — 0,38 მ, სიღრმე — 0,78 მ.

სამარხის კედლის ზედაპირიდან 0,3—0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ.

LXXIII, 2): სამაჯური (№ 808), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, მსხვილად გრეხილი ღეროთი. თავები შეერთებისას ოდნავ დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 8 სმ-ია, ღეროსი — 0,6 სმ. სამაჯური (№ 809), მინისა, ირიზებული, მომწვანო, გამჭვირვალე, წრიულად მორკალული. არათანაბარი სისქის ღერო წვრილადაა გრეხილი. თავები შეერთებისას გვერდებიდან დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 8,7 სმ-ია. ღეროსი — 0,5—0,8 სმ. სამაჯური (№ 810), მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული, ღერო მსხვილად გრეხილი. სამაჯურის დიამეტრი 7,3 სმ-ია, ღეროსი — 0,6 სმ. ღილი (№ 811) ბრინჯაოსი, ორი ცალი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, ყუნწით და კუნწუბოთი. ბურთულას დიამეტრი 1—1,4 სმ-ია.

IV. აკლდამები (ტაბ. LVI, 1). სამარხი № 1 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით და მიდგმული იყო I სათავსოს აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთ ბოლოზე (ტაბ. LXXIV, 1). გადახურვა შემორჩენილი იყო აღმოსავლეთ ნაწილში. კედლები შედგებოდა ექვს-შვიდ რიგად ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად დალაგებული კლდის კვადრატული და ბრტყელი ქვებისგან, რომლებშიც შეხმარებული იყო რიყის ქვები. ჰქონდა ოდნავ მომრგვალებული კუთხეები. დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი, ხოლო დანარჩენი კედლების ზედა სამი რიგი მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის ქვების საყრდენი. სამარხის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ქვეშ გამოვლინდა ქვისსამარხი. იგი გადახურული იყო კლდის ფილებით. მასში არეულად ეყარა დიდძალი ძვალი. № 1 სამარხში დადასტურდა ათამდე ჩონჩხი, ძლიერ დაზიანებული. სამარხის შიდა სიგრძე 2 მ-ია, სიგანე — 1 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1,35 მ (შუაში) — 1,3 მ (აღმოსავლეთ ნაწილში). სიღრმე — 1,1 მ. კედლების სიგანე — 0,4 მ; ქვისსამარხის სიგრძე 1 მ-ია, სიგანე — 0, 65 მ, სიღრმე — 0,64 მ.

სამარხის კედლის ზედაპირიდან 1—1,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXIV, 2): საყურე (№ 769), ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი", წრიულად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელზედაც წამოცმულია მინის მძივი. ბუნის ბოლო დაწვრილებულია, გადადის მძივზე და დახვეულია მათზე. საყურის სიგრძე 3,5 სმ-ია, თავის დიამეტრი — 1,6 სმ, ღეროსი — 0,2 სმ. საყურე (№ 770), ვერცხლისა, არათანაბრად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგადაბუდული. ღეროზე ქვემოდან მირჩილულია სამი მცირე რგოლი საკიდისათვის, ხოლო შუათანა მოტეხილია. საყურის დიამეტრი 2,2—2,4 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,2 სმ, რგოლების დიამეტრი — 0,5—0,6 სმ. საყურე (№ 771) ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი", არათანაბრად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელზედაც შემორჩენილია დახვეული მავთული. ბუნის ბოლო მოტეხილია. თავის დიამეტრი 1,7—1,9 სმ-ია, ღეროსი — 0,1 სმ.

სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ქვეშ გამოვლენილ სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LXXIV, 2): სამაჯური (№ 790), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგახსნილი. ღეროს ერთი თავი წაწვეტებულია, ხოლო მეორე — ნაკლული. სამაჯურის სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე — 2,8 სმ, ღეროს სიგანე — 0,5 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოჭიქული (№ 768) და მოუჭიქავი (№ 791) თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სამარხი № 30 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით. გა-

დახურული იყო ერთიმეორის მიჯრით დალაგებული კლდის დიდი ფილებით. დასავლეთ ნაწილში სახურავის ქვა ჩანგრეული იყო. სახურავის აღმოსავლეთ ბოლოზე დაშენებული იყო დაზიანებული სამარხები. მიეკუთვნებოდა სამარხების მეორე სართულს. სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების ზედა ხუთი-ექვსი რიგის ქვები მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით (ტაბ. LXXV, 1), რითაც იქმნებოდა სახურავის ქვების საყრდენი. კუთხეები ოდნავ მომრგვალებული ჰქონდათ. წყობა შედგებოდა რვა-ცხრა რიგისგან. გამოყენებული იყო კლდის ფილები, კვადრები და რიყის ქვები. სამარხი სანახევროდ იყო მიწით ამოვსებული. დადასტურდა თხუთმეტი ჩონჩხი, ძლიერ დაზიანებული. გარე სიგრძე 3 მ-ია, სიგანე — 2 მ; შიდა სიგრძე — 2,48 მ, სიგანე — 1,64 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1,6 მ (შუაში) — 1,1 მ (აღმოსავლეთ ნაწილში). სიღრმე — 1,35 მ.

სამარხის შუა ნაწილში, სახურავის ზედაპირიდან 1,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXV, 2): მ ძ ი ვ ი (№ 754), სარდიონისა, მოგრძო, გვერდებმომრგვალებული. სიგრძე 1,1 სმ-ია, დიამეტრი — 0,9 სმ, ნახვრეტის დიამეტრი — 0,2 სმ.

სამარხის სამხრეთ ნაწილში, სახურავის ზედაპირიდან 1.43—1,57 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXV, 2): რ გ ო ლ ი (№ 755), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, თავგადასული, მრგვალღეროიანი. რგოლის სიგრძე 2,4 სმ-ია, სიგანე — 2 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ. ღ ი ლ ი (№ 756), ბრინჯაოსი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, ყუნწიანი და კუწუბოთი. ბურთულას დიამეტრი 1 სმ-ია, ყუნწისა — 0,4 სმ. ღ ი ლ ი (№ 758) ბრინჯაოსი, ბურთულა, შიგნიდან ღრუ, მრგვალი ყუნწით. ბურთულას დიამეტრი 1,4 სმ-ია, ყუნწისა — 0,7 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის (№ 757) გვერდის ნატეხი.

ს ა მ ა რ ხ ი № 46 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთიდან მიდგმული იყო № 47 სამარხი (ტაბ. LVII, 1; LXXVI, 1). სამარხის დასავლეთ კედელზე დაშენებული ყოფილა მინაშენის დასავლეთი კედელი, ხოლო ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ მოხვედრილი იყო ეკლესიის სამხრეთი კედლის ცოკოლის ქვეშ. გადახურული იყო კლდის ფილებით, რომლებიც ეკლესიის ცოკოლის დონეზე იყვნენ. სამარხის კედლები შედგებოდა ექვს-შვიდ რიგად დალაგებული კლდის ქვებისგან. წყობაში გამოყენებული იყო კლდის კვადრატული და ბრტყელი ქვები. გვხვდებოდა რიყის ქვებიც. კედლების კუთხეები ოდნავ მომრგვალებული და გადაბმული იყო ერთმანეთთან. სამარხის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების ზედა სამი-ოთხი რიგი გამოწეული იყო შიგნით მცირე საფეხურებად, რითაც იქმნებოდა სახურავის საყრდენი. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა თოთხმეტი ჩონჩხი. შიდა სიგრძე 2,05 მ-ია, სიგანე — 1,05 მ (აღმოსავლეთ ნაწილში) — 1.3 მ (შუაში) — 1,35 მ (დასავლეთ ნაწილში); სიგანე ზედა ნაწილში — 1,7 მ; კედლების სიგანე — 0.4 მ, სიღრმე — 1,15 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXVI, 2): ს ა მ ა ჯ უ რ ი ს (№ 707) ნ ა ტ ე ხ ი, მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, მრგვალღეროიანი, სადა. ღეროს დიამეტრი 0,7 სმ-ია.

ს ა მ ა რ ხ ი № 51 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. სამარხის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ბოლოზე დაშენებული ყოფილა № 92 სამარხი (ტაბ. LXVI, 1), ხოლო დასავლეთი კედელი დაშენებული ყოფილა № 91 სამარხის აღმოსავლეთ კედელზე (ტაბ. LXXV, 1). № 51 სამარხი სამხრეთი კედლით

მიდგმული იყო იქ არსებული ნაგებობის კედლის ნაშთზე (ტაბ. LXVI, 1). გადახურვა აღმოსავლეთ ნაწილში იყო შემონახული. კედლები შედგებოდა ოთხხუთ რიგად დალაგებული კლდის ქვებისგან. წყობის სისწორისათვის გამოუყენებიათ რიყის წვრილი ქვები. გვერდითი კედლების ზედა ორი რიგი შიგნით იყო გამოწეული მცირე საფეხურებად სახურავის დასაყრდნობად. სახურავის ქვები კედელთან კირის ხსნარით ყოფილა დაკავშირებული. სამარხი მიწით იყო ავსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ათი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,6 მ-ია, სიგანე — 1,65 მ; შიდა სიგრძე — 2,5 მ, სიგანე — 1 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1,15 მ (შუაში) — 0,9 მ (აღმოსავლეთ ნაწილში). სიღრმე — 0,9 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXVI, 3): ს ა ყ უ რ ე (№ 759). ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი. ერთი თავი გარეთაა მომრგვალებული. საყურის დიამეტრი 1,8 სმ-ია, ღეროსი — 0,1 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოჭიქული ჯამის (№ 761) ნატეხი.

ს ა მ ა რ ხ ი № 56 მდებარეობდა პირველი ეკლესიის სამხრეთით და მიეკუთვნებოდა სამარხების მეორე სართულს. სახურავის სამხრეთ ნაწილზე დაშენებული იყო № 55 სამარხი. გადახურული იყო კლდის ოთხი ფილით, რომლებიც ერთიმეორის პარალელურად ელაგა. კედლები ამოყვანილი იყო სხვადასხვა ზომის კლდის კვადრებით (ტაბ. LXXI, 2). წყობის სისწორისათვის გამოუყენებიათ რიყისა და კლდის წვრილი ქვები. სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების ზედა ოთხი რიგის ქვები მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის საყრდენი (ტაბ. LXXVIII, 2). დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი, ხოლო შუაში დატანებული ჰქონდა ქვის ერთი საფეხური. კუთხეები გადაბმული და ოდნავ მომრგვალებული იყო (ტაბ. LXXI, 2). კედლები შედგებოდა წყობის შვიდი-რვა რიგისგან. ქვების შიგნითა პირი კარგადაა დამუშავებული. სამარხის იატაკის ქვეშ გამოვლინდა ოვალური ორმო (ტაბ. LVI, 2), რომელშიც ექვსი არეული ჩონჩხის ძვლები დადასტურდა. ის წარმოადგენდა ადრეულ სამარხს, რომელზედაც დაშენებული იყო აღნიშნული აკლდამა. თვით აკლდამაში მიწა ცოტა იყო ჩასული. აკლდამაში დადასტურდა ათი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,55 მ-ია, სიგანე — 1,35 მ; შიდა სიგრძე — 2,2 მ, სიგანე ქვევით — 1,43 მ (აღმოსავლეთ ნაწილში) — 1,78 მ (შუაში) — 1,7 მ (დასავლეთ ნაწილში), სიგანე ზევით — 0,67 მ, სიღრმე — 1,53 მ. ქვედა სამარხის სიგრძე — 1,5 მ, სიგანე — 0,7 მ, სიღრმე — 0,55 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1,3—1,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXVII, 1): რ გ ო ლ ი (№ 792), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, თავმიბჯენილი. არათანაბარი სისქის ღერო მრგვალია. რგოლის დიამეტრი 3,1 სმ-ია, ღეროსი — 0,3—0,5 სმ. მ ძ ი ვ ი (№ 793), მინისა, ცისფერი, დახშული, მრგვალი, გვერდებდაბრტყელებული. მძივის დიამეტრი 1,2 სმ-ია, ნახვრეტისა — 0,5 სმ. მ ძ ი ვ ი (№ 794), მინისა, მოცისფრო, დახშული, მოგრძო, გრეხილი. ერთი თავი ფართე, მეორე დავიწროვებული. მძივის სიგრძე 2,7 სმ-ია. რ გ ო ლ ი (№ 795), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, თავმიბჯენილი. ღერო მრგვალი და მსხვილი. რგოლის დიამეტრი 3 სმ, ღეროსი — 0,3 სმ. რ გ ო ლ ი (№ 799), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი. რგოლის დიამეტრი 2 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ. ს ა ყ უ რ ე (№ 800), ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი“, ოვალურად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული დაგრეხილი ბუნით, რომელიც თავდება ბრინ-

ჯაოსავე მრავალწახნაგა ბურთულათი. საყურის სიგრძე 4 სმ-ია, თავის სიგრძე — 2,2 სმ, სიგანე — 1,7 სმ, ღეროს დიამეტრი—0,2 სმ. საყურე (№ 801), ბრინჯაოსი, „კითხვისნიშნისებრი“, წრიულად მორკალული თავით და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნით, რომელიც თავდება ბრინჯაოსავე მრგვალი ბურთულათი. საყურის სიგრძე 3,2 სმ-ია, თავის დიამეტრი — 1,7 სმ, ღეროსი — 0,1 სმ.

ქვედა სამარხში აღმოჩნდა (ტაბ. LXXVII, 1): ბეჭედი (№ 802), ვერცხლისა, წრიულად მორკალული. ღერო ბრტყელი, მხრებში გაგანიერებული, რომელიც გადადის მრგვალ, ბრტყელ ფარაკში. მხრები შემკული აქვს წიწვისებური ნაჭდევებით. ფარაკზე გამოსახულია მცენარეული ორნამენტი, რომელიც შუაზე გაყოფილია სადა ზოლით. ბეჭდის დიამეტრი — 2 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ფარაკის დიამეტრი — 1,2 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოჭიქული (№ 798) და მოუჭიქავი (№ 796, 797) თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სამარხი № 60 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. სახურავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე დაშენებული იყო № 61 სამარხი (ტაბ. LXXVII, 2) და მიეკუთვნებოდა მეორე სართულის სამარხებს. გადახურული იყო კლდის დიდი ზომის ფილებით. დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი (ტაბ. LXXVIII, 1), ხოლო დანარჩენი კედლების ზედა ორი რიგი მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის ქვების საყრდენი. კედლების კუთხეები მომრგვალებული იყო. დასავლეთ კედელში დატანებული იყო ბრტყელი ქვის ორი საფეხური. წყობა შედგებოდა ხუთი-ათი რიგისაგან. გამოყენებული იყო კლდის კვადრატული და ბრტყელი ქვები, გამოყენებულია რიყის ქვაც. სამარხში მიწა ცოტა იყო ჩასული. ზედაპირულად ეყარა ჩონჩხის ძვლები და თავის ქალები. დადასტურდა ათი ჩონჩხი. გარე სიგრძე 2,73 მ-ია. სიგანე — 1,6 მ; შიდა სიგრძე — 2,6 მ, სიგანე ქვევით — 1,33 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1.5 მ (შუაში) — 1,08 მ (აღმოსავლეთ ნაწილში), სიგანე ზედა ნაწილში — 1 მ (შუაში). სიღრმე — 1,6 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1—1,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXIX): ძეწკვი (№ 776), ბრინჯაოსი, წვრილი მავთულისაგან ნაკეთები, მოგრძო, რვიანისებრი. ჩამოკიდებოდა ბოლოკაუჭიან საყურეზე. სიგრძე 3,5 სმ-ია. ბეჭედი (№ 777), ვერცხლისა, წრიულად მორკალული. ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული. მხრებში გაგანიერებულ ღეროზე დარჩილულია ოვალური მოყვანილობის მაღალი ბუდე, რომელშიც ჩასმულია მინის მოლურჯო ბრტყელი თვალი. ბეჭდის დმ—2,1 სმ, ღეროს სიგანე — 0,2 სმ, ბუდის სიმაღლე — 0,5 სმ; თვალის სიგრძე — 1,3 სმ. სიგანე — 1 სმ. ლურსმანი (№ 778), რკინისა, დაჟანგული, ბრტყელთავიანი, მრგვალღეროიანი, რომელიც დეფორმირებულია. ლურსმნის სიგრძე 3,5 სმ, ღეროს დმ — 0.5 სმ. ჭურჭლის (№ 779) ნატეხები, მინისა, ირიზებული, თხელკედლიანი.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1,15—1,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXIX): სამაჯურის (№ 781) ნატეხი, მინისა, ირიზებული, შავი, დახშული, წრიულად მორკალული. არათანაბარი სისქის ღერო წვრილად გრეხილია და შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 7,5 სმ-ია. ღეროსი — 0,5—0.7 სმ, მძივი (№ 782), მინისა, დახშული, ცისფერი, მრგვალი, გვერდებდაბრტყელებული. მძივის დიამეტრი 0,4 სმ-ია, ნახვრეტის დმ — 0,1 სმ. რგოლი (№ 783), ვერცხლისა, წრიულად მორკა-

ლული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი. რგოლის დიამეტრი 2,2 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ. მ ძ ი ვ ი (№ 780), მინისა, დახშული, შავი, მრგვალი, გვერდებდაბრტყელებული. ინკრუსტირებულია თეთრი ხალებით. მძივის დიამეტრი 1,2 სმ-ია, ნახვრეტისა — 0,5 სმ. ქ ს ო ვ ი ლ ი ს (№ 784) ნ ა შ თ ი, შალისა. შემორჩენილი სიგრძე — 2 სმ, სიგანე — 1,4 სმ. ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 789), მინისა, ირიზებული, შავი, წრიულად მორკალული. არათანაბარი სისქის ღერო წვრილად გრეხილია და შეერთებისას დაბრტყელებულია. სამაჯურის დიამეტრი 7,7 სმ-ია, ღეროსი — 0,5—0,7 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1,15—1,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXIX): ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 785), რკინისა, დაჟანგული, ოვალურად მორკალული, ბრტყელღეროიანი, თავგახსნილი, თავებნაკლული. სამაჯურის სიგრძე — 6,5 სმ, სიგანე — 4 სმ, ღეროს სიგანე — 0,9 სმ. ჰ უ რ ჰ ლ ი ს (№ 786) ნ ა ტ ე ხ ე ბ ი, მინისა, მომწვანო, გამჭვირვალე, თხელკედლიანი. ჰ უ რ ჰ ე ლ ი (№ 787), მინისა[13], შემორჩენილია ყელ-ყურის ნაწილი გვერდითურთ და ძირი. მინა მწვანედ გამჭვირვალეა, ბუშტულებიანი. პირი ოდნავ გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელი მაღალი და ოდნავ ადგილას გამობერილი წიბოთი. ყელს დაყვება სივრძივი ზოლები, რომლებიც ქვემოთ მუცლის არეში იშლებიან. ყელის ქვედა გამობერილ წიბოზე და მუცელზე დამაგრებულია შვერილიანი ოდნავ მომრგვალებული ყური. ძირი შეზნექილია. ჰურჰლის სიმაღლე 13,4 სმ-ია. (აღდგენილია პირობითად). ყელის სიმაღლე —5,6 სმ, პირის დიამეტრი — 2,8 სმ, ბაკოს სისქე — 0,2 სმ, ყელის დიამეტრი — 2 სმ, ყურის სიმაღლე — 4,2 სმ, სიგანე — 0,5 სმ. ძირის დიამეტრი — 5 სმ. ბ ე ჭ ე დ ი (№ 788), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული. ბრტყელი ღერო მხრებში გაგანიერებულია და გადადის მრგვალ, სადა ფარაკში. ბეჭდის დიამეტრი 2 სმ-ია, ღეროს სიგანე — 0,3 სმ. ფარაკის დიამეტრი — 0,8 სმ.

ს ა მ ა რ ხ ი № 63 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. გადახურული იყო სხვადასხვა ზომის კლდის ხუთი ფილით, რომლებიც ერთიმეორის მიჯრით ელაგა. დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი, ხოლო დანარჩენი კედლების ზედა სამი რიგი შიგნითაა გამოწეული მცირე საფეხურებად, რითაც იქმნებოდა სახურავის საყრდენი. კედლების კუთხეები გადაბმული იყო. წყობა შედგებოდა ექვსი-რვა რიგისგან. გამოყენებული იყო კლდის კვადრატული და ბრტყელი ქვები, ხოლო თავისუფალი ადგილი შევსებული იყო რიყის ქვებით. მიწა სანახევროდ იყო ჩასული. დადასტურდა, შვიდი ჩონჩხი. სახურავის სიგრძე— 2 მ, სიგანე — 1 მ, შიდა სიგრძე — 2 მ, სიგანე — 1,15 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1,26 მ (შუაში) — 1,2 მ (აღმოსავლეთ ნაწილში), სიღრმე — 1,1 მ, კედლების სისქე — 0,4 — 0,7 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXX, 1): მ ძ ი ვ ი (№ 772), მინისა, ირიზებული, დახშული, შავი, სამკუთხა მოყვანილობის, გვერდებდაბრტყელებული, ნახვრეტის დიამეტრი 0,1 სმ. ს ა ყ უ რ ე (№ 773), ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი. შემორჩენილია ღეროს

---

[13] ქიმიურ-რაოდენობითი და ნახევრადრაოდენობითი სპექტრული ანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ნიმუში (ანალიზის № 32) განეკუთვნება ნატრიუმ-კალციუმ-სილიკატური სისტემის მინას — $Na_2O—CaO—SiO_2$. იხ.: ა. გ ე გ ე ნ ა ვ ა, ს. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში აღმოჩენილი შუა საუკუნეთა მინის ჰურჭლის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II, თბ., 1978 (1979), გვ. 40—43, 46; მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჰურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978, გვ. 65, 79—81.

ქვედა ნაწილი, რომელზედაც გარედან მირჩილულია მცირე რგოლი საკიდისათვის. ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ, რგოლისა — 0,5 სმ.

სამარხში მოხვედრილი იყო მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ყური (№ 774).

სამარხი № 65 მდებარეობდა I ეკლესიის სამხრეთით. მიეკუთვნებოდა სამარხების პირველ სართულს. გადახურული იყო კლდის საშუალო ზომის ფილებით. დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი, ხოლო დანარჩენი კედლების ზედა ორი რიგის ქვები მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის საყრდენი. კედლები შეუგებოდა ოთხი-შვიდი რიგისგან. გამოყენებული იყო კლდის ბრტყელი და საშუალო მოყვანილობის ქვები. კუთხეები მომრგვალებული იყო. კედლები და სახურავის ფილები დაკავშირებული იყო დუღაბით. სამარხის ძირზე გამოვლინდა სხვადასხვა ზომის კლდის ფილები, რომლებიც ბოლოებით შედიოდნენ კედლების ქვეშ. ის, ალბათ, ქვედა სამარხის გადახურვას წარმოადგენდა.

სამარხი მიწით არ იყო ამოვსებული. არეულ ძვლებში დადასტურდა ათი ჩონჩხი, გარე სიგრძე — 2,35 მ, სიგანე — 1,6 მ, შიდა სიგრძე — 1,64 მ, სიგანე ქვევით — 0,95 მ (დასავლეთ ნაწილში) — 1 მ (შუაში) — 0,85 მ (აღმოსავლეთ ნაწილში); სიგანე ზევით — 0,42 მ (შუაში), სიღრმე — 0,74 მ, კედლების სისქე — 0,25—0,35 მ.

სამარხის შუა ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXX, 2): რგოლი (№ 804), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, მრგვალღეროიანი. რგოლის სიგრძე — 2,6 სმ, სიგანე — 2,1 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, კედლის ზედაპირიდან 0,65—0,73 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. LXXX, 2): საყურე (№ 805), ვერცხლის, ოვალურად მორკალული, თავგადასული, მრგვალღეროიანი. ღეროს ქვედა ნაწილზე მირჩილულია მცირე სამი რგოლი. საყურის სიგრძე — 2,4 სმ, სიგანე — 2,1 სმ. ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ. რგოლებისა — 0,5 სმ. ძეწკვი (№ 806), ბრინჯაოსი, წვრილი მავთულისაგან ნაკეთები, მოგრძო. შედგება ერთი ნახევარრვიანისგან. ჩამოიკიდებოდა ბოლოკაუჭიან საყურეზე. შემორჩენილი სიგრძე — 2,2 სმ. რგოლი (№ 807), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, თავმიბჯენილი, წვრილღეროიანი. რგოლის დიამეტრი — 0,9 სმ, ღეროსი — 0,1 სმ.

სამარხი № 84 აგებული იყო I სათავსოს შიგნით და იატაკის დონის ქვევით იყო. მიეკუთვნებოდა სამარხების მეორე სართულს. ჩასასვლელი დასავლეთი მხრიდან ჰქონდა, სადაც ეფარა კლდის სამკუთხა ფილა (ტაბ. LXXX, 3). გადახურვის დანარჩენი ოთხი ფილა დიდი ზომის იყო და ერთიმეორის გვერდით ელაგა უძრავად (ტაბ. LXXXI, 1). მათ შორის თავისუფალი ადგილი შევსებული იყო კლდის წვრილი ქვებით და გადალესილი დუღაბით. ჩასასვლელი მართკუთხა იყო (ტაბ. LXXXI, 2). დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი და ორი საფეხური ჰქონდა დატანებული. კედლები შედგებოდა წყობის ცხრა-ათი რიგისგან ჰორიზონტალურობის დაცვით და ამოყვანილი იყო კლდის და რიყის სხვადასხვა ზომის ქვებით დუღაბზე. წყობის სისწორისათვის გამოყენებული იყო წვრილი ქვები. კუთხეები მომრგვალებული და გადაბმული იყო ერთმანეთში. სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების ზედა ორი-სამი რიგი მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის საყრდენი. წყობას ზემოდან შემოუყვება ბრტყელი ქვების ლავგარდანი. სამარხში მიწა მცირე რაოდენობით იყო ჩასული. შუაში ესვენა

ხუთი ჩონჩხი, ერთიმეორის გვერდით (ტაბ. LXXXII, 1), გამოტილი, თავებით დასავლეთ მხარეს. ჩონჩხები მიწით ცოტაზე იყო დაფარული. აღმოსავლეთ მხარეს მიხვეტილი ძვლები ძლიერ ჩაფერფლილი იყო. დადასტურდა ცხრა ჩონჩხი, მაგრამ დაკრძალული უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. გარე სიგრძე — 2,65 მ, სიგანე — 2.5 მ. შიდა სიგრძე (ქვევით) — 2,8 მ, სიგანე — 1,8 მ (შუაში); სიგანე (ზევით) — 1.45 მ (შუაში), სიმაღლე — 1,7 მ. ჩასასვლელის ერთი გვერდის სიგრძე — 0,5 მ. საფეხურების სიგრძე — 0,17 — 0,27 მ, სიგანე — 0,6 — 0,19 მ. წყობაში გამოყენებული ზოგიერთი ქვის ზომა: კლდის, სიგრძე — 0,42 მ, სიგანე — 0,26 მ; რიყის, სიგრძე — 0,45 მ. სიგანე — 0,2 მ.

სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა (ტაბ. LXXXII, 2): ლ უ რ ს მ ა ნ ი (№ 733), რკინისა, დაჟანგული, მართკუთხათავიანი, მომრგვალებული ღეროთი. ბოლოში მოღუნული და ნაკლული. ლურსმნის სიგრძე — 3,2 სმ, თავის სიგრძე — 2,1 სმ, სიგანე — 1,3 სმ.

სამარხის შუაში, IV ჩონჩხთან აღმოჩნდა (ტაბ. LXXXII, 2): ს ა მ ა ჯ უ რ ი (№ 734), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი. ღეროს შიდა პირი ბრტყელია, ზედაპირი კი მომრგვალებული, თავნაკლული. სამაჯურის სიგრძე — 4,5 სმ, სიგანე — 4 სმ; ღეროს სიგანე — 0,6 სმ. რ გ ო ლ ი (№ 735), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, მრგვალღეროიანი. რგოლის სიგრძე — 2.5 სმ, სიგანე — 2 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ. რ გ ო ლ ი (№ 736), ვერცხლისა, წრიულად მორკალული. ღერო ნაწილობრივ გრეხილი, თავგადასული. ერთი თავი ოდნავ გამსხვილებული. რგოლის დიამეტრი — 3,4 სმ, ღეროსი — 0,2 სმ. მ ძ ი ვ ი (№ 737). მინისა, ირიზებული, დახშული, შავი, არათანაბრად მომრგვალებული. მძივის დიამეტრი — 1,3—1.5 სმ, ნახვრეტისა — 0,5 სმ.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, მიხვეტილ ძვლებში აღმოჩნდა (ტაბ. LXXXII, 2): რ გ ო ლ ი (№ 738), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, თავგახსნილი მრგვალღეროიანი. რგოლის დიამეტრი — 2 სმ, ღეროსი — 0,2 სმ. ს ა ყ უ რ ე (№ 739), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, თავგახსნილი, მრგვალღეროიანი. ერთი თავი გარეთაა მომრგვალებული. საყურის დიამეტრი — 2 სმ, ღეროსი — 0,2 სმ, პატარა რგოლისა — 0,6 სმ. ღ ე რ ო ს და ღ ი ლ ე ბ ი ს (№ 740) ყ უ ნ წ ე ბ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი, ბრინჯაოსი. რ გ ო ლ ი (№ 741), ბრინჯაოსი, ნაკლული, არათანაბრად მორკალული, ბრტყელღეროიანი, რომლის ზედაპირი წრიულად ორ რიგად დაღარულია. რგოლის დიამეტრი — 2 სმ, ღეროს სიგანე — 0,5 სმ. ბ ე ჭ ე დ ი (№ 742), ვერცხლისა, ღერო ნაკლული, ბრტყელი, მხრებში გაგანიერებული და გადადის ოვალურ ფარაკში. ბეჭდის დიამეტრი — 1,9 სმ, ღეროს სიგანე — 0,2 სმ; ფარაკის სიგრძე — 1 სმ, სიგანე — 0,7 სმ. ხ ვ ი ა (№ 743), ვერცხლისა, წრიულად მორკალული, მრგვალღეროიანი, ოდნავ წაწვეტებული თავებით. ხვიის დიამეტრი 2 სმ-ია, ღეროსი — 0,2 სმ. ბ ე ჭ ე დ ი (744), ვერცხლისა, წრიულად მორკალული, ბრტყელღეროიანი, რომელიც გადადის ოვალურ ფარაკში. ბეჭდის დიამეტრი — 2,2 სმ, ღეროს სიგანე — 0.3 სმ, ფარაკის სიგრძე — 1 სმ, სიგანე — 0,9 სმ. ძ ე წ კ ვ ი (№ 745), ბრინჯაოსი, ორი ცალი, წვრილი მავთულისგან ნაკეთები, მოგრძო, შედგება ორი რვიანისაგან. ჩამოიკიდებოდა ბოლოკაუჭიან საყურეზე. სიგრ-

ძე — 3,5 სმ. ბეჭედი (№ 748), ბრინჯაოსი, წრიულად მორკალული, ბრტყელღეროიანი, მხრებში გაგანიერებული, რომელზედაც დარჩილულია ვერცხლის თხელი ოთხკუთხა ფირფიტა. ბეჭდის დიამეტრი — 2 სმ, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ფირფიტის სიგრძე — 1,2 სმ, სიგანე — 0,9 სმ. რგოლი (№ 749), ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, მრგვალღეროიანი. ერთ თავზე მცენარეული ორნამენტის განტოტვილი გამოსახულებით. რგოლის სიგრძე — 1,9 სმ, სიგანე — 1,7 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ. რგოლის (№ 750) ნატეხი, ბრინჯაოსი, მრგვალღეროიანი. ღეროს დიამეტრი — 0,2 სმ. ბეჭედი (№ 751), ვერცხლისა, წრიულად მორკალული, ბრტყელღეროიანი. გაგანიერებული წახნაგოვანი მხრები გადადიან ბრტყელ ოვალურ ფარაკში. მხრები შემკული აქვს წერტილოვანი ნაჭდევებით. ფარაკზე ასევე წერტილოვანი ნაჭდევებით გამოყვანილია გაურკვეველი სახის ორნამენტი, რომელიც ერთი შეხედვით წარწერას წააგავს. ბეჭდის დიამეტრი — 2 სმ, ღეროს სიგანე — 0,3 სმ, ფარაკის სიგრძე — 1,3 სმ, სიგანე — 1 სმ.

სამარხის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის სხვადასხვა ზომის ნატეხები (№№ 730, 731, 732, 746, 747), რომლებიც არ წარმოადგენენ სამარხეულ ინვენტარს.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე გათხრილი სამარხები ძალიან მჭიდროდ (ტაბ. LXXXIII, 1) და, ზოგ შემთხვევაში, ორ სართულად ყოფილან განლაგებული (ტაბ. LXXI, 1; LXXVII, 2). მიუხედავად სრულიად ნათელი სტრატიგრაფიული სურათისა, სამარხეულ კომპლექსებს შორის ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა ჯერჯერობით ძნელდება. აღნიშნული საკითხის გარკვევას ალბათ მოვახერხებთ უფრო მოგვიანებით, როდესაც გაიხსნება სამაროვნის დიდი ნაწილი და მოპოვებული მასალებიც სათანადოდ დამუშავდება.

სამაროვანზე მეტად მცირერიცხოვანია ორმოსამარხები, რომლებშიც თითო მიცვალებული იყო დაკრძალული. სამარხები განლაგებული იყო ზედა ფენებში და ძლიერ დაზიანებულია. ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ის ორი სამარხი (№ 4-ა და № 50), რომლებიც მდებარეობდნენ სამარხებს შორის დარჩენილ თავისუფალ ადგილებში და თავისი კედლები არ ჰქონიათ.

ქვისსამარხების გვერდითი კედლები შედგებოდა ერთ-ორ რიგად ერთმანეთზე მიდგმული კლდის ფილებისგან, ხოლო თავკედლებად გამოყენებული იყო თითო ქვა. ზოგ შემთხვევაში ნახმარია რიყის ქვები. გვხვდება სამარხები, რომლის გვერდითი კედლები მთლიანია. სამარხთა სახურავები შედგენილი იყო კლდის რამდენიმე ფილით. სამარხში დაკრძალული იყო თითო ან ორი მიცვალებული, იშვიათად სამი. ამ ტიპის სამარხები ცნობილია შუასაუკუნეების სხვადასხვა განათხარ ძეგლებზე: ბოლნისში[14], მცხეთაში[15], უჯარმა-

---

[14] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკ-ს მოამბე, 1938, ტ. III, გვ. 360—374.

[15] Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в древнегрузинской столице Мцхета. Тб., 1955, с. 101.

ში [16], რუსთავში [17], ივრის სიონში [18], ქალეთში [19], ერწოს ველზე [20], მატანში [21], დმანისში [22], ძველ გავაზში [23] და სხვა.

მრავალრიცხოვანია ამოშენებულკედლიანი საოჯახო სამარხები, რომელთა გვერდითი კედლები ქვედა ნაწილში შედგებოდა ვერტიკალურად, ერთიმეორის მიჯრით დალაგებული კლდის ფილებისგან, ხოლო ზემოდან, ოთხხუთ რიგად დაშენებული ჰქონდათ კლდის (ან იშვიათად რიყის) სხვადასხვა ზომის ქვების წყობა. თავ-კედლებად გამოყენებული იყო კლდის ფილაქვები. სამარხები გადახურული იყო ერთიმეორეზე მიჯრილი ფილებით. გეგმაში ამ ტიპის სამარხები სწორკუთხა მოყვანილობისაა. მიცვალებულის ჩასვენება ხდებოდა დასავლეთ მხრიდან, საიდანაც იხდებოდა სახურავის ქვა. სამარხში დაკრ-

---

[16] გ. ლომთათიძე, უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები. წიგნში: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1953, გვ. 12; საქართველოს არქეოლოგია, ავტ. ა. აფაქიძე, ნ. ზ. ბერძენიშვილი, ვ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია. თბ., 1959, გვ. 377.

[17] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, ტ. I, 1955, გვ. 176, 192—195; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958, გვ. 136—149.

[18] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, არქეოლოგიური გათხრები ივრის სიონში 1962 წ., სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 79—84 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი); ბ. ჯორბენაძე, ივრის სიონის სამაროვნის დასავლეთი უბნის გათხრების შედეგები, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა შემოკლებული ტექსტები, თბ., 1964, გვ. 61—63 (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია); რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბ., 1970, გვ. 86—90.

[19] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ქალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის ანგარიში, XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 4 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი).

[20] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 21 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი); В. А. Джорбенадзе, Археологические памятники феодальной эпохи в бассейне среднего течения Иори (Восточная Грузия), Пленум Института археологии 1966 г., Секция археология Кавказа (тезисы докладов), М., 1966, с. 16. (Институт археологии); ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე, მაცნე, 1968, № 2, გვ. 226; რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, მაცნე, ისტორიის... სერია, 1978, № 1, გვ. 149.

[21] Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Работы в окрестностях с. Матани, АО, 1970 (1971), с. 368; კ. ფიცხელაური, თ. ბუგიანიშვილი, შ. დედაბრიშვილი, რ. რამიშვილი, მ. უზუნაშვილი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 41 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

[22] ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშაობ-ს წინასწარი შედეგები), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 65—66.

[23] ლ. ჭილაშვილი, ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (1970-71 წწ. ანგარიში), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 119—129; მისივე, ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1975, გვ. 44—74.

ძალული იყო ორიდან ათ მიცვალებულამდე. ამოშენებულკედლიანი სამარხები გვხვდება არმაზისხევის[24] და სამთავროს[25] ადრეშუასაუკუნეების სამარხებს შორის. ანალოგიური სამარხები ცნობილია ივრის სიონის სამაროვნის შუასაუკუნეების ფენაში[26].

მეტად მრავალრიცხოვან ტიპს წარმოადგენენ საოჯახო აკლდამები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიწისქვეშა და მიწისზედა აკლდამები ცნობილია ფშავ-ხევსურეთში[27], ერწო-თიანეთში[28], ხევში[29] და სხვ.. რომლებიც არქეოლოგიურად მეტნაკლებადაა შესწავლილი. ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე აკლდამები თანაარსებობდნენ სხვა ტიპის სამარხებთან ერთად და წარმოადგენდნენ საკმაოდ საყურადღებო მიწისქვეშა ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. აკლდამები გეგმაში მოგრძო, ოვალური მოყვანილობისაა, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით. კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის კლდის ბრტყელი და კვადრატული ქვებით (5—10 რიგად) ტალახზე ან იშვიათად დუღაბზე. აკლდამის სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების ზედა სამი-ოთხი რიგის ქვები მცირე საფეხურებად გამოწეული იყო შიგნით, რითაც იქმნებოდა სახურავის ფილაქვების საყრდენი — ცრუ თაღი. გადახურვაში გამოყენებული იყო კარგად შერჩეული სხვადასხვა ზომის ფილები, ხოლო მათ შორის თავისუფალი ადგილი შევსებულია კლდის ან რიყის წვრილი ქვებით. დასავლეთი კედელი სწორად იყო ამოყვანილი, რადგან ამ მხრიდან ხდებოდა ჩასვენება. ამავე კედელში, ზოგ შემთხვევაში, დატანებული იყო ქვის ერთიორი საფეხური. ზოგ აკლდამაში მიწა ძალზე ცოტაა ჩასული. მიცვალებულთა რაოდენობა მერყეობს 10-დან 30-მდე.

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე გათხრილი სამარხები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, რაც დამახა-

---

[24] М ц х е т а, Итоги археологических исследований, I, Археологические памятники Армазис-хеви. По раскопкам 1937—1946 гг., Тб., 1958, с. 21, 153, табл. XCV, 3; CXII, 2, 6. Авт.: А. М. А п а к и д з е, Г. Ф. Г о б е д ж и ш в и л и, А. Н. К а л а н д а д з е, Г. А. Л о м т а т и д з е.

[25] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე. ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 14.

[26] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

[27] П. С. У в а р о в а, Указ. соч., с. 22; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, ტფილისი, 1935, გვ. 218—222; ილ; გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 62—63; რ. ხ ა რ ა ძ ე, პირქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში, ენიმკი-ს მოამბე, 1941, ტ. 11, გვ. 27—29, სურ. 4; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი მთიელების უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ტაძარი და აკლდამა), ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1970, გვ. 19—20 (საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი); Д. Г. Г и о р г а д з е, Подземные погребения в горных районах Восточной Грузии (По этнографическим данным восточногрузинских горцев), Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических и этнографических исследований 1970 г., Тезисы докладов (секция этнографии, фольклора и антропологии), Тб., 1971, с. 116—117 (АН СССР. АН ГССР); Ё ё ж е, Культ мертвых в горной Восточной Грузии (по этнографическим материалам), Автореф. Тб., 1977, с. 20—22.

[28] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ერწოს ველის..., გვ. 21.

[29] ჟინვალის ექსპედიციის ერთმა რაზმმა (გ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე) ყაზბეგის რაიონში შეისწავლა რამდენიმე აკლდამა, რომლებიც ზოგადად ემსგავსებიან ჟინვალურ აკლდამებს. იხ. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში., დასახ. ნაშრ., გვ. 87—88.

სიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის[30]. მიცვალებულები წვანან გულხელდაკრეფით, ანდა ხელებჩამოშვებით, თავით დასავლეთით, ხოლო პირ-სახით აღმოსავლეთისკენ. ორმოსამარხებში და ქვისსამარხებში დაკრძალულია თითო-ორი მიცვალებული, იშვიათად სამი. საოჯახო სამარხებში (ამოშენებულკედლიანი და აკლდამები), როგორც წესი, წინამორბედთა ძვლები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთ მხარეს, ხოლო უკანასკნელი მიცვალებული ასვენია გაშოტილი (თუ სამარხი არაა ძველ დროსვე გასინჯული).

სამარხებში შეგროვილი თავის ქალებიდან კრანიოლოგიური შესწავლისათვის ვარგისია 38 ერთეული.

აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ შეცვალა ის შეხედულება, რომ შუასაუკუნეების სამარხები უინვენტაროა, ან მცირეინვენტარიანი. საყურადღებო მასალებია აღმოჩენილი რუსთავის სამაროვანზე[31], სვეტიცხოვლის ეზოში[32], ს. უჯარმის მიდამოებში[33], ივრის სიონში[34], მაგრანეთში[35], მატანში[36], ძველ გავაზში[37], დმანისში[38] და სხვა.

საკმაოდ უხვად იყო ინვენტარიანი სამარხები ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზეც. სამარხეულ კომპლექსში შეგვხვდა: თიხის ორყურა სასმისი; მინის ფლაკონის ყელ-ყურის ნაწილები და ჭურჭლის ნატეხები; მინის სამაჯურები, ღილები, მძივები; რკინის სამაჯურები, აბზინდები და ლურსმნები; ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები (მათ შორის თვალბუდიანები), საყურეები, რგოლები, ვირთო ფირფიტები, ძეწკვები, ღილები, მძივი, ხვია, ეჟვანი; ვერცხლის ბეჭდები, საყურეები და ხვია; ოქროს საყურე და ბეჭედი; სარდიონის მძივები; ფაიანსის მძივი; ქსოვილის ნაშთი.

სამარხეული ინვენტარი მეტწილად წარმოდგენილია სამკაულებით და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით. გამონაკლისის სახით გვხვდება საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების საგნები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სამარხში, განსაკუთრებით მათში, რომლებიც მდებარეობდნენ სამაროვნის სამხრეთ ნაწილში, მოხვედრილია თიხის ჭურჭლის ნატეხები. ისინი არ წარმოადგენენ სამარხეულ ინვენტარს და მიეკუთვნებიან იქვე მდებარე თანადროულ ნაქალაქარს.

რუსთავისა[39] და ივრის სიონის[40] სამარხებთან შედარებით, სადაც მრა-

---

[30] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის..., გვ. 176, 193; ლ. ჰილაშვილი, ქალაქი რუსთავი..., გვ. 137; რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 90; ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 66; ლ. ჰილაშვილი, ძველი გავაზი..., გვ. 45—54.

[31] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192—195; Его же, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, СА, 1957, т. 27, с. 283—284; ლ. ჰილაშვილი, ქალაქი რუსთავი..., გვ. 138—149.

[32] Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки..., с. 101.

[33] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 377.

[34] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91—129.

[35] ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის..., გვ. 225—226.

[36] Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, указ. соч., с. 368.

[37] ლ. ჰილაშვილი, ახალსოფლის..., გვ. 119—129; მისივე, ძველი გავაზი..., გვ. 44—74.

[38] ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[39] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის..., გვ. 193; ლ. ჰილაშვილი, ქალაქი რუსთავი..., გვ. 139.

[40] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92—99.

ვალფეროვანი თიხის ნაწარმია აღმოჩენილი, ჟინვალის სამაროვნიდან ჯერჯერობით ერთადერთი თიხის სასმისია ცნობილი. სასმისი (ტაბ. LXIV, 1) მოვარდისფროდ გამომწვარია. აქვს მრგვალი პირი, დაბალი ყელი, კოპებით შემკული მუცელი, თავმორკალული ბრტყელი ორი ყური, ბრტყელი ძირი. აღნიშნული სასმისი ემსგავსება ივრის სიონში აღმოჩენილ მცირე, თხელკედლიან ჭურჭლებს და განსხვავდებიან მხოლოდ პირის მოყვანილობით [41].

მსგავსი, ე. წ. „ფერმკრთალი" ჭურჭლები ცნობილია რუსთავიდან [42], იყალთოდან [43] და XI—XIII სს. თარიღდებიან.

მინის ჭურჭლის ნატეხებს შორის არის ფლაკონის ყელ-ყურის ნაწილი ძირითურთ (ტაბ. LXXIX), რომელსაც აქვს მაღალი ყელი ორი გამობერილი წიბოთი, შეზნექილი ძირი და ყელის ქვედა წიბოზე და მუცელზე დამაგრებული შვერილიანი ყური. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია რუსთავში [44], ნატბეურში [45], ივრის სიონში [46], ძველ გავაზში [47], ნოვოროსიისკის მახლობლად სტანიცა რაევსკაიასთან [48], სოხუმში [49], ს. მიხელრიპში (გაგრის რაიონი) [50], აბაათის ციხის ეზოში (ს. ლიხნი, გუდაუთას რაიონი) [51], დვინში (სომხეთი) [52] და სხვ. რუსთავის მინის შემსწავლელი მ. ჩხატარაშვილი აღნიშნავს: „...მინიატურულ ჭურჭლებს პირფარეშობასთან დაკავშირებული, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური და

---

[41] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, ტაბ. XXIX (№№ 115, 149, 189).

[42] მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის შუა საუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, მაცნე, 1964, № 5, გვ. 172—173, ტაბ. IV, სურ. 8.

[43] რ. რამიშვილი, გ. ჭეიშვილი, აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს, წიგნში: XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967, გვ. 87 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

[44] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის..., გვ. 194, ტაბ. XXI, 1; ლ. ჰილაშვილი, ქალაქი რუსთავი..., გვ. 142, ტაბ. XXVII, 2; საქართველოს არქეოლოგია, გვ. 371, ტაბ. XXXV, 6; საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროდან XIX საუკუნის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 172, ტაბ. სათაურის წინ. ავტ.: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი; История Грузии, I, С древнейших времен до 60-х годов XIX века, Учебное пособие, Тб., 1962, с. 175, табл. Перед заг. авт.: Н. А. Бердзенишвили, В. Д. Доидуа, М. К. Думбадзе, Г. А. Меликишвили, Ш. А. Месхиа.

[45] ნ. უგრელიძე, ნატბეურის მინის საწარმო, მსკა, 1963, ტ. III, გვ. 64.

[46] რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102, ტაბ. XXI, XXXII.

[47] ლ. ჰილაშვილი, ახალსოფლის..., გვ. 128, სურ. 12; მისივე, ძველი გავაზი..., გვ. 56—57, ტაბ. LIII.

[48] В. Сизов, Востсчное побережье Черного моря, Археологические экскурсии, МАК, 1889, вып. II, с. 94, 100, 149, табл. XXVI, рис. 5.

[49] В. Сизов, указ. соч., с. 9, 29, 38, 54—55, табл. VI, рис. 9, 10.

[50] Г. К. Шамба, Археологические разведки 1967 года в Гагреском районе, МАНА, 1974, с. 62—64; табл. 20, рис. 5.

[51] ლ. შერვაშიძის მოხსენება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე მიძღვნილი 1974 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, Л. А. Шервашидзе, Работы в Гудаутском районе Абхазии, АО, 1974 (1975), с. 464.

[52] Р. М. Джанполадян, Средневековое стекло Двина IX—XIII вв., Ереван, 1974, с. 66; табл. XIX.

სააფთიაქო დანიშნულება ჰქონდა“ [53]. და ვარაუდობს, რომ „...აღნიშნული ფლაკონი ზოგადად XII—XIII სს. უფრო კი XIII ს. უნდა მივაკუთვნოთ“ [54].

ჩვენი აზრით, ჟინვალური ფლაკონიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

სამაროვანზე აღმოჩენილი მინის სამაჯურები დამზადებულია შავი, ლურჯი, მწვანე და მოთაფლისფრო მინისგან. ისინი გამოირჩევიან თავისი ფორმით და შემკულობით. სამაჯურები გვხვდება სადა, მრგვალგანივკვეთიანი, წვრილად და მსხვილად გრეხილი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, დაღარულზედაპირიანი. ღეროს შეერთების ადგილი ან დაბრტყელებულია, ან რამდენიმე კბილადაა დაკეჭნილი. აღნიშნული სამაჯურები ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ ანალოგიურ ნივთებს და XI—XIII სს-ით თარიღდება [55]

ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე აღმოჩენილი სხვა ინვენტარიც (რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამკაულები) ძალიან ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურ მასალებს და, განსაკუთრებით, ივრის სიონის სამაროვანს. ყოველივე საფუძველს იძლევა აღნიშნული სამაროვანი ზოგადად XI—XIV სს. დავათარიღოთ. არაა გამორიცხული, რომ შემდგომი კვლევა-ძიება საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ სამარხების თარიღის დიფერენციაცია.

ზემოთ შევეცადეთ მოკლედ მოგვეცა სამარხებისა და ნივთების დახასიათება და ზოგადად დაგვედგინა მათი თარიღი. გათხრების პირველმა წელმა დაგვანახა, რომ ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი მეტად პერსპექტიული ძეგლია და მისი შემდგომი შესწავლა ბევრ ახალს შეგვძენს მთისა და ბარის საზღვარზე აღმოცენებული ქალაქი ჟინვანის ისტორიის გასარკვევად, რომლის სასაფლაოსაც ის წარმოადგენდა.

გარდა სამარხებისა, ნაქალაქარის სამაროვანზე გასუფთავდა პირველი ეკლესია და გაითხარა ნაგებობის ნანგრევები.

პირველი ეკლესია [56] წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ნაგებობას ბრტყე-

---

[53] გ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 148; ტაბ. II, 3, 4.

[54] გ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში..., გვ. 149.

[55] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის..., გვ. 194; ტაბ. XVIII, 1; ტაბ. XIX, 2; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი..., გვ. 140; ტაბ. XXXIII; Г. А. Ломтатидзе, указ. соч., с. 101; ზ. მჭედლიშვილი, ერეკლე II სახელობის მოედანზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მინის სამაჯურები და მათი ექსპოზიციაში ჩვენების საკითხი, ქალაქ თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის I სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1960, გვ. 13—14; ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, გვ. 11—13; ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 53—54; ბ. ჯორბენაძე, შუაფეოდალური ხანის მინის ნაწარმი ივრის სიონის სამაროვნიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), თბ., 1968, გვ. 18—19; რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103—105; რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები, მუზეუმის მოამბე, 1969, ტ. XXVIII—B, გვ. 98—115; მ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში..., გვ. 150; ლ. ჭილაშვილი, ახალსოფლის..., გვ. 128; სურ. 12; ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი..., გვ. 57—59, ტაბ. LVIII—LX, LXII.

[56] ბ. ჯორბენაძე, ჯ. წიკლაური, „ნაქალაქარის“ სამაროვნის..., გვ. 32; კ. წერეთელი, ჟინვალისა და მისი მიდამოების საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975, გვ.

ლი აფსიდით, რომელიც კუთხეებში ოდნავ მომრგვალებულია. ნაგებობა გეგმით წაგრძელებული მართკუთხედია და რამდენადმე პარალელოგრამს უახლოვდება (ტაბ. LVI, 1).

აფსიდის ჩრდილოეთ კედელში დატანებულია მართკუთხა მოყვანილობის ნიშა (ტაბ. LXXXIII, 2), რომლის სიგანე — 0,3 მ, სიმაღლე — 0,34 მ. ნიშა „გადახურულია" მთლიანი ბრტყელი ქვით. მის მოპირდაპირე სამხრეთ კედელში დატანებულია ისეთივე მოყვანილობის მეორე ნიშა, რომლის სიგანეა — 0,31 მ, სიმაღლე — 0,4 მ.

ეკლესიას ჰქონია ორი სარკმელი. სანახევროდ შემორჩენილია სამხრეთ კედელში დატანებული სარკმელი (ტაბ. LXXXIV, 1), რომლის სიგანე 0,4 მ-ია. მეორე სარკმელი დატანებული ყოფილა აღმოსავლეთ კედელში.

ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის გარეთ თხრისას აღმოჩნდა დამუშავებული შირიმის ქვები, რომლებიც, ალბათ, წარმოადგენდნენ აღმოსავლეთა სარკმელის თავსართს. თავსართი შედგებოდა შირიმის მთლიანი ფილისგან (ტაბ. LXXXIV, 2), რომელიც ამჟამად გატეხილია სამად. ფილის სიმაღლე — 0,7 მ. სიგანე — 0,88 მ. სარკმელი მოგრძოა, ხოლო ზედა ნაწილი მომრგვალებული აქვს. მისი შემორჩენილი სიმაღლე — 0,32 მ, სიგანე — 0,14 მ. სარკმლის თავსართი ხასიათდება განზე გაწზიდული მკლავებით, რაც ძირითადად დამახასიათებელია ადრე შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებისათვის.

დარბაზისგან საკურთხეველი გამოყოფილი იყო ვერტიკალურად ერთიმეორის გვერდით მიდგმული კლდის შვიდი ფილით (ტაბ. LXXXV, 1), რომელიც აბსიდის ხარისხს წარმოადგენს. ფილები სხვადასხვა ზომისაა. დიდი ფილის სიგრძე — 0,58 მ, სიგანე — 0,4 მ, სისქე — 0,14 მ. პატარის—სიგრძე — 0,17 მ. სიგანე — 0,25 მ, სისქე — 0,16 მ.

აბსიდის ხარისხის წინ შუაში შემორჩენილია საფეხურის ორი ქვა (ტაბ. LXXXV, 1), რომლებიც ერთიმეორის გვერდით ელაგა. საფეხურის სიგრძე — 0,7 მ, სიგანე — 0,3 მ.

საკურთხევლის სიგანე — 3,35 მ, სიღრმე — 1,55 მ. საკურთხეველში უწესრიგოდ ეყარა სხვადასხვა ზომის კლდის ქვები, რომელთა შორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გვერდზე იდო პატარა ქვევრი (ტაბ. LXXXV, 1) [57].

ეკლესიის კედლები არათანაბარ სიმაღლეზეა შემორჩენილი და ამოყვანილია სხვადასხვა ზომის კვადრატული და ბრტყელი ქვებით (ტაბ. LXXXIV, 1) დუღაბზე. კედლები შედგება ორი პირი წყობისგან შუაში ხურდა ქვით (რიყის და კლდის წვრილი ქვები). ფასადის ქვები შედარებით კარგადაა დამუშავებული.

ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 2,1 მ-ია, სამხრეთისა — 3,3 მ. ჩრდილოეთი კედლის სისქე — 0,75 მ, აღმოსავლეთისა — 1 მ, სამხრეთის — 0,8 მ, დასავლეთის — 0,61—0,68 მ.

ჩრდილოეთი კედლის ძირას შემორჩენილია ხარისხი (ტაბ. LXXXVI, 1), რომელიც შედგება ერთიმეორის გვერდით ვერტიკალურად დალაგებული ქვე-

---

52—54; ბ. ჯორბენაძე, კ. წერეთელი, ჟინვალის „ნაქალაქარის" სამაროვნის ეკლესიები, ძეგლის მეგობარი, 1979, № 49, გვ. 8—12.

[57] ქვევრი (№ 813) შემორჩენილია სანახევროდ, გამომწვარია მოყავისფროდ. აქვს ბრტყელი ბაკო, ოდნავ გადაშლილი პირი, სფერული მუცელი, ბრტყელი ძირი. ქვევრის ბაკოზე ორი ჯვარია ამოღარული (ტაბ. LXXXV, 2), ხოლო გვერდზე კიდევ ერთი ჯვარია დაძერწილი. ქვევრის სიმაღლე — 68 სმ, პირის დიამეტრი—22 სმ, ბაკოს სიგანე—4 სმ, მუცლის დიამეტრი — 42 სმ, ძირისა — 13 სმ, კედის სისქე — 1,3 სმ.

ბისგან. ქვებსა და კედელს შორის თავისუფალი ადგილი შევსებულია მიწით და ზევიდან გადალესილია კირით. ხარისხის სიმაღლე — 0,3—0,35 მ, სიგანე — 0,38 მ.

ეკლესიის დარბაზის სიგრძე — 4,35 მ, სიგანე — 3,65 მ.

ეკლესია შიგნიდან შელესილი ყოფილა კირხსნარით, რომელიც საკურთხევლის სამხრეთ კედელზე უკეთაა შემორჩენილი.

დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია კირხსნარიანი იატაკის ნაშთი (ტაბ. LXXXVI, 1).

ეკლესიას კარები დასავლეთიდან აქვს. კარების ზღურბლზე დევს ზუსტად მისი სიგრძისა და სისქის ბრტყელი დიდი ქვა (ტაბ. LXXXVI, 1). კარების სიგანე — 0,66 მ. კარის წირთხლის ჩრდილოეთი მხარე ნაოთხალია, სამხრეთისა კი მოროვეულია.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე გარედან კარების ორივე მხარეს მიშენებულია კონტრფორსები (ტაბ. LXXXIII, 2) ალბათ ეკლესიის გასამაგრებლად. კონტრფორსები გეგმაში ტრაპეციული ფორმისაა (ტაბ. LVI, 1).

ნაგებია კლდის ქვებით მტკიცე დუღაბზე. ქვები კარგად დამუშავებულია. ჩრდილოეთ კონტრფორსის სიგრძე 1,6 მ (ჩრდილოეთიდან სამხრეთით), სიგანე — 1,58 მ (დასავლეთიდან აღმოსავლეთით), სიმაღლე — 1,45 მ. სამხრეთი კონტრფორსის სიგრძე — 1,7 მ (დასავლეთიდან აღმოსავლეთით), სიგანე — 1,45 მ (ჩრდილოეთიდან სამხრეთით), სიმაღლე — 1,36 მ.

ეკლესიის კედლები დაფუძნებულია ცოკოლზე, რომელიც ნაგებია შედარებით დიდრონი ბრტყელი ქვებით (ტაბ. LXXVI, 1; LXXXVII, 1).

ეკლესიის კონსტრუქციულ ნაწილებში საკმაოდ უხვად ყოფილა გამოყენებული შირიმის ქვები, რაც დასტურდება თხრისას მოპოვებული მასალით (ტაბ. LXXXVI, 2).

ეკლესიის თხრისას გამოვლენილი კრამიტების მიხედვით ირკვევა, რომ შენობა სხვადასხვა პერიოდში გადახურული ყოფილა მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტით.

ეკლესიის სამხრეთ კედელზე გარედან მოგვიანებით მიდგმული ყოფილა მინაშენი, რომლისგანაც მარტო ქვედა წყობაა შემორჩენილი. მინაშენს აღმოსავლეთიდან აქვს ნახევარწრიული პატარა აფსიდა (ტაბ. LXXXVII, 1). აფსიდის კედლის შიგნითა პირი ამოყვანილია პატარა ზომის კვადრატული ქვებით, რომელზედაც შემორჩენილია შელესილობა.

ყველაზე კარგად გამოვლენილია მინაშენის დასავლეთი კედელი, რომელიც გარედან ძირამდეა გათხრილი. კედელი ნაგებია ორი პირი წყობით, შუაში ხურდა ქვით, დუღაბზე. მისი შემორჩენილი სიმაღლე 0,9 მ-ია, სისქე — 0, 73 მ.

მინაშენის დასავლეთი კედლის ძირობაზე გამოვლინდა დუღაბით დაკავშირებული ხარისხი, რომლის სიმაღლეა 0,28 მ, სიგანე — 0,25 მ.

მინაშენის სიგრძე აფსიდასთან ერთად 6,45 მ, სიგანე — 2,2 მ.

მინაშენის სამხრეთი კედლის შუაში დატანებულია 0,65 მ სიგანის კარები და ეკლესიისგან სრულიად იზოლირებულია.

მინაშენის გადახურვის ხასიათი გაურკვეველია.

პირველი ეკლესია, რომლის საძირკვლის ქვეშ ნაწილობრივ მოქცეულია შუასაუკუნეების (XII—XIII სს.) სამარხები, ალბათ, აგებული უნდა ყოფილიყო XIII საუკუნის მიწურულისათვის.

ეკლესიის სამხრეთით თხრისას გამოვლინდა ნაგებობის კედლები (ტაბ.

LVI, 1). შემოიხაზა ერთი ოთხკუთხა სათავსო, რომელიც მთლიანად გაითხარა. მისი სიგრძე სამხრეთიდან ჩრდილოეთით 4,8 მ, სიგანე დასავლეთიდან აღმოსავლეთით — 4,5 მ.

№ 1 სათავსოს კედლები ნაგებია ორპირი წყობით, შუაში ხურდა ქვით, დუღაბზე. შემორჩენილია წყობის 6—7 რიგი. გამოყენებულია კლდის ბრტყელი და კვადრატული ქვები (ტაბ. LXXX, 3; LXXXI, 1).

უნდა აღინიშნოს, რომ სათავსო № 1-ის ჩრდილოეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების შიგნითა მხარე წყობის ხასიათით განსხვავდებიან სამხრეთი კედლის შიგნითა პირისგან. კედლების სიგანეა 0,75 მ. შემორჩენილი სიმაღლე — 1 მ.

№ 1 სათავსოს შიგნით გამოვლინდა ორ სართულად განლაგებული სამარხები. I სართულს, ზედა, მიეკუთვნება: № 43 სამარხი, რომელიც მიშენებული იყო სამხრეთ კედელზე, № 44 სამარხი, მდებარე სათავსოს შუაში და № 81 სამარხი (ტაბ. LVI, 1), რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლით მიშენებული იყო სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე (ტაბ. LXXX, 3). II სართულს კი განეკუთვნება № 84 სამარხი, რომელიც სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია მოქცეული და იატაკის დონის ქვევითაა (ტაბ. LXXXI, 1).

№ 1 სათავსოს და სამარხების სტრატიგრაფიის შესწავლით შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ნაგებობა ადრეულია, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ, შიგნით აუგიათ სამარხები.

№ 1 სათავსოს ჩრდილოეთ კედელზე, გარედან, მის პერპენდიკულარულად, მიდგმულია კედელი, რომელიც მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთით. კედელი შედგება ორპირი წყობისგან, შუაში ხურდა ქვით. შემორჩენილი სიგრძე 2 მ, სიგანე — 0,55 მ. კედელი ჩაჭრილია № 70 სამარხის მიერ (ტაბ. LXXXVII, 2).

№ 1 სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე, გარედან, მიდგმულია კედელი მიმართული დასავლეთით (ტაბ. LVI, 1). კედელი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და წყობის ხასიათით განსხვავდება № 1 სათავსოს წყობისგან.

სამაროვანზე კიდევ ერთ ადგილას № 51 სამარხის სამხრეთი კედლის გარეთ, მის პარალელურად, შემორჩენილია კედლის ნაშთი (ტაბ. LXVI, 1). კედელი შედგება ტალახზე ნაგები ორპირი წყობისგან, შუაში ხურდა ქვით. გამოყენებულია საშუალო ზომის ბრტყელი და კვადრატული კლდის ფილები და რიყის ქვები. კედლის შემორჩენილი ზედაპირი და № 51 სამარხის კედლის ზედაპირი ერთ დონეზეა. კედლის შემორჩენილი სიგრძე 3,4 მ, სიმაღლე — 0,65 მ, სისქე — 0,7 მ.

როგორც ირკვევა ამ ადგილასაც სამაროვნის არსებობამდე ყოფილა ნაგებობა, რომლის გაუქმების შემდეგ კედლებს შორის ჩაუდგამთ სამარხები.

В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

РАСКОПКИ ЖИНВАЛЬСКОГО МОГИЛЬНИКА НАКАЛАКАРИ В 1972 г.

Резюме

Табл. LVI—LXXXVII

В 1972 году Жинвальская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии имени И. А. Джавахишвили начала стационарные раскопки могильника Накалакари (III участок), рас-

положенного у слияния двух Арагви, вдоль дороги Жинвали — Барисахо, на покатой к Пшавской Арагви полянке. Там были зафиксированы остатки двух церквей и большого склепа.

Около лучше сохранившейся церкви, именуемой условно первой, раскопано 94 индивидуальных и семейных погребения, среди которых 38—с инвентарем.

Первая кампания раскопок показала, что могильник Накалакари представляет собой весьма интересный памятник, который выделяется многообразием типов погребений и разнообразием инвентаря.

В статье рассмотрены все инвентарные погребения, которые дают возможность по-новому судить об экономическом быте жинвальцев в средневековье, о вещественной культуре и погребальном обряде. Кроме того, изучены архитектурные памятники, выявленные на могильнике.

На могильнике по устройству и применению строительного материала выделяются четыре типа погребений:

1. Небольшую группу представляют христианские грунтовые погребения (№ 13, 14), в которых захоронено по одному покойнику. Погребения расположены в верхних слоях и сильно потревожены. В эту же группу объединены и те два погребения (№4-а и № 50), которые были расположены в пространстве между погребениями и не имели своих стен.

2. Продольные стены погребений в каменных ящиках (№№ 2, 9, 16, 25, 41, 52, 62 и др.) состоят из плитняков в один-два ряда, приставленных друг к другу, а поперечные — из одного камня. В некоторых случаях в кладке использованы булыжные камни. Встречаются погребения с цельными продольными стенами. Перекрыты они несколькими плитами. Погребения содержали по одному-два, редко три костяка. Внутренняя длина погребений 1,6 — 1,7 м, ширина—0,5 м. Погребения таких типов известны среди памятников развитого средневековья в Восточной Грузии: Болниси, Мцхета, Уджарма, Рустави, Сиони (Иорское ущелье), Жалети, долина Эрцо, Матани, Дманиси, Дзвели Гавази и др.

3. Многочисленны семейные погребения со стенами в виде каменной кладки (№№ 12, 17, 23, 27, 58, 59, 90 и др.). Продольные стены в нижней части состоят из плит, приставленных друг к другу вертикально, а сверху уложена кладка в 4—5 рядов из овальных (иногда булыжных) камней разных размеров. В поперечных стенах использованы скальные плиты. Они перекрыты приставленными друг к другу каменными плитами. В плане такие погребения прямоугольные. Захоронение происходило с западной стороны, где приподнимался камень перекрытия. В одном погребении находилось от двух до десяти скелетов. Внутренняя длина погребений 2 — 2,4 м, ширина — 0,5 — 0,6 м, глубина — 0,5—0,7 м. Аналогичные погребения встречаются среди раннесредневековых погребений Армазис-хеви и Самтавро, а также в слоях развитого средневековья на Сионском могильнике (Иорское ущелье).

4. Весьма интересную группу представляют семейные склепы (№№ 1, 46, 56, 60, 65, 84 и др.), стены которых возведены из плоских и квадратных камней разных размеров (7—10 рядов). Применен земляной раствор, а иногда и известковый. Верхние три-четыре ряда южной, восточной и северной стен склепа выдвинуты малыми ступеньками во внутрь, и этим создается опора для перекрытия. Западная стена возведена ровно, т. к. отсюда происходило захоронение. В этой стене иногда встречаются одна-две каменные ступени. Склепы в плане имеют форму, близкую к прямоугольнику, со слегка закругленными углами. Перекрытие состоит из хорошо подобранных каменных плит разных размеров, а пространство между ними заполнено мелкими ска-

льными или булыжными камнями. Некоторые склепы частично заполнены землей. Число скелетов колеблется от 10 до 30. Внутренняя длина 2,4—2,8 м, ширина — 1,5—1,7 м, глубина 1,5—1,7 м. В Восточной Грузии склепы известны в Пшав-Хевсурети, Эрцо-Тианети, Хеви и других местах.

Погребения, раскопанные в Жинвали на могильнике Накалакари, расположены плотно, а в некоторых случаях в два яруса. Ориентированы они с запада на восток. Обряд захоронения христианский, характерный для погребений этого периода (Мцхета, Рустави, Сиони, Матани, Дзвели Гавази и др.). Скелеты лежат в вытянутом положении со скрещенными на груди руками и головой на запад. В семейных погребениях, как правило, кости погребенных ранее покойников сдвинуты в восточную сторону, а последний скелет лежит в вытянутом положении (если погребение не потревожено в свое время).

Погребальный инвентарь представлен: глиняным двуручным сосудом розоватого обжига; частью стеклянного флакона с ручкой (парфюмерно-аптечного назначения) и обломками стеклянного сосуда; стеклянными браслетами, пуговицами и бусами; железными браслетами, пряжками и гвоздями; бронзовыми браслетами, перстнями, серьгами, кольцами, цепочками, узкими пластинками, пуговицами, бусами, спиралью, бубенчиком; серебряными перстнями, серьгами, спиралью; золотыми перстнем и серьгой; сердоликовыми бусами; фаянсовой бусой; остатком ткани.

Погребальный инвентарь в основном состоит из украшений и предметов одежды. В виде исключения встречаются предметы домашнего быта. В некоторых погребениях, особенно расположенных в южной части, обнаружены обломки поливной и неполивной керамики, которые относятся к близлежащему городищу.

Погребальный инвентарь схож с аналогичными материалами, обнаруженными в Рустави, Сиони (Иорское ущелье), Тбилиси, Мцхета, Натбеури, Дзвели Гавази, Икалто, долине Эрцо, Уджарме, Абхазии, Двине и в других местах, что дает возможность датировать указанный могильник в основном XI—XIV вв. Не исключено, что при дальнейшем исследовании могильника можно будет дифференцировать датировку погребений.

Как было указано выше, на могильнике расчищена первая церковь и раскопаны остатки сооружений.

Первая церковь представляет собой сооружение зального типа с плоской, слегка закругленной в углах абсидой. В плане она имеет форму удлиненного прямоугольника, несколько приближающегося к параллелограмму. В северной и южной стенах абсиды устроены прямоугольные ниши. В восточной и южной стенах церкви прорезаны окна.

Абсида отделена от зала скальными плитами, приставленными друг к другу вертикально. Зал церкви связан с алтарем двумя ступеньками. Стены церкви внутри были оштукатурены известковым раствором. В северо-восточном углу зала церкви сохранились остатки известкового пола. Стены церкви сохранились лишь наполовину и возведены скальными квадратными и плоскими камнями на известковом растворе. Вход в церковь с западной стороны, где с двух сторон пристроены контрфорсы трапециевидной формы.

Внутренняя длина церкви — 5,9 м, ширина — 3,65 м. У южной стены снаружи имеется поздняя пристройка с полукруглой абсидой и с входом с южной стороны. Первая церковь, под фундаментом которой частично находятся средневековые (XII—XIII вв.) погребения, наверное, была возведена к концу XIII века.

К югу от первой церкви выявлены стены сооружений. Раскопано

одно помещение (№ 1), стены которого состоят из двусторонней кладки, заполненной битым камнем. В кладке использованы плоские и квадратные скальные камни, скрепленные известковым раствором. Вход в помещение в южной части западной стены. Длина помещения —4, 8 м, ширина — 4,5 м. Толщина стен — 0,75 м, а их сохранившаяся высота — 1 м. Внутри помещения обнаружены погребения, расположенные в два яруса. Изучение стратиграфии помещения № 1 и погребений дает возможность предположить, что помещение более раннее, а после его упразднения внутри были возведены погребения.

ირ. ჯალაღანია

XIII საუკუნის მეორე ნახევრის მონღოლური ფულის განძი ჟინვალის ხერთვისიდან

1971 წლის მარტის შუა რიცხვებში, ჟინვალიდან 2 კმ მოშორებით, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ხერთვისზე ტყის პირას ყამირის გატეხვის დროს, ჟინვალის მცხოვრებმა სიმონ ჯარიაშვილმა იპოვნა ვერცხლის ფულით სავსე თიხის კოჭობი (რომელიც დაიმტვრა). მონეტები მოსახლეობამ დაინაწილა, მაგრამ დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ირაკლი ბედუკაძისა და მპოვნელის სიმონ ჯარიაშვილის მეცადინეობით მოხერხდა 74 ცალის შეგროვება[1]. განძის რაღაც ნაწილი მაინც ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში დარჩა. ეს გარემოება ნაწილობრივ პირობითს ხდის ჩვენს მსჯელობას მის შესახებ.

განძის შეგროვილი ნაწილი შეიცავს 74 ვერცხლის მონეტას. აქედან 70 ცალი მოჭრილია საქართველოში (თბილისში), XIII ს. მეორე ნახევარში, ჩვენში მონღოლთა ბატონობის ხანაში. ამ დროს თბილისის ზარაფხანა ძალიან ინტენსიურად მუშაობდა და დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის ფულსაც ჭრიდა. განსახილველ განძშიც რამდენიმე სხვადასხვა სახის ფულია თავმოყრილი.

განძში შემავალი მონეტებიდან უადრესი მოჭრილია 1261 — 1264 წწ. შორის, ხოლო უგვიანესი — 1290 წლამდე და, ამრიგად, განძის ჩამარხვის თარიღად XIII ს. ბოლო უნდა ვივარაუდოთ. განძის შემადგენლობა საკმაოდ კომპაქტურია და ყველა მონეტა სულ 30-ოდე წლის განმავლობაშია მოჭრილი.

XIII ს. შუა წლებისათვის სამხრეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მონღოლ-ჰულაგუიდთა სახელმწიფო, რომლის ძალაუფლება და გავლენა ძალიან საშიშო ხდება საქართველოსთვის. ქართველი მეფეების — დავით ნარინისა და დავით ულუს ყოველგვარი ცდა შეესუსტებინათ მონღოლთა ბატონობა, სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ამის შედეგი იყო ეროვნული მონეტის შოჭრის შეწყვეტაც.[2] მაგრამ ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაშიც კი საქართველოში მონღოლები ჭრიან მონეტას, რომელზედაც უშუალო სიუზერენის, ჰულაგუიდთა სახელმწიფოს მესვეურის — ჰულაგუ ხანის (ჰ. 654 — 663 = 1256 — 1265 წწ.) სახელის ნაცვლად, უზენაესი მონღოლი მფლობელის მანგუ-ყაანის (ჰ.649 —658 წწ. = 1251 — 1260 წწ.) სახელია აღნიშნული ისე, როგორც ჰერათში, ირბილში, მოსულსა და სხვა ქალაქებში მოჭრილ მონეტა-

---

[1] განძი ამჟამად დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. მის დამუშავებასა და შესწავლაში ხელისშეწყობისა და დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ირ. ბედუკაძეს.

[2] Ир. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII в., Тб., 1958, стр. 41.

ზე. მაგრამ თვით მონეტის ტიპი სრულიად ორიგინალურია და არსად, გარდა თბილისისა, არ იჭრებოდა. მონეტის Rv-ზე მოთავსებული რელიგიური სიმბოლო ფორმულირებულია მუჰამადის სახელის გარეშე „არ არის ღმერთი, გარდა ღმერთისა ერთისა, არა ყავს მას სწორი“.[3]

როდესაც 1259 წელს გარდაიცვალა დიდი ყაანი მანგუ და მის ტახტზე რამდენიმე პრეტენდენტი გამოჩნდა, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა ტახტისათვის, ილხანმა ჰულაგუმ არჩია საქართველოში მოჭრილ თავის მოხელეებზე დიდი ყაანის მხოლოდ საპატიო ტიტული მოეთავსებინა قاآن العادل „ყაანი უზენაესი“ და არა სახელი. ამრიგად, ჰ. 660 წ-დან (1261 — 1262 წწ.) საქართველოში იწყება ახალი ტიპის მონეტის მოჭრა, რომელიც მკვეთრად განირჩევა წინათ მოჭრილებისაგან, თუნდაც იმით, რომ ანონიმურია. უნდა ვიფიქროთ, რომ მიუხედავად მონღოლთა ძალაუფლებისა და გავლენის ზრდისა, ილხანებს საქართველოსთვის ანგარიშის გაწევა უხდებოდათ — როგორც მნიშვნელოვანი სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ორგანიზმისათვის.[4] სამონეტო ტიპი, შემოღებული მანგუს სიკვდილის შემდეგ, ცნობილია როგორც „ყაანური“ (მასზე მოთავსებული სიტყვა قاآن —ყაან-ის მიხედვით). უმნიშვნელო ცვლილებებით (I და II ტიპის ყაანური), ამ ტიპის მონეტები იჭრებოდა ჰ. 680 წლამდე (1279/80 წ). როგორც I, ისე II ტიპის ყაანურები მაღალი ტექნიკითა და დიდსინჯიანი ვერცხლისგან იჭრებოდა.

სადღეისოდ ცნობილია, ანონიმური მონეტები მოდის ჰ. 680 წლამდე. ჯერ კიდევ აბაღა ილხანის მმართველობაში იწყება სრულიად ახალი ტიპის მონეტის მოჭრა. სამონეტო ტიპის ამ შეცვლას საფუძვლად უდევს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები.[5]

ილხან აბაღას მეფობა ირანში მშფოთვარე იყო — გართულდა საშინაო და საგარეო ვითარება. ოქროს ურდოსა და ჰულაგუიდებს შორის მტრობა აიძულებდა აბაღას მოკავშირე ეძებნა ქრისტიან ბიზანტიაში, რომელიც, თავის მხრივ, შეწუხებული იყო ჩრდილო ულუსის მონღოლთა თავდასხმებით. არ იყო სიმშვიდე მცირე აზიაში, ფარსსა და შირაზში; გარდა გარეშე მტრებისა, მონღოლთა სახელმწიფოს ძლიერებას ემუქრებოდა გაუთავებელი შინაგანი ბრძოლები მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეთა შორის.[6]

ამგვარი იყო ილხანთა სახელმწიფოს მდგომარეობა, როდესაც დინასტიური ცვლილების გარეშე, საქართველოში მოჭრილი მონეტის ტიპი არსებითად შეიცვალა. ძნელია რაიმეს გადაჭრით მტკიცება, მაგრამ უდავოა, რომ მონეტის ტიპის შეცვლა, ერთი მხრივ, უშუალო კავშირშია ჰულაგუიდთა და ცენტრალურ მონღოლურ სახელმწიფოთა შორის კავშირის შესუსტებასთან და, მეორე მხრივ, აბაღას მისწრაფებებთან დაკავშირებოდა ქრისტიანებს (ბიზანტია, ჯვაროსანთა მცირეაზიული ქალაქები), მისი ქვეშევრდომი აჯანყებული მუსლიმანი მმართველების წინააღმდეგ.[7]

საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ პირველად ამ დროს მონეტებზე ჩნდება ილხანთა სახელები, მაგრამ ქრისტიანული ლოცვისა და ჯვრის გვერდით, ამ ტიპის მონეტის გაჩენა გამოწვეული იყო იმ დროის ის-

---

[3] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, стр. 137—138.

[4] Ир. Джалагания, op. cit., стр. 47—48.

[5] Ир. Джалагания, op. cit., стр. 53.

[6] B. Spuler, Die Mongolen in Jran, Berlin, 1955.

[7] Ир. Джалагания, op. cit., стр. 55.

ტორიული პირობებით. დაწვრილებით და საფუძვლიანად ეს მოვლენა შესწავლილი აქვს პროფ. ე. პახომოვს. აი რას წერს იგი ამის შესახებ:

«В XII—XIII вв. распространение господства мусульман временно приостановилось. Крестовые походы положили основание христианским государствам Палестины и Сирии, глубокими клиньями врезавшимся в мусульманские владения. Ту же роль играли, сохранившие вполне или отчасти свою независимость, — Грузия, Киликийская Армения, Трапезунд и др. Словом образовалась широкая черезполосная цепь христианских государств, тянувшаяся от Грузии, Киликийской Армении и латинских княжеств Палестины и Сирии, охватывавшая обломки разбитой крестоносцами Византии-Трапезунд, Никею, Константинополь и проч. шедшая далее через южную Италию и Сицилию и заканчивавшаяся мелкими государствами Испании. На всем этом обширном пространстве мусульмане и христиане находились в тесном соприкосновении между собою.

Едва стихала религиозная борьба, как недавние враги начинали искать средства к установлению равновесия и спокойствия, необходимых обеим сторонам. Заключались более или менее прочные договоры о мире и возникали оживленные торговые сношения, в помощь которым, вскоре явились особые виды чеканки: христиано-мусульманские»[8]. ამ საერთო მოვლენის კერძო გამოვლინებაა ე. წ. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის მოჭრაც.

განსახილველი განძი, ძირითადად, ზევით დეტალურად დახასიათებული სამონეტო ჯგუფებისაგან შედგება.

ა) ყაანურები I ტიპისა. ვერცხლის, 2 ცალი. (იხ. სიით № 1—2). ვიძლევით მათს ტიპობრივ აღწერილობას.

შ უ ბ ლ ი: ექვსღერძიანი როზეტი, რომლის შიგნით შექმნილ ექვსკუთხედში მოთავსებულია დიდი ყაანის ტიტული სახელის აღუნიშნავად:

قاان ყაან

العادل სამართლიანი

სტრიქონებს შორის ზოგჯერ წვრილი ორნამენტებია მოთავსებული.

ზ უ რ გ ი: ფიგურული კვადრატი დაყენებული ერთ-ერთ კუთხეზე და გარშემოვლებული წერტილოვანი რკალით. კვადრატის შიგნით მუსლიმანური სარწმუნოებრივი სიმბოლო:

لا الله ا არ არის ღმერთი

لا اللهوهدلا გარდა ღმერთისა ერთისა

شريك له არა ჰყავს მას სწორი.

მონეტის არეზე მიმობნეულია სხვადასხვა წვრილ-წვრილი ორნამენტები (ვარსკვლავები, ნასკვები, წერტილები). სეგმენტებში — მოჭრის ადგილი تفليس — თბილისი და თარიღი ჰიჯრით (660-663 წწ.)[9]

განძის ცალებზე — ერთზე იკითხება თარიღის ნაწილი سنمايبه — „ექვსასი“ (სიით №1), მეორეზე კი აგრეთვე თარიღის ნაწილი და მოჭრის ადგილი „صرب تفليس“ „იჭედა თბილისს“ (სიით № 2) (ტაბ. LXXXVIII, 1).

ბ) ყაანურები II ტიპისა. ვერცხლის, 21 ცალი. (იხ. სიით № 3—23). ეს მონეტები I ტიპის ყაანურებისაგან ძალიან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდებიან—

---

[8] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, стр. 160

[9] მ ი ს ი ვე, მითით. ნაშრ., გვ. 148—149; Ир. Джалагания, მითით. ნაშრ., გვ. 48, №31, ტაბ. III.

ზე. მაგრამ თვით მონეტის ტიპი სრულიად ორიგინალურია და არსად, გარდა თბილისისა, არ იჭრებოდა. მონეტის Rv-ზე მოთავსებული რელიგიური სიმბოლო ფორმულირებულია მუჰამადის სახელის გარეშე „არ არის ღმერთი, გარდა ღმერთისა ერთისა, არა ყავს მას სწორი“.[3]

როდესაც 1259 წელს გარდაიცვალა დიდი ყაანი მანგუ და მის ტახტზე რამდენიმე პრეტენდენტი გამოჩნდა, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა ტახტისათვის, ილხანმა ჰულაგუმ არჩია საქართველოში მოჭრილ თავის მოხეტებზე დიდი ყაანის მხოლოდ საპატიო ტიტული მოეთავსებინა قاآن العادل „ყაანი უზენაესი“ და არა სახელი. ამრიგად, ჰ. 660 წ-დან (1261 — 1262 წწ.) საქართველოში იწყება ახალი ტიპის მონეტის მოჭრა, რომელიც მკვეთრად განირჩევა წინათ მოჭრილებისაგან, თუნდაც იმით, რომ ანონიმურია. უნდა ვიფიქროთ, რომ მიუხედავად მონღოლთა ძალაუფლებისა და გავლენის ზრდისა, ილხანებს საქართველოსთვის ანგარიშის გაწევა უხდებოდათ — როგორც მნიშვნელოვანი სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ორგანიზმისათვის.[4] სამონეტო ტიპი, შემოღებული მანგუს სიკვდილის შემდეგ, ცნობილია როგორც „ყაანური“ (მასზე მოთავსებული სიტყვა قاآن —ყაან-ის მიხედვით). უმნიშვნელო ცვლილებებით (I და II ტიპის ყაანური), ამ ტიპის მოხეტები იჭრებოდა ჰ. 680 წლამდე (1279/80 წ). როგორც I, ისე II ტიპის ყაანურები მაღალი ტექნიკითა და დიდსინჯიანი ვერცხლისგან იჭრებოდა.

სადღეისოდ ცნობილია, ანონიმური მონეტები მოდის ჰ. 680 წლამდე. ჯერ კიდევ აბაღა ილხანის მმართველობაში იწყება სრულიად ახალი ტიპის მონეტის მოჭრა. სამონეტო ტიპის ამ შეცვლას საფუძვლად უდევს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები.[5]

ილხან აბაღას მეფობა ირანში მშფოთვარე იყო — გართულდა საშინაო და საგარეო ვითარება. ოქროს ურდოსა და ჰულაგუიდებს შორის მტრობა აიძულებდა აბაღას მოკავშირე ეძებნა ქრისტიან ბიზანტიაში, რომელიც, თავის მხრივ, შეწუხებული იყო ჩრდილო ულუსის მონღოლთა თავდასხმებით. არ იყო სიმშვიდე მცირე აზიაში, ფარსსა და შირაზში; გარდა გარეშე მტრებისა, მონღოლთა სახელმწიფოს ძლიერებას ემუქრებოდა გაუთავებელი შინაგანი ბრძოლები მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეთა შორის.[6]

ამგვარი იყო ილხანთა სახელმწიფოს მდგომარეობა, როდესაც დინასტიური ცვლილების გარეშე, საქართველოში მოჭრილი მონეტის ტიპი არსებითად შეიცვალა. ძნელია რაიმეს გადაჭრით მტკიცება, მაგრამ უდავოა, რომ მონეტის ტიპის შეცვლა, ერთი მხრივ, უშუალო კავშირშია ჰულაგუიდთა და ცენტრალურ მონღოლურ სახელმწიფოთა შორის კავშირის შესუსტებასთან და, მეორე მხრივ, აბაღას მისწრაფებებთან დაკავშირებოდა ქრისტიანებს (ბიზანტია, ჯვაროსანთა მცირეაზიული ქალაქები), მისი ქვეშევრდომი აჯანყებული მუსლიმანი მმართველების წინააღმდეგ.[7]

საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ პირველად ამ დროს მონეტებზე ჩნდება ილხანთა სახელები, მაგრამ ქრისტიანული ლოცვისა და ჯვრის გვერდით, ამ ტიპის მონეტის გაჩენა გამოწვეული იყო იმ დროის ის-

---

[3] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, стр. 137—138.

[4] Ир. Джалагания, op. cit., стр. 47—48.

[5] Ир. Джалагания, op. cit., стр. 53.

[6] B. Spuler, Die Mongolen in Jran, Berlin, 1955.

[7] Ир. Джалагания, op. cit., стр. 55.

ტორიული პირობებით. დაწვრილებით და საფუძვლიანად ეს მოვლენა შესწავლილი აქვს პროფ. ე. პახომოვს. აი რას წერს იგი ამის შესახებ:

«В XII—XIII вв. распространение господства мусульман временно приостановилось. Крестовые походы положили основание христианским государствам Палестины и Сирии, глубокими клиньями врезавшимся в мусульманские владения. Ту же роль играли, сохранившие вполне или отчасти свою независимость, — Грузия, Киликийская Армения, Трапезунд и др. Словом образовалась широкая черезполосная цепь христианских государств, тянувшаяся от Грузии, Киликийской Армении и латинских княжеств Палестины и Сирии, охватывавшая обломки разбитой крестоносцами Византии-Трапезунд, Никею, Константинополь и проч. шедшая далее через южную Италию и Сицилию и заканчивавшаяся мелкими государствами Испании. На всем этом обширном пространстве мусульмане и христиане находились в тесном соприкосновении между собою.

Едва стихала религиозная борьба, как недавние враги начинали искать средства к установлению равновесия и спокойствия, необходимых обеим сторонам. Заключались более или менее прочные договоры о мире и возникали оживленные торговые сношения, в помощь которым, вскоре явились особые виды чеканки: христиано-мусульманские»[8]. ამ საერთო მოვლენის კერძო გამოვლინებაა ე. წ. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის მოჭრაც.

განსახილველი განძი, ძირითადად, ზევით დეტალურად დახასიათებული სამონეტო ჯგუფებისაგან შედგება.

ა) ყაანურები I ტიპისა. ვერცხლის, 2 ცალი. (იხ. სიით № 1—2). ვიძლევით მათს ტიპობრივ აღწერილობას.

შ უ ბ ლ ი: ექვსღერძიანი როზეტი, რომლის შიგნით შექმნილ ექვსკუთხედში მოთავსებულია დიდი ყაანის ტიტული სახელის აღუნიშნავად:

قاآن ყაან

العادل სამართლიანი

სტრიქონებს შორის ზოგჯერ წვრილი ორნამენტებია მოთავსებული.

ზ უ რ გ ი: ფიგურული კვადრატი დაყენებული ერთ-ერთ კუთხეზე და გარშემოვლებული წერტილოვანი რკალით. კვადრატის შიგნით მუსლიმანური სარწმუნოებრივი სიმბოლო:

لا اله الا الله არ არის ღმერთი

გარდა ღმერთისა ერთისა لا اله الا هو

لا شريك له არა ჰყავს მას სწორი.

მონეტის არეზე მიმობნეულია სხვადასხვა წვრილ-წვრილი ორნამენტები (ვარსკვლავები, ნასკვები, წერტილები). სეგმენტებში — მოჭრის ადგილი سقلیس — თბილისი და თარიღი ჰიჯრით (660-663 წწ.)[9]

განძის ცალებზე — ერთზე იკითხება თარიღის ნაწილი سنهایه — „ექვსასი“ (სიით №1), მეორეზე კი აგრეთვე თარიღის ნაწილი და მოჭრის ადგილი „ضرب تفلیس“ „იჭედა თბილისს“ (სიით № 2) (ტაბ. LXXXVIII, 1).

ბ) ყაანურები II ტიპისა. ვერცხლის, 21 ცალი. (იხ. სიით № 3—23). ეს მონეტები I ტიპის ყაანურებისაგან ძალიან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდებიან—

---

[8] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, Тб., 1970, стр. 160

[9] მ ი ს ი ვე, მითით. ნაშრ., გვ. 148—149; Ир. Д ж а л а г а н и я, მითით. ნაშრ., გვ. 48, №31, ტაბ. III.

თარიღი მოთავსებულია არა გარეთა სეგმენტებში, არამედ ზურგის ცენტრალური ხედწერილის I და II სტრიქონებს შორის განსხვავებული, წვრილი შრიფტით, ხოლო მოჭრის ადგილი არ აღინიშნება საერთოდ.[10]

ჟიხვალის განძის შემადგენლობაში შემდეგი წლების II ტიპის ყაანურებია: ჰ. 670 (=1271/72) 6 ც., ჰ. 672 (=1273/74) 1 ც., ჰ. 674 წ. (=1275/76) 1 ც., ჰ. 676(=1277/78) 4 ც., ჰ. 677 (=1278/79) 3 ცალი. რამდენიმე ცალი, რომელთა თარიღები იკითხება ნაწილობრივ (4 ც.) ან არ იკითხება სრულიად (2 ც.).[11] ტაბ. LXXXVIII, 9.

გ) ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები, ვერცხლის, 47 ცალი (იხ. ს. № 24 — 70, ძირითადი ნაწილი განძისა).

მოგვყავს მათი ტიპობრივი აღწერილობა.

შ უ ბ ლ ი: წერტილოვან რკალში, ხუთსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი, რომელიც შეიცავს ილხანის სახელს. დაწყებული ილხან არღუნის დროიდან, მე-5 სტრიქონში არაბული შრიფტით გამეორებულია ილხანის სახელი.

ზ უ რ გ ი: ხაზოვან კვადრატში ოთხ სტრიქონად ქრისტიანული ლოცვაა არაბულად და ჯვრის გამოსახულება:

بسوم الاب — სახელითა მამისათა
وولابن — ძისათა და სულისა
القدس الاه — წმიდისათა, ღმერთისა
+ واحد — ერთისა

კვადრატი მოთავსებულია წერტილოვან რკალში. გარეთა სეგმენტებში თარიღი — თვე, წელი. მოჭრის ადგილი, როგორც წესი, არ აღინიშნება[12].

ჩვენს განძში, ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტათა უმრავლესობა — 31 ცალი ილხან აბაღას (ჰ. 663 — 680 = 1265 — 1282 წწ.) სახელით არის მოჭრილი ჰ. 680 — 683 წ. = 1281 — 1285 წწ.[13] (მისი მონეტები სავსებით შეესატყვისება ზევით მოტანილ აღწერილობას). ტაბ. LXXXVIII, 24.

ილხან აბაღას ძმისა და მისი მემკვიდრის, აჰმედ თეგუდარის დროს (ჰ. 680-683 წწ. = 1282 — 1284 წწ.), გრძელდება ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის მოჭრა, მაგრამ პირველ სამ წელიწადს მონეტის შუბლის უიღურულ ზედწერილში ისევ აბაღას სახელი აღინიშნებოდა. ცნობილია მხოლოდ ერთი, ჰ. 683 წ. გამოშვება, სადაც უიღურული ზედწერილის მე-3 სტრიქონში, აჰმედის სახელია ჩასმული, აბაღას ნაცვლად. აჰმედის მონეტა კიდევ ერთი დეტალით ხასიათდება — ჩვეულებრივი, ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის ზურგზე მოთავსებული ჯვარი შეცვლილია პატარა ვარსკვლავით, საქმე ისაა, რომ ილხან აჰმედ თეგუდარმა მუსლიმანობა მიიღო და როგორც ჰეშმარიტი მუსლიმანი, ქრისტიანობის სიმბოლოებისა და გარეგნული ნიშნების წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას, რაც ჯვრის — ვარსკვლავით შეცვლაში გამოიხატა. ამავე დროს, ხელუხლები დარჩა მონეტაზე მოთავსებული ქრისტიანული ლოცვა. მისი შეცვლა

---

[10] ცნობილია ორიოდე ეგზემპლარი ამ ტიპის მონეტისა, რომელზედაც აღნიშნულია მოჭრის ადგილიც.

[11] დაწვრილებით ამ მონეტების შესახებ იხ. თანდართულ სიაში.

[12] Е. А. Пахомов, op. cit., გვ. 161; Ир. Джалагания, op. cit., გვ. 57, №35 და ტაბ. მაგრამ სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციაში არის რამდენიმე ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, მოჭრის ადგილის აღნიშვნით — А. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Эрмитажа, СПБ, 1896, стр. 574.

[13] დაწვრილებითი ცნობები იხ. თანდართულ სიაში (№№24—54).

შეიძლებოდა უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის მიზეზი გამხდარიყო, აჰმედის მონეტები შედარებით იშვიათია. ჩვენს განძშიც იგი ერთადერთია (სიით № 55), ტიპობრივად არ განსხვავდება აბაღას მიერ მოჭრილ მონეტისაგან. ტაბ. LXXXVIII, 55.

მეოთხე ჰულაგუიდი ილხანის არღუნის სახელით ზევით აღწერილი ქართულ-ჰულაგუიდური ტიპის მონეტა იჭრება, მაგრამ უიღურული ზედწერილის მე-3 სტრიქონში აბაღასა ან აჰმედის სახელის ნაცვლად ჩასმულია არღუნისა, ხოლო მე-5 სტრიქონის ნაცვლად მოთავსებულია მისივე სახელი, მხოლოდ არაბულად ارعون. მონეტის ზურგზე კი კვლავ ჩნდება ჯვარი, რომელიც დროებით გაქრა აჰმედის დროს.

ჟინვალის განძში არღუნის მონეტა 15 ცალია (იხ. სიით № 56—70), მოჭრილი ჰ. 683 — 688 წწ. — 1284 — 1289 წლებს შორის. ტაბ. LXXXVIII, 66.

დ) ამ უკანასკნელ ჯგუფში ჩვენ მოვათავსეთ განძის არა საქართველოში მოჭრილი მონეტები. ასეთია 4 ცალი (სიით №71 — 74).

1. მონეტა მოჭრილი ილხან ჰულაგუს (ჰ. 654-663-1256-1265 წწ.) მიერ. ვერცხლი. თარიღი და ზარაფხანა არ იკითხება (სიით № 71).

შ უ ბ ლ ი: წერტილოვან რკალში, ოთხ სტრიქონად.

قاان ყაანი
الاغظم უზენაესი
حولاكو ჰულაგუ
خان ხანი

რკალს გარეთ, გადასული ზედწერილის ნიშნებია.

ზ უ რ გ ი: ორმაგ ხაზოვან კვადრატში, სამ სტრიქონად, მუსლიმანურ სარწმუნოებრივი სიმბოლო:

لا اله الا არ არის ღმერთი გარდა
الله محمد ალლაჰისა, მუჰამადი
رسول الله მოციქული მისი

გარეთა სეგმენტებში თარიღი. აქ გარკვევით მხოლოდ ستماية ექვსასი იკითხება.[14] ტაბ. LXXXVIII, 71.

ვინაიდან მონეტაზე უკვე აღარ იხსენიება უზენაესი ყაანი მანგუ, სავარაუდოა იგი ჰ. 658(=1260 წ.) წლის შემდეგ, 1260 — 1265 წწ. შორის იყოს მოჭრილი.

ამგვარად, ჩვენს განძში იგი უადრესია.

2. სამი მონეტა (სიით №72—74), ილხან აბაღას სახელით მოჭრილი საერთო ჰულაგუიდური ტიპის მიხედვით.

შ უ ბ ლ ი: ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტაზე მოთავსებული უიღურული ზედწერილის მსგავსი ლეგენდა. რომელიც შეიცავს ილხან აბაღას სახელს.

ზ უ რ გ ი: წერტილოვან რკალშემოვლებულ კვადრატში, სამ სტრიქონად:

لا الله الا არ არის ღმერთი გარდა
الله هعمد ალლაჰის, მუჰამადი
رسول الله მოციქული მისი.

---

[14] ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში, მსგავსი ეგზემპლარი ვერ ვნახეთ. აღწერილობა მოცემულია უშუალოდ მონეტის მიხედვით.

გარეთა სეგმენტებში მოჭრის ადგილი — ضرب تبريز „თავრიზი“ — და თარიღი: سنة تسع وسبعين وستمائة —„წელი ექვსას სამოცდაცხრამეტი“ [15]. ტაბ. LXXXVIII. 73. (დანარჩენი ორი ცალი—ჰ.681 (I) და ჰ. 67 X წ. არის მოჭრილი).

ასეთია ჟინვალის განძის შემადგენლობა.

* * *

XIII ს. 60-80-იან წლების საქართველოში მონღოლთა მიერ მოჭრილი ე. წ. ყაახურები I და II ტიპისა და ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები ფართოდ მიმოიქცეოდნენ მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც უთუოდ მოწმობს მათი აღმოჩენები როგორც ცალკეულ ცალებად, ისე მოზრდილი განძების შემადგენლობაში. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მონღოლთა დამკვიდრებისთანავე, თბილისის ზარაფხანა იწყებს ძალიან ინტენსიურად მოქმედებას, რასაც მოწმობს ამ ხანებში გამოშვებული მონეტების როგორც მრავალსახეობა, ისე სიმრავლე (შანგუ-ყაანი, ანონიმური ყაანურები, ქართულ-ჰულაგუიდურები), ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათი აღმოჩენებიც ხშირია, ხოლო მათი მნიშვნელობა ძალიან დიდი.

მოხეტები, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან შედარებით, უფრო მეტად გვაძლევენ საშუალებას ვიმსჯელოთ არა მარტო ვაჭრობის ინტენსივობასა და მის მოცულობაზე, არამედ სავაჭრო გზებზეც. დღესდღეობით, ნუმიზმატიკა უარყოფს პრიმიტიულ თეზისს, რომ განძები იფლობოდა მხოლოდ თანადროულ სავაჭრო გზებზე და მათი დაფლვა მხოლოდ მძარცველთაგან გადარჩენის საშუალებაა. უნდა გვახსოვდეს, რომ განძი — დაგროვილი სიმდიდრის შენახვის საშუალებაა და, რაც მთავარია, ადგილობრივი ფულადი მიმოქცევის უტყუარი საბუთიც.[16] ჩვენი განძიც ამ მხრივ იქცევს ყურადღებას. კანონზომიერია თუ არა ჟინვალში მისი დაფლვა? რასაკვირველია, ცნობილია, რომ XII ს-ში სხვა ქალაქების გვერდით, აღმოცენდა ქ. ჟინვალიც. ამას ხელი შეუწყო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის მიმართულებამ და სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობებმა. მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქართველი მეფე სამმართველოდ გადასცემდა მას ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო თანამდებობის პირთ[17]. მონღოლთა დროს მრავალი ქალაქი განიცდის ნაწილობრივ დაკნინებას, მათი როლი საგრძნობლად მცირდება, მაგრამ ისინი თვით XV ს. შუა წლებამდე ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში — მათ რიცხვში ქ. ჟინვანიც იყო [18]. გარდა იმისა, რომ იგი დიდმნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და ამდენად დიდ სავაჭრო ოპერაციებშიც მონაწილეობდა, იგი სახელოსნო წარმოების ცენტრიც ყოფილა, თუმც ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობას, თუ სახელდობრ ხელოსნობის რომელი დარგი ყოფილა აქ განვითარებული[19].

---

[15] Catalogue of Oriental Coins in the British Museum, vol. VI. London, 1881, გვ. 20, № 49 და Pl. II

[16] იხ. А. Котляр. Денежное хозяйство и монетное дело Червонной Руси сороковых годов XIV — первой четверти XV вв. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Л., 1965, стр. 12-14.

[17] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 44.

[18] იქვე, გვ. 51.

[19] იქვე, გვ. 59.

ჟინვალის ტერიტორიაზე ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოები უთუოდ გაამდიდრებენ ჩვენს ცოდნას, ამ მხარის სამონეტო მიმოქცევაზე XII—XIII სს. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი აღმოჩენები (გიორგი III და თამარი — ერთობლივ, თამარის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის ჯელალ-ად-დინის მონეტები), მიგვანიშნებენ XII ს. ბოლოსა და XIII ს. პირველი 30 წლის ფულადი მიმოქცევის ინტენსივობაზე და მის შინაარსზე.

ჩვენ აქ არ შევუდგებით დაწვრილებით ყველა ცალკეული აღმოჩენის ჩამოთვლასა და განხილვას, მხოლოდ მოკლედ შევეხებით საქართველოში ნაპოვნი ყაანურებისა და ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტების მნიშვნელოვან განძებს.

განძებს ჩამოვთვლით მათი აღმოჩენათა თარიღების თანამიმდევრულად.

1. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში თბილისში უნახავთ განძი, რომელიც XIII ს. სხვა მოხეტებთან ერთად, შეიცავდა II ტიპის ყაანურებს და ქართულ ჰულაგუიდურ მონეტებს.[20]

2. XX ს. დასაწყისში, სადღაც ახალციხის მიდამოებში აღმოჩენილი იყო ვერცხლის მოხეტების განძი, რომელიც ექვ. თაყაიშვილის ცნობით, კირმანეული თეთრისა (XIII ს.) და ქართულ-ჰულაგუიდური დრამებისაგან შედგებოდა. პირადად მას 1 კირმანეული და 6 ქართულ-ჰულაგუიდური დრამა მიუღია.

3. 1924 წ. გურჯაანის რაიონის ს. კარდანახში, წყალსადენის გაყვანის დროს აღმოჩნდა 7 ყაანური II ტიპის და 1 ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა. ილხან აბაღას სახელით მოჭრილი.[21].

4. 1930 წ. მცხეთის რაიონის ს. ძეგვთან, აღმოჩენილია 5 ქართულ-ჰულაგუიდური დრამა.[22]

5. 1939 წ. ქარელის რაიონის ს. ხეობაში, ეკლესიის აღმოსავლეთით ადგილობრივმა მცხოვრებმა გრიგოლ გაბარაშვილმა იპოვა ვერცხლის ფულის დიდი განძი (265 ცალი), რომლის შემადგენლობაში, XIII ს. სხვა მონეტების გვერდით, 147 ც. I და II ტიპის ყაანურიც იყო[23].

6. 1948 წ. თერჯოლის რაიონში, სოფ. ზედა საზანოსა და თუზს შორის აღმოჩნდა ვერცხლის ფულის დიდი განძი, მის ძირითად ნაწილს რუმის (მცირე აზია) სელჯუკი სულთნების მონეტები შეადგენდა. მაგრამ იქ საქართველოში მოხლოლთა ძიერ მოჭრილი ფულიც ერია (მანგუყაანი, ყაანურები).[24]

7. ბორჯომის რაიონის ს. ახალდაბაში XIII ს. II ნახევრის ვერცხლის ფულის აღმოჩენის შესახებ ორი სხვადასხვა ცნობა არსებობს. პირველი გვატყობინებს, რომ:

ა) 1966 წ. 15 სექტემბერს, ბორჯომის რაიონის ს. ახალდაბაში, ადგილ „ნახიდურთან“ ბოძების ჩაყრის დროს აღმოჩნდა XIII ს. 31 ცალი ვერცხლის მონეტა, რომელთაგან 23 ცალი ყაანური და ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები იყო.[25]

ბ) 1968 წ. ბორჯომის რაიონის ს. ახალდაბაში ბალავრის გაჭრის დროს

---

[20] Е. А. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. II, Баку, 1938, № 445 (შემდეგ უველგან Пахомов, Клады...).

[21] Пахомов, Клады... V, № 1468.

[22] აქედან მხოლოდ 1 ცალი მოხვედრილა საქ. სახ. მუზეუმში, ჭ. ძ. №459.

[23] თ. ლომოური, ხეობის განძი; Пахомов, Клады..., IV, № 1146.

[24] Ир. Джалагания, Два клада сельджукских монет. СА, № 2, 1958, стр. 207.

[25] თუმც მონეტები ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ჩვენ ისინი ჯერ პირადად ვერ ვნახეთ, ამიტომ განძის დანარჩენი ნაწილის რაობა არ ვიცით.

ნაპოვნი იყო ჭილა XIII ს. 90 ცალი ვერცხლის მონეტით. აქედან 87 ცალი ხაშურის, ხოლო 3 ცალი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებშია. საფიქრებელია, რომ ორივე ცნობაში ერთი და იგივე განძზეა საუბარი, თორემ ძნელი წარმოსადგენია, ერთსა და იმავე სოფელში, ორი ასე მსგავსი შედგენილობის განძი აღმოჩენილიყო.

8. 1968 წ. ოქტომბერში, ადიგენის რაიონის სს. ვარხანისა და აბასთუმნის მიდამოებში, იპოვნეს XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც I და II ტიპის ყაანურებსა (64 ც.) და ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებს (8 ც.) შეიცავს.[26]

9. 1968 წ. ზაფხულში, ახალციხის რაიონის ს. ურაველში, მოქ. კაპანაძის საკარმიდამო ნაკვეთში, ძველი შენობის დანგრევის დროს, მანანა და თენგიზ ივახიძეებმა იპოვეს XIII — XIV სს. ვერცხლის მონეტები, რომელიც საქ. სახ. მუზეუმს გადასცეს[27]. სხვა მონეტების გვერდით, განძში I და II ტიპის ყაანურები და ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები არის.

10. ყვარლის რაიონის ს. ალმატში ნაპოვნ XIII ს. ვერცხლის მონეტების დიდი განძიდან, საქართველოს სახ. მუზეუმში მხოლოდ 29 ც. მოხვდა.[28] ესეც ძირითადად ყაანურები და ქართულ-ჰულაგუიდური მონეტებია.

11. 1973 წ. წალკის რაიონის ს. რეხში აღმოჩენილია XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, რომლიდანაც მხოლოდ 5 ც. მოხვდა საქ. სახ. მუზეუმში (დანარჩენის ადგილსამყოფელი დაუდგენელია). აქედან 4 ც. — ქართულ-ჰულაგუიდური მოხეტაა, ხოლო 1 ც. — საერთო-ჰულაგუიდური ტიპისა, მოჭრილი თავრიზში, ილხან აბაღას სახელით[29].

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნ XIII ს. მეორე ნახევრის განძების უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, თუ მიმოქცევის რაოდენ ფართო დიაპაზონი ჰქონდა ყაანურებსა და ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებს.

ინტერესს მოკლებული არ არის თვალი გავადევნოთ ამ ტიპის მონეტების გავრცელებას ა/კავკასიის ტერიტორიაზე. დღემდე აღნუსხულია 10-მდე შემთხვევა, ყაახურებისა და ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების განძების შემადგენლობაში პოვნისა როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

1. 1901 წ. ყოფ. ერევნის გუბერნიის, ახალი ბაიაზეთის მაზრის ს. გედაკ-ბულახში აღმოჩენილია 14 ანონიმური ჰულაგუიდური მონეტა (ყაანური?) ჰ. 670—674 წ. (1271—76 წწ.)[30].

2. მთიანი ყარაბაღის ა. ო. (აზერბაიჯანის სსრ) ქ. სტეპანაკერტში 1934 წ. აღმოჩენილია 120 მონეტისაგან შემდგარი განძი, რომლის შემადგენლობაში სხვა ძეხეტებთან ერთად 29 ყაანური და 10 ც. ქართულ-ჰულაგუიდური მონე-

---

[26] საქ. სახ. მუზ., იგ. №№12278 — 12349, როგორც ირკვევა, განძში ბევრად მეტი მონეტა ყოფილა — იგი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაირიგეს. ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანმშ. ოთ. ღამბაშიძემ გადმოგვცა ერთი მონეტა ამ განძიდან, რომელიც აბასთუმნის მცხოვრებს მიუცია მისთვის და მოგვაწოდა ცნობა, რომ ამ სოფელში კიდევ არის ხელზე ამ განძის მონეტები. გარდა ამისა, 54 ც. დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამგვარად, უკვე დაბეჯითებით ვიცით, რომ განძი 72-ს კი არა, არამედ 127 ც. მაინც შეიცავდა.

[27] საქ. სახ. მუზეუმი, „გ", №12255—12274.

[28] საქ. სახ. მუზ., „გ", №11616 — 11643; 11844.

[29] საქ. სახ. მუზ., აქაც ჟინვალის განძის მსგავსი შემადგენლობაა.

[30] П а х о м о в, Клады..., I, №146.

ტაც ყოფილა. განძის ყველაზე ადრეული მონეტა ჰ. 625 (1227/28) თარიღდება, ხოლო ყველაზე გვიანი — ჰ. 686 (1287/88)[31].

3. 1926 წ. მთიანი ყარაბაღის ა. ო. ჯერაბერთის რაიონის სს. დოვშანლუსა და ბაზარ-კენდში, ძველი ნამოსახლარის გაწმენდის დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. სხვა მონეტების გვერდით იყო I და II ტიპის ყაახური — 10 ც. და 11 ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა.[32]

4. 1934 წ. თაუზის რაიონის ს. თაუზიდან (აზერბ. სსრ) ბაქოში ჩაიტანეს 55 მონეტისაგან შემდგარი განძი, მისი შემადგენლობა ასეთია: რუმის სელჯუკი (1 ც.), ყაახურები (10 ც.), ქართულ-ჰულაგუიდურები (26 ც.), საერთო ჰულაგუიდური ტიპისა (1 ც.), ვახტანგ III ბაგრატიონი (14 ც.), (!). ყველაზე ადრეული მონეტა დათარიღებულია ჰ. 647 თუ 649 წ. (1249/50 თუ 1251/52 წ.), ხოლო გვიანდელი — ჰ. 698 (1298/99).[33]

ეს განძი განსაკუთრებით საინტერესოა მასში ვახტანგ III მონეტების არსებობით და მსგავსებით ახალციხის რაიონის სოფ. ურაველში ნაპოვნი განძის შემადგენლობასთან .

5. 1936 წ. ივლისში, ძვირფასი ლითონების სექტორში, ბაქოში მიიტანეს ვერცხლის მონეტების განძი (60 ც.) შემდეგი შემადგენლობისა — რუმის სელჯუკები (4 ც.), მანგუ-ყაანის დირჰემები მოჭრილი თბილისში (6 ც.), II ტიპის ყაახურები (34 ც.), ქართულ-ჰულაგუიდურები (14 ც.) საერთო-ჰულაგუიდური ტიპისა, მოჭრილი თავრიზში (2 ც.)[34], საინტერესო კომენტარს უკეთებს პროფ. ე. ა. პახომოვი ამ განძს: «Этот клад, хотя и принятый в Баку, видимо является привозным, так как его состав совершенно не похож на состав находок Бакинского района, но зато очень типичен **для Агдамского и Бардинского районов** (ხაზი ჩვენია, ი. ჯ.), откуда он вероятно и завезен находчиком»[35]. ეს ის ორი რაიონია, რომელიც მჭიდროდ ეკვრის დღევანდელ კახეთის საზღვრებს, ხოლო ისტორიულად აქ გადიოდა ის სავაჭრო გზა, რომელიც მიუყვებოდა ალაზნის მარცხენა ნაპირს და აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრს ბარდავს უკავშირდებოდა.[36]

6. 1927 წ. სომხეთში, კოტაის რაიონის ს. გოხტში, აღმოჩნდა XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, აქედან მხოლოდ 12 ც. მოხვდა სომხეთის ისტორიულ მუზეუმში. მისი შემადგენლობა: რუმის სელჯუკები (2 ც.), მანგუ-ყაანის თბილური დირჰემები (4 ც.), I და II ტიპის ყაანური (3), ანონიმური, თავრიზი, 650 წ. ტიპისა (3 ც.)[37].

7. 1930 წ. სტეპანავანის რაიონის ს. ლორუდში (ლორეს ციხის მახლ.) აღმოჩნდა XIII ს. ვერცხლის ჰულაგუიდური მონეტების დიდი განძი, აქედან 633 ც. მოხვდა სომხეთის ისტორიულ მუზეუმში. ვინაიდან განძი გასაწმენდი იყო, პროფ. ე. პახომოვმა იგი განსაზღვრა სუმარულად და აღნიშნა, რომ განძი შედგება II ტიპის ყაანურებისა და ილხან აბაღას, აჰმედის, არღუნის და ჭეიღათუს ქართულ-ჰულაგუიდური მონეტებისაგან. იგი საგანგებოდ აღნიშნავს,

---

[31] П а х о м о в, Клады..., II, № 466.

[32] П а х о м о в, Клады..., № 448. ავტორის ცნობით, ეს განძი შეუძენია საქ. სახ. მუზეუმს.

[33] П а х о м о в, Клады..., II, № 450.

[34] П а х о м о в, Клады..., II, № 850.

[35] იქვე.

[36] თ. ლ ო მ ო ურ ი, არაბული ფულის სამი ქახური განძი (იბეჭდება).

[37] П а х о м о в, Клады..., III, № 852.

რომ არათბილისური მონეტები ამ განძში არ ერია, ხოლო ჩამარხვის თარიღად XIII ს. ბოლო ათწლედს ვარაუდობს[38].

8. 1935 წ. აგდამის რაიონის ქ. აგდამში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი (195 ც.). იგი შეიცავდა შემდეგ მონეტებს: რუმის სელჯუკები (1), იოანე II კომნენის (1280—1297), (I), მანგუ-ყაანის თბილისური დირჰემები (5), I ტიპის ყაახურები (7), II ტიპის ყაანურები (123), ქართულ-ჰულაგუიდურები (55), საერთო-ჰულაგუიდური (3).

ყველაზე ადრეული მონეტა დათარიღებულია ჰ. 652 (1254/55), ყველაზე გვიანდელი ჰ. 686 (1287/88)[39].

როგორც აღმოჩენათა ტოპოგრაფიის ზერელე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, XIII ს. II ნახევარში, თბილისში მოჭრილი მონღოლური მონეტები ფართოდ მიმოიქცეოდნენ მთელს ა/კავკასიაში. სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, თვალი გავადევნოთ ამ მონეტათა გავრცელების გზებს დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე და იქ მათს აღმოჩენებს, ან თუნდაც ამ მონეტათა არსებობას იქაურ სამუზეუმო საცავებში. ამ მომენტის გათვალისწინება საინტერესო იქნებოდა განხილული მონეტების გავრცელების არეალის დადგენისა და იმდროინდელი სავაჭრო ბალანსის გასათვალისწინებლად.

რაც შეეხება ჟინვალის განძის არა თბილურ მონეტებს (4 ც.), მათი აღმოჩენების შემთხვევები საქართველოში იშვიათია. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხაპოვნი განძებისათვის კი ისინი ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია.[40]

ამრიგად, მონღოლური ფულის ჟინვალის განძი ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას XIII ს. II ნახევრის აღმ. საქართველოს ფულადი მიმოქცევის შესახებ.

ჟინვალის განძი

სია*

№	განსაზღვრა	წონა	ზარაფხანა	მოჭრის თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ყაანური I ტიპის	2.81	—	6 XX	განძის ყველა მონეტა ვერცხლისაა
2	„ „	2, 75	თბილისი	6 XX	
3	ყაანური II ტიპის	2,55		670—IX	
4	„ „	2,62		670—III	
5	„ „	2,57		670—III	
6	„ „	2,75		670—VII	

[38] Пахомов, Клады..., III, №853.

[39] Пахомов, Клады..., II, №854.

[40] 1973 წ. ბაქოში ჩვენი მუშაობის დროს აზერბაიჯანის სახ. ისტორიული მუზეუმის, ნუმიზმატიკის განყოფილების გამგის ალი რაჯაბლის დახმარებითა და ხელშეწყობით ამ მასალებსაც გავეცანით.

* რომაული ციფრები აღნიშნავს მონეტებზე სიტყვებით დაწერილ მუსულმანური წლის თვეებს.

1	2	3	4	5	6
7	ყაანური II ტიპის	2,75	თბილისი	670—XI	მონეტა ვერცხლისაა
8	„ „	2,75		672—V	
9	„ „	2,65		674	
10	„ „	2,65		676—III	
11	„ „	2,26		676—III	
12	„ „	2,65		676—IV	
13	„ „	2,79		676	
14	„ „	2,68		677—III	
15	„ „	2,55		677—V	
16	„ „	2,67		677—III	
17	„ „	2,74		6XX—VIII	
18	„ „	2,63		6X8—I	
19	„ „	2,7		66X—I	
20	„ „	2,64		67X	
21	„ „	2,71		—	
22	„ „	2,54		—	
23	„ „	2,49		—	
24	ქართულ-ჰულაგუიდური აბაღას სახ.	2,4	—	680	
25	„ „	2,4	—	6XX—III	
26	„ „	2,43	—	—XII	
27	„ „	2,45	—	—III	

1	2	3	4	5	6
28	ქართულ-ჰულაგუიდური აბალას სახ.	2,47	—	XX2	
29	„ „	2,51	—	6XX	
30	„ „	2,44	—	67X	
31	„ „	2,41	—	6XX	
32	„ „	2,41	—	—III	
33	„ „	2,5	—	681—I	
34	„ „	2,47	—	680—III	
35	„ „	2,47	—	—	
36	„ „	2,49	—	6 XX	
37	„ „	2,4	—	—II	
38	„ „	2,45	—	—IV	
39	„ „	2,47	—	ჩამოჭრილია	
40	„ „	2,35	—	6 XX—IV	
41	„ „	2,43	—	6 XX	
42	„ „	2,34	—	—IV	
43	„ „	2,44	—	XX I—III	
44	„ „	2,38	—	6 XX—IV	
45	„ „	2,41	—	6 XX—II	
46	„ „	2,45	—	—III	
47	„ „	2,41	—	6 XX	

1	2	3	4	5	6
48	ქართულ-ჰულაგუიდური აბაღას სახ.	2,34	—		
49	„ „	2,5	—	—	
50	„ „	2,45	—	682	
51	„ „	2,47	—	ჩამოჭრილია	
52	„ „	2,51	—	681—III	
53	„ „	2,45	—	68 X—I	
54	„ „	2,44	—	6 XI	
55	ქართულ-ჰულაგუიდური აჰმედის სახ.	2,47	—	6 XX	
56	„ „არღუნის სახ. „	2,47	—	6 XX	
57	„ „ „	2,45	—	6 XX	
58	„ „	2,45	—	ჩამოჭრილია	
59	„ „	2,37	—	„	
60	„ „	2,3	—	„	
61	„ „	2,42	—	685	
62	„ „	2,52	—	68 X	
63	„ „	2,51	—	ჩამოჭრილია	
64	„ „	2,45	—	„	
65	„ „	2,44	—	68 X III—IV	
66	„ „	2,41	—	ჩამოჭრილია	
67	„ „	2,4	—	68X—III—IV	

1	2	3	4	5	6
68	ქართულ-ჰულაგუიდური არღუნის სახ.	2,5	—	XX5—II	
69	„ „	2,45	—	6XX	
70	„ „	2,42	—	ჩამოჭრილია	
71	ჰულაგუ-ხანი (1256—1265)	2,5	(თაბრიზი)	6XX	
72	აბაღა ჰულაგუიდი (1265-82)	2,52	თაბრიზი	681	
73	„ „	2,43	„	67 X	
74	„ „	2,45	„	679	

И. Л. ДЖАЛАГАНИА

КЛАД МОНГОЛЬСКИХ МОНЕТ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIII в. ИЗ ЖИНВАЛЬСКОГО ХЕРТВИСИ

Резюме

Табл. LXXXVIII

Работа посвящена изучению клада серебряных монгольских монет, найденного в 1971 г. в Жинвали. Клад содержит 74 монеты, из которых 70 чеканено в период владычества монголов в Грузии во второй половине XIII в.

Состав клада довольно компактен, все монеты чеканены на протяжении тридцати лет. Самая ранняя из них выпущена в 1261—1264 гг., самая поздняя — до 1290 года. Таким образом, датой захоронения клада можно считать конец XIII в.

Государство монголов на юге окончательно сложилось к середине XIII века. Попытки грузинских царей — Давида Нарина и Давида Улу — хотя бы в какой-то мере ослабить монгольское влияние закончились неудачей, результатом чего, видимо, и явилось прекращение национального чекана. Но монеты, чеканенные монголами в Тбилиси, резко отличаются от выпускаемых ими на многочисленных монетных дворах Хулагуидского государства.

Жинвальский клад содержит монеты четырех различных групп: кааники I типа, кааники II типа, грузино-хулагуидские и монгольские, чеканенные за пределами Грузии. На монетах первых двух групп не упоминается имени непосредственного сюзерена страны — Хулагу-хана, до 680 г. х. они чеканились с почетным титулом великого каана (1279/80 г.). Чеканились монеты из высокопробного серебра, с большим мастерством. В найденном кладе этих монет оказалось 28 экз.

Третью группу представляют грузино-хулагуидские монеты, существенно отличающиеся от монет двух предыдущих групп. Впервые после утверждения монголов в Грузии на монете появляются имена ильханов с христианской молитвой и крестом. Появление этого типа

монет тесно было связано с историческими условиями того периода — ослаблением связей хулагуидов с центральной монгольской властью, с одной стороны, и стремлением ильхана Абаги, в отличие от других восточных мусульманских правителей, связаться с христианами (Византия, малоазийские города крестоносцев), с другой.

Монет этого типа в кладе насчитывается 47 экз.

Последняя, четвертая группа монет клада, самая малочисленная и содержит 4 экз.

Известно, что монетные клады более чем остальные памятники материальной культуры свидетельствуют об интенсивности и объеме торговли, направлении торговых путей и т. д. С этой точки зрения наш клад представляет большой интерес. Захоронение его в Жинвали вполне закономерно, так как Жинвали, возникший в XII в. на стыке торговых путей в северные страны, к тому времени был значительным городом, участвовавшим в больших торговых операциях, и центром ремесленного производства.

Широко развернутые археологические раскопки на территории древнего Жинвали дают интересный нумизматический материал, заметно обогащающий наши представления о монетном обращении этого края в XII—XIII вв.

ი. ჯუღნია

ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში

(1972—1973 წწ. მასალების მიხედვით)

ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას გეგმით არ ჰქონდა გათვალისწინებული, სახელდახელოდ მოეწყო იმის გამო, რომ ჟინვალის ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროკომპლექსის მშენებლობამ მოითხოვა ახლო-მახლო სოფლების მომავალი წყალსატევის ტერიტორიიდან გადაყვანა სხვა ადგილებში.

პროექტის მიხედვით სამშენებლო ზონიდან გაყვანა მთლიანად შეეხო სოფ. ჟინვალს და გუდრუხს, ხოლო ნაწილობრივ სოფლებს: ანანურს, ავენისსა და ნეძიხს.

ბუნებრივია, ეთნოგრაფიული შესწავლის გარეშე ამგვარი გეგმის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიზანი იყო „ასაღები სოფლების“ ყოფისა და კულტურის ერთობლივი შესწავლა, რაც უეჭველად გულისხმობდა კომპლექსური ხასიათის საველე კვლევა-ძიებას. მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობისა, ექსპედიციამ სამშენებლო ზონაში ჩაატარა უაღრესად შრომატევადი და საჭირო მუშაობა, რის შედეგადაც დაგროვდა საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც სათანადო ანალიზის შემდეგ, სასურველია სრულად გამოქვეყნდეს.

ამჟამად კი ჩვენი მიზანია დაინტერესებულ მკითხველს გავაცნოთ ექსპედიციის მუშაობის წინასწარი ანგარიში, რომელიც ნაშრომში ცალკეული წლების მიხედვით იქნება წარმოდგენილი.

1972 წელს ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ველზე იმყოფებოდა 40 დღის განმავლობაში[1]. ჩვენი მუშაობის პირველ წელს უმთავრესი ყურადღება გამახვილდა ჟინვალზე, გუდრუხსა და ავენისზე, თუმცა გარკვეული სამუშაოები სამშენებლო ზონის სხვა უბნებზედაც იქნა ჩატარებული.

მდიდარი მასალა შეგროვდა მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით.

საველე კვლევა-ძიებით გაირკვა, რომ ექსპედიციის მიერ შესწავლილი სოფლების მოსახლეობა გადმოსახლებულია უპირატესად ფშავის ზემო სოფლებიდან და ხევსურეთიდან, თითო-ოროლა მთიანეთის სხვა კუთხეებიდან,

---

[1] ეთნოგრაფიულ საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: უფრ. მეცნ. თანამშრ. ი. ჯ უ ღ ნ ი ა (ხელმძღვანელი), ისტ. მეცნ. დოქტ. თ. ო ჩ ი ა უ რ ი, რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, მოწვეული თანამშრომლები: უმცრ. მეცნ. თანამშრომლის მ. შ. ბ. კ უ პ რ ე ი შ ვ ი ლ ი, არქიტექტორი გ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, ფოტოგრაფი ლ. ს ა ფ რ ა ზ ი ა ნ ი, აგრეთვე ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები ა. გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი და რ. კ ე კ ე ლ ი ძ ე.

ზოგჯერ ბარიდანაც კი; აქა-იქ არაქართველიც ჩამოსახლებულა. ყოფილა შეშთხვევები „ზედსიძედ მოსულობისა“ როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ისე ამავე გზით თვით მეზობელ სოფლებში ადგილმონაცვლეობისა.

ამ მხრივ ცალკეულ სოფლის კვალობაზე შემდეგი ვითარება ჩნდება. 73 წლის ღვთისო ივანეს ძე გორთამაშვილის მახსოვრობით ს. გუდრუხში 30 კომლი ცხოვრობდა. ამ ცნობის მიახლოებით ნამდვილობის შემოწმება ოფიციალური მონაცემებით ხერხდება. ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის განკარგულებით 1893 წ. გამოცემულ კრებულში «Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года» აღნიშნულია, რომ გუდრუხში, რომელიც არანისის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა, ორივე სქესის 119 სული 26 კომლად ცხოვრობდა[2].

გუდრუხში პირველმოსახლენი არიან წოწკოლაურები და გიგაურები. წოწკოლაურები მუქოდან ვართო, გვარწმუნებს სოლომონ ბესოს ძე წოწკოლაური, რომლისთვისაც „ნიკოლოზის დროს თეთრი ბილეთი“ მიუციათ. გიგაურები ხევსურებია — ბლოდან. ეს ფაქტი ყველამ იცის და საყოველთაოდაა აღიარებული. ასევე ცოცხლად ახსოვს ყველას თავისი მეზობლის გვარის საიდან-სად მოსულობა. აღნიშნული ფაქტიური მდგომარეობა ერთერთი აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ დღევანდელ სამკვიდრობელში ისინი არც ისე დიდი ხანია რაც დასახლებულან.

„დიდმა და პატარამ“ იცის თავის პირველმოსახლე წინაპრის ვინაობა. მოგვყავს ცნობები 51 წლის ნიკო ღვთისოს ძე გორთამაშვილისაგან ჩაწერილი მასალებიდან[3]. „ჩვენ ვართ კაწალხევიდან. ჩვენი ძველი გვარია ზარიძე. იქ ახლაც არიან ჩვენი გვარისები — ზარიძეები, — ჩვენი ალალი ბიძაშვილები არიან. თიანეთშიც არიან ზარიძეები. სოფელსაც ზარიძეები ჰქვია; ისინი ჩვენები არ არის. ჩვენ ხატში დავდიოდით კაწალხევში, სამგან იციან ხატობა. სამგანვე უნდა დაიკლათ საკლავი — ან ჭედილები დასაკოდი, ან კურატი. უფრო კურატი უნდა იყოს. თუ კურატი არ იქნება, მაშინ ორი ჭედილა და სამი მამალი ბატკანი უნდა დაგვეკლა. კურატიც რომ იყოს, სამი ბატკანი უნდა მიჰყვეს (ორი ჭედილა უდრის ერთ კურატს). კურატს დავკლავდით ეხთავში, სადაც ჯაჭველის წმინდა გიორგია. მეორე ღამისთევით ვიქნებოდით კიშხევში — იქ ღვთისმშობელია. მესამე — ადგილის დედააო, — იქ იციან. იქ დედაჩემის დეიდაშვილები არიან — ხორნაული.“

„თომა ზარიძე გამოქცეულია კაწალხევიდან. ხეები უცურავ თომას თუ ძმებს. ხეების დაცურებისას ხევსური მომკვდარა. სისხლის აღება იციან ხევსურებმა, (ამიტომ) თომა გამორიდებია და გორში — ქართლში დამალულა. თომას 7 თუ 9 შვილი ჰყოლია, ზოგი საგურამოში დამდგარა, ზოგი — ვარცლადოლაშში. აქ ფუძნარია ერთი სოფელი, პაპაჩემის მამას ივანე ქვივ-

---

[2] ზოგიერთი ეთნოგრაფი საოჯახო თემის „გადმონაშთური“ ფორმით შემონახულობის ერთ-ერთ მაჩვენებლად ოჯახის წევრთა სიმრავლეს თვლის, რასაც არკვევენ „საშუალოს“ გამოყვანის შედეგად: „სულთა რაოდენობა გაყოფილი კომლთა რაოდენობაზე.“ ეს ხერხი არ ამართლებს მიზანს, რამეთუ არ ჩანს ოჯახის წევრთა რიცხვი ცალცალკე კომლების მიხედვით. ეს გზა დასახული მიზნისათვის ისევე უხერხულია, როგორც მაგალითად, სოფლის ეკონომიური შესაძლებლობის „საშუალოს“ გამოყვანით ცალკეულ კომლთა სიმდიდრე-სიღარიბის დადგენა. გუდრუხის მაგალითზე „საშუალოს“ ანგარიშით ერთ კომლზე 5 სულიც კი არ მოდის; მაშასადამე — აქ იმ დროს არც ერთი მრავალსულიანი ოჯახი არ უნდა არსებულიყო!

[3] ნიკო გორთამაშვილის მამა, 73 წლის ღვთისო ივანეს ძე გორთამაშვილი გვიდასტურებს, რომ „გორთამაშვილის გვარის ისტორია მართალია, რაც ნიკოს ნათქვამია“.

ნებია, ჩემს პაპას — „პატარა". გუდრუხში პაპაჩემი — პატარა გადმოსულა ზედსიძედ ქიზიყელის ქალზე. აქ ქიზიყელები იყვნენ, ახლაც არიან. ქიზიყიდან მწყემსად მოსულა და ზედსიძედ დარჩენილა. ჩვენს სოფელში წინ-წინ ჩამოსახლებულა გიგაური და წოწკოლაური, იმათ მოჰყვა ქიზიყელი, რადგან ჩვენ ძველს გორში უცხოვრია, და თომა ქვივნებია, დაუძახეს გოროთამაშვილი, ძველი გვარი — ზარიძე დაუმალავთ, რადგან სისხლი მართებია. ჩვენი ადგილი კაწალხევთან (შედარებით) ბაღდადია: გზაც უდგება, ადგილი კარგია — მოსავალი კარგი იცის". ცნობილი, დადგენილი და აღიარებულია, რომ სადაურობის გარკვევისათვის ნიშან-თვისების მნიშვნელობა აქვს „ჯვარ-ხატის მიდევნებას", რომ გადაადგილებული „ყმა" ამ გზით ახანგრძლივებს წინაპართა ხსოვნას და მამაპაპისეულ ადგილსამყოფელთან კავშირ-ურთიერთობას. ამ წყების მონაცემები ყველა სოფელში და გვარში აქვს ექსპედიციას დადგენილი, მაგრამ სათითაოდ ახლა აღარ ჩამოვთვლით.

თ. ოჩიაურის მიერ, 82 წლის გუდრუხელ შაქრო ფშაველას ძე თანდილაშვილთან ჩაწერილ მასალებში, სხვა ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, აღნიშნულია ექსპედიციის მიერ მოვლილ სოფლებში მცხოვრები გვარების წარმომავლობა: „წოწკოლაურები, მიგრიაულები და ელიზბარაშვილები ფშაველებია; გიგაურები და ყორიაულები — ხევსურები; ქიზიყელები—კახელები".

ამათგან ქიზიყელის გუდრუხში დასახლების შესახებ მოგახსენებთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაირკვეს როგორ „მოხვდა" კახელი კაცი ფშავში, რაც თავისთავად მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია, არამედ იმიტომაც, რომ მასთან არის კავშირში ამ სოფლისათვის უცხო სამეურნეო კულტურის დანერგვის ცდა. ყველაზე დაწვრილებით და გაბმულ ცნობებს ამის თაობაზე შეიცავს 73 წლის ღვთისო ივანეს ძე გორთამაშვილისაგან ჩაწერილი მასალა. მოგვყავს სიტყვასიტყვით: „ქიზიყელის პირველი გვარი კორახაშვილია; მემრე ეძახდნენ ქიზიყელიო; მათი მოსადევარი ქიზიყელობით იწერება. აქ მწყემსად ყოფილა ბადრიანთა. ახლა გუდრუხში ბადრიანი აღარავინაა. ბადრიანთ ქალზე ზედსიძედ ყოფილა: მერე ქიზიყში წასვლა მოუნდომებია. ცოლი არ მიჰყვებოდა, — დაუვლია ხელი და წაყვანა მოუნდომებია; ცოლისძმას დაუკრავს თოფი (დედაჩემის ნაამბობია). მერე ბადრიანთ ქალი სხვა კაცზე გათხოვილა. ქიზიყელის შვილები გერებად დაზრდილან და ქიზიყელად დაწერილან. ანეული ხვნა ქიზიყელმა მოიტანა, თესლიცა — კარგი წითელი თავთავი ჰქონდა, გემრიელი პური იყო, ერთი კვირა რომ დარჩენილიყო, არ გაშრებოდა. ქიზიყელი ამაყი კაცი ყოფილა, თავიანთ ქვეყანაში კაცი მოუკლავს და აქ მწყემსად მოსულა. ქიზიყელის ნამოსახლარზე ახლაც შემორჩა ვენახი — ხარისთვალა იყო, ის ქიზიყელის ვენახია"[4]. ეს ამბავი ნაწილ-ნაწილ სხვა მთხრობლებთანაც გვაქვს ჩაწერილი.

ზემოხსენებული მასალა არა მხოლოდ გუდრუხის მოსახლეობის საიდანსად ჩამოსახლების დადგენაში გვეხმარება, არამედ ბარული სამეურნეო კულტურის მთისპირეთში დანერგვის კონკრეტულ მონაცემებსაც შეიცავს: „ანეულათ ხვნა", ვაზის გაშენება, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო კულტურის იგივე ელემენტები უახლოეს მეზობელ ქართლის სოფლებში (ჩინთი/

---

4 „ქიზიყელის ვენახი" ჩვენც ვნახეთ, ძირის შემოწერილობა გავზომეთ და სურათი გადავიღეთ.

არანისი...) საყოველთაოდ გავრცელებული იყო, მათ კულტივირებას გუდრუხში მაინცდამაინც ჭიზიყელის მოსვლას და საქმეს უკავშირებენ. აღნიშნული ფაქტი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა. მაგრამ ახლა მხოლოდ ერთზე მოგახსენებთ: იგი შეიძლება გამოვიყენოთ იმის დასტურად, რომ გუდრუხი მართლაცდა ახალ დროში გაშენებული სოფელია.

როგორც დასაწყისშივე იყო გაკვრით ნახსენები, კარის მეზობლებისა და მომიჯნავე სოფელთა სარწმუნო მტკიცებით, გუდრუხში პირველად წოწკოლაურისა და გიგაურის გვარის კაცია ჩამოსახლებული. სოლომონ ბესოს ძე წოწკოლაურის მოწმობით, გუდრუხში წინ-წინ მოსულა თინიბეგი, რომლის შთამომავალთა მეოთხე თაობა ცხოვრობს დღეს აქ. გიგაურთა გვარის პირველ მოსახლეს — ჯურხაის ორი შვილი ჰყავდა — ბაბო და ბერდიაი. ისინი თავთავად სახლობდნენ. ბაბოს ოთხი შვილი ჰყავდა: გიგოლი, დავთო, გიორგი და პავლე; ესენი—ერთსახლად ცხოვრობდნენ. პავლეს, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაღუპულა, დარჩა ერთი შვილი — ლევანი, რომლის ქვრივი 67 წლის ნენე დავითის ასული თურქიაშვილი (ჯიჯეთიდან — თიანეთის რ-ნი, არის გამოთხოვილი, როგორც თვითონ ამბობს — „მოტაცებული“) იყო ჩვენი ერთ-ერთი მთხრობელი და „მამამთილების“ ცხოვრების მახსოვარი (ნენე 17 წლისა გამოთხოვილა). ნენე დღესაც ცხოვრობს იმ „ძველ“ სახლში, რომელიც ოთხ ძმას — ნენეს „მამამთილებს“ ერად აუგიათ, რაც კედლების ქვებზე, ორ მხარეს —წინა და მარჯვენა კედელზე — თარიღის აღნიშვნითურთ არის ამოღარვით დაწერილი. ექსპედიციის მასალებიდან სხვა ცნობების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ესეც კმარა დღევანდელი სოფ. გუდრუხის ხნიერების დასადგენად — იგი IV—V თაობაზე უხნიერესი არ უნდა იყოს.

გუდრუხში მოსახლე ყველა გვარის ცხოვრების ცალკე აღწერას ვერ შევუდგებით, მაგრამ ერთი მათგანის შესახებ მოკლედ მაინც მოგახსენებთ. დგნალიდან გადმოსახლებულა ივანე გაბრიელის ძე ქავთარაძე „ძირად მთიული“; გუდრუხში შესძენია სამი შვილი — სვიმონი, დავითო და გიგოლი — გრიგოლი. ივანეს შვილიშვილის — 76 წლის გიორგი სვიმონის ძე ქავთარაძის ცნობით, მისი მამა-ბიძები „ცეცხლით გაყრილები“ ყოფილან, ისე კი ერთობით ცხოვრობდნენ — „როგორ იქნებოდა რძლები წაჩხუბებულიყვნენ ქმრების შიშით“. გიორგის უფროსი ბიძა — გიგოლი „კრამიტს და აგურს ჭრიდა“, „მჭედელიც იყო“. ნიკო ღვთისოს ძე გორთომაშვილის მოწმობით, „გიგოლს ზამთრობით კავკავში უმუშავია, — კავკავში ზამთარში მივდიოდი, საჟენების მადგმელზე ვმუშაობდიო. გიგოლი კრამიტს ჭრიდა; ცულს, სახნის-საკვეთ აკეთებდა“. ეთნოგრაფიული მასალებით ცნობილია, რომ ფშავში კრამიტი თიანეთიდან მოჰქონდათ შეძლებულ ოჯახებს (დაახლოებით XIX ს. 80—90-იანი წლებიდან). ამგვარად, გიგოლი ორ ხელობაზე მუშაობდა. ამ შემთხვევაში შრომის დანაწილების თვალსაზრისით ხელოსნობის განვითარების დაბალ დონესთან უნდა გვქონდეს საქმე. გიგოლის ძმა — სიმონი კალატოზი ყოფილა. როგორც ცნობილია, კალატოზობას აქაც „დიდი გასავალი“ ჰქონდა. ჩვენი მთხრობელი გიორგი, რომელიც სოფ. თვალივში 1936 წელს გუდრუხიდან გადასახლებულა და ზედსიძედ შესულა, ახლაც აგრძელებს თავის ხელობას — კალატოზობას, იგი დურგალიც არის. მოთხოვნილების მიხედვით გიორგი ორივე ხელობაზე მუშაობდა და დღესაც მუშაობს. ძმები — გიგოლი

და სვიმონი ხელობითაც გაჰყრიან ერთმანეთს. გიგოლს იმ დროისა და სოფლის კვალობაზე დიდი ორსართულიანი სახლი აუშენებია, რომელშიც ახლა ოთხწლიანი სკოლაა. გიგოლი კულაკების სიაში მოხვედრილა.

გუდრუხი ერთადერთი სოფელია არაგვის მარცხენა ნაპირზე, რომლის მთლიანი გადასახლება მოითხოვა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ. ამიტომაც არის, რომ ყველაზე მეტხანს ჩვენი ექსპედიცია ამ სოფელში მუშაობდა.

ახლა მოვიტანთ ექსპედიციის დღიურებიდან ზოგიერთ მასალას ჩვენს მიერ შესწავლილი სოფლების ახლომახლო მდებარე ნასოფლარების შესახებ, რომელთა კვალი ზედაპირულადაც კარგად ჩანს და მათ შესახებ ცოდნა მთხრობელების მეხსიერებას ცოცხლად შემოუნახავს. მაოგან ზოგიერთი ჩვენი თვალითაც ვნახეთ.

ღვთისო გორთამაშვილი მიუთითებს, რომ „ჩვენი (გუდრუხის, ი. ჯ.) მთის გზაზე, კლდეებში არის ნასოფლარი, ნაყორალები. ისევ არის ქვითკირი: როგორი მაგარია, კაცო, ქვას ვერ ააგდებინებ!ლამკირით არის ნაგები. იმ ადგილას საღროვანა ვუწოდებთ. იქ ჩამოდის სამარხილე გზა. იქ ნახე's სიპი, მეც წაველ და ვნახე. საღროვანში ამოთხარეს ქვევრი. ნარახული — ნაღვინარი ეტყობოდა. აგერ გდია კარზე (მე ვნახე, ქვევრი დაკირულია, ი. ჯ.). იმ ნასოფლარში გუდრუხელების სახნაურია. იქ აჩაჩას სახნისი მოდებოდა საარაყე ქვაბის ყურებს. იქვე გვინახავს ჯაგის ამოსათხრელი ქარჩები, აქაური მჭედლის ნაკეთებიაო. ნასახლარები არის მთებში, გორებზე, მოსახედ ადგილებზე — საიდანაც მოჩანს ქვეყანა. იქაური მოსახლეები სიმაგრებში ყოფილან. ნასაყდარალია ერთი ადგილი მთაში — საყდრიონს ვეძახით, გამოლმა ნასოფლარია. ჩობაი ყოფილა მძლავრი კაცი; პიროფლიანი მოვარდაო, გუდებით ისრები მოიტანაო; ჯერ ხრმელებითა და მერე ისრებით გალივა მტერიო. თათრები იქნებოდნენ. ძველების ნაუბარია.“

გიორგი ჭრელას ძე ორტოლაშვილის ცნობით, „მთა ადგილებში არის ადგილობრივი წინაპრების (ძველმოსახლეობის, ი. ჯ.) ციხეები. ხატად აქვის იქა. თამარ მეფის ნიშანია; წვერზე წმინდა გიორგი, ციხაწი — ადგილის დედა. იქ დიდი ციხეებია, არაა დანგრეულები. არის ნასახლარები, ნაყორალები. სუყველა ვლოცულობთ სოფლურად. დღეობას ვაკეთებთ წვერზე — წმ. გიორგიში, ხთიშობელაშიც და ბზიანაშიც. მამაჩემი ხატს დაუჭერია, დროშით დადიოდა ხატებში. ღთიშობელს მამული ჰქონდა, ორ ჰექტრამდე იქნებოდა. მოვხნავდით... საერთოდ გაილეწებოდა, ლუდს, არაყს (გამოვხდიდით), საკლავს ვიყიდდით და დღეობით გავაკეთებდით“ (თ. ოჩიაურის მასალებიდან. ს. ნეძიხი. გიორგი ჭრელას ძე ორტოლაშვილი, 80 წლისა).

ავენისელი მთხრობლების მასალებიც მსგავს მონაცემებს შეიცავს: „ნიგზორას ხევის თავში, იწყება ხევი. იქედან არის გამორიყული ტაშტი. ტაშტი ხატის უნჯიდან იქნებოდა. იქ ჩვენი ფარეხი იყო, ის ადგილი ღანიანთ ათხრევინეს. ერთი ისეთი ქვევრი ამოვიდა, რომ ურემზე ჯავლი ვეღარ მოიხდინა, ისე წაიღეს ღანიანებმა. ღანიანები ეთვალისში ცხოვრობენ. ჩვენ ორი ქვევრი დაგვრჩა, — ორასლიტრიანები. ქვევრების ძველი პატრონები გადაძევდნენ“ (გადასახლდნენ, ი. ჯ.).

როგორც ჩანს, ახალმოსული სამოსახლოდ ნასახლარს კი არა, არამედ „უფრო ბარის“ ადგილებს ირჩევდა და მეურნეობას ამის პირობაზე აწარმოებდა. მიუხედავად ამისა, „უფრო მთის“ ნასოფლარებშიც ყოველწლიურად

ხნავდა და თესავდა, თიბავდა და აძოვებდა; აქაურ ჯვარ-ხატებშიც დადიოდა და „დღეობებს აკეთებდა“.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ მთიანეთიდან ჟინვალ-ანანურსა და არანის გალმა მათ მოპირდაპირე სოფლებში ჩამოსახლების დროს, არჩევანს არაერთი ფაქტორი განაპირობებდა.

მთხრობლები ერთხმად გადმოგვცემენ და ამტკიცებენ, რომ დღევანდელ სამკვიდრებელში მათი წინაპრები ჩამოსახლდნენ მთიდან, როცა ქვეყანამ ლეკიანობისაგან მოისვენა. ნეძიხელი 80 წლის გიორგი ჭრელას ძე ორტოლაშვილი გვიყვება, რომ „ძველად ჩვენთანაც ყოფილა ლეკიანობა. აქ ლეკები არ მდგარა, მაგრამ მაინც ხშირად შემოესეოდნენ. ვინც ყოფილა მოთაური, მოუგროვებია ხალხი და მანდიდან (სადაც ლეკი მდგარა) გაურეკია ლეკები“. (თ. ოჩიაურის დღიურიდან). მთხრობლების ცოდნა ამ მხარეში ლეკთა თარეშის შესახებ დროში მეტ-ნაკლებად უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ცნობილია, XVIII ს. მეორე ნახევარში ლეკიანობა მომრავლდა და ქართლს მოედო. ამ დროს ლეკები ზოგ ადგილას ოჯახებადაც კი ბინადრობდნენ (მაგ. მუადიჯვარი). ლეკებმა დაწვეს ანანური და სხვა და სხვა. (დ. მეგრელიშვილი). „გარდა წვრილ-წვრილი თარეშისა, ლეკებმა რამოდენიმეჯერ წვრილი ლაშქრობაც მოაწყვეს“, „მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით აივსო“ (ნ. ბერძენიშვილი).

მთხრობლები ერთხმად აღნიშნავენ თავიანთი სოფლების სამეურნეო საცხოვრებო პირობების კარგობას და დიდ უპირატესობას ძველ მამაპაპისეულ ადგილებთან შედარებით. ამ მხრივ პირველი ნიშან-თვისება ის არის, რომ დღევანდელ საცხოვრისში „ბარი ადგილებია“ „დიდი ადგილებია — მინდორია“, „მოსავალი — პური კარგი მოდის... მეძიხში ალაგის მოწონებაზე ჩამოვიდა (ხალხი); ბარი ადგილია, ყველაფერი მოდის. მამაჩემი მარტო ხვნა-თესვაზე იყო დამდგარი; პაპაიც ასე იყო. წინავ ხნავდნენ, თესავდნენ, ცხვარ-ძროხა ჰყვანდათ“ (ნეძიხი, იოსებ სვიმონის ძე ცაბურაშვილი, 78 წლისა). „გუდრუხი კაწალხევთან შედარებით ბაღდადია. გზაც უდგება, ადგილი კარგია. მოსავალიც (პური, ი. ჭ.) კარგი იცის; ურემი იქ (კაწალხევში, ი. ჭ.) არ მუშაობს. მარხილით აქ მხოლოდ ძნას ვეზიდებით მთიდან“. (გორთომაშვილი, 51 წლისა). „ჟინვანი ღონიერი სოფელი იყო, ყველაფრით გაკეთებული: მდიდარი პურით, საქონლით, ფულით. პაპები იმაზე წამოსულან ღუდადან, რომ სახნავი არ იყო იქა, ტყე არ იყო. აქ დიდი ადგილებია — მინდორია, ბოშად — თავისუფლად არიან. ჩვენი საგვარეულო შეძლებული ხალხი ყოფილა“ (ჟინვალი, ვასო ანდროს ძე სისველაშვილი, 89 წლისა). ავენისელი 69 წლის ვანო ივანეს ძე ქოჩორაშვილი „ძირად“ ხევსური, გვარად ჭინჭარაული, წინაპრის ამ სოფელში ჩამოსახლების მთავარ პირობად „დიდ ადგილ-მინდორს“ ასახელებს: „ცალ მხარეს ვხნავდით, ცალ მხარეს ვასვენებდით საქონლისთვისო“. ავენისს პატარა კახეთს ეძახოდნენ, ვენახი ხარობდა.

მართალია, აქაურ სოფელთა შორისაც არის ამ მხრივ მეტ-ნაკლებობა, მაგრამ იგი იმ ზომა-წონისა არაა, რამდენიც მთისა და ბარის განსხვავებაზე მოდის. მაგალითად, ნეძიხელის შეფასებით „გუდრუხს ნეძიხი ჯობს, გუდრუხი ჩამხჩვალი ადგილია, ვერ არის კარგი, ღარიბი ხალხია; მოსავალი აქ უკეთესი იციოსო“ (ი. ცაბურაშვილი).

ექსპედიციის მიერ შესწავლილი სოფლების კლიმატური პირობების შესახებ შემდეგი მონაცემები გვაქვს ხელთ: ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +10°-ს შეადგენს; საშუალო თვიური ტემპერატურა მეტნაკლებად

თბილ თვეებში 18—20°-ია, ხოლო მეტ-ნაკლებად ცივი თვეებისა — 1,5—2°-ს. ყველაზე ცივი თვეების მინიმალური ტემპერატურა —20—22°-ია, ხოლო ზამთრის ყველაზე თბილი თვეებისა 3°. მაქსიმალური ტემპერატურა აღწევს 35—40°-ს. საშუალო წლიური ატმოსფერული ნალექის რაოდენობა ჟინვალის რაიონში 759 სმ-ია. მიდამო თოვლით იფარება ჩვეულებრივ დეკემბრის დასაწყისში და დნება მარტის ბოლოს. თოვლის მაქსიმალური სისქე აღწევს 30 სმ-ს. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე არაგვის აუზში 2 მ/წმ-ს არ აღემატება, ჟინვალის რაიონში — 2,7 მ/წმ აღწევს. (ცნობები ამოწერილია ჟინვალჰესის მშენებლობის დოკუმენტებიდან. მიღებულ ცნობებს ვერ შევუდარებთ მთისა და ბარის მონაცემებს. ამისათვის საჭირო არც მასალა მოგვეპოვება და არც ცოდნა გაგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ ფაქტი აღვნიშნეთ).

ზემოთ დასახელებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ისიც ირკვევა, რომ ამ ადგილების სამოსახლოდ არჩევის ერთ-ერთ პირობად მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკვები მარაგის მეტ-ნაკლებობა ითვლებოდა. მიწათმოქმედება აქ მეტი რაოდენობის მუშა საქონელს საჭიროებდა, ვიდრე პირველ საცხოვრისში. როგორც მთხრობლები გვარწმუნებენ და მათი მეურნეობის მიმართულება გვიჩვენებს, ამ მხარეში მემინდვრეობა-მესაქონლეობა ურთიერთშეთანაბრებულ-შერწყმულ მეურნეობრივ წესრიგზე იყო დაფუძნებული (გ. ჩიტაია). ამ შემთხვევაში მასშტაბზეა ლაპარაკი, რა ზომით უახლოვდებოდა ბარს და შორდებოდა მთას. ისე კი, მემინდვრეობა-მესაქონლეობის შეუღლება, ერთსა და იმავე დონეზე, ორივეგან ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით განისაზღვრება — სივიწროვე და ერთ-ორ უღლიანი აჩაჩა-სახვნელით მუშაობა არ გამოდგება მთიულთა სამიწათმოქმედო კულტურის ამ მხრივ ბართან შესადარებლად, ამ დონეზე პირველი მეორის ადრეულ საფეხურად, პირვანდელ ფორმად გამოცხადებისათვის, თუ გნებავთ, იმ მარტივი გარემოების გამო, რომ არავის მოუვა აზრად — დიდი გუთანი ხნავდესო მთაში! ასევე, უმართებულოა „მონდავობის მიჩნევა“ „მოდგამობის“ ადრეულ ფორმად. ნამდვილად კი, ჩვენი ზოგიერთი ეთნოგრაფი ამ გზით ადგენს მთის არაერთ „გადმონაშთურ ფორმას“ და, რაც მთავარია, მიღწევად მიიწერს.

„იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელიც საქართველოშია, როდესაც მთელი ჩრდილო ნაწილი, მთიანი ქვეყნის მეტისმეტი მთაგორიანობისა და ნიადაგის სიმწირისა, თუ სახნავად გამოსადეგი მიწის სიმცირის გამო, ამ მთა ადგილებს თავიანთთვის სამყოფი საკვები, მეტადრე ხორბლეული არ ჰქონდათ, ბარს მთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს ჩრდილო ზოლის მთა სურსათის მხრივ, ეკონომიურად, ბარზე იყო დამოკიდებული“ (ივ. ჯავახიშვილი). როგორც ვნახეთ, უპირველეს ყოვლისა, ექსპედიციის მიერ აღწერილი ფაქტი გადმოსახლებისა მთისა და ბარის საზღვარზე ისტორიულად გამომუშავებული, ურთიერთ ეკონომიური დამოკიდებულების თვით ხალხშივე გამომუშავებული ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების ერთ-ერთი მომენტი უნდა იყოს, რასაკვირველია, ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარების აღებულ დონესა და ისტორიული პირობების კვალობაზე განხორციელებული.

რაც შეეხება არქიტექტურულ ნაგებობებს, აქაც შეიმჩნევა მთისათვის და ბარისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ამ ზოლის, და მთიულეთის არქიტექტურისათვის საერთოდ, დამახასიათებელია ტერასულ-კალოიანი სახლი, რომელმაც დღეს მთლიანად შეიც-

ვალა სახე. აქ არსებულ ტერასზე კეთდება ორბანიანი სახურავი. პირვანდელი სახით სახლები აღარ გვხვდება. მთაში გზა გაიკაფა საქართველოს ბარისათვის დამახასიათებელმა სახლებმა.

ადგილობრივ საერო ხუროთმოძღვრებაში ზოგან გვხვდება კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები. არქიტექტურაში იჭრება უცხო ელემენტები; ეს ეხება განსაკუთრებით იმ სოფლებს (ანანური, თვალივი), სადაც ვაჭრობა იყო განვითარებული. ამ ტიპის შენობებში გაერთიანებულია როგორც საცხოვრებელი, ასევე სახელოსნო ან სავაჭრო ფუნქცია.

გარდა ზემოთ თქმულისა, 1972 წელს ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ფიქსირებული იქნა მდიდარი მასალა საცხოვრებელი, სამეურნეო, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა შესახებ.

საცხოვრებელი ნაგებობები[5]. სოფ. თვალივში ჩვენს მიერ აზომილ იქნა იოსებ შანიძის სახლი. გეგმაში მოგრძო კონფიგურაციის სახლია, რომელშიც საკმაოდ ფუნქციონალურად იყო გაწილებული სათავსოები, როგორც საცხოვრებელი, ისე სავაჭრო. სახლი ორქანობიანია, კრამიტითაა გადახურული, არავითარი დეკორატიული მორთულობა არა აქვს.

ანანურში ყანაშვილების სახლი წარმოადგენს უცხო ელემენტს ჩვენს არქიტექტურაში, თუმცა ზოგიერთი დეტალი ნასესხებია მთიულეთის ხალხური ხუროთმოძღვრებიდან, — მაგალითად, სვეტისთავები. ამ სახლსაც ორი ფუნქცია აქვს: საცხოვრებელი და სავაჭრო და ამიტომ უშუალოდ გზის პირად დგას.

სოფ. გუდრუხში ქავთარაძე გიგოლას სახლი, რომელშიც ამჟამად სკოლაა, წარმოადგენს მასიურ, მძიმე შენობას, არასასიამოვნო პროპორციებით და შეუსაბამო მასშტაბით. ამ შენობის გეგმებში არ იგრძნობა არავითარი პლასტიურობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შენობა არატექნიკურია და წარმოადგენს მრავალი ახალი ე. წ. ქალაქური ტიპის უგემოვნო სახლის პროტოტიპს.

სოფ. ნეძიხში ცაბაურაშვილების სახლი საინტერესოა თავისი პროპორციებით და, განსაკუთრებით, დეკორატიული მორთულობით, რომელიც თხელ ფიცარზე გამოხერხვის წესით არის დამზადებული. რაც შეეხება ორნამენტაციას, — ერთი შეხედვით უცხოა, მაგრამ დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს განვითარებაა იმ მოტივებისა, რომელიც სხვა ფორმაში იყო გამოხატული და სხვა წესით იყო შესრულებული. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს გაულესავი კედლები, რომლებიც ფიქალით არის აგებული.

სოფ. გუდრუხში ნენე გიგაურის სახლს ეტყობა, რომ არა აქვს პირვანდელი სახე; იგი მრავალჯერ უნდა იყოს შეკეთებული. შენობა ორსართულიანია, კრამიტით გადახურული, გეგმარების თვალსაზრისით მარტივი; მისი პროპორციები ნაკლებადაა დახვეწილი.

საინტერესო დედაბოძია სოფ. ჟინვალში ჯარიაშვილების სახლში. დედაბოძი ორნამენტირებულია ოთხი სხვადასხვა ტიპის ორნამენტით[6].

საფორტიფიკაციო ნაგებობები. გარდა საცხოვრებელი სახლებისა, სამშენებლო ზონაში გვხვდება საფორტიფიკაციო ნაგებობანი —

---

[5] აღწერილობა ეკუთვნის არქიტექტორ გ. დავითაშვილს.

[6] ამჟამად აღნიშნული დედაბოძი გადატანილია დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე მილახვრიანთკარში.

ციხეები, რომლებიც ხეობებშია განლაგებული და თავის დროზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ციხე-კოშკები გეგმაში წრიული ან მართკუთხა ფორმისაა, ხშირად მშრალადაა ნაგები.

შედარებით დახვეწილი ფორმა, სასიამოვნო პროპორციები აქვს ციხეს მოლევის ქვასთან, სოფელ ჩინთში. გეგმაში იგი კვადრატულია, ორსართულიანი, საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, ქვითკირითაა ნაგები. ასეთი ტიპის ციხეებს უფრო ბარში შევხვდებით.

არანისის ციხეც საინტერესოა. გეგმაში წრიულია, ორსართულიანი, გუმბათური გადახურვით, ბევრი სათოფურებით. ესეც ქვითკირითაა ნაგებგამაგრებული. მასალად გამოყენებულია როგორც რიყის ქვა, თავისი დამახასიათებელი წყობით, ისე ფიქალი.

ანანურის მახლობლად მდებარეობს ბებრისციხე. გეგმაში იგი მართკუთხაა, ორი ნაწილისაგან შედგება, უკანა კედლად კლდე არის გამოყენებული[7]. ციხე დახრილ რელიეფზეა. ასეთი ტიპის ციხეები მთისათვის უფროა დამახასიათებელი თავისი პროპორციებით, მასალად გამოყენებულია მხოლოდ ფიქალი, ნაგებია მტკიცე დუღაბზე.

ბოლოს იმ თვალსაზრისით, რომლითაც ჩვენ ვიხილავთ ნაგებობებს, ყველაზე საინტერესო უნდა იყოს ჟინვალში დედაღვთისშობლის კომპლექსში მდებარე ციხე; იგი გეგმაში ნალისებურია[8].

წინა ფასადს თუ შევხედავთ, იგი მთის ციხეა და უკანა მხრიდან მისი ოვალური ფორმა მეტყველებს იმაზე, რომ აქ ბარის არქიტექტურის გავლენაცაა.

ჩვენი აზრით, ეს არის მშვენიერი მაგალითი იმ სინთეზისა, რომელიც მჟღავნდება ყველა ეკონომიკურ თუ სოციალურ მოვლენაში.

საკულტო ნაგებობები. მცირე საკულტო ნაგებობებიდან, ხატებიდან ყველაზე საინტერესოა სოფ. ჭაისხევში წმინდა გიორგის ნიში. იგი მშრალადაა ნაგები, მაგრამ სპეციალურად დამზადებული და მორგებული ქვებით.

ჟინვალის კვირაცხოველის ნიში ძალზე მარტივია, ყრუ ქვების გროვას წარმოადგენს.

შედარებით კაპიტალურ ნაგებობას წარმოადგენს ციხისძირის წმინდა გიორგის (ამაღლების) ნიში, რომელიც ქვით და აგურითაა აშენებული და კრამიტის სახურავი აქვს.

ჟინვალის წმინდა გიორგის ნიში უჩვეულო პროპორციებისაა, — იგი სამი ნიშისაგან შედგება, დუღაბითაა შელესილი და ზედ გამოხატული აქვს აშენების თარიღი (1965 წ).

გარდა მცირე საკულტო ნაგებობებისა, ჩვენ გვხვდება შედარებით დიდი მოცულობის ნაგებობანი. ეს არის ჟინვალის დედაღვთისმშობლის კომპლექსში შემავალი დარბაზული ტიპის შენობის ნანგრევი, ავენისის ადგილის დედა, რომელზედაც მხოლოდ გეგმით შეიძლება ვიმსჯელოთ.

ანანურის ნიში „წმინდისა კვირიკისა“ წარმოადგენს მართკუთხა გეგმის მჭონე შენობას, რომელშიც ორი ნიშია — ერთი გარე კედელში, მეორე შიგნიდან. მას ორქანობიანი კრამიტიანი სახურავი აქვს.

---

[7] ეს ძეგლი არქეოლოგიურადაა შესწავლილი ჟინვალის ექსპედიციის მიერ.

[8] ჟინვალის ციხე წარმოადგენს ყველაზე დიდ ზურგიან კოშკს მთელს არაგვის ხეობაში. იგი არქეოლოგიურად შესწავლილია ჟინვალის ექსპედიციის მიერ.

სოფელ ნეძისში დედაღვთისმშობელი წარმოადგენს დარბაზული ტიპის ძეგლს, რომლის გადახურვის კონსტრუქცია ცრუ თაღს წარმოადგენს; შენობის გარეთ კედელში ნიშია.

1973 წლის ზაფხულში ეთნოგრაფიის განყოფილებების ჟინვალის ექსპედიციამ კვლავ განაგრძო მუშაობა ჟინვალსა და მის მახლობელ სოფლებში. გარდა იმისა, რომ ექსპედიცია შეივსო ახალი თანამშრომლებით[9], საგრძნობლად გაფართოვდა საკვლევი არეალიც. ძვირფასი მასალები იქნა შეკრებილი ფშავისა და მთიულეთის ზოგიერთ სოფლებში.

ექსპედიცია 1973 წელსაც დიდ ყურადღებას აქცევდა დასატბორავი მხარის კომპლექსურ ეთნოგრაფიულ შესწავლას (მეურნეობა, ყოფა, კულტურა, მიგრაციული პროცესები და სხვა).

მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით 1973 წელს მასალებმა კიდევ უფრო შეამაგრა წინა წელს მიღებული დასკვნები.

ახლა სრულიად ცხადია, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი მოსახლეობა ჩამოსახლებულია მეტწილად ფშავისა და ხევსურეთის ზემო სოფლებიდან. თითო-ოროლა მთიული და გუდამაყრელია (ქავთარაძე, კოდაშვილი, ჩოხელი), აგრეთვე „ნაოსარი" (სისველაშვილი, სიდამონიძე...), რომლებიც უმეტესწილად ზედსიძეებად იყვნენ მოსულნი. ყურადღებას იმსახურებს ზედსიძეობის ერთი ვარიანტი: ზედსიძედ მოსული თავის გვარს იცვლის და ცოლეურის ოჯახის გვარს ღებულობს: „ჩემი მეუღლის პაპა მოსული იყო (ზედსიძედ, ი. ჭ.) პავლეურში ჯავიდან. მამულის გულისათვის დაიწერა ბალიაშვილად; ნამდვილი გვარი იყო ხუმარაშვილი. ხუმარაშვილი მეორე ქმრად მოვიდა, ზესიძედ მოსულა ხუმარაშვილი და დაიწერა ბალიაშვილზე". მთხრობელის განმარტებით „თავიანთი გვარი რომ შეენახა, მაშინ მამულს არ მისცემდნენ".

მთხრობელთა გამოთვლით 4—5 თაობაა გამოვლილი, რაც ამ სოფლებში მათი პირველმოსახლე წინაპარი დამკვიდრებულა. შარშანაც გვქონდა აღნიშნული, რომ ეს ხალხი, მთხრობლების მტკიცებით, კარგა ხანია, რაც „გადაფშაველდნენ", „გადაფშავებულნი" არიან. ამ მხრივაც 1973 წელს მოპოვებული მასალა წინა წლისას ავსებს და ამტკიცებს.

შარაგზის პირად თუ მის ახლომახლო დასახლებისაკენ მისწრაფება და სოფლის გაშენება არ არის ახალი ამბავი. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა ახალ დროში. ამ მომენტს დემოგრაფიულ კვლევა-ძიებაში დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა ჩვენი სოფლების სამოსახლოდ გამორჩევის ამოსავალ პრინციპს ვეძიებთ. გარდა ამისა, იმავე პირობას არსე-

---

[9] ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1973 წელს ველზე იმყოფებოდა შემდეგი შემადგენლობით: ი. ჭ ყ ო ნ ი ა (სფლმძღვანელი), ჟ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, გ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი. ხელშეკრულებით მოწვეულნი: ასპირანტები — მ. შ ვ ე ლ ი ძ ე, გ. კ ო პ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ასპირანტურა დამთავრებული თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, გ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი მეცნიერულად სწავლობდა ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს, აკეთებდა სათანადო დოკუმენტაციას და ხშირად ფოტოგრაფის მოვალეობასაც ასრულებდა. გ. კოპალეიშვილი აგროვებდა მასალებს მიწათმოქმედებასა და სამიწათმოქმედო იარაღებზე. მთხრობლებთან მუშაობდა ხმის ჩაწერით, იღებდა ფოტოსურათებს. თ. ცაგარეიშვილი კრებდა მასალებს მესაქონლეობის შესახებ. ჟ. ერიაშვილი და მ. მშველიძე მასალებს აგროვებდნენ შემდეგ საკითხებზე: თესვა, მკა, ლეწვა, მარცვლეულის შენახვა. პარალელურად გ. კოპალეიშვილი, მ. შველიძე და ჟ. ერიაშვილი იწერდნენ ეთნოგრაფიულ მასალებს თავიანთი საკვალიფიკაციო თემის საკითხებზე. ექსპედიციას სანაქებოდ მოემსახურა მღძოლი ე. ჩ ი ტ ი შ ვ ი ლ ი.

ბითი მნიშვნელობა ენიჭება დაბა-სოფლების წარმოქმნა-განვითარების შესწავლის თვალსაზრისითაც.

საყურადღებო მასალები იქნა შეგროვილი დასატბორავი სოფლების ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამ მხრივ პირველი ადგილი დაეთმო ანანურს. ეთნოგრაფიული აღწერის დაწყებამდე მოვიტანეთ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 1886 წლისათვის ანანურში ცხოვრობდა ქართველი 37 კომლი (მამაკაცი — 46, ქალი — 88), სომეხი — 35 კომლი (მამაკაცი — 76, ქალი — 73), რუსი — 3 კომლი (მამაკაცი — 7, ქალი — 4). გაგვაჩნია რა საერთო ცოდნა დროის ამ მონაკვეთში თითოეული აქ დასახელებული ეროვნების წარმომადგენელთა ხელობა-საქმიანობის შესახებ „სხვის ქვეყანაში“, დაახლოებით სწორი დასკვნის გამოტანა თითქოს შეიძლებოდა ამ მიმართულებით, მაგრამ უმჯობესია მაინც, რომ მივმართოთ ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალიდან კონკრეტულ მონაცემებს.

„ანანურში სულ ვაჭრები იყვნენ, სომა ლაზრიევი და ავეტა ანდრიევი სომხები იყვნენ“. (იასონ ყარმაზანაშვილი, ციხისძირი). „ეხლა სასადილო და კოოპერატივი რომაა, იქ სულ კერძო დუქნები იყო ანანურში. წისქვილებზე ანანურში ჩავდიოდით. ბედოიანთ და ლაზრიანთებს ჰქონდათ წისქვილები, იქ მიგვქონდა ჩვენცა და სხვა სოფლებსაც საფქვავები“ (ქიტო სოლომონის ძე შალაშვილი, 79 წლ.). „ანანურში განთქმული იყვნენ ცხოვრებით ლაზრიევი და ანდრიევი, ამათ ცხოვრებით მოსდევდა დაფქვიევი; ესენი დაფქვიაშვილები ყოფილან. ის დაფქვიევი ზედსიძედ ყოფილა მოსული გელაძის ქალზე: გელაძე მღვდელი იყო. დაფქვიევი პოლკოვნიკი იყო, გერმანიის ომში დაიღუპა“ (თამარ სიმონის ასული ლაზრიევი, ანანური). იმავე მთხრობელის ცნობით, „ანდრიევებს ორი სახლი ჰქონდათ: ერთი ციხესთან, ერთიც წყაროსთან, ეხლა სკოლა-ინტერნატი რომაა, იმის ზემოთ. ჩვენც ორი სახლი გვქონდა (ერთი, სადაც ახლა ცხოვრობენ, ი. ჭ.). მეორეში კოლმეურნეობის კანტორა იყო. იმ სახლში მამაჩემსა და პაპასაც დუქანი ჰქონდათ. ლაზარეს (ისიც ლაზრიევია, ი. ჭ.) ზემოთ აუშენებია სახლი, საექიმო რომაა, იმის პირისპირ“.

„მამას ჰქონდა სასადილო, გადმოგვცემს თამარ სიმონის ასული ლაზრიევი, იქ ეზოც იყო ურმების გასაჩერებელი. ღამის გასათევიც ჰქონდათ. მამაჩემს სიმონი ერქვა, სომას ეძახოდნენ. სომას დუქანი განთქმული იყო. თავისთან ბიჭები ჰყავდა. ზოგი შეშას უჭრიდა. მამაჩემი ყველა უპატრონოს პატრონობდა. მამაჩემს დუქანში ჰყავდა ბერელოვი. სახლშიც გვყავდა გოგოები, დედას ეხმარებოდნენ... ძაან ბევრი გოგო-ბიჭები ყოფილან ჩვენთან. ანდრიევები ხუთნი ძმანი იყვნენ. ერთი ძმა — ავეტა აქ დასახლდა, დუქანი ჰქონდა, იმასაც ღვინის დუქანი ჰქონია, ახლა სადაც სასადილოა, ის იყო ავეტას დუქანი. ოთხი თბილისში მსახურობდა, ისინი ავეტაზე უმცროსები იყვნენ. დაფქვიაშვილებს ავეჯი ვარშავიდან და ბერლინიდან ჰქონდათ. სულ დაუწვეს — ნიკალაის ღერბი აქვსო, მამაჩემი აქ გარდაიცვალა 1933 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 87 წლისა“.

როგორც ვნახეთ, ლაზრიევი და ანდრიევი თავიანთი „დუქნებით“ მგზავრებს „ემსახურებოდნენ“. როგორც ცნობილია, ანანური სამხედრო გზით მიმავალ-მომავალი მგზავრების, საქონლის გადამტან-გადმომტანთა შესასვენებელი ადგილი იყო და მათი საქმიანობაც ამაზე იყო გაანგარიშებული. გ. დავითაშვილმა გააკეთა ზემოთ დასახელებული დუქნის პატრონების საც-

ხოვრებელ ნაგებობათა არქიტექტურული ანაზომები, ფოტოები და სათანადოდ აღწერა.

ანანურში მრავლად იყვნენ ე. წ. შუამავალი ვაჭრები, რომლებიც ვაჭრობდნენ მოსახლეობის პირველმოთხოვნილებების საგნებით. იყვნენ ხელოსნები — მაგალითად, უნაგირის მკეთებელი და სხვ.

გარდა იმისა, რომ ანანური ათობით სავაჭრო დუქნებით იყო მოფენილი, რომლის კვალი დღესაც ეტყობა გზის პირად ამართულ ზოგიერთ შენობას, მაგალითად, ახლა საეჭიმო პუნქტი რომ არის, ან მის გვერდით ნანგრევს, იგი განთქმული იყო წისქვილებით. ლაზრიევებს არაგვზე, სოფლის თავში, ჰქონდათ წისქვილი, რომელშიც ხუთი თვალი ბრუნავდა. სამი თვალი წისქვილი ჰქონდათ ბედოშვილებს, ბედოანთ წისქვილებს ეძახდნენ. გიორგი როსტიაშვილს ორი თვალი წისქვილი ჰქონდა. სამი თვალი წისქვილი, ქვემო მხარეს ეკუთვნოდა სიმონა ოგანოვს. იქვე ჰქონდა საკრამიტე, სადაც „ქართული კრამიტი იწვებოდა“. კიდევ იყო წისქვილი, ახლა საპარიკმახერო რომაა, იმის ქვემოთ ჩასასვლელში. როგორც მასალებიდან ჩანს, დიდი წისქვილები ვაჭრებს ეკუთვნოდათ: წისქვილებში ქართველები მუშაობდნენ, რადგან იმათ იცოდნენ წისქვილის საქმე. საკრამიტეში, რომელიც სიმონა ოგანოვს ეკუთვნოდა, მუშაობდა აგრეთვე ქართველი — შაქრუა შოთნიაშვილი, რომელიც „წვავდა ქართულ კრამიტს“. დუქნებთან ერთად წისქვილების გამართვა ვაჭრების მიერ, წისქვილის მაღალშემოსავლიანობის მაჩვენებელია, უპირველეს ყოვლისა. მასალებიდან ჩანს, რომ ანანურის წისქვილებს მრავალი „მესაფქვე“ მოდიოდა „ქერანადან დაწყებული, აში, ბანცურები, სინჯარანი, ზოტიკიანი, კადუეთი, დგნალი, პავლეური, კვირიკე... სულ აქ მოჰქონდათ საფქვავი კამეჩების ურმებით“. „წისქვილებზე ანანურში ჩავდიოდით. ბედოანთ და ლაზარიანთებს ჰქონდათ წისქვილები. იქ მიგვქონდა ჩვენცა და სხვა სოფლელებსაც საფქვავები (ქიტო სოლომონის ძე შაღაშვილი, ზოტიკიანი).

მედუქნე ვაჭართაგან ზოგიერთს მამულიც ჰქონდა. მთხრობლების გადმოცემით, არაგვის მარჯვენა მხარეს. ვენახი ყოფილა ჩაყრილი, ნავენახარებიაო, იტყოდნენ. ლაზრიევებს არაგვის პირას ჰქონიათ ვენახი, ლაზრიევთა უკანასკნელი მემკვიდრის — სიმონის პაპას და მამა-ბიძას გაუშენებიათ, მაგრამ სიმონს არ მოსწრებია. ლაზრიევის სახლში, დაბლა სართულზე, ფურნის გვერდით, ჰქონდათ მარანი, სადაც ქვევრები იყო და ღვინოს ინახავდნენ. სიმონი, რომელსაც სასადილო დუქანი ჰქონდა, ღვინოს ყიდულობდა და მარანში ინახავდა. როგორც ჩანს, საქმიანობის ამ გზით წარმართვა უფრო ხელსაყრელი იყო ვაჭრისათვის, მით უმეტეს, თუ მას ვენახის გაშენების ტრადიცია არ მოსდევდა. ზოგიერთ ვაჭარს სახნავ-სათესი მამულიც ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის მოყვანისათვის არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები არ შრომობდნენ. მაგალითად, ბედოშვილს: „ანანურში იყო ვაჭარი ბედოშვილი, რომელსაც მამულები ჰქონდა. იმ მამულებს სანახევროდ ხნავდნენ. ბედოშვილს ხარ-კამეჩი არ ჰყავდა. სხვა მოხნავდა, ნახევარს წაიღებდა, ნახევარს ბედოშვილს უტოვებდა. ძროხები კი ჰყავდა. ბედოიანთ დუქნები და მამულები ჰქონდათ“ (იასონ (ია) ყარმაზანაშვილი, ციხისძირი). ჩვენი თხოვნით, ანანურელი ბედოშვილების ვინაობისა და საქმიანობის შესახებ ცნობები მოგვაწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა გურამ ბედოშვილმა (24. XII. 1973 წ). გ. ბედოშვილი არის ანანურელთა შთამომავალი. ჩვენთვის ეს მასალები საყურადღებოა იმითაც, რომ

ანანურელი ნიკო ბედოშვილი არის ადგილობრივი მკვიდრი და ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენელი.

დუშეთის რაიონის სოფ. ანანურში მცხოვრები ბედოშვილები ჩამოსულან მთიულეთიდან, სოფ. ბედონიდან. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალებში“ სოფლის ერთ-ერთ კომლად მოხსენებულია ბედოიძე. ესაა დღევანდელი ბედოშვილების წინაპარი გლახა ბედოიძე, რომელიც ბედონიდან ჯერ ჩამოსულა ს. ავენისში, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად გადასულა ს. ანანურში. ავენისში ახლაც შემორჩენილია ტოპონიმები: ბედოიანთ სალოცავი, ბედოიანთ კაკლები და სხვ., რაც ამ გვარის აქ მყოფობას უეჭველს ხდის.

ს. ანანური XVIII ს. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ჩანს არაგვის ხეობაში. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული აქ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების (სომხები, რუსები, ოსები) დასახლება-დამკვიდრება.

„ჩემი ბიძის — პავლე ნიკოლოზის ძე ბედოშვილის (დაბ. 1902 წ.) გადმოცემით, მის მამა-პაპას გლახა ბედოიძეს ანანურში დიდი მეურნეობა ჰქონია. მას თავისი მოძრავ-უძრავი ქონება შვილებისათვის — ნიკოსათვის და ვანოსათვის დაუტოვებია. ნიკო ბედოშვილს (პაპაჩემს) სჭერია მთელი ანანურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები, სახნავ-სათესი მამულები, რომელზედაც დღეს ს. ანანურის ახალი უბანია გაშენებული. ამას გარდა ნიკოს აუგია წისქვილი, ჰქონია სავაჭრო (დუქანი), მოჰქონებია ქსოვრის-ძალის-მუხრანიდან ღვინო და არაგვის ორაგულითა და ღვინით ვაჭრობდა. ანანურში ახლაც დასტურდება ადგილის სახელები: ბედოიანთ მამულები, ბედოიანთ სასაფლაო, ბედოიანთ წყარო, ბედოიანთ ნაწისქვილარი და სხვ., რაც ამ გვარის ეკონომიურ სიძლიერეზე მიგვანიშნებს.

გვარი ბედოიძე მათ რატომღაც „გაუქართულებიათ“ და ბედოშვილობა მიულიათ. ასე დაემთხვა ეს გვარი ოსურ გვარს, რომელთაც ბედოევ-მედოევ გვარები ასევე გაუბათილებიათ და ბედოშვილებად დაწერილან“[10]. ვფიქრობთ, არც ამ რიგის მასალები უნდა იყოს უსარგებლო არამხოლოდ მიწათსარგებლობის საკითხების გარკვევისათვის.

ანანური ცნობილი პუნქტია სამხედრო გზაზე და, ამდენად, იქაური ცხოვრება ასე თუ ისე მაინც არის ცნობილი ლიტერატურაში. რაც აქ აღინიშნა და სხვ. მისთ., რაც ექსპედიციის დღიურებშია ჩაწერილი, შეიძლება იმდენად „წვრილმანი“ და არა „ეთნოგრაფიულია“, რომ „მეტის“ სულ მოხსენიება არ არის საჭირო. ამას ვერ ვიტყვით არაგვის მარცხენა მხარეს, ფშავ-ხევსურეთის გზის პირად, თვალივში გამართული დუქნის შესახებ, რომელიც სოფელ ადგილის პირობაზე და დროის მოთხოვნილების კვალობაზე „უნივერსალურ“ დუქანს ედრებოდა.

1886 წლის ოჯახობრივი სიებიდან ამოკრებილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თვალივში ცხოვრობდა 12 კომლი ქართველი და ორი სომეხი — ვაჭარი. „გიქუა იყო იმ ვაჭრის სახელი“, გვარი არ ახსოვთ. „ბესოს და იმ ვაჭარს, — სომეხს — ახლო-ახლო ჰქონდათ დუქნები. სომეხ გიქუას ბრალდებოდა ბესოს დუქნის გაცარცვა, გიქუამ მიუსია“ (ნეძიხი, გიორგი ჭრელას ძე ორტოლაშვილი, 78 წლისა). „ბესო იყო გვარად შანიძე.* ბესო შანიძეს როგორ არ ვიცნობდი, იმის შვილსაც — იასონას ვიცნობდი, გაგიჭირ-

---

[10] მასალების მოწოდებისათვის ამხ. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ს მადლობას მოვახსენებთ.

* ბესო შანიძე იყო ჩვენი სასიქადულო მეცნიერის აკაკი შანიძის ბიძა.

დებოდა რამე ან მოგიკვდებოდა, რასაც მოითხოვდი, ყველაფერს მოგვცემდა, ხელს გაგვიმართავდა, დაწერდა, როცა მოიშოვებდი — მისცემდი. ყველაფერი ჰქონდა დუქანში: ფართალი, შეკერილებიც ჰქონდა. ქალამნებიც კი მოჰქონდა ქალაქიდან. პურსაც აცხობდა. ღვინო და არაყიც ქონდა. მზარეულიც ჰყავდა. ურმებიც თავისი ქონდა. მეურმეებს აგზავნიდა ქალაქში, მიჰქონდა აქ რასაც შააქუჩებდა. ბესო ყველაფერს ყიდულობდა ხალხიდანა — საქონელს, კარაქს, ერბოს, მატყლს, ტყავს.... სუ ყველაფერს ყიდულობდა, რაც შეხვდებოდა. ქალაქიდან მიჰქონდა ფქვილი, ნავთი, მარილი, ფართალი... ქალაქში ალწაწაშვილები იყვნენ, იმასთან ქონდა კავშირი, საქონელი იმათგან მოჰქონდა და კაპრობდა". მთხრობელები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სომეხი გიქუა გაკოტრებულა: ვერ გაუძლო ბესო შანიძის კონკურენციას. ამის გამოა, რომ ამტკიცებენ—გიქუას ბიუძღვისო ბრალი შანიძის დუქნის გაძარცვასა და ბესოს მკვლელობაშიო. გიქუა გაკოტრდა და იმაზე მიუსია ყაჩაღები, სუ ცხენებით წაიღეს ბესოს ფართალი; ეჯავრებოდა შანიძე, ბესომ დაძალა და იმაზე". „ბესო რომ მოკლეს, მე ვიქნებოდი მაშინა 18—19 წლისა", გვითხრა 78 წლის მთხრობელმა გიორგი ჭრელას ძე ორტოლაშვილმა.

ბესოს სიკვდილის შემდეგ, მისი ძმიშვილი გიორგი „მოვიდა და დაპატრონდა შანიძის დუქანს. ჩემზე უფროსი იყო ხნითა", — ამბობს 78 წლის მთხრობელი. „მე შანიძეებთან ვიყავი დუქანში, მაშინ ბესოს ძმისწული იყო გიორგი. მშობლები მეუბნებოდნენ ვაჭრობა ისწავლეო" (თვალივი, გიორგი სვიმონის ძე ქავთარაძე, 77 წლისა).

ექსპედიციის მუშაობის დროს 1972—1973 წწ. გიქუას „ნადუქნარი" და ნასახლარი კვალი მკრთალად ჩანს, ხოლო ბესო შანიძისეული თითქმის ისევ ისეა შემონახული; ახლა იმ შენობაში „სატყეოა" გამართული და ცხოვრობენ კიდეც [11].

როგორც ექსპედიციის მასალებიდან ნათლად ჩანს, თვალივი დაბა-სოფლის დონეზე მოიწევდა; იგი ერთი იმ ადგილთაგანი იყო, სადაც დაწყებული იყო სავაჭროების თავმოყრა და მათ შორის მეტოქეობა. ბესო შანიძე საშუამავლო ვაჭრობის ტიპური წარმომადგენელია. თვალივი იყო პუნქტი, რომელიც ფშავ-ხევსურეთს წვდებოდა. ეს ის დრო და ვითარებაა, რომელიც ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ლექსში — „ჩივილი ხმლისა" — შემდეგნაირად არის ასახული: „... ეხლა უშნოდ ვარ ... დამკიდეს, ლაჩართ კედელზე უქმადა, ვისღა სცალიან ჩემთვისა, ქვეყანა იქცა დუქნადა..." ლექსი დაწერილია 1890 წ.[12]

აღნიშნული ფაქტიური მდგომარეობის შესახებ ეთნოგრაფის დღიურში ჩაწერა და აქ გადმოცემა არა იმდენად და არა მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ცოცხალ და კონკრეტულ მაგალითზე გამოჩენილიყო საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართა მიერ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შენიშნული სოფელში მიმდინარე ახალი მოვლენები, არამედ იმ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების გახსენებისათვის, რომ უისტორიოდ არ არსებობს ეთნოგრაფია, ანდა, რომ არ დავეთანხმოთ ზოგიერთი ეთნოგრაფის „ახალ" თეზისს — ჩვენს დრომდე მთა ადრე-კლასობრივი წყობის დონეზე აგრძელებდა ცხოვრებას. ამ წყების კიდევ სხვა მასალებში ჩვენს, როგორც ეთნოგრაფის ყურადღებას იმსახურებს აღებულ მიკრორაიონში მეურ-

---

[11] დასახელებული შენობის არქიტექტურული ფიქსაცია 1972 წ. გააკეთა არქიტექტორმა გ. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ მ ა.

[12] აქ ლაპარაკია არა კონკრეტული დუქნების შესახებ, არამედ „ვაჭრობაზე" საერთოდ.

ნეობის ძირითადი დარგების, მათი განვითარებისა და შრომის დანაწილება-სპეციალიზაციის დონე და ხარისხი.

ექსპედიციის მიერ შედარებით სრულად და „კომპლექსურად" შესწავლილი სოფლების „პირველი მაცხოვრებელი", როგორც მთხრობელები ამბობენ, იყო ხვნა-თესვა. „ხარ-გუთნით ვცოცხლობდით", „აჩაჩას მე თვითონ ვრთავდი, იმით ვცოცხლობდი", ამ თემაზე მუშაობის დაწყებისთანავე გვეუბნებოდნენ მთხრობლები. ექსპედიციის წევრების მიერ მოპოვებულ მასალებში ჯეროვნად არის აღწერილი და ფაქტობრივად გამოხატული მემინდვრეობა, საამისო იარაღები და შრომის ორგანიზაციის ფორმები.

შევჩერდებით ზოგიერთ მაგალითზე, რომელიც შეეხება ჩვენი ხალხის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ცოდნა-განსწავლულობის დონესა და ხარისხს ხვნა-თესვის საქმეში. ავენისელმა მთხრობელმა, 70 წლის ივანე გიორგის ძე ქოჩორაშვილმა, რომელიც ძირად ხევსურია და გვარად ჭინჭარაული, სხვა საკითხებთან ერთად ისიც აგვიხსნა, რომ შემოდგომით ანეულად მოხნული მიწა მზის სხივებით იწვება, ნაკელით რომ გაასუქო, „ისრივ ნოყიერი ხდება. ღრმად მოხნულში თესლიც ღრმად ეჭცევა და კარგადაც „ღვივდება". ანეულის მიწა იწვება, ფხვიერდება და ნოყიერდება". ამის საპირისპიროდ — „ნაოში ცოტა ხანს იყო, ენკენისთვეში ფარცხვა უნდა დაგვეწყო" — ე. ი. ნაოში „დაწვას" ვერ ასწრებდა (ივანე ფრიდონის ძე ნათელაშვილი, 73 წლისაა, ავენისი). გარდა ემპირიაზე დამყარებული დასკვნებისა — „თვალით" რომ ხედავს — მაგ., „თესლი ღრმად მოხნულში ღრმად ეჭცევა", „ფხვიერდება", გვაქვს ზოგადი, აბსტრაქციული ცოდნა — „მიწა მზის სხივებით იწვება", „ანეულის მიწა იწვება" და ამიტომ „ნოყიერდება", „ნაკელით რომ გაასუქო, ისრივ ნოყიერი ხდება". ამ ხარისხის ცოდნა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მივიღოთ ხალხური სამიწათმოქმედო კულტურის როგორც სიძველის, ისე განვითარების მაღალი დონის კრიტერიუმად, კულტურული ღარებულების განმსაზღვრელ ნიშნად.

ზემოგამოთქმული მოსაზრების მტკიცებისათვის ამდენი მსჯელობა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ იგი „ახალია" საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. გ. ჩიტაია ჯერ კიდევ 1928 წელს წერდა: „გლეხების აზრით გუთნით ან ჯილღით ხნულზე თესლი მიწაში ღრმად მიდის, მიწა უფრო დაწყლია, მას ჯანი მიეცემა მზისგან". ისე რომ, იგი „ნაკელის ყაიდაზე მოდის"[13]. ერთმანეთისაგან ასე დაშორებული რაიონების მხვნელ-მთესველებში სამეურნეო კულტურის განვითარების ერთ და იმავე საფეხურის შესახებ იგივეობრივი აზრის არსებობა შეიძლება ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ოდითვე ერთიანობის ნიშნადაც გამოდგეს.

აღნიშნული გვქონდა, რომ ანანურელ ბედოშვილებს, გარდა დუქნისა და წისქვილისა, ჰქონდათ სახნავ-სათესი მამულები, რომელსაც ამუშავებინებდნენ გლეხებს, რომლებიც თავიანთ თესლს თესდნენ და მოსავლის ნახევარს იღებდნენ. გლეხები საკუთარი სახნავ-სათესი ადგილების უქონლობის გამო იძულებულნი იყვნენ შეამხანაგებულიყვნენ და ისე მოეხნათ „ვაჭარ-მემამულის" მამულები. ამგვარად, წარმოების უპირველესი საშუალებების — სახნავ-სათესი მიწის უქონლობა და სიმცირე, წარმოების იარაღებისა და გამწევი ძალის მხოლოდ გაზიარების მეოხებით შრომისუნარიანობა, განა-

---

[13] გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1928, ტფილისი, გვ. 269-270.

პირობებდა ამგვარ სამეურნეო კავშირს. თავის მხრივ, ასეთ შემთხვევაში უშუალო მწარმოებელი ექსპლუატირებულ მდგომარეობაშია მოქცეული. იყო პირიქითაც, მაგ., სოფ. თვალივში. „კარისპირი ნაფუძარია. ნაფუძარს კანონი ვერ შეეხებოდა, ვერ ართმევდნენ — არ განაწილდებოდა. გარემამულებს სოფელზე გაანაწილებდნენ, შენ მოგაკლებდნენ, იმას მიუმატებდნენ, გაასწორებდნენ, ვისაც აკლდა, იმას მისცემდნენ. როცა განაწილდებოდა, გარემამული ყველა კომლს თანაბრად ეკირა. მამაჩემი იოსები მეზობლების მამულებს ხნავდა სანახევროდ. თესლალებით თუ იყო მორიგებული, (მაშინ) პირველად თესლს აიღებდა, რაც დარჩებოდა — იმას შუაზე გაყოფდნენ. თუ ვინმე ფულს ისესხებდა იოსებისაგან, ხშირად სესხულობდნენ. ის მისცემდა მამულს სარგებელში. მაგ., თუმანი გასესხე, შენ გაქვს ერთი დესეტინა მამული; სანამ ფული შენს ხელში იქნებოდა, იმ მამულს მე ვიხმარდი, როცა დამიბრუნებდი, მეც მამულს დაგიბრუნებდი“. (თვალივი, ეფრემ იოსების ძე გუშარაშვილი, 75 წლისა). აღწერილი მდგომარეობა ფეხმოკიდებული იყო არა მხოლოდ თვალივში და არა მხოლოდ ექსპედიციის სამუშაო მიკრორაიონში, არამედ ზოგიერთი ეთნოგრაფის მიერ „გვაროვნულ-თემური გადმონაშთებით“, თუ „გადმონაშთური ფორმებით“, უკეთეს შემთხვევაში, ახალი — „პროგრესული“ მოსაზრების მიხედვით, განვითარების „ადრე-კლასობრივი საზოგადოების“ დონეზე „დაყუდრებული“ ფშავსა და მთიულეთ-გუდამაყარში. ამგვარ ვითარებას განაპირობებდა სამუშაო ძალისა და იარაღის ქონება-უქონლობა. ამიტომაც არის, რომ „სათემო მიწების გადმონაშთურობა“ ყოველ დროსა და ვითარებაში ვერ გამოდგება სოფლის „თემურად“ ცხოვრების არგუმენტად.

გვარიშვილობის დაუსახელებლად იცნობდნენ და დღესაც ასე მოიხსენიებენ „დიდ იოსებს“ — იოსებ გუშარაშვილს. თვალივში გუდარეხიდან ზედსიძედ მოსული 78 წლის გიორგი სვიმონის ძე ქავთარაძის გადმოცემით, „თვალივში ორი იოსები იყო. ერთს დიდ იოსებს ეძახდნენ. დიდი იოსები ოჯახიშვილი. შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. მეორე ღარიბი იყო. არც ხნით იყო მაინცდამაინც პატარა და არც შეხედულებით“. „მამაჩემს დიდ იოსებს ეძახდნენ. შვიდი უღელი ხარი და კამეჩი ჰყავდა. ოთხი იაბო ცხენი, ასამდე ღორი, ძროხა შვიდი-რვა, ცხვარი ოცდაათი-ორმოცი. ღორში მე დავდიოდი. ამხანაგები მყავდა. — ჩემი ბიძაშვილი, იმათაც ჰყავდათ ღორები, ერთად დაგვიდიოდა. დავძახებდით ე-ა-ა, გავაგრძელებდით ხმასა. ღორი დაძახებაზე მოგვყვებოდა. მამა ასე მდიდარი იყო და ჩვენ ჩალაში გვეძინა. იმ ჩალაში კარგა მეძინა. ახლა გამართულ ლოგინში ისე აღარ მეძინება. ჩვენს სოფელში ორი გუშარაშვილი იყო. ერთი მამაჩემი, დიდ იოსებს ეძახდნენ. მეორე პატარა იოსება, ხნით მამაჩემზე არც ისე პატარა იყო, შაძლებით იყო პატარა. პატარა იოსება ქეიფის კაცი იყო, ღარიბად ცხოვრობდა. მე მახსოვს მამაჩემი პურს რომ აძლევდა: ჩვენ გვქონდა წისქვილი, დარ-ავდარში ბრუნავდა. მამული გვექნებოდა 4—5 დესეტინა. ტყეები იყო და ჩვენ გავაკეთეთ. სულ დიდი იოსების გაკეთებული მამულია; ტყეს რომ გააველებ — ახოა“ (ბუსნა ჰქვია ამ ადგილს, სადაც მთხრობელი თიბავდა, სადაც მასალას ვიწერდი, ი. ჭ.), იოსებმა გააკეთა. საცა ვცხოვრობთ, იმას კარისპირს ვეძახით. ნაფუძარია. ანეულს ვთესავდით ჭალებში. ჭალები გვქონდა არაგვის პირზე, გუდრუხს ზემოთა ჩვენ გვეკუთვნოდა. ანეულად ძველს თესლს ვთესდით“.

„ჩვენ სისაურები ვართ ძირად. სისაურების ხატი იყო მაღლა. ღორი გასაყიდად გვყავდა. როცა ხალხი ცოტა შეეჩვია, ცოტცოტას რო ვჭამდით, გარეთ ვხარშავდით, იმის ჭურჭელს სახლში არ შევიტანდით. პირს გამოვი-

რეცხავდით და ისე შავიდოდით სახლში. ღორი რო მოკვდებოდა, ძაღლები შეჭამდნენ. ჩვენ ტყავსაც არ მივეკარებოდით" (ეფრემ გუშარაშვილი)[14].

ზემომოყვანილ საველე მასალაში მოქცეულ, ეთნოგრაფიისათვის საინტერესო ყველა საკითხს, ბუნებრივია, რომ ახლა ვერ შევეხებით. ამის გვერდით, ჯერჯერობით სხვა სოფლებში ჩაწერილი მასალების შესაბამის პარალელურ მონაცემებს მოვიტანთ და მოკლე მსჯელობას გავმართავთ მხოლოდ.

„პაპაჩემი გოგილა, მისი ძმები — გიორგი, ზაქრო, მარტია: პაპაჩემი და მისი ძმები ერთად რო ყოფილან ჰყოლიათ 400—500 ცხვარი, ცხენი 8—10, 9—10 ფური-ძროხა, 7—8 ფურ-კამეჩი. გვქონდა საკუთარი გუთანი ხისა. ჰქონდა ორი გორგოლა-თვლები: ერთი კვალისა, ერთი უღლისა. 8 უღლისა იყო ის გუთანი. ღვედი გვქონდა თასმისა; ჯამბარაც ჩვენი იყო (გვყავდა), სამი უღელი საკუთარი: ყევარი ხარი და უღელი კამეჩი. ჩვენ გვქონდა დიდი წისქვილი, პაპის ნაქონი. ორი დოლაბი ბრუნავდა" (ავენისი, ივანე ფარიდონის ძე ნათელაშვილი, 73 წლისა) „მე ბევრჯერ ვყოფილვარ მოჯამაგირედ. წელიწადში თუმანი მეძლეოდა. დედა მომიკვდა, მამაჩემი მოჯამაგირედ მიშვებდა, ესტატიანთ ვიყავით მოჯამაგირედ, ორ კომლს ვემსახურებოდი (შდრ. „ზიარ სახლიშვილი" ხევსურეთი, ი. ჭ.). ავენისშიც ვიყავი მოჯამაგირედ ტარიელა ნათელაშვილთან, ძროხაში და კამეჩში დავდიოდი. ძაან საქონლიანი ხალხი იყო ავენისში" (ზოტიკიანთ კარი, ქიტო სოლომანის ძე შალაშვილი, 79 წლისა).

„ძმიანი კაცი წინ იყო ყოველთვის. მირზოშვილი იყო ერთი, ერთი კიდენა ცოცხალაშვილი: კიდენ ბიძაჩემი ზაქარა, რომელიც იმათზე უკეთ თუ არა, უარესად არ ცხოვრობდა. ზაქარა მძლავრი კაცი იყო. ამისი გუთანი ერთ მეტროს სჭრიდა, იმის სახნისს ერთი კაცი ვერ დაძრავდა. საკვეთელიც დიდი ჰქონდა. მხნავ-მთესავი კაცი იყო. მირზაშვილი გიგლა და ცოცხალაშვილი იობა გუთნისდედები იყვნენ, მაგარი გუთნისდედები იყვნენ, იმათ გამართულ გუთანს ხელის მოდებაც არ უნდოდა. ის მირზაშვილიცა და ცოცხალაშვილი ღიდები იყვნენ, კინაღამ საკუთარი გუთნის შაბმა შეეძლოთ, მაგრამ მეზობლებს არ ღალატობდნენ. ზაქარას, გიგლას, იობას ყავდათ ფურ-კამეჩები, ხარ-კამეჩებიც და ხარებიც. ძროხები ხომ იყო და იყო. ზაქარას სამი ბიჭი ყავდა ცოლშვილიანები. ნიკო, ალექსა და სვიმონა. მირზიაშვილები ორი ძმანი იყვნენ ერთადა — ივანე და გიგლა. ამათ შვილები თითო ყავდათ. ივანეს — იოკიმე, გიგლას — მიხო. ცოცხალი არც ეგენია, იმათი შვილებისა დარჩენილია ცოცხალაშვილი იობა და გაბო, მოსწრებულები იყვნენ, როცა ერთად ცხოვრობდნენ მათი მამა-ბიძა. ჩემზე უფროსები იყვნენ ბევრით. იობას ორი შვილი დარჩა — ონისიმე და სერგო. გაბოს ერთი ბიჭი ჰყავდა — ადამი. ჩემი ხსომიდან ერთად იყვნენ. შვილები (ონისიმე, სერგო და ადამი) როცა დააქორწინეს, მერე გაიყარნენ" (ციხისძირი. იასონ (ია) პეტრეს ძე ყარმაზანაშვილი).

ამგვარივე მონაცემების გამრავლება არა მხოლოდ 1973 წლის ექსპედიციის დღიურებიდან შეიძლებოდა, მაგრამ რაც არის, ისიც უნდა კმაროდეს ზოგიერთ საკითხზე მოსაზრების გამოთქმისათვის: 1. სოფლის მეურნეობის წამყვანი და მასშტაბური დარგია ძველიდან მოყოლებული და ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით გამართული ხორბლის კულტუროსანი მემინდვრეობა, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ „გლეხობასა" და გლეხთა კატეგო-

[14] მასალები ასე გადაბმით არ არის დღიურში, ადგილ-ადგილ არის ამოწერილი.

რიებს, არამედ შრომის შინა და სასოფლო დანაწილებას, საოჯახო საქმეების მასთან დაკავშირებას. 2. გუთნისდედობა, გამართული დიდი გუთნის ქონება. საკმარისი თუ არა, რამდენიმე უღელი გამწევი ძალის ყოლა მაინც, განსხვავებით მთიანეთისგან. არის ოჯახის სიდიდის პირველი პირობა და ახალი კაპიტალისტური დროის საოჯახო კოოპერაციის საფუძველი. 3. სამეურნეო კულტურის ამ ძირითად ნიშანთა ერთობლიობით ჩვენი სამუშაო მიკრორაიონი ბარია, რომელიც მთიულეთის მხრიდან სოფ. ციხისძირით იწყება. „ამათ (გიგლა მირზაშვილს, იობა ცოცხალაშვილს და ზაქარა ყარაშაზანაშვილების დიდ ოჯახებს, ი. ჭ.), მოჯამაგირეები არ ყავდათ. ყანების მკის დროს მოდიოდნენ მთიულები, როცა აქ სამკალია, მთაში ყანა ჯერ კიდევ მწიფობაშია, მკის დრო მთაში გვიანაა. მოდიოდნენ ფასანაურის მხრიდან — პავლეურიდან, დგნალიდან. მუშა ორი აბაზი, ათი შაური იყო ჩემს ბალღობაში“ (ი. ყარმაზანაშვილი, ციხისძირი). ამასვე გვიდასტურებენ ავენისელი თუ ნეძიხელი მთხრობელებიც. 4. ჩვენს სამუშაო სოფლებში, სადაც დიდი გუთანი მხოლოდ ჭალებს ხნავდა, მუშაობდა აჩაჩაც, რომლითაც მთა და ფერდობები იხვნებოდა. ს ა ც ა ლ კ ვ ა ლ ო ხვნა აჩაჩისაა, ს ა ო რ კ ვ ა ლ ი — გუთნისა. აჩაჩა თავისი მოწყობილობით „მთის კილოა“. აჩაჩა ერთ-ორულიანია მთაში, ჩვენში 2—3 უღლიანიაო. ყოფილა შემთხვევა, როცა აჩაჩამ ორი ყევარი შეუბამთ. ასე ხდებოდა მაშინ, როცა მაღალ ფერდობ ადგილებში, სადაც მაგარი ნიადაგებია, ანეულს ხნავდნენ და ანეულის ქერს თესავდნენ. 5. აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით, სხვანაირი „მიხედვა“ არც უნდა არსებობდეს ფაქტიურად; მთასა და ბარში მემინდვრეობის კულტურის დაბალ-მაღალ დონეებად დანაწილება, ამის მიდევნებით შრომის ორგანიზაციების, ადრეულ და გვიან საფეხურებად წაბმა უხერხული გაუგებრობის შედეგი ხომ არ არის? 6. ჩვენში გამოკვლეულ-დასაბუთებული და საყოველთაოდ მიღებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მიხედვით, როგორც ცნობილია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მიკრორაიონის, არამედ მისი უმცირესი ერთეულის თავისებურებისა თუ თავისებურებათა სისტემის დადგენასა და ამგვარად ყოფის ახსნას (გ. ჩიტაია). ამგვარი შესაძლებლობა გაჩნდება მას შემდეგ, რაც მიკრორაიონის და ბოლოს ქვეყნის მასშტაბით დადგენილი იქნება ყოფისა და კულტურის საერთო მომენტები. ამიტომაც არის ეს მეთოდი „კომპლექსურ-ინტენსიური“. ეს გახსენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმიტომ დაგვჭირდა, რომ ზემოჩამოთვლილ გამაერთიანებელ არსებით ნიშანთა გარდა, ზოგიერთ სოფელს გააჩნდა „საკუთარი“ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო თავისებურებათა სტრუქტურა, რომელიც ცხოვრების მოწყობის ასევე თავისებურ ორგანიზაციას მოითხოვდა. ამ კატეგორიას განეკუთვნება სოფ. გუდრუხი. ამ მხრივ გუდრუხელები და მეზობელი სოფლები თვით გამოყოფენ თავიანთ თავს ერთმანეთისაგან: „აქ იყო აჩაჩა გუთანი... აჩაჩაში სამი ან ორი (უღელი) ებმოდა. კევრი არ იცოდნენ, ფეხით ლეწავდნენ. თიანეთში იცოდნენ კევრით ლეწვა (მთხრობელი თიანეთიდანაა ჩამოსახლებული, ი. ჭ.). აქ არ იყვნენ ბევრი გაუყრელები“ (ჩაწერილია თ. ოჩიაურის მიერ 1972 წ. 12.6 მთხრ. შაქრო ფშაველას ძე თანდილაშვილი, 82 წ.), „შემოდგომის ხორბალს ნეძიხში თუ დათესავდნენ, გუდრუხში არ თესავდნენ შემოდგომის ხორბალს, ესენი (გუდრუხელები, ი. ჭ.) აჩაჩებით დათესავდნენ“ (ე. ი. „აჩაჩებით შემოდგომის ხორბალი არ ითესებოდა“, ი. ჭ.), (ავენისი, ივ. ჭოჩორაშვილი).

„საშემოდგომო თუ ფერდა იყო, აჩაჩი უნდა შაგება, თუ მეედანი — დიდი გუთანი“, „ფერდოფსა, გვედებს ვხნავდით აჩაჩითა, მეიდნებსა — დიდი გუთნით“ (ლ. კოპალეიშვილის მასალებიდან). „გუთანს გრძელი მიწები უნდა სამუშაოდ“ (მ. შველიძის მასალებიდან). „ჟინვალელი მარტია ჩოლიაშვილი იყო ყველაზე კარგი გუთნის გამკეთებელი, გუთნის სპეციალისტი იყო გამართვაში. 8 უღელი რო უნდეს გუთანს და 6 უღელს სუბუქად დაჭონდეს, — ეგ არის კარგი გუთანი. სახნისი ისრე უნდა დააყენო, რო მიწის ნდომა ჰქონდეს: ისრე რო სახნისი იყოს დაწვერილი რო მიწას მოებას და ღრმად არ ჩავიდეს. საკვეთელი სახნისზე სამი თითის დადებით უნდა იყოს წინა“ (ავენისი, ვ. ქოჩორაშვილი, ჩაწერილია ერთდროულად ლ. კოპალეიშვილის, მ. შველიძისა და ი. ჭყონიას მიერ).

გუთნის სამუშაო ადგილები — „მეედანი“ — ვაკე და გრძელი მიწების უმეტესი ნაწილი არაგვის პირებზე იყო: იგი ზოგიერთ სოფლებს ემხრობოდა. მიმხრობილ სოფელთაგან ეს ადგილები თითო-ოროლა კომლს თუ ჰქონდა სარგებლობაში. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სოფელში 3—4 გუთანი მუშაობდა. 1—2 იყვნენ გუთნის მქონებელი დიდი ოჯახიც, რომელთაც ჰქონდათ გამართული გუთანი: „ჩემ დროს ისევ აჩაჩებს ამუშავებდნენ აჩაჩას მე თვითონ ვმართავდი. ხის დიდ გუთანს მე ვერ ვმართავდი; იმას მართავდა გულმაგარაშვილები, — ოჯახიშვილები, რომლებიც იყვნენ. „ხმელ გუთანზე“ კალოს ან სულ არ ანაწილებდნენ ან კიდევ ერთი დღე ერგებოდა. ამავე ოჯახებს ჰყავდათ 2—3 უღელი ხარ-კამეჩი.“ ასეთივე მდგომარეობა იყო ჟინვალის მოსაზღვრე ქართლის მთიან სოფლებში, მაგ., ჩინთსა და არანისში, ოღონდ განსხვავება იმაში იყო, რომ დასახელებულ სოფლებში ასეთი კომლები უფრო ხშირად გვხვდებოდა, თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ეს სოფლები შედარებით მრავალმოსახლიანიც იყო. რაც შეეხება ქართლის ბარის სოფლებში მცხოვრებ დიდ ოჯახებს, მათ გამართულ გუთანთან ერთად სრული გუთნეულიც 8—10 უღელი ხარ-კამეჩი ჰყავდათ. მატერიალური წარმოების ამგვარ საშუალებებზე იყო დამყარებული დიდი ოჯახების როგორც ორგანიზაციული მხარე — გაუყრელობის ხანგრძლივობა — მუშახელის სიმრავლე, ასევე შეძლებულობა.

სოფლების მიხედვით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მეტ-ნაკლებობის შესახებ ჩვენი ექსპედიციის წევრს თ. ცაგარეიშვილს მოეპოვება საყურადღებო მასალა, საიდანაც ჩანს, რომ „გუდრუხში, ნეძიხსა და თვალივში მეტ გავრცელებას პოულობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. მთხრობელთა გადმოცემით ფური (მეწველი) 20—30 სულამდე... ყევარი ხარი, თითო-ოროლა ბუღა... ასეთსავე სურათს ეხედავთ ავენისში. ჟინვალში უფრო ნაკლები რაოდენობით არის მსხვილფეხა საქონელი: 2—3 ფური, ყველაზე მდიდარს 5 სულამდე, უღელი ხარი. ბუღა სოფლის ნახირში ერია. ანანურში კი, სადაც ვაჭრობა იყო მთავარი საქმე, მსხვილფეხა რქიანი საქონლის სიმცირეს ვხვდებით: 1—2 ძროხა: ხარი იშვიათად, ცხვარი — სულ არა“. მოტანილი მონაცემები მრავალმხრივ არის საინტერესო: კარგად ჩანს სოფლებსა და დაბა-სოფლებს შორის მეურნეობრივი თვალსაზრისით განსხვავება, რაც „თავისებურებისა“ კი არა, არამედ გამიჯვნის მაჩვენებელია და თითოეული მათგანის განვითარების სხვადასხვა მიმართულებას გამოხატავს. ისიც ნათელია, რომ, მაგ.: ნახირი იმ სოფლისა და სოფელში მოსახლე კომლებისათვის არის მოწყობილი, სადაც და რომლებსაც ნაკლები ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი. მაგრამ

იგივე მონაცემები არსებითად ვერ გამოხატავს თვით ცალკეული სოფლის ცხოვრების შინა მდგომარეობას, რადგან „ყევარი ხარისა და 20—30 ფურის" პატრონი შეძლებული — მდიდარი კომლია, რომლის გვერდით არიან ისეთებიც, რომლებსაც უღელი ან ცალი ხარი ჰყავთ, ძროხა 1—2, ზოგს კიდევ არც ერთი და არც მეორე. ამიტომ ამ წყების საკითხებზე საერთოდ „სოფლობით" მსჯელობა, ისევე, როგორც „სამუალოს" გამოყვანა, შეცდომის პირველწყაროა, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი ეთნოგრაფის ნაშრომშიც გვხვდება. ყევარი და სამი უღელი ხარის პატრონი დროზე და ხარისხიანად ხნავს არა მხოლოდ თავის მამულს, არამედ სანახევროდაც უხნავს უხარო მეზობელს. მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობა: „ჩემი ბიძა, — მამის ძმა, მეცხვარეს ეძახოდნენ სახელად, ცხვარში დადიოდა. ყორიაული ძუგარა, ბასილ ცაბურაშვილი, გიორგი ცაბურაშვილი. კობაიძე დავითო, ლევანა ხორნაული, — ესენი იყვნენ მამაჩემის მუშები. ამათ არც ხარი ჰყვანდათ: მამულები ჰქონდათ, მაგრამ ვერ ამუშავებდნენ, დღიურ სამუშაოზე დადიოდნენ, ვინც მაცხოვრებელი იყო, იმას ჰქონდა და ამათ ამუშავებდნენ" (ნეძიხი, იოსებ სვიმონის ძე ცაბურაშვილი, 78 წლისა, 1972 წ.). შეიძლება აქ იმის აღნიშვნაც იყოს საჭირო, რომ ვისაც ხარი არ ჰყავდა, ის ხვნა-თესვის გამო მოწყობილ შეამხანაგებაშიც იშვიათად თუ მონაწილეობდა.

ექსპედიციის „სავალდებულო" სამუშაო სოფლებში, როგორც წესი, ხვნა-თესვა შეამხანაგებით მიმდინარეობდა. ხვნა-თესვაში შეამხანაგებას აქაც „შემონდვება" ეწოდებოდა, მიუხედავად იმისა, სახვნელი აჩაჩა იყო თუ გუთანი. ჩვენი ეთნოგრაფების, აგრეთვე ეკონომისტების მიერ შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა არაერთგზის არის აღწერილი და გამოკვლეული. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ექსპედიციის მასალები, სხვა თუ არაფერი, მოდგამის ინსტიტუტის ერთ-ერთ ნიმუშად მაინც გამოგვადგება და, ამდენადაც, კვალიფიკაციის საქმეში დაგვეხმარება.

„გვქონდა საკუთარი გუთანი ხისა, გვყავდა სამი უღელი საკუთარი: ერთი უღელი კამეჩი, ყევარი ხარი. ღვედი გვქონდა თასმისა, ჯამბარაც ჩვენი იყო. გუთანს ჰქონდა ორი გორგოლა — თვლები: ერთი კვალისა, ერთი ველისა. 8 უღელა იყო ის გუთანი. თითო ხარზე თითო ალო. 1/2 სახნისისა, 1/2 საკვეთლისა; ერთი დღე ხმელ გუთანსა. გუთნისდედას—2 ალო. ჯამბარას ერთი დღე, 1 დღე ღვედსა. დღის მეხრეს 1 დღე, ღამის მეხრეს 2 დღე. ესაა, როცა შავაბამთ სათითაოს. უღელზე შაბმა — უღელას ვეძახით: 1/2 დღე დღის მეხრეს: 1 დღე ღამის მეხრეს, ჯამბარას 1/2 დღე; ღვედსა — 1/2 დღე; გუთნის დედას 1 დღე; უღელს ხარს — 1 დღე; საკვეთელს 1/2 დღე, სახნისს 1/2 დღე. ყველას იმის ნახევარი, რაც სათითაოზე იყო" (ავენისი, ვ. ნათელაშვილი).

ალოს როგორც დავაწყობდით, ისე ვხნავდით. თუ ერთ დღეს მივყვებოდით, ერთ ხარს ვუხნავდით, — 1/2 დღეს ვუმატებდით კამეჩს, როცა თითო ხარს თითო დღეს ვუხნავდით. მხოლოდ საგუთნისდედაოს ვუხნავდით ორ დღესა. საკვეთელს ერთი დღე, სახნისს 1 1/2 დღე. ამაზე ქვეით არა. დღის მეხრეს ერთი დღე, ღამის მეხრეს ორი დღე. რვაუღლიანს ოთხი მეხრე უნდა. ერთი დამატებით, რომელიც გუთნისდედას ეხმარებოდა: წყალს მოგვიტანდა, ან წკნელი დაწყდებოდა: იმას წინ-წინ ჰქონდა მომზადებული. ის ამზადებდა წნელს; დამხმარე მეხრეს ვეძახდით, რადგან დღის მეხრესავით ერთ დღეს ვხნავდით. როცა უღელაზე შევაბამდით, (მაშინ) ნახევარ-ნახევარი გვეწერებოდა. გუთნისდედას 1/2 დღე ჩამოაკლდებოდა. ჯამბარას და აპეუ-

რებს 1 1/2 დღე ეკუთვნოდა, ვისი კამეჩიც იყო, ჯამბარა და აპეურები ამისი იყო“ (ციხისძირი, ი. ყარმაზანაშვილი)[15].

„სათითაოზე“ და „უღელზე შაბმის“ შესახებ მასალები დაწვრილებით აქვს ჩაწერილი ლ. კოპალეიშვილს, რომლის მონაცემების მიხედვითაც შემონდვების პირობათა ამოსავალი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო და არსებითად იგივეობრივია. მოგვყავს ერთი ამონაწერი ლ. კოპალეიშვილის მასალებიდან: „გუთანი რვაუღლიანი იყო. კამეჩიც უნდოდა, მარტო ხარი ვერ მოერეოდა... უღელი ხარი — 2 დღე; გუთნისდედას — 2 დღე; სახნისი — 1 დღე; საკვეთელი 1/2 დღე; ჯამბარა 1/2 დღე, დღის მეხრეს 1 დღე; 4 ღამის მეხრეს 4 დღე; ღამისას 2 დღე — 2 ღამის მეხრე უნდოდა“. ასეა, როცა „სათითაოზე“ იყო შემონდვება. შეამხანაგების პირობათა განსხვავებით გამოწვეულ სახელების მიხედვითაც ნათელია, რომ ალოების განაწილების საზომი არის გამწევი ძალა: ცალი ხარის მიხედვით არის განაწილება ალოებისა; ამის მიხედვით იანგარიშება, რამდენი ეკუთვნის გუთანს და მის მოწყობილობას, გუთნისდედას, დღის თუ ღამის მეხრეს. პირველ შემთხვევაში „სათითაოზე“ — თითო ხარზეა აწყობილი შეამხანაგება, მეორეში — „უღელზე“. მაინცდამაინც გაურკვეველი რჩება საკითხი: რითაა გამოწვეული, რომ ერთი პირობა „სათითაოზე“, ხოლო მეორე შემთხვევაში „უღელზეა“ აწყობილი შეამხანაგება. ექსპედიციის მასალებში ამის შესახებაც არის ზოგიერთი მონაცემი.

„უღელაზე აბამდნენ მამულნაკლები ხალხი. მამული არა მაქვს და რად მინდა ვიარო ერთი თვე გუთანზეო. სათითაოს აბამდნენ, რომლებსაც მეტი მამულები ჰქონდათ“ (ავენისი, ვ. ნათელაშვილი). „ისიც იყო, რომ უღელზე ის აბამდა, ვისაც ცოტა (მამული) ჰქონდა“ (ვ. ქოჩორაშვილი). ამგვარად, „სათითაოზე“ შეამხანაგებულნი მამულის პატრონები იყვნენ, ხოლო „უღელაზე“ მცირემიწებიანები. „უღელაზე შებმის“ სხვა მიზეზიც იყო: „უღელაზე იმიტომ ვაბამდით, რომ დღე გვიპატარავდებოდა, დღე იკლებდა. ბოლო კაცი, რომელსაც, ბოლო დღეები მიერგებოდა ხვნა, ცოდო იყო“. ასე რომ არ მომხდარიყო, ამიტომ „კალოზე ხვნას ჯერ თითოზე დავიწყებდით. თითო დღეს ვუხნავდით ყველას, მერე ისევ თავიდად დავიწყებდით, შევათავებდით 22 დღეს. ვისაც დარჩებოდა შესასრულებელი, ვთქვათ, გუთნიდედას, იმას შევასრულებინებდით“. „გაზაფხულზე უღელზეა შაბმა, გინდა მდიდარი იყოს, გინდა ღარიბი. ანეულზე კი ამბავდნენ სათითაოსაც და უღელსაც“. „ზოგჯერ ამინდი ცუდი იყო, კვალი წყლით აივსებოდა. ამისთანა ამინდშიც ვხნავდით. მაშინ უღელაზე შევაბამდით“. ამგვარად, „სათითაოზე“ მოდგამი იმართებოდა მხოლოდ ანეულის ხვნის დროს და მამულის მქონებელთა მიერ, ზემომოტანილი მონაცემები იმის მაჩვენებლებიც არის, თუ მოდგამი რამდენად უწყობდა ხელს უხარო კომლების სოფელში დამაგრებას და მკვიდრობას. რაც შეეხება აჩაჩაზე შემონდვებას, აქაც ალო ხარზე იყო გაანგარიშებული, რაც წლის ყოველ დროსა და პირობებში „სათითაოს“ პრინციპს ემყარებოდა. სხვა მხრივადაც იყო განსხვავება დიდ გუთანსა და აჩაჩაზე მოწყობილ მოდგამობას შორის, რაც, როგორც ცნობილია, გაპირობებული იყო ფუნქციურ-კონსტრუქციული თავისთავადობით.

აქაურ მოდგამშიც მრავალი „წვრილმანია“ გათვალისწინებული. მაგ., მეზობლობის თვალსაზრისი. „ერთი კაცი იყო ჟინვალში, გაბუა ოთარაშვილი — ოთარაანთ გაბუას ეძახდნენ (ასე იცვლებოდა გვარის სახელი, ი. ჭ.), გვარად სისველაშვილი: გაბუას ერთი ხარი ჰყავდა. იმას ვუთმობდით

[15] შდრ. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, 1963, გვ. 25—30.

ღამის მეხრეობას. ხვნა ხომ უნდოდა, რა ექნა, უნდა გაგვეამხანაგებინა“ ..მირზიაშვილი გიგლა და ცოცხალაშვილი იობა გუთნისდედები იყვნენ, მაგარი გუთნისდედები იყვნენ... საკუთარი გუთნის შებმა შეეძლოთ, მაგრამ მეზობლებს არ ღალატობდნენ“. რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში, პირველ ყოვლისა, საქმე გვაქვს ..დიდების“ მხრივ არა იმდენად „გულკეთილობასთან“, რამდენადაც სარგებლიანობასთან. მაგრამ, ამასთან ერთად, არც იმის ანგარიშგაუწევლობა შეიძლება, რომ მიწათმოქმედებაზე დაფუძნებულ სოფელში მეზობლობის ტრადიციული კულტურის გამტანიანობა ისე ადვილად და „მაშინათვე“ ვერ მოინელა კაპიტალისტურმა — ბურჟუაზიულმა სოფელმა. ამ აქტში იმდენად კაპიტალიზმის სისუსტე კი არ არის საძიებელი, რამდენადაც საერთოდ სამიწათმოქმედო კულტურის, კერძოდ, მემინდვრეობაში შეამხანაგების ტრადიციული ფესვგადგმულობა: ქართველი გლეხის სამიწათმოქმედო კულტურის მაღალი დონე და მისი შესაფერი შრომის ორგანიზაციის ხარისხი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როცა სოფლიდან ქალაქში გადასახლებას — „განგლეხებას“ ვიღებთ კაპიტალიზმის განვითარების დონის ერთერთ კრიტერიუმად[16].

როგორც გუთანზე, ისე აჩაჩაზე შემონდვებისას წესად ყოფილა მიღებული მონდავთ თავისი უღელი ხარი დაეცალკავებინა და მეორე მონდავის ხარებთან შეეუღლებინა, რათა „ჩემსა და შენს ხარს ერთნაირად ეჯაფა“ (ვ. ქოჩორაშვილი). „ზოგ კაცს ერიდებოდნენ, იმასთან არ შააბამდნენ, ფინთი მოსახდენი იყო. შენ უღელი ხარი გყავდა, ერთად არ შეგაბმევინებდნენ ერთი იმ ხართან, ერთიცა მეორე ხართან უნდა შააბა. თუ ჩემი უკეთ გაწევდა, მაშინ მე გამოვუშვებდი ჩემს ხარს და წავასხამდი, გუთანს ჩავშლიდი. ამაზე ერიდებოდნენ ზოგ კაცს. ზოგი თავის სოფელში კი არ შააბამდა, სხვა სოფელში შააბამდა. ოცდაორი დღე სად შევცქირო, მე ერთი მამული მაქვს მოსახვნელიო, წავიდოდა და სხვა სოფელში უღელაზე შააბამდა“ (ვ. ნათელაშვილი). ეს ორიოდე ამონაწერი ექსპედიციის დღიურებიდან არა მხოლოდ იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა მოდგამის როგორც ხნიერება, ისე ორგანიზაციული სრულყოფის ხარისხი, არამედ ისიც, რომ მოდგამობაში გაჩენილა „წვრილმანობა“ და ურთიერთმიდგომა გაძნელებულა.

იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევა, როცა მაინცდამაინც ზოგიერთ გუთნისდედებს არ ემადლიერებოდნენ. ამის მიხედვით გაკეთდა დასკვნა, თითქოს ამგვარი დამოკიდებულება გუთნისდედისადმი უნდა შექმნილიყო გუთნისდედის მხრივ მოდგამის სხვა წევრების შრომის ნაყოფის არაკუთვნილებისამებრ მითვისების გამო: ჯერ ერთი — საყოველთაოდ ცნობილია გუთნისდედი' სახელი და პატივისცემა ქართულ სოფელში; მეორე — ცუდად მოიხსენიებდნენ არა გუთნისდედას საერთოდ, არამედ რომელიმე მათგანს. გარდა ამისა, რაც მთავარია, გუთნისდედას ეკუთვნოდა „სამეტო“ — „საგუთნისდედო“, ვითარცა მოდგამის სხვა წევრთაგან ცოდნა-გამოცდილებით გამორჩეულსა და „მძიმე“ სამუშაოს შემსრულებელს. ცოდნა-გამოცდილებაც რომ უგულებელვყოთ, რაც, რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა, მაგრამ დავუშვათ, მაშინაც კი „მძიმე“ სამუშაოს შემსრულებელს მეტი ერგებოდა: მაგ., დღის მეხრეს მოდგამში ერთი დღე, ხოლო ღამის მეხრეს ორი დღე ეკუთვნოდა და ამის

---

[16] ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ასე მომდინარეობა და დაწინაურება ისტორიულად ხომ არ აჩქარებდა საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში უცხო ელემენტის, მაგ., ვაჭრებისა და არა სოფლური ხელობის პირთა მომრავლებას?

გამო ხომ არ შეიძლება, რომ ვინმემ ამტკიცოს — ღამის მეხრე დღის მეხრის შრომის შედეგს ითვისებსო?!

ახალციხის მხარეში გუთნისდედას ფულით ქირაობდნენ და მას დღის მეხრესთან შედარებით ორმაგს მაინც უხდიდნენ. სხვათა შორის, ე. წ. „ახალციხური მოდგამის“ საერთოდ მოდგამობის ინსტიტუტის შუა საფეხურად გამოცხადება — შეცდომაა. გამოკვლეულია და, რასაკვირველია, ასეც არის, რომ სულ სხვა ამბავია, როცა გუთნისდედის საკუთრებაშია „გამართული გუთანი“ — სახნის-საკვეთლითა და სხვ. მოწყობილობებით, რომლებსაც ცალ-ცალკე ალოები ეკუთვნის. ამასთან ერთად, და მით უმეტეს მაშინ, როცა მას მეტი ჰყავს გამწევი ძალა, ვიდრე მოდგამის დანარჩენ წევრებს. მხოლოდ ამ ბაზაზე შეუძლია გუთნისდედას, როგორც მესაკუთრეს, ექსპლოატაცია გაუწიოს კოოპერაციას.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ხვნა-თესვის დაწყების წინ, ანდა მოსავლის აღება-დაბინავების შემდეგ გამართულ დღეობაში, ზოგჯერ ოჯახშიც, პირველ სადღეგრძელოდ იტყოდნენ: გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთანსა და ღვედს, სახნის-საკვეთელს, ალალი კაცის მარჯვენას! როგორც ვიცით, გარკვეული დროიდან მთაში მიმართულების შეცვლასთან ერთად, შეიცვალა დღეგრძელობის საგანი და პირი, დამკვიდრდა — „გაუმარჯოს ცხვარ-მეცხვარეს!“

ექსპედიციის მიერ გამოკვლეულ სოფლებში იყვნენ „ცხვრის პატრონი“ კომლები, რომლებიც სწორედ ამის გამო ითვლებოდნენ მაცხოვრებელ-შეძლებულ კომლებად, მაგრამ ეს კომლები ცხვრით მდიდარნი კი არ იყვნენ მარტოოდენ, არამედ მათ ხარ-კამეჩი ჰყავდათ და ხვნა-თესვას ხელს არ აკლებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, — „სამთაბარო ცხვრის“ პატრონი ერთი-ორი კომლი თუ იქნებოდა ამ მხარეში. ჩვენი ექსპედიციის წევრის თ. ცაგარეიშვილის მიხედვით, „შეძლებულ მეცხვარედ ითვლებოდა ის, ვისაც 200—300 სულამდე ცხვარი ჰყავდა“. მეტწილად „სამთაბარო ცხვარი“ ჰყავდათ ისევ და ისევ „მრავალძმიან“ ოჯახებს: „პაპაჩემი და მისი ძმები — გიგოლა, გიორგი, ზაქარა და მარტია ერთად როცა ყოფილან, ყოლიათ 400-მდე ცხვარი, 9—10 ფური (ძროხა), 7—8 ფურ-კამეჩი, ცხენი, ჩვენ დიდი წისქვილი გვქონდა. (პაპისეული, ი. ჭ.), ორი დოლაბი ბრუნავდა, გუთანი ხისა...“ (ვ. ნათელაშვილი, ავენისი). „გულმაგარაშვილები ოჯახიშვილები იყვნენ. ძლიერი ოჯახი ჭონიათ გულმაგარიანთ, სხვას ვერავის. გულმაგარიანთ მაგარი ცხოვრება ქონდა. მახსოვს ის ბერიკაცები: ერთს ექვივნა ბერი, მეორეს ღვთისო, მესამეს მემცხვარე. მემცხვარე სახელია. ერთად ცხოვრობდნენ, მერე გაიყარნენ. მე მოვესწარი კიდენ იმ ბერიკაცებს... იმათ ყავდა საქონელი, ცხვარი, ფუტკარი. მამულიც მრავალი (ქონდათ). გუთანი ხისა...“ (ნეძიხი, გ. ორტოლაშვილი). აქ სამაგალითოდ მოტანილი მონაცემების შედარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (გარდა ხევსურეთისა) მაცხოვრებელ ათასობით ცხვრის პატრონებთან — დიდ ოჯახებთან, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ ექსპედიციის სამუშაო სოფლებში მაცხოვრებელი დიდი ოჯახების ნაკლები ცხვრიანობა მემინდვრეობის პირველობით იყო გაპირობებული. ამ მხრივადაც აღებული რეგიონი ბარს უახლოვდებოდა. „შინაური ცხვარი“— „ტყის ცხვარი“ (გ. ჩიტაია) თითქმის ყველა საშუალო და მაცხოვრებელ ოჯახს ჰყავდა, განსხვავებით ბარის მოსახლეობისაგან. ამ მხრივ კი იგი უახლოვდება ადრინდელი მთიანეთის სამეურნეო კულტურას, ხევსურეთის ჩათვლით.

სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით შრომის ტერიტორიული გა-ნაწილება-დანაწილება ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ფეოდალური ურთიერთობის დროისათვისაც კარგად ცნობილი ფაქტია. იგი მიჩნეულია მთასა და ბარს შორის უწყვეტი ურთიერთკავშირის ერთ-ერთ პირობად, როგორც მეურნეობრივ, ისე სახელმწიფოებრიობის დონეზე (ი. ჯავახიშვილი, ვ. დონდუა). ცნობილია, რომ შრომის დანაწილების პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა გარკვეული შრომითი საქმიანობის როგორც გამოცალკევების, ისე სხვადასხვა სახეობათა თანაარსებობის მიმართულებით. ისიც ცნობილია, რომ შრომის დანაწილების ფორმები იქმნება დროში და შეესატყვისება გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. ჩვენი ექსპედიციის ეთნოგრაფიული მონაცემები ის დონეა, რომელიც ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დამდგარ სოფლის ცხოვრებას შეესაბამებოდა, რაც ასევე კარგად არის ცნობილი ისტორიულ-ეკონომიურ ლიტერატურაში.

კერძო საკითხთაგან ყურადღებას იქცევს საკუთარ სახელად „მემცხვარის“ — „მეცხვარის“ გაჩენა. საქართველოს ეთნოგრაფიაში გამოკვლეულია და შემდგომ არაერთგზის არის განმეორებული, რომ სამთაბარო მეცხვარეობის გაჩენა-დაწინაურების კვალობაზე ოჯახის წევრთა შორის საქმიანობის განაწილების მიხედვით მოხდა დაყოფა „შინაკაცად“ და „მეცხვარედ“ (მწყემსი, სარჭალი). აღნიშნული ფაქტიური ვითარება თავისთავად შინა-საოჯახო მეურნეობაში მომხდარი შრომის დანაწილება-განაწილების მაუწყებელია. ამათგან განსხვავებით, ჩვენს სამუშაო სოფლებში „შინაკაცი“ არ გვხვდება. რადგან ოჯახის წევრი მამაკაცები, როგორც წესი, ხვნა-თესვას მისდევდნენ, ან სხვა დროებით საქმეს ხვნა-თესვას უფარდებდნენ და, ამდენად, ერთიმეორისაგან ნაკლებად განსხვავდებოდნენ. ამ მხრივ გამონაკლისია მეცხვარე, რომელსაც „ცხვრის მიყოლა“ ევალებოდა და შინ — ოჯახში იშვიათად იყო. სწორედ ამიტომ არის საფიქრებელი, რომ „მემცხვარე“ — „მეცხვარე“ საკუთარ სახელად ქცეულა. ამ გზით უნდა იყოს გაჩენილი გვარის სახელად „მეცხვარიშვილი“.

შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა ექსპედიციის მიერ აღწერილი ცხვრის გაბარება-დაზიარების წესები. ერთი იმათგანი ყოფილა ე. წ. „ტორგი“: „ცხვრის ტორგი ასე იყო: მოვრიგდებოდით, — შენ უნდა მომცე 3 ფუთი მატყლი, სამი სამკლავი წელიწადში. ყველიც მორიგებაზე იყო, — თუ ცხვარს ვწველდით და ყველს ვაკეთებდით, მაშინ ყველიც უნდა მიგეცა, თუ ბატკანს ვათამამებდით, მაშინ ყველს არ ვაძლევდით. 100 ცხვარი 1000 რომ გახდეს, მე 100-ზე მეტს ვერ მოგთხოვ. ცხვარი სულ რომ დაგელიოს და გაგითავდეს, მე მაინც უნდა ამინაზღაურო, — ჩემი ასი უნდა დამიბრუნო. დაზიარების ხანიც მორიგებაზე იყო, — 3—5 წლით, მეტი არ იქნებოდა. ამას ჰქვია ცხვრის ტორგი. ხალხი ტორგით რჩებოდნენ ცხვრის დაზიარებას“. იყო მეორე წესიც — „დაზიარება“, „რასაც ინაშენებდა შუაზე იყოფოდა — დამზიარებელი და მწყემსი შუაზე იყოფდნენ. მოგეცი 5 ცხვარი, გახდა 40. ნამეტი შუაზე იყოფებოდა, თითეულს ერგებოდა 20—20. თავნი პატრონისა იყო. ღორის დაზიარებაც ასე იყო. ღორის ტორგი არ ვიცოდით“ (ე. გუშარაშვილი, თვალივი). თ. ცაგარეიშვილს დაზიარების ზემოთ გადმოცემული წესები დადასტურებული აქვს სხვა სოფლებშიც. დაზიარებულ ცხვარში მწყემსობას ეკიდებოდნენ საშუალო, მეტწილად ღარიბი გლეხების ნაწილი, ამათგან „ცხვრის პატრონი“ იშვიათად რომ ვინმე გამხდარიყო.

ექსპედიციის სამუშაო სოფლებში ღორის მოშენებას ხელი მოჰკიდეს ზოგან 40, ზოგან კი 50—60 წლის წინათ. ასე მომხდარა მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფლებს აკრავს ხშირი და ღორის ბუნებრივი საკვებით მდიდარი ტყეები. „აქ ტყე კარგია ღორისათვის, მუხა და წიფელია. ხილიც არის: პანტა, მაჟალო, კუნელი, შვინდი... საძოვარიც კარგია: სათხარი, ძირწითელა, მაჩიტა, ძირხვენა, ძაღლნიორა“.. (ავენისი, ვ. ნათელაშვილი). აქაურ ტყეებს ეტანებოდნენ თიანეთის რაიონის სოფლებიდან ღორის მწყემსები: „თიანეთიდან მიერეკებოდნენ აქ ღორებს. თედუა ერქვა. გვარი არ მახსოვს, ქისტაური თუ იყო. იმას ელვა ჩაუვარდა სახლში, შვილები დაუწყვიტა. ჩვენი ხატები არ იხდენდა ღორს. იმათ ღორს ჩვენ შევუსევდით ძაღლებს, არ ვაყენებდით ჩვენს ადგილებში, არ ვიხდენდით ღორს. აქ მუხიანი ტყე იყო, კურკო ბევრი იყო“ (ვ. ქოჩორაშვილი). მსგავსი მონაცემების მოშველიება ყველა სხვა სოფლებიდან შეიძლება, მაგრამ რამდენადაც ისინი არსებითად ერთსა და იმავეს იმეორებენ, სიტყვას აღარ ვაგრძელებთ.

რწმენა იმისა, რომ „ჩვენი ხატები ღორს არ იხდენდა“, გვეხმარება მოხსენებული სოფლების მოსახლეობის „ძირად“ სადაურობის დადგენაში და გვიდასტურებს აღძრულ საკითხზე თავშივე გამოთქმულ მოსაზრებას. მიუხედავად ხატის ასე ძლიერი წინააღმდეგობისა, ღორის მოშენებამ მაინც მოიკიდა ფეხი ამ მხარეშიც. თუმცა ღორის ხორცს საკვებად იშვიათად რომ ვინმე იყენებდეს. ღორის ტყავსაც კი საქალამნედ არ იყენებდნენ. „ღორი გასაყიდად გვყავდა, ჩვენ ღორს არ ვჭამდით. როცა ხალხი ცოტა შეეჩვია, ცოტა-ცოტას ვჭამდით, გარეთ ვხარშავდით. იმის ჭურჭელს სახლში არ შევიტანდით. პირს გამოვირეცხავდით და ისე შევდიოდით სახლში. ღორი თუ მოკვდებოდა, ძაღლები ჭამდნენ. ჩვენ ტყავსაც არ მივეკარებოდით“ (ე. გუშარაშვილი, თვალივი). „თვალივში ყავდათ ღორები, ხარჭიმოში და იქით თიანეთს. მე არც ახლა ვჭამ ღორის ხორცსა. გულს არ უნდა, გვყავ კია“ (გ. ორტოლაშვილი, ნეძიხი). მიუხედავად ამისა, „დიდი იყო ცთუნებაო“ (თ. ცაგარეიშვილი). ასეთ ვითარებაში მეღორეობის გავრცელება და მისი ადგილის გადიდება სოფლის მეურნეობაში, მეტი თუ არა, სავაჭრო კაპიტალის ძლიერად ფეხმოკიდებულობის აშკარა არგუმენტი მაინც არის; აშკარად არის გამოხატული, თუ ამის გამო როგორი სიძლიერითა და სწრაფად შერყეულა ძველი რელიგიურ-იდილიური რწმენა-წარმოდგენები. როგორც წლევანდელი მასალებიდან, ასევე ადრე, თიანეთის რაიონში მუშაობის დროს ჩაწერილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მეღორეობა, კერძოდ, ამ ადგილებზე, ხშირ შემთხვევაში მეცხვარეობას აჭარბებდა კიდეც. მწყემსის საფლავის ქვაზე გვხვდებოდა ღორის გამოსახულებაც (შდრ. ვ. ბარდაველიძე, „ივრის ფშავლები“). სხვათა შორის, საფლავის ქვებზე მიცვალებულის საქმიანობის აღმნიშვნელი გამოსახულებანი გვეხმარება სოფელში მოქმედი შრომის დანაწილება-განაწილების საკითხის გარკვევაში. გვქონდა ცდა — გაგვერკვია ეს საკითხი ქვემო ქართლიდან სოფ. გომარეთისა და ფშავიდან სოფ. მაღაროს გაღმა საფლავის ქვაზე არსებულ გამოსახულებათა მიხედვით.

დღევანდელი შესაძლებლობის კვალობაზე დღესაც საგრძნობი რაოდენობით ჰყავთ ღორები კოლმეურნე გლეხებს პირად საკუთრებაში. ახლაც იშვიათად თუ ვინმე ჭამს ღორის ხორცს, — „გული არ მიგვდისო“ — ,აქედან აღებულ ფულს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოლმეურნე ოჯახის შემოსავალში. კოლმეურნეობებს აქვთ ე. წ. ღორის ფერმები, მაგრამ უმრავ-

ლეს შემთხვევაში ისე ვერაა გამართული, როგორც ამას მოითხოვს საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონე.

დასაწყისშივე გვქონდა აღნიშნული, რომ ჩვენი ექსპედიციის წევრი არქიტექტორი გ. დავითაშვილი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებთან ერთად საგანგებოდ სწავლობდა საცხოვრებელ სახლებს. არქიტექტურულ-სტრუქტურული კვლევა-ძიება ველზე მიმდინარეობდა არა „მშრალად", არამედ გეოგრაფიულ-მეურნეობრივი, დროისა და ვითარების მოთხოვნილების გათვალისწინებით, მკვიდრ ხელოსანთა სამშენებლო კულტურის დონეების მიხედვით. გ. დავითაშვილის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ჟინვალის მასალების ანალიზს, აღძრული საკითხის შესახებ მოტანილია კონკრეტული მასალები და გამოთქმულია სათანადო მოსაზრებები. ჩვენი მხრივ ამ წყების საკითხებიდან უფრო დაწვრილებით ორს შევეხებით მხოლოდ.

1. მთხრობელები ერთხმად მიუთითებენ რწმენაზე, რომ „ხატები უშლიდნენ სახლების კირით აშენებას". „ხატები გვიშლიდა ღორის ყოლას და კირიან სახლს. კირიანი სახლი არ შეიძლებოდა: ძველებურ ბანიან სახლს (ჰქონდა) მიწის უკანა კედელი, საი (კედელი) კიდენა: ერთი წინა, ორი გვერდის კედელი, (რომლებიც) ქვით და თიხით იყო ამოყვანილი. კედლების კირით ამოყვანა არ შეიძლებოდა. მარტო მაგათ („ხატებს", ი. ჭ.) ჭონდა უფლება: კედლები ქვიტკირისა ჭონებოდა. ხატები ქვიტკირისა იყო" (ავენისი, ვ. ნათელაშვილი).

მთხრობლები ამასაც გვაუწყებდნენ, რომ „ძველი ხალხის" რწმენით, თითქოს „ურჩი მშენებლები" ხატს დაუსჯია კიდეც. გ. დავითაშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ავენისში პირველად ლამკირით აშენდა სახლი 1909—1910 წლებში." მოგვყავს იმავე მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალა: „ჩვენს სახლზე 1909-ში მოჭრილი კრამიტია. მე ვნახე — 1909 აწერია კრამიტს. ეს კრამიტი გუდრუხიდან ჩამოუტანიათ, ღარიანი კრამიტია. ჩვენი სახლი ლამკირით არის აშენებული: ჩვენი სახლი პირველია, რომელიც ქვითკირით არის აგებული. მანამდე მხოლოდ ლამით აშენებდნენ, თიხითა; ჩვენი ხატები, უფრო მეტად წმ. გიორგი, არ იხდენდა, რომ ხალხს ქვიტკირით ეშენებინა სახლები, სამი წელი იცხოვრა (ჩემმა) მამა-ბიძამ იმ სახლის აშენებიდან, შემდეგ დაიხოცნენ. ხალხი იძახოდა — იმაზე დაიხოცნენ, რომ ქვითკირის სახლები დაკეთესო. ჩვენი ხატები კიდევ არ იხდენდნენ ბატის ყიყინს; არც ანთებულ ლამფას იხდენდნენ შუაღამის შემდეგ, — უდროო დროაო, ძილის დროაო, შიგ სოფელში არის ხატები და ამაზე დიდი სიწმინდე გვმართებსო" (ავენისი, ვ. ქოჩორაშვილი). როგორც იმავე მთხრობლის, ისე მეზობლებისაგან ვიცით, რომ ვ. ქოჩორაშვილის მამა-ბიძები ერთად ცხოვრობდნენ, მამულიან-საქონლიანი კომლი იყო, მწყემსებიც ჰყავდათ. აზრობრივად ისეთივე ბუნებისაა თ. ოჩიაურის მიერ მოწოდებული მასალა იმის თაობაზე, რომ მთიულეთში „ხატები არ უშვებდნენ" საცხოვრებელი სახლების კირით შეთეთრებას ასე იყო, რადგან თვით ხატები იყო შეთეთრებული[17].

ნათელი უნდა იყოს ხალხის რწმენა-წარმოდგენის, — რომ ხატი არ აძლევს ქვითკირით სახლის აშენების უფლებას, — რეალური საფუძველი: „ხატი" — „ბატონი" ასე იმიტომ იქცეოდა, რომ „ყმა" არც ამ მხრივ აღზევებულიყო „ბატონამდე". ასეთი აზრის რწმენა შეიძლება გამოჩენილიყო იმ

---

[17] ზემომოტანილი მასალის მოწოდებისათვის თინათინ ო ჩ ი ა უ რ ს მადლობას მოვახსენებ.

დროს, როცა ჩნდებოდა ამის საშიშროება; ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ხელის პატრონი „ხატი" და „ყმა" დიფერენცირებულ სახოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაზე აღრინდელი რელიქვია არ უნდა იყოს. აქვე გვინდა მოვიტანოთ გ. დავითაშვილის მიერ ველზე მოპოვებული რეალური ვითარების მაუწყებელი მასალა: „ქვითკირიანი სახლების (აშენების) უფლებას არ აძლევდნენ ბატონები", როგორც თვით მთხრობელი განმარტავს, იმიტომ, რომ (გლეხებს) „ბატონივით არ ეცხოვრათ" (ციხისძირი, ი. ყარმაზანაშვილი).

2. გ. დავითაშვილს, მის მიერ ჩატარებული არქიტექტურული სამუშაოებისა და მთხრობელისაგან ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე გამოთქმული აქვს მოსაზრება „გვირგვინიანი" — „მოქცეული" სახლის, როგორც ხუროთმოძღვრული ერთეულის, ისე მისი ნაწილების ურთიერთგანლაგების, ფორმისა და თანაფარდობის შესახებ. მისი აზრით, „გვირგვინიანი (დარბაზული) სახლები გვხვდება როგორც ჟინვალის სა-სოფლო საბჭოში (არანისი) და ფშავ-ხევსურეთის არაგვის გაყოლებაზე (გუდრუხი, თვალივი, ნეძიხი), ასევე ანანურის საბჭოში (ციხისძირი, ზოტიკიანთკარი, დგნალი)"; ამასთან, ავტორს მოტანილი აქვს მონაცემები იმის შესახებ, რომ „უფრო შეძლებულ ხალხს ჰქონდა გვირგვინიანი (სახლი). იყო ორი თავხე: ზოგს სამი ბოძი ედგა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახლში მეტი „თვალია"[18] და სივრცე მეტია; ჰქონდა დერეფანი". იმავე ნაშრომში გ. დავითაშვილს მოაქვს ამონაწერი ს. მაკალათიას წიგნიდან — „ფშავი", სადაც აღნიშნულია: „გვირგვინიანი სახლი ფშავში გვხვდება, მას „მოქცეულს" უწოდებენ; ამ მოქცეული სახლის გვირგვინი ისეთივეა, როგორც ქართლის „დარბაზის" გვირგვინი". ამას მოსდევს გ. დავითაშვილის დასკვნა: გვირგვინიანი სახლი სივრცის ორგანიზაციით, კონსტრუქციის დახვეწილობით, ტექტონიკით ჩანს, რომ უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც სოციალურად და ეკონომიურად მოსახლეობის უფრო დაწინაურებულ ნაწილს. ხელოსნის გამორჩევა, მასალის საგანგებოდ გამორჩევა, ტრანსპორტი, ხელოსანი, იმაზე მიუთითებს, რომ გვირგვინიანი სახლის შენებლობა ძვირად უჯდებოდათ"...

ჩვენი მხრივ გვინდა, რომ ეთნოგრაფიული მასალები და ზოგიერთი მოსაზრება მივუმატოთ გ. დავითაშვილისეულ მასალებს და დასკვნებს. „ვინც შეძლებული იყო, იმას ჰქონდა გვირგვინიანი სახლი. ჩვენ ბაქარსა ჰქონდა გვირგვინიანი სახლი. ცოცხალაშვილსა და მირზიაშვილს ჰქონდათ გვირგვინიანი სახლები, მე კარგად მახსოვს" (ი. ყარმაზანაშვილი, ციხისძირი). როგორც ადრე ვნახეთ, ზემოდასახელებული პირები დიდი ოჯახიშვილები იყვნენ. „სახსა მოქცეულს ვეძახოდით, (რომელიც) ეგრე იყო ირგვლივ მოყოლებული. იტყოდნენ — ის კაცი კარგად ცხოვრობსო, მოქცეული სახლი უდგაო... მართლა გვირგვინივით იყო აყვანილი. ის სახლი მე მახსოვს, ჩემ ბალღობაში იდგა" (გ. ორტოლაშვილი, ნეძიხი). „ვინც შაძლებული იყო, ის აკეთებდა გვირგვინიან სახლს. ჩემს პაპებს ჰქონიყო გვირგვინიანი სახლი მეორე აქ იყო ჭინჭარაული ზურაბა, იმასაც ჰქონდა გვირგვინიანი სახლი. ჩემი პაპები... ერთად ცხოვრობდნენ. იმათ უშენებიათ გვირგვინიანი სახლი" (ვ. ნათელაშვილი, ავენისი). თავის ადგილზე მოტანილია კონკრეტული მასალა, რომლის მიხედვით მთხრობელის, ვ. ნათელაშვილის ოჯახი მისი პაპების ერთად ცხოვრების დროს „დიდი" იყო. კიდევ ერთი ცნობაც: „კაცს თუ გვირგვინიანი სახლი ჰქონდა, ქალს არ დაუჭერდნენ" (გ. ქავთარაძე, თვალივი).

---

[18] კოშებს შორის მოთავსებულ შიდა სივრცის ნაწილს ეწოდება „თვალი" (თვალივი).

გ. ჩიტაიას მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვითაც, თიანეთის რაიონის სოფლებში „დედაბოძიანი სახლის პატრონ ოჯახს ქალს არ დაუკავებდნენ“[19].

ზემომოტანილი ფაქტობრივი მონაცემები საკმაო საფუძველს ქმნის მტკიცებისათვის, რომ დიდი „მოქცეული“ — „გვირგვინიანი“, „დარბაზული“ პირველყოფილისა არის სიმდიდრე-შეძლებულობის კუთვნილება და არა „საოჯახო თემის გადმონაშთი“, როგორც ეს გააზრებული აქვს ყველა ეთნოგრაფს, რომელიც კი ამ საკითხს ამ კუთხით შეხებია, ე. წ. „გრძელი სახლების“ დონეზე რომაა გამართული. დიდსა და დარბაზულად აშენებულ სახლებში ცხოვრება პირველყოფილთემური საზოგადოების დროინდელი გადმონაშთი კი არ არის, არამედ იგი კლასობრივი საზოგადოების პირმშოა. თითქმის ყველა ეთნოგრაფი, რომელიც ამ საკითხს შეხებია ჩვენში და დარბაზულ სახლებს „საოჯახო თემის“ გადმონაშთის საბუთად მიიჩნევს, მიუთითებს და ეყრდნობა გ. ჩიტაიას ნაშრომს — „გლეხის სახლი ქვაბლიანში“, ჯერ ერთი, გ. ჩიტაიას დასახელებული ნაშრომი გამოქვეყნებულია 1926 წელს, როცა ჯერ კიდევ ეთნოგრაფიის კვლევის ერთადერთ საგანს წარმოადგენდა პირველყოფილი-თემური საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურის შესწავლა. მეორე, — გ. ჩიტაიას ეს აზრი მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში აქვს გამოთქმული. კიდევ მეტი — იგი საგანგებოდ აფრთხილებს ამის შესახებ მკითხველს. მიმთითებელნი კი თვითნებურად, კატეგორიული ფორმით იშველიებდნენ ამ ადგილს გ. ჩიტაიას ნაშრომიდან — „გლეხის სახლი ქვაბლიანში“: „ერთი მხრით, გლეხური სახლის დარბაზული ტიპი, როგორც ის წარმოდგენილია ქვაბლიანში, სოციალური მომენტით დაკავშირებული უნდა იყოს დიდ, გვაროვნულ ოჯახთა არსებობასთან, რამდენად ეს ოჯახი მრავალ წევრთ იტევდა და სადაც კერის გარშემო (ძველად) ოჯახის წევრები (აგრეთვე გვარის) თავს იყრიდნენ მტერ-მოყვრობის საქმის გასარჩევად“. (ხაზგასმა ჩვენია, ი. ჭ.). აქ ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ ეს ხდებოდა „ძველად“. იმავე გვერდზე, ერთი აბზაცის ქვემოთ, ავტორი გვაფრთხილებს: „მხოლოდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაინცდამაინც ეს მოსაზრებები ჯერ-ჯერობით საბოლოო განზოგადოებულ დასკვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს..“ (ხაზგასმა ჩვენია, ი. ჭ.). ამას მოსდევს იმის ახსნა-განმარტება, თუ რატომ „არ შეიძლება“[20]. საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების 60—70-იანი წლების დონეზე კი, ზოგიერთი ეთნოგრაფი ჩვენში მაინცდამაინც ამტკიცებს გადაწყვეტით, რომ „დარბაზი“ „საოჯახო თემის“ გადმონაშთი საცხოვრებელი ნაგებობააო. უბრალოდ რომ ვთქვათ, უხერხულია!

დაახლოებით ასეთი ჩანს საანგარიშო ნაშრომში ჩვენს მიერ აღნიშნული საკითხების სისტემატური კვლევის შესაძლებლობანი.

რასაკვირველია, ამ გზით წარმართული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება არ უარყოფს გადმონაშთების არსებობა-მოქმედებას, მაგრამ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვიძიოთ მაგ., რა დროისაა და რა შინაარსის, ცხოვრების რომელ სფეროს ეხება გადმონაშთი, ფორმა აქვს გადმონაშთისა თუ იგი ასეთია როგორც ფორმით, ისე შინაარსით ერთდროულად და სხვა. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა შორის ისტორიული კავშირები და კულტურის ელემენტების განვითარების მომენტები ამოსაღები უნდა იყოს გად-

---

[19] ზემომოტანილი ცნობის მოწოდებისათვის გიორგი ჩიტაიას მადლობას მოვახსენებთ.

[20] გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, ტფილისი, 1926, გვ. 155.

მონაშთების სიიდან. ჩვენი ეთნოგრაფიული გამოკვლევები ისედაც სავსებით დასაბამიდან მომდინარე დაუსრულებელი—„უკვდავი" გადმონაშთებით. შეიძლება მსჯელობაში სადმე შეცდომა გვაქვს დაშვებული, მაგრამ ეს იმის გამო კი არ იქნება, რომ კვლევა-ძიების აღებული მიმართულება არის მცდარი.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ჟინვალის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრების მიერ შეკრებილი მდიდარი და საყურადღებო მასალა, სრულად ვერ გამოვიყენეთ და გამოვაჩინეთ, რაც ჩვენ მომავალი კვლევა-ძიების საქმედ გვესახება.

И. В. ЧКОНИЯ

ОТЧЕТ ЖИНВАЛЬСКОЙ ЭТНОГРАФИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ

(по материалам 1972—1973 гг.)

Резюме

Табл. LXXXIX—XCII

Жинвальская этнографическая экспедиция, организованная на финансовой базе Жинвальской археологической экспедиции, была предназначена для сбора и изучения этнографических материалов в тех селениях Арагвского ущелья, которым после завершения строительства грозит затопление. Такими селениями являются: Жинвали, Ананури (частично), Авениси, Гудрухи и Недзихи. За два полевых сезона было накоплено довольно большое число материала, всесторонний анализ которого нам кажется неотложной задачей.

Целью настоящей работы является публикация предварительного отчета и некоторых полевых наблюдений. В настоящем отчете материалы рассмотрены по отдельным годам.

В 1972 г. за 40 дней полевой работы в селениях Жинвали, Гудрухи и Авениси были проведены стационарные исследования. Были также осуществлены этнографические разведки в ущельях Пшавского и Мтиулетского Арагви.

В 1973 г. были продолжены исследования в вышеуказанных селениях, а также в Ананури и Недзихи. С ускорением процесса урбанизации быт и культура указанных селений быстро меняет свой облик, но близость к горному региону способствует определенному консерватизму. Сотрудниками экспедиции были собраны материалы по полеводству, скотоводству, виноградарству, жилищному строительству, материальной и духовной культуры, были проведены обмеры некоторых, более интересных жилых и хозяйственных комплексов.

გ. ხორნაული

არაგვის ხეობის ზოგი ტოპონიმი

1973 წლის ზაფხულში მონაწილეობას ვიღებდი ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, როგორც ტოპონიმისტი. უნდა ამეწერა, და აღვწერე კიდეც, ჟინვალის ირგვლივ არსებული ტოპონიმები, რომელთაც ისევე ელით „დაძირვა“ საგუბრის ფსკერზე, როგორც არქეოლოგიურ ძეგლებს. ამასთან ერთად, ვიმუშავეთ არაგვის ხეობის სხვა უბნებზეც, სადაც ჩვენ ადრევე ვაწარმოებდით კვლევა-ძიებას. ტოპონიმთა უმეტესობა არაგვის ხეობაში ქართულ ნიადაგზე იხსნება, რამდენიმე — ოსური და რუსული ენების მონაცემებით. მაგრამ რჩება საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელთა ახსნა ჯერჯერობით არა ხერხდება. სანამდე მთლიანად არ აღიწერება საქართველოს ტოპონიმია, არ დამუშავდება ისტორიული ძეგლები, ხელნაწერები, განმაზოგადოებელი დასკვნების გაკეთება გაჭირდება, ხოლო ზოგის ახსნა ალბათ მაშინაც არ მოხერხდება, მაგრამ ზოგიერთი უცნობი ტოპონიმის ახსნა სავარაუდოდ შეიძლება. სავარაუდოდ იმ მხრივ, რომ შემდგომში, მეტი საბუთების მოპოვებით ჩვენი მოსაზრება, შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს და სულ სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს ამა თუ იმ ტოპონიმს: ანდა, პირიქით, შესაძლოა მოპოვებულმა საბუთმა ჩვენი მოსაზრება განამტკიცოს. ასეთთა რიგს ეკუთვნის ჩვენს მიერ ზანური წარმოშობისად მიჩნეული ტოპონიმებიც, რომლებიც საკმაოდაა არაგვის ხეობაში.

მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიაში შევამჩნიეთ უცნობი სახელწოდებები, რომლებიც თითქოს რაღაცით ზანურ სამყაროზე მიგვანიშნებდნენ — ო ზ ა ნ ო (მთა, ს. ათნოხი), ჩ ი რ ე (მამული, ს. სონჩო), მ უ ღ უ რ ე (სოფელი, მთიულეთი) და სხვა. ისტორიული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ კიდევ სხვა ტოპონიმებიც მივიჩნიეთ ზანური წარმოშობისად. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავების ბიძგი მოგვცა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის — რამინ რამიშვილის მოსაზრებამ, რომელიც მან ჟურნალ „მაცნეს“ ფურცლებზე გამოთქვა კოლხურ-ყობანური კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით:

„მოგვიანებით, ჯერ სკვითების, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მოთარეშე სხვა ტომების დაწოლით, ხოლო საბოლოოდ კი ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე ალანური მოსახლეობის შეჭრით, გვიან-ყობანური მოსახლეობის (რომელთა კულტურაც კოლხური კულტურის ნაწილადაა მიჩნეული, გ. ხ.) ნაწილი ისპობა ან მომხვდურებს ერევიან, ხოლო ნაწილი კი, ჩანს, კვლავ სამხრეთ კავკასიონის ფერდობებს უბრუნდება. ხევის (და შემდგომ არაგვის ხეობის) წანარული მოსახლეობაც ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოში ამ გზით შემოჭრილ ყველაზე გვიანდელ დასავლურ ქართულ ეთნიკურ ნაკადად მიგვაჩნია. ამიტომაც არ გვეუცხოება არაგვის ორთავ ხეობისა და მის მიმდგომ

ისტორიულ კახეთში (ივრის ზემო ნაწილი) ე. წ. ზანური იერის მატარებელ ტოპონიმთა სიუხვე"[1].

ეს ტოპონიმები (თუ მათი წარმომქმნელი სიტყვები) შეიძლებოდა საერთო ქართველური, ფუძე ენიდან მომდინარედაც მიგვეჩნია, რაც ზოგ შემთხვევაში მართებულიც იქნებოდა, მაგრამ ერთი ცხადია: ჩვენი ტოპონიმების უმეტესობა ზოგად ზანურ ენობრივ სამყაროსთან აბამს კავშირს. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები:

ბ ო ჩ ე თ ი ხანდოს ხეობაში სოფ. უკანამხართან (მთიულეთი) ერთ-ერთი ფერდობის სახელია. იქვე ჩამომდინარე ხევს ეწოდება ბოჩეთის ხევი. ამ სახელში აშკარად გამოიყოფა ძირი ბ ო ჩ.

ივანე ჯავახიშვილი ქართველთა უძველესი რელიგიის მიმოხილვისას ეხება ერთ წარმართულ ღვთაებას, რომლის სახელიც ბოჩ-ი ყოფილა. ავტორი იმოწმებს ეფთვიმე მთაწმიდელს, რომელთანაც პირველად იხსენიება ბოჩი.

„სახელის დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი რ˘ლნი მათ ღ˘თდ შერაცხნეს რ˘ლნიმე მამათა და რ˘ლნიმე დედათა სრულიად მოისპენ — დიოს, ანუ აპოლოს, ანუ არტემის, ანუ ბ ო ჩ ი და გაცი და ბადაგონ და არმაზ ანუ რომელ იგი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონისეს სახელს იტყვიან... ესე ყოველი საეშმაკოდ არს და მოისპენ ქრისტეანეთაგან" [2].

ივანე ჯავახიშვილი ბ ო ჩ ს მიიჩნევს ჰანური წარმოშობის სახელად, სადაც ის მამალ ცხვარს აღნიშნავს. ბოჩი კი თავის მხრივ უნდა უკავშირდებოდეს, ანუ იგივე უნდა იყოს, რაც მეგრული ოჩი „ვაცი", რომელიც შედის ქართული წარმართული ნადირობის ღვთაების სახელწოდებაში — ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე.

ამ ორივე სახელისათვის, მეგრულისათვისაც და ჰანურისათვისაც (ოჩი, ბოჩი), მეცნიერის მიერ ამოსავლად მიჩნეულია ქართული სახელი ვაცი. „ოჩი" წარმომდგარია ვაცისაგან „ვა" მარცვლის ქართული ფონეტიკის კანონების მიხედვით „ო"-ნად ქცევის წყალობითა და „ც"-ანის „ჩ"-ინად შენაცვლებით[3]. როგორც აქედან ჩანს, საერთო ქართულში გვქონდა სიტყვა ვაცი, რომელიც უცვლელად დარჩა ქართულში, ხოლო შემდეგში ქართულისაგან გამოყოფილ დიალექტებში, ჰანურში და მეგრულში, ფონეტიკური შესატყვისობების თანახმად, მოგვცა ო ჩ ი და ბ ო ჩ ი. ამით გამოირიცხება ვარაუდი ბ ო ჩ-ის საერთო ქართველურობისა (რაც შეეხება ქართულ სიტყვა ბ ო ჩ ო ლ ა ს, სხვა წარმოშობისა უნდა იყოს). ბოჩი ჰანურიდან (დასავლური ტომებიდან) აღმოსავლურში გვიან უნდა შემოჭრილიყო, როცა იქ უკვე ჩამოყალიბებული იყო ჰანური დიალექტი, მეგრული დიალექტი და როცა უკვე „ვაცმა" მოგვცა „ბოჩი".

დიდი მსჯელობის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, „...ძველი ქართული ღვთაების „ბოჩი"-ს არსებობის შესახები ეფთვიმე მთაწმიდელის ცნობა სრულ ჭეშმარიტებას უნდა შეიცავდეს. ამ ღვთაების სახელს თავდაპირველად მაინც, მამალი თხის, ან ცხვრის, ე. ი. ვაცის, ან ბოტის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ამიტომ შესაძლებელია, რომ „ბოჩი", ან იმავე ნადირთ მფარველი ღვთაების, ან მისი მსგავსი ღვთაების სახელი იყოს, როგორიც იყო და ეხლაც ხალხის აზრით არის „ნადირთ მწყემსი", ანუ ანგელოზი „ოჩოპინტრე" [4].

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ასეთი ვარაუდის დაშვება. მტრის ურდოები-

---

[1] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს, მაცნე. 1, 1973, გვ. 186.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 86—87.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 86.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 87.

საგან დევნილმა ქართველურმა (ზანურმა) ტომებმა დარიალის ხეობით საქართველოს მოაშურეს. გადმოვიდნენ და ნაწილი დასახლდა მთიულეთ-გუდამაყრის ტერიტორიაზე. მათ არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაემჩნიათ ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიაზე. ამასთანავე მთის მონადირე ხალხი განსაკუთრებით ადვილად მიიღებდა მათგან ნადირობის ღვთაება ანგელოზებს. გარდა ბოჩისა, რომელიც ტოპონიმში დასტურდება, ქართველ მთიელებში და კერძოდ ხევსურეთში, შემონახულია კიდევ ნადირობის ღვთაების ორი სახელი, — ანატორი და ოჩოპინტრე, — რომლებიც აგრეთვე მეგრულ ღვთაებებთან ანთარ -თანა და ოჩოკოჩთან (თუ იმავე ოჩოპინტრე-სთან) ამყღავნებენ კავშირს [5].

დუმაცხო სოფლის სახელია გუდამაყრის ხეობის ზემო ნაწილში, ბურსაჭირისა და ბოსლის ხეობის შესაყართან.

ამ სოფელთან გუდამაყრის ორი მთავარი, სათემო სალოცავია: ზეგარდა და პირიმზე (ფუძის ანგელოზი). ამ ხატების ადგილები და, კერძოდ, პირიმზე-ფუძის ანგელოზის მდებარეობა, ნაგებობათა სიძველე მიგვანიშნებს, რომ აქ უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო სალოცავი და, შესაძლოა, არა ერთი და ორი. სავარაუდოა, რომ იქ ქრისტიანობამდე ასევე ძლიერი სალოცავი არსებულიყო. მას სახელი ქრისტიანობის შემოსვლასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გადაერქმეოდა და არაოფიციალურად მხოლოდ ადგილსღა შემორჩენია.

სოფლის სახელწოდება დუმაცხო ძალზე ჰგავს ერთ-ერთი უძველესი ღვთაების ჭანურ სახელწოდებას — ჯუმაჩხა. ივ. ჯავახიშვილი, იმოწმებს რა რ. ერისთავს, რომელსაც მოჰყავს ცნობა ხევსურთა ერთ-ერთი ღვთაების — „ჯიმაღის ჯვრის“ შესახებ, წერს: „შესაძლებელია „ჯიმაღი“ ეთანასწორებოდეს იმ ღვთაების სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნილი ყოფილა ოთხშაბათი: ოთხშაბათს მეგრულად „ჯუმაშხა“, ჭანურად „ჯუმაჩხა“, ხოლო სვანურად „ჯუმაშ“-ი ჰქვია. ს. ორბელიანის მოწმობის თანახმად კი ოთხშაბათი ქართულად „ერმის“ დღედ ითვლებოდა, ესე იგი, ჰერმესისა, ანუ მერკურის ღვთაებისათვის ყოფილა დაწესებული“ [6].

ამ ორ სახელწოდებას შორის (დუმაცხო და ჯუმაჩხა) გარდამავალ საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ ფასანაურთან დადასტურებული მეორე ტოპონიმი **დუმაჩხაური** (ველების, სერის სახელია ფასანაურის მაღლა, ტყეების თავზე). აქაც არის ძველი ნასოფლარები, ნიშები. ამ მხრივ, თუ ეს სარწმუნოა, ფონეტიკური სახესხვაობა დიდ სიძნელეებს არა ქმნის. ჯ-ს დ-ში გადასვლა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია (შდრ.: მეგრ. სინჯა//სინდა „სიძე“). ც-ს ჩ-სთან მონაცვლებაც ცნობილი ფაქტია (მაგ.: ნაკვერცხალი//ნაკვერჩხალი).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული ორივე ტოპონიმი (ბოჩეთი და დუმაცხო) ჭანური ღვთაებების სახელებს დაემთხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ დუმაცხოს ერთ-ერთ სასაძოვრე დიდ მთასა და ფერდობებს **ოზანო** ჰქვია, რაც ზანურად საზანოს ნიშნავს.

დუმაცხოს ჩამოუდის პატარა ხევი, რომელსაც ლიფო-ს უწოდებენ. ეს ტოპონიმი აუხსნელია, ფორმით კი დასავლურ სიტყვებს ჩამოჰგავს.

დასავლური სამყაროდან უნდა იყოს დუმაცხოს სიახლოვეს ჩამომდინარე მეორე ხევის სახელწოდება ბერჟაულთ ხევი. ბერეჟ სვანურად რკი-

---

[5] იქვე, გვ. 82—87.

[6] იქვე, გვ. 80.

ნას ნიშნავს. ამ ხევის პირას, ჭალაზე მჭედლებს უცხოვრიათ და სამჭედლოები ჰქონიათ [7].

წ ი ფ ო რ ი სოფლის სახელია მთიულეთში, ფასანაურს ზემოთ. აქ არის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი სალოცავი წიფორის წმ. გიორგი.

ჩვენ ამ ტოპონიმის ამოსავლად მიგვაჩნია ჭანური სიტყვა წ ი ფ უ რ ი, რაც წიფელს ნიშნავს. წიფური — бук, буковое дерево[8].

ჩ ი რ ე მამულის სახელია სოფელ სონჩოში (მთიულეთი). ეს სიტყვა უნდა იყოს იგივე, რაც ჭანური მ ჩ ი რ ე. ნიკო მარის ჭანურ-რუსულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „მ-ჩირე" «широкий», будто отсюда название местечка Очамчири: უჩა-მჩირე „черно-широкий", ср. „ჩიმშირ-ი" [9]. თანაც ეს სიტყვა ჩ-ზე აქვს ლექსიკონში, რაც იმას მოწმობს, რომ მ-ფუძისეულ თანხმოვნად არ მიაჩნია.

ო ჩ ა მ ჩ ი რ ე-ს ეტიმოლოგიის გარკვევას სპეციალური სტატია მიუძღვნა პროფ. გ. როგავამ, სადაც გაარკვია, რომ ოჩა (-ოჩე) ნიშნავს ყანას და „ოჩე-მჩირე სიტყვასიტყვით უნდა იყოს ყანა ვრცელი, ყანაფართო" [10]. აქვე მოყვანილია მთელი რიგი ტოპონიმებისა, რომლებშიც მ ჩ ი რ ე შემადგენელ კომპონენტად გამოდის. მართალია ო ჩ ა მ ჩ ი რ ე სამეგრელოშია, თვით მეგრულში კი მ ჩ ი რ ე დღეს აღარ იხმარება, მაგრამ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ოდესღაც მეგრულშიც უნდა გვქონოდა ეს სიტყვა.

მ უ ღ უ რ ე სახელია სოფლისა, რომელიც ხადის ხეობაში, მთიულეთას სულ ზემო ნაწილში მდებარეობს. თეთრი არაგვის ერთი სათავეა ღუდის ხეობა. მლეთის გაყოლებით, მეორე ხადის ხეობა, რომელიც ქვეშეთთან მარცხნიდან ერთვის ღუდის ხეობას და წარმოიქმნება თეთრი არაგვი. მუღურე სწორედ ამ ხადის ხეობის სათავეშია სულ ზემო განაპირა მხარეს, რომლის იქით მთიულთა სოფელი აღარ არის.

ეს დაწვრილებითი აღწერა იმიტომ მოვიშველიეთ, რომ მეგრულში გვაქვს სიტყვა მ უ ხ უ რ ი, რაც კიდეს, ნაპირს, მონაპირეს ნიშნავს: მუხური — край, уголок, остров, страна [11]...

ზოგ ტოპონიმში გამოიყო ადამიანთა სახელები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც „ქართველური საკუთარი სახელების" [12] ლექსიკონიდან ჩანს, სამეგრელოს გარდა არსად გვხვდება. ასეთებია:

ა თ ა ლ ა ი ს ქ ე დ ი გორის სახელია სოფელ ლაკათკევში (მთიულეთში). ა თ ა ლ ა კაცის სახელია კოლხურში.

კ ო კ ო ლ ი ა ნ თ წ ყ ა ლ ი წყაროს სახელია სოფელ დარძულთას.

---

[7] გადმოცემის თანახმად, როცა აქ მჭედლებს სამჭედლოები ჰქონიათ, ხევის მაღლა მთაზე ბერები მდგარან, პატარა საყდარი ჰქონიათ. (ამ მთას საბეროს ეძახიან). მჭედლები გაშანთებულ რკინას უგზავნიდნენ თურმე ბერებს ცივ ზამთარში — ხელები მაინც მოითბეთო და ისეთი წვინდანები ყოფილან, რკინა იქამდე ატანაში ოდნავადაც არა ცივდებოდაო. სანაცვლოდ, ბერები ზაფხულობით ცივ წყაროს წყალს უგზავნიდნენ მჭედლებს კალათით — გული გაიგრილეო და კალათას წვეთი არ გავარდებოდაო.

[8] Н. М а р р, Грамматика Чанского (Лазского) языка (с хрестоматиею и словарем). С. Петербург, 1910, стр. 211.

[9] იქვე

[10] გ. რ ო გ ა ვ ა, ზოგი გეოგრაფიული სახელის (ოჩამჩირე, ტყუარე) შედგენილობისათვის, თსუ შრომები, 93, 1960, გვ. 181.

[11] Н. К и п ш и д з е, Грамматика Мингрельского (Иверского) языка (с хрестоматией и словарем), С. Петербург, 1914.

[12] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.

გამოიყოფა კაცის სახელი კოკოლა, რომელიც აგრეთვე კოლხეთშია დადასტურებული.

გედეეთი//გედები მთის სახელია სოფელ წინკობათას (მთიულეთში). გედე კაცის სახელია კოლხეთში.

ბაქაის ყანები მამულების სახელია ს. გვიდაქეში (მთიულეთი). ბაქია კაცის სახელია კოლხურში. შეიძლებოდა ბექადან მიღებულად მიგვეჩნია, მაგრამ ე რატომ უნდა შეცვლილიყო ა-დ? ხომ გვაქვს მთიულეთში გვარები ბექაური, ბექიშვილი? უნდა ვიფიქროთ, რომ თავიდანვე იყო ბაქაის ყანები და ასევე დარჩა.

ქიბურაი მამულის სახელია სოფ. ათნოხში (გუდამაყარი); მთიულეთში გვაქვს სოფლის სახელწოდება ქიმბარიანი. ორივე ესენი უნდა მოდიოდნენ კოლხეთში დადასტურებული კაცის სახელებიდან ქიბა და ქიბარი.

შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე ტოპონიმის მოტანა, რომლებიც ზანურიდან მომდინარედ გვეჩვენება, მაგრამ სამტკიცი ფაქტების უქონლობის გამო ჯერჯერობით მათს შესახებ არას ვამბობთ.

Г. И. ХОРНАУЛИ

НЕКОТОРЫЕ ТОПОНИМЫ АРАГВСКОГО УЩЕЛЬЯ

Р е з ю м е

Летом 1973 года во время работы в Живальской археологической экспедиции нами описана топонимия Арагвского ущелья. Некоторые из записанных топонимов занского происхождения.

Такие, например, как

ბოჩი — bočeti — название склона горы в селении Уканамхари (Мтиулети) — **ბოჩი** — boči (чанское название языческого божества);

დუმაცხო — dumacxo — название селения в Гудамакари — **ჯუმაჩხა** — ǯumačxa (чанское название божества);

ოზანო — ozano — название горы, селения Думацхо — **საზანო** — Sazano (гора, место занов);

წიფორი — ċipori — название селения в Мтиулети — **წიფური** — ċipuri (по чанскому — бук).

ჩირე — čire — название участка в селении Сончо (Мтиулети) — **მჩირე** — čmire (по чанскому — обширный);

მუღურე — muγure — название селения в Мтиулети — **მუხური** — muxuri — занский: крайний.

Встречаются топонимы, где прослеживаются мужские имена занского происхождения: **ათალა** (atala), **კოკოლა** (ḳoḳola), **გედე** (gede), **ბაქა** (baka), **ქიბურა** (kibura).

Можно полагать, что дальнейшее изучение пополнит список таких топонимов.

მ. ციწციაძე

ჩრდილოეთ კავკასიის სალხები დიმიტრი ბაქრაძის შრომებში

XIX საუკუნის თვალსაჩინო ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ბაქრაძის მდიდარ შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უკავია ქართველი ერის ურთიერთობის საკითხს მათ ისტორიულ მეზობლებთან. ისტორიის ობიექტური გაშუქება და მისი ნამდვილი სახით წარმოჩენა დ. ბაქრაძისათვის უეჭველად გულისხმობდა საქართველოს მეზობელი ქვეყნების ისტორიის ღრმა ცოდნას, მათი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებას, მათი წვლილის სწორ და ობიექტურ შეფასებას ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნული ისტორიის თვალსაზრისით.

სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს ისტორიის ისეთი მასშტაბური მკვლევარი, როგორიც იყო დ. ბაქრაძე, სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად გვერდს ვერ აუვლიდა ჩრდ. კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკითხებსაც, მით უმეტეს, რომ ჩრდ. კავკასია უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან და მთელი ეს ურთიერთობა ხასიათდებოდა ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთშემოქმედების ნიშნით.

დ. ბაქრაძეს, მართალია, არ მოუხერხდა საქართველოს ისტორიის სრული კურსის შემუშავება და, ამდენად, საგანგებო კვლევა-ძიება ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიის შესახებ მას არ მოეპოვება, მაგრამ მის ნაშრომებში, პუბლიცისტურ წერილებში და საქართველოს ისტორიის პირველ წიგნში ისეთი საკითხები არის განხილული, რასაც უშუალო კავშირი აქვს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, მათი ისტორიის მთელ რიგ საკითხებთან.

როდესაც დ. ბაქრაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ისტორია საქართველოსი“ გამოქვეყნდა[1], იმ დროისათვის კავკასიათმცოდნეობაში უკვე ბევრი რამ იყო გაკეთებული როგორც ისტორიოგრაფიის დარგში, ისე ენათმეცნიერებასა და მხარეთმცოდნეობაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, წყაროთმცოდნეობითი ბაზა ჯერჯერობით ისე ძლიერი არ იყო, რომ დ. ბაქრაძეს შესძლებოდა მეტ-ნაკლები სისრულით მოეცა კავკასიისა და საქართველოს ისტორიული განვითარების სრული სურათი. თუმცა, ისიც კი, რაც დ. ბაქრაძემ მოახერხა XIX საუკუნის დასასრულისათვის, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მკვლევარი, როდესაც საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის

---

[1] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე), ტფილისი, 1889.

საკითხებს განიხილავდა, ფართოდ სარგებლობდა როგორც წერილობითი წყაროებით (უცხოურით, ქართულით), ისე იმ მეცნიერთა ნაშრომებით, რომლებმაც დაგვიტოვეს მდიდარი მემკვიდრეობა კავკასიოლოგიაში; ამავე დროს, ისტორიული პროფილის გამოკვლევათა გვერდით ფართოდ იყენებს ენათმეცნიერულ ნაშრომებსაც, რომელთაც კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართებისა და გენეზისის გარკვევის საქმეში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. ასეთ ნაშრომთა რიცხვს განეკუთვნება: გიულდენშტედტის[2], კლაპროტის[3], ლულიეს[4] და სხვათა გამოკვლევები.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთან ურთიერთობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მ. ბროსეს[5] და ალ. ცაგარლის[6] შრომებს, რასაც იგი ფართოდ იყენებდა თავის გამოკვლევებში. ამიტომაც იყო, რომ უკვე XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსათვის მას საკმაოდ ნათელი შეხედულება ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხელხების ურთიერთობასა და ეთნოგენეზისზე, მათ განსახლებასა და სავარაუდო მოძრაობაზე.

„რამდენადაც აქამომდე გამოკვლეულია საზოგადოდ კავკასიური ენები, — წერდა დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის მეორე კარში, — ამ გამოკვლევით ჩვენ შეგვიძლიან ახლა შემდეგი დასკვნა დავდოთ: კავკაზიური ენები იყოფიან რამდენსამე მოდგმად: ერთ მოდგმას შეადგენენ ქართულის ნათესავის ენები: იმათგან ერთია ქართლ-კახეთისა და იმერეთის ენა, მეორეა მეგრული თავის განყოფილებით — ლაზურით ანუ ჭანურით; მესამეა სვანური. მეორე მოდგმას ეკუთვნიან აღმოსავლეთის მთის ენები, ანუ ჩეჩნური, დაღისტნური, ანუ ლეკური: ავარიისა, ყაზი-ყუმუხისა, დარგისა, კურინისა, ტაბასარანისა, ანდიისა, კუშაჩინისა, რუტულისა, ცახურისა და უდინისა. მესამე მოდგმისანი არიან დასავლეთის მთის ენები: აბხაზური და ჩერქეზული იმათის დიალექტებით. თვითეულს ამ მოდგმა-მოდგმათა ენებში ერთი მეორესთან ნათესავური დამოკიდებულობა ახლა ეჭვგარეთ არის; მაგრამ არც ერთის სამის მოდგმის ენათაგანის შორეული გვაროვნობა ჯერჯერობით არ არის გამოძებნილი"[7].

თუ თვალს გადავავლებთ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურას კავ-

---

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის თარგმანით და გამოკვლევით, ტ. I, 1962, თბილისი. დ. ბაქრაძე სარგებლობდა ძველი გამოცემით გერმანულ ენაზე. იხ. **D. Johann Anton Güldenstädt, Reisen Durch Russland und im Caucasishen Gebürge** I. ამ ნაშრომიდან განსაკუთრებით საყურადღებოა დანართი, რომელსაც ეწოდება: „კავკასიაში გავრცელებული ენების ;სიტყვათა შენაკრები შესადარებლად"- ამ ენებს შორის ქართულთან ერთად მოცემულია ჩაჩნური, ლეზგიური, ადიღეური ენების შედარებითი ლექსიკონები, ტ. I, 1912, ტ. II.

[3] **Reise in den Kaukasus und nach Georgien,** 1914. ეს ნაშრომი გამოცემულია ფრანგულადაც.

[4] Л. Я. Л ю л ь е, Черкесия, историко-этнографические статьи, МИЧН, вып. 4, Краснодар, 1927.

[5] მ. ბროსეს მოღვაწეობისა და სამეცნიერო შრომების შესახებ იხ. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, აკადემიკოსი მ. ბროსე, თბ., 1970.

[6] ალ. ცაგარლის მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოკვლევას **Сравнительный обзор морфологии иберийской группы Кавказских языков, СПб, 1872.**

[7] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 35.

კასიის მოსახლეობის ეთნოგენეზთან და მათ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, ვნახავთ, რომ დ. ბაქრაძის მიერ ასიოდე წლის წინ გამოთქმული მოსაზრება დღესაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ზემოხსენებულ ავტორის მიერ შემუშავებული კონცეფციით, რომელსაც იზიარებდა დ. ბაქრაძე, ქართული და კავკასიური ენები არ ეკუთვნოდა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს, როგორც ამას ჯერ კიდევ 1847 წელს ასაბუთებდა ცნობილი ენათმეცნიერი ფრიდრიხ ბოპი[8]: კავკასიურ ენათა ოჯახი ასევე შორს იდგა ე. წ. თურანულ (თურქულ-ირანულ) ენათა ოჯახისგანაც. თუმცა, როგორც დ. ბაქრაძე თავისი საქართველოს ისტორიის მეორე კარში აღნიშნავს, კავკასიური ენების ლექსიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ „იმათზე დიდი გავლენა ჰქონია შორეულ ენებსა“[9]. ბაქრაძის დაკვირვებით: „ლეკური, ქისტაური, ჩერქეზული ენები სავსეა ტურანულის მოდგმის სიტყვებით. ლეკურში და ქისტაურში მომეტებული სიტყვები არის სამოედური; ჩერქეზულში ნაკლებ. გარდა ამისა, იმათში იპოვება თურქული, ყირგიზული, ვოგულური, ვოტიაკური, ოსტიაკური, ჩუვაშური, ფინური; ამასთანავე, ლეკურში აქამომდე ხმარებაშია, სხვათა შორის ჰუნნური სახელები ადილლა (ატილლა იყო ჰუნების წინამძღოლი მეხუთე საუკუნეში), ესკა (ესკამა ატილლას ქალი). ოსური ენა ძველი ალანების, ანუ ირანების ენა თურმეა, ინდო-ევროპულის მოდგმისა; ოსური ლექსიკონი წარმოგვიდგენს სპარსულს, ფეჰლევურს, გერმანულს, სლავიანურს და სანსკრიტულს“[8].

ასევე გავლენა ჰქონია განცდილი ქართველურ ენათა ოჯახსაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კავკასიურ ტომებს უძველესი დროიდან სხვადასხვა მოდგმის ხალხთა გვერდით უხდებოდათ არსებობა, რაც იწვევდა ამ ენათა ლექსიკური ფონდის ურთიერთგამდიდრებას, დ. ბაქრაძე სამართლიანად ფიქრობდა, რომ კავკასიურმა ენებმა თავისი გრამატიკული წყობითა და ძირითადი ლექსიკური ფონდით შეინარჩუნეს დამოუკიდებელი სახე. ისე რომ, დ. ბაქრაძის თვალსაზრისმა კავკასიის მოსახლეობის ეთნოგენეზთან დაკავშირებით, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჩვენი ცოდნა საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის უძველესი ისტორიის შესახებ მნიშვნელოვნად გამდიდრდა და გაღრმავდა[11]. სრულიად ახალმა მასალებმა, რომელიც არქეოლოგიური კვლევა-ძიებით იქნა მოპოვებული, ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხების ავტოხტონობის თეორიას, ენათმეცნიერულთან ერთად შეუქმნა მყარი მატერიალური საფუძველიც[12].

---

[8] Fr Bopp, Die Kaukasischen Gleider des Indoeuropäischen sprachstammss Berlin, 1847.

[9] ე. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

[10] იქვე, გვ. 35.

[11] გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951; მისივე, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953; მისივე, К истории древней Грузии; მისივე. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1965 და სხვა.

[12] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ, XII—B, 1941; его же, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1944. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის

მიუხედავად ამისა, ლინგვისტური ანალიზით მიღებული შედეგები ჯერ-ჯერობით მაინც უფრო მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის დასადგენად, — წერს გ. მელიქიშვილი, — უპირველესი მნიშვნელობა აქვს მისი ენის ბუნებას... გავრცელებულ თვალსაზრისით ქართული და მისი მონათესავე სხვა ქართველური ენები განიხილება, როგორც ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ამ ოჯახში ქართველურ ენებს გარდა ათავსებენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ (აბხაზურ-ადიღეურ) ენებს. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ ამ ენებს, შესაძლებელია, ენათესავება ბასკური და, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი მკვდარი ენა (შუმერული, ხურიტული, პროტოხეთური, ელამური [13]). გ. მელიქიშვილი ქართულ-კავკასიური ენების ნათესაობის და მათი გენეტიკური ერთიანობის ჰიპოთეზას, მართალია, იზიარებს, მაგრამ საბოლოოდ დამტკიცებულად ამ მოსაზრებას არ სთვლის. ისე კი, თუ იბერულ-კავკასიური ენების ერთობა მართლაც არსებობდა, გ. მელიქიშვილის აზრით, იგი უნდა არსებულიყო ნეოლითური განვითარების საფეხურზე.

დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის შესავალ ნაწილში და თავის პუბლიცისტურ წერილებში ყურადღებას ამახვილებდა არა მარტო ჩრდ. კავკასიის ხალხებისა და ქართველთა წინაპრების ურთიერთკავშირზე და ენობრივ თავისებურებებზე, არამედ გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მათ პირველსაცხოვრისისა და განსახლების გარკვევაში.

აღნიშნული საკითხიც კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში, მეტად რთული და წინააღმდეგობრივია.

დ. ბაქრაძე, გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა და ქართული ისტორიული წყაროებისა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ლოკალიზაციისათვის, ფართოდ იყენებს ანტიკური მწერლებისა და ისტორიკოსების ცნობებსაც. ამ მონაცემების ერთობლივმა ანალიზმა დ. ბაქრაძეს საშუალება მისცა კავკასიის „ტომ-ნათესაობის“ განლაგება დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდისათვის შემდეგნაირად წარმოედგინა: „ტანაისიდამ (დონიდამ) ვიდრე ფაზამდე: 1. ტანაისის პირად სავრომატნი; 2. მეოტიდისა, ანუ აზოვის ზღვის ნაპირზე მაეტნი; 3. ტამანის ნახევარკუნძულზე და პონტის პირ, ანაპამდე — სინტნი; 4. ანაპის სამხრეთად გელენჯიკამდე კერკეტნი, ახლანდელნი ჩერქეზნი; იმათში იყო გაშენებული ელლინების ქალაქი ტორიკოსი, რომელმაც თავისი სახელი გადასცა თვით ზღვის ყურეს, ანუ გელენჯიკს; 5. გელენჯიკის სამხრეთ-აღმოსავლეთად ახიელნი, ანუ ელინნი, რომელნიც ვითომც ტროადიდამ მიმოვალან და ზღვის ღელვას შეუტაცნია ხსენებულ ადგილას; 6. ახიელების მომიჯნავენი და დიოსკურიის მოსაზღვრენი ჰენიოხნი...; 7. დიოსკურიის დამცქერნი მთის ქედი. სოანნი ანუ სვანნი; 8. ჰენიოხთ მოსაზღვრენი კოლხნი; ამათ სჭერიათ მთელი პონტის პირი ტრაპიზონამდე, რომელიც შეადგენდა საზღვარს კოლხებისას და ტიბარენებისას; 9. ტრაპიზონს იქით ტიბარენნი კაპპადოკიის საზღვრამდე; 10. ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ ტიბარენნივე, მაკრონნი ანუ სონნი (ცანნი, ჭანნი); ქალდეველნი ანუ ძველნი

ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961. К. Кушнарева, Т. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977 და სხვა.

[13] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

ხალიბნი ფარნაკიის უახლოესად და 11. კავკაზის აღმოსავლეთ-სამხრეთად, გარდა იბერიელთა, ლეგნი, ალბანნი, კასპიელნი, კადუიანნი და გელნი[14].

აღნიშნული მსჯელობა უმთავრესად მაინც სტრაბონის ცნობებზეა დაფუძნებული. ამიტომაც იგი რამდენადმე ცალმხრივია და სათანადო სისრულით არ არის მოცემული — ჯერ ერთი, საკუთრივ ადიღეური ტომების განსახლება, ხოლო შემდეგ კი გაურკვეველი რჩება ცენტრალური კავკასიონის მოსახლეობის ვინაობის და განსახლების საკითხი. აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივადაა შევსებული საქართველოს ისტორიის მეოთხე კარში, სადაც ქართლის ცხოვრების შესავალი ნაწილია განხილული (თარგამოსის ძეთა განსახლებასთან დაკავშირებით). აქ, ეყრდნობა რა ქართლის ცხოვრების მონაცემებს, დ. ბაქრაძე ვარაუდობს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე უფრო ძველი მოსახლეობა კავკაზოსისა და ლეკოსის შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ, რომ თავდაპირველ ეტაპზე ჩერქეზები და ოსები იქ არ ჩანდნენ[15]. რომ ოსური მოსახლეობა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩრდ. კავკასიის უძველეს მოსახლეთა შორის არ მოიხსენიება, ეს ბუნებრივია, რადგანაც ალანოსები მართლაც შედარებით გვიან ჩნდებიან ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ უბანზე. რაც შეეხება ადიღეურ-ჩერქეზულ მოსახლეობას, ისინი უდავოდ უძველესი დროიდან არიან საგულისხმებელნი ჩრდ. კავკასიაში და უძველეს ქართულ წყაროებში მათი მოუხსენებლობა რაღაც სხვა მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. უკანასკნელ ათწლეულში წარმოებულმა კვლევამ, რომელსაც ატარებდნენ წამყვანი სამეცნიერო სკოლები, გვიჩვენა, რომ „საერთო ქართველურის ტიპოლოგიური მოდელი, ერთი მხრივ, უახლოეს პარალელებს პოვებს მთის იბერულ-კავკასიურ ენებში, განსაკუთრებით დასავლურ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) ჯგუფში (კონსონანტიზმი, პრეფექცია, ზმნური პოლიპერსონალიზმი, ბრუნების მოდელი, ერგატიული კონსტრუქცია და სხვ.); ხოლო, მეორე მხრივ, გვიანდელი საერთო ქართველურის მორფოლოგიური სისტემა თვალსაჩინო სტრუქტურულ პარალელებს ავლებს გვიანდელი ინდოევროპული ფუძე ენისათვის პოსტულირებულ სტრუქტურულ მოდელებთან“ [16]. ამავე დროს, გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის აზრით, ქრონოლოგიურად ქართველურში „კავკასიური“ (ჩრდილოეთ-დასავლური კავკასიური) სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ფენა წინ უსწრებს ინდოევროპულს. იგი პირველადია, უფრო მეტიც, ხსენებული ავტორები უძველესი ქართველურის სახით ვარაუდობენ ჩრდილო-დასავლურ კავკასიური ტიპის ენას, რომელსაც ძლიერ ტრანსფორმაცია განუცდია ინდოევროპული სუბსტრატის გავლენით[17].

რა თქმა უნდა, ბაქრაძეს არ მოეთხოვებოდა დასკვნები ეკეთებინა თანამედროვე მიღწევათა დონეზე, მაგრამ მაშინაც, XIX საუკუნის შუა ხანებში და მეორე ნახევარში, აფხაზურ-ადიღეური ენები ისე იყო შესწავლილი, რომ მათი როლისა და ადგილის შესახებ ზოგად კავკასიურში უკვე საკმაოდ კარგად შეიძლებოდა მსჯელობა.

რაც შეეხება ქართლის ცხოვრების „კავკაზიენებს“, რომლებთაც დ. ბაქრაძე ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ უძველეს ტომად მიიჩნევს, ისინი ძირითადად

---

[14] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 34.

[15] დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

[16] გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 345.

[17] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო ქართველურ სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი, 1965.

იყვნენ კოლხურ-ყობანური კულტურის არეალში მცხოვრები დასავლურ-ქართული ტომები[18], რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ აღმოსავლურ-ქართულ, ვეინახურ და ადიღეური მოდგმის ტომებთან, ხოლო მოგვიანებით კი დიდი შევიწროება უნდა განეცადათ ინდო-ირანული მოდგმის კიმერიელებისა, სკვითებისა თუ ალანებისაგან[19].

დ. ბაქრაძე ზემოთ ჩამოთვლილ ხალხებს შორის ყურადღებას ამახვილებს ვეინახური მოდგმის ტომებზედაც. მკვლევარის სიტყვით, „ძურძუკნი იყვნენ წინაპარნი აწინდელთა ჭისტთა, ინღუშთა და ღლიღველებთა და მკვიდრობდნენ იქვე, სადაც ახლა ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ; იყვნენ მებრძოლნი და შემწეობდნენ ქართველებს ოსთა და ხაზართა წინააღმდეგ“[20].

შედარებით უფრო ნაკლებადაა განხილული დ. ბაქრაძის შრომებში ლეზგიური მოდგმის ხალხთა ისტორიის საკითხები. თუმცა ლეკური ტომების ნაწილი გარკვეული დროიდან გაერთიანებული იყო კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში. ხოლო ალბანეთთან საქართველოს ურთიერთობას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა მკვლევარის შრომებში.

გარდა იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ოჯახისა, ჩრდილოეთ კავკასიაში საკმაოდ ძველი დროიდანვე გაჩნდნენ თურქულენოვანი და ინდოევროპული მოდგმის ტომები. ამათგან ინდოევროპული მოსახლეობის მოძალება ალბათ გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე თურქულენოვანი მოსახლეობისა.

